ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

გია ჟორჟოლიანი
თამარ ბერეკაშვილი
მარინა მუსხელიშვილი

დემოკრატიზაცია

საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში

დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

„მეცნიერება“
თბილისი
2001

სერიის მთავარი რედაქტორი *მარინე ჩიტაშვილი*

რედაქტორი ლია კაჭარავა

კორექტორი დალი სულაშვილი

საავტორო უფლება (**copy right**) ეკუთვნის ფონდს
„ლია საზოგადოება - საქართველო“

ISBN 99928-891-9-5

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

თავი I. დემოკრატია და დემოკრატიზაცია
კონცეპტები და თეორიები 7

შესავალი 7

§ 1. დემოკრატია 8
დემოკრატიის არსი პოპერის მიხედვით 9
ალენ ტურენი დემოკრატიის შესახებ 11
მინიმალური, ლიბერალური და კონსოლიდირებული დემოკრატია . 14
§ 2. დემოკრატიზაციის ტალღები 20
§ 3. დემოკრატიზაცია და შედარებითი პოლიტიკური კვლევები 28
§ 4. დემოკრატიზაცია: ძირითადი თეორიული მიდგომები (*ზოგადი მიმოხილვა*) 34
§ 5. ფაქტორები, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს დემოკრატიზაციის პროცესის ინტერპრეტაციისას 41

თავი II. დემოკრატიზაციის პროცესი, როგორც ტრანზიტი, ანუ გადასვლა დემოკრატიაზე 46

§ 1. დინამიკური მოდელი 46
§ 2. ავტორიტარული რეჟიმის ლიბერალიზაცია და ძირითად პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედება დემოკრატიზაციის პროცესში 51
ლიბერალიზაცია 51
ძირითად პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედება დემოკრატიზაციის პროცესში 53
§3. პოლიტიკური რეჟიმები, დემოკრატიზაცია და დემოკრატიის კონსოლიდაციის შესაძლებლობა 57
დემოკრატიის კონსოლიდირებისთვის აუცილებელი ხუთი სფერო ... 59
სახელმწიფოს არარსებობა, ნაციონალიზმი და დემოკრატიზაცია 61
თანამედროვე არადემოკრატიული რეჟიმები 67
წინამორბედი რეჟიმის ტიპის გავლენა ტრანზიტის შესაძლო გზებზე და კონსოლიდირების ამოცანებზე 78

თავი III. დემოკრატიზაცია და ეკონომიკა 94

§1. საბაზრო ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკური რეჟიმები 94
§2. პოსტკომუნისტური რეფორმების ძირითადი თავისებურებები 105
§3. არაფორმალური ეკონომიკა 112
§4. პოსტსაბჭოთა სახელმწიფო და ეკონომიკა 117

თავი IV. დემოკრატია და საზოგადოება 123

§1. სამოქალაქო საზოგადოება 123
§2. დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება 128
§3. საზოგადოებრივი კაპიტალი 136
§4. პოლიტიკური კულტურა 145

თავი V. დემოკრატიზაციის თანამედროვე გამოწვევები 150

§1. ნეოლიბერალიზმი და ინტერნაციონალიზაცია, როგორც
თანამედროვე დემოკრატიზაციის განმსახღვრელი ფაქტორები ... 150
§2. დემოკრატიზაცია და სახელმწიფო 157
ეფექტური სახელმწიფოს პრობლემა 157
დემოკრატიზაცია და ტერიტორიული მთლიანობა 160
დემოკრატია, მოქალაქეობა და სახელმწიფო 161
§3. ახალი დემოკრატიების ინსტიტუტები 169
დემოკრატია თუ კონსტიტუციური ლიბერალიზმი 169
უნივერსალიზმი და პარტიკულარიზმი „ახალი დემოკრატიების“ პოლიტიკურ ინსტიტუტებში 173
ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი როგორც თანამედროვე წარმო-მადგენლობითი დემოკრატიის საფუძვლები 179

ბიბლიოგრაფია 188

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს პოლიტოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტებისათვის. მასში გადმოცემულია ის ძირითადი თეორიები და მიდგომები, რომლებიც შემუშავდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური მეცნიერების სფეროში წამყვან ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა მიერ.

დემოკრატიზაციის შესწავლას, როგორც მიმართულებას ბოლო წლების პოლიტოლოგიურ კვლევებში წამყვანი ადგილი უკავია. მეტიც, გარდამავალ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების შესწავლისას, წარმოჩინდება ბევრი ისეთი სიახლე, რომელიც ცვლის რიგ გავრცელებულ წარმოდგენებს და ბიძგს აძლევს ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების წარმოშობას.

რასაკვირველია, ავტორებს არა აქვთ პრეტენზია ამომწურავ მიმოხილვაზე, მით უმეტეს, რომ ასეთი ტიპის სალექციო მიმოხილვები იშვიათობას წარმოადგენს დღევანდელი ევროპული უმაღლესი სკოლის პრაქტიკაშიც კი.

როდესაც ჩვენ განვსაზღვრეთ სალექციო კურსის თემატიკა, ვხელმძღვანელობდით იმ მოსაზრებითაც, რომ დემოკრატიზაციის პროცესი, როგორც ფენომენი საქართველოს საზოგადოებისათვის უაღრესად აქტუალურია არა მხოლოდ აკადემიური, მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი წიგნი, საინტერესო იქნება არა მხოლოდ უმაღლესი სკოლის პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა შემსწავლელი სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის, ყველა მკითხველისათვის, ვინც დაინტერესებულია სინამდვილის ზედაპირული აღქმის ნაცვლად, უფრო სიღრმისეულად და არსობრივად გააანალიზოს დემოკრატიზაციის გზაზე მდგომ ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, მიმდინარე პროცესები.

ნაშრომი მომზადებულია საზოგადოების კვლევის ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფის მიერ გია ჟორჟოლიანის ხელმძღვანელობით, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" სოციალური მეცნიერებების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. ავტორები ულრმეს მადლობას მოახსენებენ ფონდსა და შესაბამისი პროგრამის წარმმართველ ჯგუფს, რომელთა თანადგომის გარეშე ნაშრომი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ასევე, ავსურს მადლობა გადავუხადოთ მოსკოვის სოციალური მეცნიერებებისა და ეკონომიკის

სკოლის პროფესორს ბორის კაპუსტინს თანამშრომლობისათვის და საინტერესო შენიშვნებისათვის. მადლობას ვუხდით აგრეთვე სახოგადოების კვლევის ცენტრის თანამშრომლებს - ანა ახვლედიანსა და გიორგი სანიკიძეს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ცენტრის მიერ წინა წლებში გაწეულ მუშაობაში წიგნში წარმოდგენილი თემების ირგვლივ.

I დემოკრატია და დემოკრატიზაცია

კონცეპტები და თეორიები

შესავალი

80-იანი წლების ბოლოს ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვა, ალბათ დემოკრატია იყო. ამავე დროს, დასავლურ აკადემიურ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში, თუმცა არა მედიასა და პოლიტიკური წრეების დისკურსში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპასა და სსრკ-ში 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესებს იკვლევდა, "დემოკრატიას" სიხშირით "დემოკრატიზაცია" ჭარბობდა. ეს, თითქოსდა, პირველი შეხედვით, უმნიშვნელო განსხვავება ტერმინოლოგიაში, სინამდვილეში ასახავდა ფუნდამენტურ, არსობრივ განსხვავებას შექმნილი რეალობის აღქმასა და მიმდინარე პროცესების გაგებაში.

კომუნისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეებში გავრცელებული მოსაზრება, რომ "თუ არა კომუნიზმი, ჩვენ ვიქნებით ისეთივე, როგორც დასავლეთი", მიხეილ გორბაჩევის მიერ დაწყებული "პერესტროიკის" შედეგად მოხდენილ "ხალერდოვან რევოლუციებს" ხდიდა გარდამტეხ ზღვრად, რომლის შემდეგ პირდაპირ და მაშინვე იწყებოდა დემოკრატია. "ცივი ომის" დასრულებით გასარეცხად, ტექნოლოგიურად და იდეოლოგიურად გამარჯვებული ევრო-ატლანტიკის პოლიტიკური წრეებიც "ისტორიის დასასრულსა" და ჰომო საპიენსის ლიბერალურ-დემოკრატიულ ადამიანად საბოლოოდ გარდაქმნას ზეიმობდნენ. აკადემიური მეცნიერების წარმომადგენელთა მოკრძალებულ ეჭვს, რომ დაწყებული პროცესები უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ დასაწყისია დემოკრატიზაციისა, რომელიც სულაც არ არის აუცილებელი დემოკრატიით დამთავრდეს, და მით უმეტეს დაუყოვნებლივ, დისონანსი ვერ შეჰქონდა აღფრთოვანებულ განწყობაში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თითქმის არავინ აქცევდა ყურადღებას.

მაგრამ, გავიდა წლები, რეალობა სულ უფრო და უფრო ფართო საზოგადოებისათვის ხდიდა საცნაურს, რომ დემოკრატიის დამკვიდრება მეექსკუალად შეუძლებელია, და სულ უფრო მეტად იპყრობდნენ ყურადღებას გამოკვლევები, რომელიც სწავლობს დემოკრატიზაციას, როგორც პროცესს და არა დემოკრატიას, როგორც სისტემას. დემოკრატიზაცია წამყვანი თემა ხდება პოლიტიკურ მეცნიერებებში საერთოდ და განსაკუთრებით შედარებით პოლიტიკურ კვლევებში.

ვიდრე უფრო ღრმად განვიხილავდეთ დემოკრატიზაციას, როგორც ფენომენს (მთელი სალექციო კურსიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება), მოკლედ ვიტყვით, რომ სიტყვა "დემოკრატიზაცია" აღნიშნავს პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც მიმართულია დემოკრატიისაკენ. თუ დემოკრატიას წარმოვიდგენთ, როგორც გარკვეული პროცესის შედეგს, პოლიტიკური გარდაქმნების ციკლის საბოლოო ფორმას, დემოკრატიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჭა, რომელიც ამ ფორმისკენ მიემართება. ყველა პროცესი, რომელიც დაწყებულია დემოკრატიის მიღწევის ლიზუნგით, არ წარმოადგენს დემოკრატიზაციას; ასევე, პროცესი, რომელიც პოლიტიკურ გარდაქმნებს მოითხოვს, შეიძლება თავიდანვე დემოკრატიას არ ისახავდეს მიზნად, მაგრამ საბოლოო შედეგად სწორედ ის მოიტანოს.

პოსტსაბჭოური გარდაქმნები თავიდანვე დემოკრატიის ლიზუნგით იქნა წამოიწყებული, მათ მიზნად, დანიშნულების ადგილად იმთავითვე დემოკრატია დაისახა. მაგრამ იმისათვის, რომ განსაზღვრულ იქნეს სწორი, ოპტიმალური ჭა მიზნის მიღწევისა, თავად მიზანი უნდა იყოს საკმაოდ მკაფიოდ წარმოდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა აღმოვჩნდეთ არა დანიშნულების ადგილას. ამდენად, დემოკრატიზაციის პროცესების შესწავლას ჩვენ თვით დემოკრატიის ცნებაში უფრო ღრმა ჩახედვით დავიწყებთ.

თავიდანვე, სანამ შევუდგებოდეთ ტერმინოლოგიაში გარკვევას და დემოკრატიის ცნების დაზუსტებას, უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს თუნდაც ორი აბსოლუტურად იდენტური დემოკრატია, მაგრამ მაინც შესაძლებელია იმ არსებითი ნიშან-თვისებების გამოყვეთა, რომელიც თანამედროვე დემოკრატიებს ახასიათებს.

§ 1. დემოკრატია

მიუხედავად სიტყვა დემოკრატიის უაღრესად ფართო და სხვადასხვა კონტექსტუალური მნიშვნელობით ხმარებისა, ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია თანამედროვე დემოკრატიის ძირითადი შინაარსის განსაზღვრა. დემოკრატიის მრავალი დეფინიცია არსებობს, და შემდგომშიც ამ კურსში მოყვანილი სხვადასხვა ავტორების მიდგომები ამ მხრივ მეტად განსხვავებული იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებების ამგვარი მრავალფეროვნება არ არის მეორეხარისხოვანი მოვლენა და ხშირად ბევრი გაუგებრობის მიზეზი ხდება. აქ ჩვენ რამდენიმე ყველაზე ცნობილ განმარტებას მოვიყვანთ, ხოლო შემდგომში ყოველთვის ვეცდებით ცხადი გავხადოთ თუ რომელ "დემოკრატიაზეა" ლაპარაკი ამა თუ იმ კონტექსტში.

რობერტ დალი დემოკრატიას "ყველასათვის ღია შეჯიბრს" უწოდებს. დემოკრატია როგორც იდეალი (რომლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მეტ-ნაკლები სისრულით) დალის მიხედვით აკმაყოფილებს,

როგორც მინიმუმ, შემდეგ ხუთ კრიტერიუმს: 1. ეფექტური მონაწილეობა; 2. თანასწორი კენჭისყრა; 3. ინფორმირებულობაზე დაფუძნებული გაგება; 4. დღის წესრიგის კონტროლი; 5. სახოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა.

რეალურად არსებული თანამედროვე დემოკრატია, რომელიც ამ იდეალთან მიახლოების მიზნებს ემსახურება, მისი გაგებით, სასიათდება შემდეგი პარამეტრებით:

- ორგანიზაციების შექმნის და მათში გაწევრიანების თავისუფლება;
- სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- უფლება იყო არჩეული სახოგადოებრივ და/ან სახელმწიფო თანამდებობაზე;
- პოლიტიკურ ლიდერთა უფლება იბრძოლონ სახოგადოებრივი მხარდაჭერისთვის და ამომრჩეველთა ხმებისთვის;
- ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების არსებობა;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება;
- სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყოს დამოკიდებული კენჭისყრის შედეგებზე ან სახოგადოებრივი მხარდაჭერის გამოხატვის სხვა ფორმებზე.

ესაა პოლიარქიული დემოკრატია. პოლიარქიული დემოკრატია განსხვავდება დემოკრატიული რეჟიმების ისტორიულად უფრო ადრინდელი ფორმებისგან. დღესდღეობით ის არსებობს დასავლეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. შეიძლება ითქვას, რომ პოლიარქია არის ტერმინი, რომელიც ძალზე სწორად იხმარება თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში დემოკრატიის თანამედროვე პოლიტიკური სისტემის აღსაწერად და დასასასიათებლად.

ეს განმარტება სასარგებლოა თავისი ლაკონურობის და კონკრეტულობის გამო, ის იძლევა მკაფიო კრიტერიუმებს რეჟიმის დემოკრატიულობის შესამოწმებლად. თუმცა დემოკრატიის შინაარსში უფრო ღრმად ჩასახედად სასარგებლო იქნება ვაცნობოთ კარლ პოპერის ათიოდე წლის წინ, მის ერთ-ერთ უკანასკნელ სტატიაში გამოქვეყნებულ მოსაზრებებს დემოკრატიის არსის თაობაზე, ალენ ტურენის შესედულებებს იმაზე, თუ რას ნიშნავს დემოკრატია დღეს, მისი დღევანდელი გაგებით და მინიმალური ანუ საარჩევნო დემოკრატიის ცნებას.

დემოკრატიის არსი პოპერის მიხედვით

დემოკრატია არ არის ისეთი ფენომენი, რაც, ერთხელ დამკვიდრებული, შემდგომში თავისით არსებობს და საკუთარ საფუძვლებს ასაზრდოებს. დემოკრატია ვერ იარსებებს მასზე და მის პრაქტიკებზე მუდმივი მსჯელობის გარეშე არა მარტო ახლადდემოკრატიზებად სახოგადოებებში, არამედ თვით დამ-

კვიდრებული ლიბერალური დემოკრატიის შუაგულშიც. ამას მოწმობს ის, რომ დემოკრატიის არსის გაგებრებას და მისი თეორიების განახლებას მუდმივად უბრუნდებიან დასავლეთის ყველაზე ღრმა თეორეტიკოსები და ფილოსოფოსები. კარლ პოპერი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც კვლავ უბრუნდება დემოკრატიის თემას და გვთავაზობს დემოკრატიის არსებობა-არარსებობის არაბრადიციულ, მეტად პრაგმატულ კრიტერიუმს.

დემოკრატიის კლასიკური თეორია, ამბობს პოპერი, მოკლედ რომ ვთქვათ, არის თეორია იმისა, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობაა და ხალხს აქვს უფლება მართოს. კამათი მმართველობის შესახებ ისტორიულად ეხებოდა პასუხს კითხვაზე: "ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს?" ამ კითხვაზე სხვადასხვა ისტორიულ კონტექსტში გაიცემოდა სხვადასხვა პასუხი - "საუკეთესონი" (პლატონი), "არმია აკანონებს მმართველს" (რომის იმპერია), "ღმერთი ლეგიტიმურ პიერთა, მონარქთა მეშვეობით" (შუა საუკუნეების ევროპა), "მართავს გაბატონებული კლასი" (მარქსი) და ა.შ.

სინამდვილეში კი, პოპერის მტკიცებით, საკითხის ასე დაყენება (ვინ უნდა მართავდეს), ანუ მმართველობის ლეგიტიმურობის წყაროს განსაზღვრის წინ წამოწევა, მავნე პრაქტიკაა. სრულიად ახალი პრობლემა უნდა იყოს აღიარებული რაციონალური პოლიტიკური თეორიის ფუნდამენტურ პრობლემად. ახალი პრობლემა, რომელმაც ძველის ადგილი უნდა დაიკავოს, შეიძლება ამდაგვარად იქნეს წარმოდგენილი: როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოში ხელისუფლების სისტემა, რომ შეიძლებოდეს ცუდი მმართველების მოშორება სისხლისღვრისა და ძალადობის გარეშე?

ძველი შეკითხვის საპირისპიროდ ეს არის მთლიანად პრაგმატული, თითქმის ტექნიკური პრობლემა. და თანამედროვე, ე.წ. დემოკრატიები პოპერს მისი პრაქტიკული მოგვარებისათვის კარგ მაგალითად ესახება, თუმცა ისინი თავის დროზე გაცნობიერებულად არ შექმნილა ამ პრობლემის გადასაჭრელად. მართლაც, მათ ყველას გააჩნია ის, რაც გულისხმობს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების უმარტივეს პრინციპს - ხელისუფლება შეიძლება გამოცვალონ უმრავლესობის ხმებით.

პოპერის ეს თეორია, თუმცა კი ხაზგასმით არ წარმოადგენს "ხალხის მმართველობის" თეორიას, და უფრო მეტად კანონის მმართველობას ნიშნავს, რომელიც განაპირობებს ხელისუფლების უსისხლო დათხოვნას უმრავლესობის ხმებით, არ ეჯახება დასავლური დემოკრატიების პრაქტიკას და ამდენად მას შეიძლება "დემოკრატიის" თეორია ეწოდოს.

უინსტონ ჩერჩილმა ერთხელაც ხუმრობით თქვა, რომ დემოკრატია არის მმართველობის ყველაზე უარესი ფორმა, თუ არ ჩავთვლით მმართველობის ყველა სხვა ცნობილ ფორმებს.

და ეს, პოპერის აზრით, გახლავთ არსი: ვისაც კი ოდესმე უცხოვრია მმართველობის სხვა ფორმის პირობებში - ვთქვათ, დიქტატურის ქვეშ, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს სისხლისღვრის გარეშე - ეცოდინება, რომ თუმც დემოკრატია არ არის სრულყოფილი ფორმა, ის ღირსია, რომ

იბრძოლო მისთვის, და, რომ თავიც შესწირო მას, როგორც ეს პოპერს სწამს.

პოპერის მთელი თეორია შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს - არსებობს მხოლოდ ორი ალტერნატივა, რომელსაც ვიცნობთ: ან დიქტატურა, ან დემოკრატიის რომელიმე ფორმა. და ჩვენ არ ვამყარებთ ჩვენს არჩევანს დემოკრატიის სიკეთეზე, რომელიც შეიძლება საეჭვო იყოს, არამედ - მხოლოდ და მხოლოდ დიქტატურის სიავნეზე, რაც აშკარაა. არა მარტო იმიტომ, რომ დიქტატორი იძულებულია ბოროტად გამოიყენოს თავისი ძალაუფლება, არამედ იმიტომაც, რომ დიქტატორი, თუნდაც კეთილმოსურნე, სხვას ყველას ართმევს პასუხისმგებლობას, მაშასადამე, მათ ადამიანურ უფლებებსა და მოვალეობებს. ეს საკმარისი საფუძველია, რათა უპირატესობა მიენიჭოს დემოკრატიას - კანონის მმართველობას, რომელიც არასასურველი მთავრობის თავიდან მოშორების შესაძლებლობას იძლევა.

ალენ ტურენი დემოკრატიის შესახებ

ალენ ტურენი, განიხილავს რა დემოკრატიას ფართო კონტექსტში, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ დემოკრატია არ არის აბსტრაქტული, უჰაერო სივრცეში კონსტრუირებული სისტემა, მას სახოგადოება ასაზრდოებს, თავისი ღირებულებებით, სოციალური ურთიერთობებითა და მისწრაფებებით.

თუ დემოკრატიის კონცეფციას უაღრესად მარტივად და შეჭღუდულად მივუდგებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დემოკრატია არის თავისუფალი არჩევა მმართველობისა მართულების მიერ, რაც გულისხმობს თავისუფალ არჩევნებს, პარტიათა და პროფკავშირთა არსებობის შესაძლებლობას, პროპაგანდისტულ კამპანიათა წარმართვას ასოციაციათა თავისუფლების წყალობით, შეკრებათა და სიტყვის თავისუფლებას.

არჩევანის პოლიტიკური თავისუფლების ველი ვერ იარსებებს, თუ არ იქნა აღიარებული სახოგადოებრივი სფეროს არსებობა. პიროვნული იზოლაცია, სახოგადოების ფრაგმენტაცია, კომუნიკაციის სისუსტე ცალკეულ სოციალურ კატეგორიებს შორის წარმოადგენს თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობებს დემოკრატიისათვის.

პოლიტიკური სახოგადოების არსებობის ეს მოთხოვნილება გულისხმობს, რომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან, ან უფრო მეტიც, უნდა იყოს სახელმწიფოზე ზევით - განსხვავება, რომლის აღიარებაც ჩვენ ხშირად გვიჭირს.

საკუთრივ დემოკრატიის სფერო ეს არის პოლიტიკური სისტემა. ერთი მხრივ, მასთან შეხებაშია კერძო სამყარო, ხოლო მეორე მხრივ - სახელმწიფო სამყარო. შეუძლებელია იყოს დემოკრატია, თუ სამოქალაქო მდგომარეობა, რომელსაც უკავია შუალედური პოზიცია, არ ზიდავს, ერთი მხრივ, კერძო ინტერესებსა და რწმენებს (შეხედულებებს), ხოლო მეორე მხრივ - სახელმ-

წიფოსადმი მიმართებას, მის აღიარებასა და მიღებას. არ შეიძლება იყოს დემოკრატია, თუ კერძო რწმენები, შეხედულებები, ინტერესები და სახელმწიფოებრივი ცნობიერება შეერწყმიან, შეკავშირდებიან უშუალოდ, ამოაგდებენ რა სამოქალაქო მდგომარეობის შუალედურ პოზიციას.

დემოკრატია წარმოადგენს მუდმივ ძალისხმევას, მცდელობას სამოქალაქო მდგომარეობის სფეროს შექმნისა და იმის უზრუნველყოფისა, რომ კერძო რწმენებმა, შეხედულებებმა, ინტერესებმა და ჯგუფურმა კუთვნილებამ შეძლონ შეერთება და შერწყმა ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს პირობებში. დემოკრატია სუსტია, როდესაც მისი უნარი შუამავლობისა არაადექვატურია დაროდესაც ძალები, რომელთა შორისაც ის შუამავლის როლს თამაშობს, სუსტია ან ჩაკეტილია საკუთარ თავში. ისინი ვინც მხარს უჭერენ, იხიარებენ წმინდა ინსტიტუციონალურ შეხედულებას დემოკრატიაზე, სერიოზულ შეცდომას უშვებენ. ისინი არ სვამენ კითხვას, როგორი ძალები იქნება მობილიზებული და როგორი მსხვერპლი იქნება მისაღები დემოკრატიის დაცვისათვის. „მხოლოდ გონება არ არის საკმარისი გონების დასაცავად" (მაქს ხორკჰაიმერი - გერმანელი ებრაელი ფილოსოფოსი II მსოფლიო ომის ბოლოს). თავისუფლებათა დაცვა და ხელის შეშლა ანტიდემოკრატიულად განწყობილი ადამიანებისა და ჯგუფებისათვის ძალაუფლების მოპოვებაში არასაკმარისია დემოკრატიის დაცვისათვის. მან (დემოკრატიამ) შეიძლება გაძლოს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაფუძნებულია დარწმუნებულობაზე, რწმენაზე პოლიტიკური თავისუფლებისა და იმაზე, რასაც მონტესიეემ პირველმა უწოდა ზნეობა.

იმისთვის, რომ გამოვყოთ, გამოვააშკარაოთ ეს წყურვილი დემოკრატიისა, ჩვენ კონკრეტულად უნდა მივიდეთ პოლიტიკური ცხოვრებისა და მასში პიროვნული მონაწილეობის რეალურ გამოცდილებასთან. აქამდე ჩვენ მიმართული გვქონდა ჩვენი მზერა ზევით და ვხედავდით, რომ დემოკრატია გულისხმობს პოლიტიკურ საზოგადოებას და, ამდენად, საზოგადოების დამოუკიდებლობას სახელმწიფოსთან მიმართებაში; ე.ი. დამოუკიდებლობას პრობლემებისა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან საზოგადოების მართვასთან, მისი (საზოგადოების) განვითარებისა და მოდერნიზაციის პრობლემათაგან (რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოსთან). საჭიროა, რომ ახლა მზერა მიიმართოს ქვევით - სოციალურ ჯგუფებსა და კერძო შეხედულება-რწმენებზე, ინტერესებზე, რათა დემოკრატიის საერთო, საზოგადოებრივი პირობების მიღმა, წარმოვაჩინოთ მისი საფუძვლები პიროვნებასა და კულტურაში.

დემოკრატია უნდა იყოს წარმომადგენლობითი, ანუ პოლიტიკური წარმომადგენლები უნდა შეესაბამებოდნენ ინდივიდებს საზოგადოებაში საერთოდ, ან უკიდურეს შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხარისხით, იმდენად, რომ ამ ადამიანებს შეეძლოთ გააიგივონ თავი პოლიტიკურ ხელისუფლებასთან.

შეიძლება თუ არა საერთოდ ფიქრიც კი დემოკრატიაზე, თუ არ არსებობს დარწმუნებულობა აუცილებლობაში გაბატონებული უმრავლესობისგან

უმცირესობის, „დიდ მოღვაწეთაგან“ „პატარა ადამიანთა“, კაპიტალისტი ბოსებისაგან მუშათა კლასის დაცვისა? როგორი ფორმულაც არ უნდა იქნას გამოყენებული, ყველა შემთხვევაში დგას პრობლემა გაბატონებულ სოციალურ ურთიერთობათა გადასინჯვისა, მათდამი შეწინააღმდეგებისა და სწორედ ეს ბრძოლა ბატონობისა და გაბატონებულის წინააღმდეგ აძლევს დემოკრატიას მობილიზაციის იმ ძალას, რომლის უხრუნველსაყოფად არასაკმარისია მხოლოდ თავისუფალ ინსტიტუტთა არსებობა. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ხალხი ან ქვეყანა თავს იცავს შემოჭრილი ან ოკუპანტი უცხო სახელმწიფოსაგან, მაშინ ეს ბრძოლა შეიძლება ასოცირებული იყოს დემოკრატიის დაცვისთვის ბრძოლასთან, მაგრამ ეს ორი რამ (ბრძოლები) ერთმანეთში არ უნდა აეურიოთ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ გვეელინება თავისთავად არც ხელშემწყობად და არც საწინააღმდეგოდ დემოკრატიასთან მიმართებაში. ჩვენ დროში, თანამედროვე პერიოდში უკვე აღარ შეიძლება იქნეს აღიარებული, რომ დემოკრატია წარმოადგენს საყოველთაო ნების გამოხატულებას. მეტიც, ჩვენ ვშიშობთ კიდეც, რომ მოწოდებამ ერთსულოვნებისაკენ შეიძლება მიგვიყვანოს უმცირესობათა განდევნამდე ან უგულებელყოფამდე და უკონტროლო და შეუჭხლუდავი აბსოლუტური ძალაუფლების დამყარებამდე.

ამავე დროს, რაც უფრო მეტად განსხვავებულნი და სპეციალიზირებულნი ხდებიან ინტერესთა ჯგუფები, მით ნაკლებად აქვთ უნარი დაკავებული იყვნეს საზოგადოების საერთო პრობლემებით და მით უფრო სუსტდება დემოკრატია. ასეთი ჯგუფების მოქმედება გვაგონებს ბაზარზე ეკონომიკურ ჯგუფთა მოქმედებას, დემოკრატია კი არ არის პოლიტიკური ბაზარი.

ჩვენ უნდა წავიდეთ უფრო ღრმად, გავიჯდეთ წარმოდგენას, რომ დემოკრატია ინდივიდუალური ინტერესებისა და საერთო ინტერესის შეერთებაა. ასეთი შეერთება შეუძლებელია, თუ არ არსებობს დარწმუნებულობა, რომ ადამიანები თანასწორნი არიან, მიუხედავად განსხვავებისა ტალანტსა (ნიჭსა) და ბედში. ისტორიულად ამ პრინციპმა მიიღო ორი ფორმა. ზოგისთვის ეს საფუძველი იყო რელიგიური, სხვებისთვის - რესპუბლიკური. საფრანგეთმა მისცა ამ მეორე პოლიტიკურ ფილოსოფიას (რესპუბლიკანიზმს) მისი მთავარი გამოხატულება. საფრანგეთის რევოლუციამ შეცვალა არისტოკრატები მოქალაქეებით, საიდანაც ვამომდინარეობდა პროგრესული საშემოსავლო გადასახადის, მემკვიდრეობაზე გადასასადის და შემოსავლებში განსხვავების შემცირების ზომების როლის მნიშვნელობა. მაგრამ ეს ზრუნვა თანასწორობაზე შეიძლება მიემართებოდეს ავტორიტარული ცენტრალიზებული ძალაუფლების გაძლიერებისკენაც.

თავისუფლება და დემოკრატია ადრიდანვე ოვიჯდებოდა სოციალური ბარიერების რღვევასთან და საზოგადოებისა და ერის ინტეგრაციასთან. რესპუბლიკა განისაზღვრებოდა, როგორც ერთადერთი და განუყოფელი განსხვავებით ძველი რეჟიმებისაგან, რომელიც დაყოფილი იყო ფეხვებად ჩვეულებების, პრივილეგიებისა და სპეციფიკური ადგილობრივი სამართლის შეხ-

არჩუნებით. აქედან გამომდინარე, ჩანდა ისე, რომ დემოკრატია მთლიანად ასოცირებულია რაციონალობასთან. მაგრამ ეს პერიოდი დიდი ხანია გავიდა: ჩვენ დიდხანს ვცდილობდით გავთავისუფლებულიყავით გაჭირვებისგან და ტრადიციებგან პროგრესის უნივერსალისტური იდეის მიღების საშუალებით; საზოგადოდ, მაგრამ სამყაროს დიდი უმრავლესობა სულ უფრო მეტად იხრება დემოკრატიის ისეთი დეფინიციისაკენ, რომელიც ეფუძნება პიროვნულ და არა საზოგადო, საერთო მოსაზრებებს, ინტერესებსა და ლოგიკას.

არ შეესაბამება ჭეშმარიტებას ის, რომ მსოფლიო ბუნებრივად მიდის დემოკრატიისაკენ. ვინ შეიძლება იყოს დარწმუნებული, რომ დემოკრატია იგივეობრივია რაციონალურობისა და თანამედროვეობისა, როდესაც 20-იანი წლების გერმანია, შესანიშნავი ნიმუში თანამედროვე ქვეყნისა, გახდა ნაცისტური და როდესაც მრავალი რეჟიმი ლათინურ ამერიკაში, რომელთაც უწოდებდნენ „განვითარებადს", შეიცვალა ავტორიტარული ძალაუფლებით?

რადგან ნებისმიერი ამ ზემოთმოტანილ დეფინიციათაგან, შორს არის იმისგან რომ იყოს სრულყოფილი, დემოკრატია უნდა განისაზღვროს უფრო რთულად და რეალისტურად - თავისუფალი არჩევანი მმართველობისა, რომელიც წარმოადგენს უმრავლესობის ინტერესებს და პატივს სცემს ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას იცხოვროს თავისი რწმენის, შეხედულებათა და ინტერესთა შესაბამისად.

მინიმალური, ლიბერალური და კონსოლიდირებული დემოკრატია

ალენ ტურენთან დასმული პრობლემა - ის, რომ დემოკრატია აღემატება თავის მინიმალისტურ განმარტებას - უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიული კვლევებისა და დებატების საგანი გახდა დემოკრატიზაციის პროცესების შესწავლისას.

ზოგჯერ თვლიან, რომ დემოკრატიის მინიმალური სტანდარტების მიღწევა (თავისუფალი არჩევნების ჩატარება) იგივეა, რაც თავისუფლების და პიროვნების უფლებების დამკვიდრება. სინამდვილეში ეს ასე არ არის. პიროვნული თავისუფლება უკავშირდება ლიბერალური ღირებულებების აღიარებას - ინდივიდუალიზმს და კანონის უზენაესობას, რაც მხოლოდ ლიბერალურ დემოკრატიებში გვხვდება.

რა სახელიც არ უნდა დავარქვათ - ლიბერალური დემოკრატიები, ანუ კაპიტალისტური დემოკრატიები, ან დასავლური ტიპის დემოკრატიები, პოლიარქიები, თანამედროვე განვითარებული დემოკრატიები - ერთი რამ კი ცხადია, რომ მათ რიცხვში შედის აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და კიდევ მინიმუმ 30 ქვეყანა.

ლიბერალური დემოკრატია, რომელიც ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა, წარმოადგენს დემოკრატიის თანამედროვე ფორმას. და მიუსედავად იმისა, რომ

დემოკრატია (არალიბერალური სახით) ჯერ კიდევ ბერძნებთან არსებობდა, ახალ ისტორიაში ლიბერალიზმი დემოკრატიაზე ორი საუკუნით ადრე წარმოიშვა.

ლიბერალიზმი არის იდეათა რთული სისტემა, რომელიც საზოგადოების საწყისად ინდივიდს ისახავს. საზოგადოება „შედგება" ინდივიდებისაგან და თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა მისი წევრებისა და მათ შორის ურთიერთობების ერთობლიობა. ეს შეხედულება, რომელსაც ზოგჯერ ინდივიდუალიზმს უწოდებენ, აყალიბებს ლიბერალურ შეხედულებებს პოლიტიკურ, საკანონმდებლო, მორალურ, ეკონომიკურ, მეთოდოლოგიურ და სხვა საკითხებზე.

დემოკრატია, რომელიც არ არის დაფუძნებული ლიბერალურ ღირებულებებზე, იოლად შეიძლება გარდაიქმნას უმრავლესობის ბატონობად უმცირესობაზე და თავისუფლებისთვის არანაკლებ საშიში გახდეს, ვიდრე დესპოტიზმი. დასავლური ჰუმანური ცხოვრება საუკუნეების განმავლობაში მიმართული იყო „უმრავლესობის ტირანიის" საშიშროების შესწავლაზე.

გარდა ლიბერალური დემოკრატიისა დღეს მსოფლიოში დემოკრატიის სხვა ფორმებიც არსებობს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონკრეტუალური სიმკაფიოვე არც "ლიბერალურ დემოკრატიას" და არც დემოკრატიის სხვა ფორმებს არ ახასიათებთ. დევიდ კოლიერი და სტივენ ლევიკის გამოკვლევა დემოკრატიის 550 "ქვესახეობას" ითვლის. ცხადია, რომ "დემოკრატიის" საერთო სახელწოდების ქვეშ მეტად განსხვავებული რეჟიმების გაერთიანება უკავშირდება უაღრესად მნიშვნელოვანი სხვაობების იგნორირებას. დემოკრატიზაციის პროცესების კვლევებს, რაც შედარებითი მეთოდის გამოყენებას გულისხმობს, ცხადია, უფრო დიფერენცირებული მიდგომა სჭირდება. აქ ჩვენ განვიხილავთ ბოლო წლების ტრანზიტოლოგიურ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად ხმარებულ ტერმინებს - ლიბერალური დემოკრატია, კონსოლიდირებული დემოკრატია და მინიმალური, ანუ საარჩევნო დემოკრატია, როგორც მათ ლარი დაიმონდი განსაზღვრავს.

დემოკრატიის მინიმალისტური განმარტება მომდინარეობს ჯოზეფ შუმპეტერისგან, რომელიც დემოკრატიას განსაზღვრავს როგორც სისტემას, რომელშიაც "ინდივიდებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ხმებისთვის კონკურენტული ბრძოლის გზით" (შუმპეტერი 1947, გვ. 269). შემდგომში სემუელ ჰანტინგტონმა ახალი სული შთაბერა ამ განმარტებას, გამოიყენა რა იგი დემოკრატიზაციის ტალღების აღსაწერად. რობერტ დალის მიერ შემოტანილი პოლიარქიის ცნებაც ამ განმარტების გაერკვობას წარმოადგენს; მასში გათვალისწინებულია არა მარტო ფართო პოლიტიკური კონკურენცია და მონაწილეობა პოლიტიკაში, არამედ თავისუფლებათა (სიტყვის, პრესის, სხვ.) მაღალი ხარისხი და პლურალიზმი.

თანამედროვე მინიმალური დემოკრატია, რომელსაც არგენთვე საარჩევნო დემოკრატიას უწოდებენ, რათა განასხვაონ იგი ლიბერალური დემოკ-

რატიისგან, პოლიტიკური მოწყობის ფორმაა, რომელიც არსებობს იქ, სადაც ტარდება არჩევნები და დაცულია ძირითადი სამოქალაქო უფლებები - როგორიცაა სიტყვის და ბჭრის თავისუფლება - იმისთვის, რომ ბჭრს მოკლებული არ იყოს არჩევნების დროს კონკურენცია და არჩევნებში მონაწილეობა. ამგვარ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ სრულდება დემოკრატიის არსებობის მინიმალური მოთხოვნები, ადამიანთა უფლებების ყოველდღიურ განსორციელებას ჩვეულებრივ რეალური ყურადღება არ ექცევა. მინიმალური დემოკრატიის არსებობა და სტაბილურობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მეტყველებს იმაზე, რომ ბევრი უშვებს შეცდომას, როდესაც გადამეტებულ ყურადღებას უთმობს არჩევნებს, როგორც დემოკრატიის არსებობის მთავარ კრიტერიუმს ("მცდარი ელექტორალიზმი" ტერი კარლის ტერმინოლოგიით) იმის მხედველობაში მიღების გარეშე, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ეს არჩევნები, თუნდაც მრავალპარტიული და სამართლიანი, სახოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის მიერ საკუთარი ინტერესების და უფლებების განხორციელებას. საარჩევნო დემოკრატიის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლიბერალური დემოკრატიის არსებობას და ამგვარი ქვეყნები სულაც არ არიან გარანტირებულნი, რომ სამუდამოდ შეინარჩუნებენ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, ვინაიდან ამ რეჟიმისათვის არსებული სახოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ასპექტი საყრდენის როლს ვერ შეასრულებს.

ისეთი ქვეყნები, როგორებიც-ია, მაგალითად, თურქეთი, რუსეთი, შრილანკა, კოლუმბია და სხვები დღესდღეობით წარმოადგენენ საარჩევნო დემოკრატიებს. მაგრამ ლიბერალური დემოკრატიის მახასიათებელ უფრო მკაცრ მოთხოვნებს ისინი ვერ აკმაყოფილებენ. ყველა ამ ქვეყანაში ადამიანთა პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები მნიშვნელოვნადაა შეზღუდული, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მაღალი კონკურენცია პარტიებს შორის და ტარდება თავისუფალი არჩევნები.

ლიბერალური დემოკრატია მინიმალურისგან განსხვავდება იმითაც, რომ რეგულარული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების და საყოველთაო ხმის უფლების გარდა მას სხვა მახასიათებლებიც გააჩნია. მასში არ უნდა არსებობდეს ძალაუფლების "დაცული" ზონები სამხედროებისთვის ან სხვა პოლიტიკური და სახოგადოებრივი ძალებისთვის, რომლებიც არ იქნება ანგარიშვალდებული ელექტორატის წინაშე. გარდა მმართველთა "ვერტიკალური" პასუხისმგებლობისა მართულთა წინაშე (რაც მიიღწევა არჩევნების ბჭით) უნდა არსებობდეს "ჰორიზონტალური" ანგარიშვალდებულება სახელმწიფო მოღვაწეთა ერთიმეორის წინაშე. ის ასევე მოიცავს ფართო პოლიტიკურ და სამოქალაქო პლურალიზმს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც პიროვნულ, ასევე ჯგუფურ თავისუფლებას.

ხაზგასასმელია ის, რომ თავისთავად არჩევნების ჩატარების არსებობის პროცედურა არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური რეჟიმი წარმოადგენს საარჩევნო დემოკრატიას. ასე მაგალითად, ბერბაიჯანში რეგულარულად ტარდება არჩევნები, მაგრამ მიუხედავად ამისა იქ არსებული სისტემა კლასიფი-

ცირდება როგორც არადემოკრატიული. ანუ არჩევნების ჩატარება თავისთავად არ ნიშნავს კონკურენტული პოლიტიკური გარემოს არსებობას, რომელშიაც პარტიების მონაცვლეობა ხელისუფლებაში ხორციელდება მშვიდობიანი, არაძალადობრივი, დემოკრატიული ფხით. ის, თუ როგორ ტარდება არჩევნები და რა თავისუფლებებითაა უზრუნველყოფილი მათი სამართლიანი ჩატარება, სულაც არაა მეორესარისხოვანი საკითხი საარჩევნო დემოკრატიის არსებობა-არარსებობისთვის.

რეჟიმი, რომც იყოს დემოკრატიული, საჭიროებს დაცვას და განმტკიცებას, სხვა შემთხვევაში მან შეიძლება ეროზია განიცადოს.დემოკრატიული რეჟიმი სიმტკიცეს შეიძენს იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ახალი პოლიტიკური კულტურა - მთელი საზოგადოება განიხილავს დემოკრატიას არა საშუალებად, არამედ საკუთარი ცხოვრების წესად, მათ სჯერათ, რომ დემოკრატიაზე უკეთესს ისინი ქვეყნისთვის ვერაფერს მოიფიქრებენ. ქვეყნის კონსტიტუცია უნდა გასდეს არა აბსტრაქცია, არამედ ყოველდღიური ქცევის საყოველთაოდ აღიარებული საფუძველი, ამგვარ საზოგადოებაში არ უნდა არსებობდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ექნებათ არადემოკრატიული ფხებით ძალაუფლების მოპოვების შანსი - საზოგადოებამ ეს თავად არ უნდა დაუშვას. ამგვარი დემოკრატია იქცევა კონსოლიდირებულ, დამკვიდრებულ დემოკრატიად - საზოგადოებად, რომელსაც ავტორიტარული და დიქტატორული მმართველობა არ ემუქრება, თუ არ მოხდა მკვეთრი, რადიკალური ცვლილება თვით მის გარემოში. ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ კონსოლიდირებული დემოკრატია უკვე სრულფასოვანი, ლიბერალური დემოკრატიაა, მისი მაგალითი დღეს არის ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი და სხვა.

კონსოლიდირებულ დემოკრატიად გადასაქცევად, საარჩევნო დემოკრატიამ მეტი სიღრმე და ლიბერალობა უნდა შეიძინოს. დემოკრატიის კონსოლიდირებას ხელს უწყობს მთელი რიგი ცვლილებები პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში და მენტალიტეტში. დემოკრატიის კონსოლიდირება უფრო ადვილია ისეთ საზოგადოებებში, სადაც არ არსებობს მნიშვნელოვანი სუბკულტურული დაყოფა - მაგალითად, ეთნიკური, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა. ცნობილია, რომ უკიდურესად ღარიბ ქვეყნებს უჭირთ დემოკრატიის შენარჩუნება, ხოლო განათლების მაღალი დონე და ცხოვრების ცივილიზებული სტანდარტი დემოკრატიისთვის ხელსაყრელია.

ითვლება, რომ დემოკრატიის კონსოლიდირებას წინ უსწრებს გარკვეული ხელსაყრელი ფაქტორების - კონსოლიდაციის პრერეკვიზიტების, წინაპირობების შექმნა. ასეთებადაა მიჩნეული, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოება, კონკურენტული და ეფექტიანი ეკონომიკა, კანონის მმართველობა და სხვ. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ, მაგალითად, ინდოეთს პრაქტიკულად არ გააჩნია არც ერთი ამგვარი მახასიათებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ქვეყანა წლების განმავლობაში წარმატებით ინარჩუნებს დემოკრატიულ რეჟიმს და მოსალოდნელია, რომ მომავალშიც შეინარჩუნებს.

ამგვარად, ისტორიულ აუცილებლობაზე აპელირება და მეცნიერული კრიტერიუმების გამოცნობა, რომლებიც უტყუარად დაასაბუთებენ ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიის კონსოლიდირების შესაძლებლობას საკმაოდ არასანდო დასკვნების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. თუმცა გარკვეული სტატისტიკური კანონზომიერებები (კორელაციები) არსებობს, და ისინი გარკვეულ ორიენტირებს იძლევიან.

საკონტროლო კითხვები

1. რა პარამეტრებით ახასიათებს რობერტ დალი იდეალურ დემოკრატიას? პოლიარქიას?
2. როგორ დააყენა კარლ პოპერმა დემოკრატიის პოლიტიკური თეორიის პრობლემა?
3. როგორია ლიბერალიზმის და დემოკრატიის ურთიერთმიმართება?
4. დაახასიათეთ საარჩევნო, ანუ მინიმალური დემოკრატია.
5. რა განაპირობებს დემოკრატიული რეჟიმის სიმტკიცეს?
6. რაში მდგომარეობს დემოკრატიის კომსოლიდირება?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

დემოკრატია
ავტორიტარიზმი
პოლიარქია
დიქტატურა
წარმომადგენლობითი დემოკრატია
მინიმალური დემოკრატია
ლიბერალური დემოკრატია
კონსოლიდირებული დემოკრატია
კონსოლიდაციის პრერეკვიზიტები

ბიბლიოგრაფია

1. კარლ პოპერი. კიდევ ერთხელ ღია საზოგადოებისა და მისი მტრების შესახებ. - ჟურნალი "ეპოქა", N 4, 1998.
2. М.В.Ильин, А.Ю.Мельвиль, Ю.Е.Федоров. Демократия и демократизация (раздел учебного пособия). - "Полис", 5, 1996.
3. Б.Г.Капустин. Три рассуждения о либерализме и либерализмах. - "Полис", N 3, 1994.
4. Х.Х.Линц. Крушение демократических режимов. Крушение, разрушение и восстановление равновесия. - Проблемы Восточной Европы, 39-40, Вашингтон, 1993.

5. А. Турен. Что означает демократия сегодня? - Антология мировой политической мысли, т.2, Зарубежная политическая мысль XX в. Москва, Мысль, 1997.

6. И. Шапиро. Введение в типологию либерализма. - "Полис", 3, 1994.

7. A. H. Birch. *The Concepts and Theories of Modern Democracy.* Routledge, 1993.

8. R. A. Dahl. *Polyarchy: Participation and Opposition.* New Haven: Yale University Press 1971.

9. R. A. Dahl. *On Democracy.* Yale University Press, 1998.

10. L. Diamond. *Is the Third Wave Over?.* Journal of Democracy, v.7, N.3, 1996.

11. ed. H. Handelman, M. Tessler. *Democracy and its Limits. Lessons from Asia, Latin America, and the Middle East.* University of Notre Dame Press, 1999.

12. G. O'Donnell. *Illusions about Concolidation.* Journal of Democracy, v. 7, N.2, 1996.

§ 2. დემოკრატიზაციის ტალღები

სრულიად დემოკრატიული რეჟიმები, რომლებშიაც თავისუფლად ირჩევა მოსახლეობის წინაშე სრულიად ანგარიშვალდებული მთავრობა და წარმომადგენლობითი ინსტიტუტები, და ამასთან მთავრობის ძალაუფლება შეზღუდულია კანონის უზენაესობით, ყოველთვის მსოფლიო რეჟიმების უმცირესობას შეადგენდა. დღეს ამასთან დაკავშირებით ბევრი გაუგებრობა ჩნდება დემოკრატიის განმარტების ბუნდოვანობის გამო. როგორც ზემოთ უკვე ვასხენეთ, ზოგჯერ თავისუფალი არჩევნების ჩატარება გაიგივებულია დემოკრატიასთან, ხშირად სჯერათ, რომ თუ ტარდება თავისუფალი არჩევნები, რეჟიმი უკვე კონსტიტუციური და სამართლებრივია, მას გააჩნია სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ინსტიტუტები. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს ხშირად სიმართლეს არ შეესაბამება.

XVIII, XIX და XX საუკუნეების რევოლუციები მიმართული იყო ძველი რეჟიმების ლიკვიდაციისაკენ, მაგრამ ჩვენ დროში, დღეს ის უმცირესობები ან უმრავლესობები, რომელნიც მიიჩნევენ თავს ჩაგრულებად (ან ნაღალატევად) ახალი რეჟიმებისგან, იწყებენ მოძრაობას დემოკრატიის არარევოლუციური კონცეფციის სახელით. ეს განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა აღმოსავლეთ ევროპაში „ხავერდოვანი რევოლუციებისას". ამდენად, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ ეს სრული ცვლილება ისტორიული ვითარებისა, გარემოებისა, რომელიც ძევს დემოკრატიის შესახებ ჩვენი თანამედროვე განსჯის საფუძველში.

მსოფლიოში დემოკრატიების რაოდენობის ზრდა სტაბილური არასდროს ყოფილა, მას აქვს წარმატებისა და უკანდახევის პერიოდები.

კომუნისტური სამყარო არ არის ერთადერთი, რომელშიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური რეჟიმი შეიცვალა. 1974 წლიდან, პორტუგალიის დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ, იწყება პერიოდი, რომელსაც სამუელ ჰანტინგტონმა „დემოკრატიის მესამე ტალღა" უწოდა. სანამ დაიწყებოდა დემოკრატიაზე გადასვლის ეს გლობალური სწრაფვა, სამყარო სულ რაღაც 40-მდე ისეთ ქვეყანას ითვლიდა, რომლებისთვისაც შეიძლებოდა მეტნაკლებად დემოკრატიული ვევწოდებინა. ესრიცხვი გარკვეულად გაიზარდა 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში იმ ქვეყნების ხარჯზე, რომლებშიც მანამდე ავტორიტარული (მეტწილად სამხედრო) რეჟიმები არსებობდა. 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება დემოკრატიის ნახტომისებური გავრცელების ხანა და დღეისთვის არსებობს 76-დან 117 დემოკრატიული ქვეყანა (ეს ცვალებადობა დამოკიდებულია კრიტერიუმთა სიმრავლეზე).

ჰანტინგტონის კლასიფიკაციით, მესამე ტალღამდე არსებობდა დემოკრატიზაციის კიდევ ორ პერიოდი: გრძელი, ნელი პერიოდი 1828-1926 და შემდგომ 1943-1964. თითოეულ მათგანს, მისი თქმით, მოჰყვა დემოკრატიული რეჟიმების მსხვრევის „უკუტალღა“ (1922-დან 1942-მდე და 1961-დან 1975-მდე), რომლის დროსაც ზოგიერთი ახლადშექმნილი (ან აღდგენილი) დემოკრატია დაემხო. თითოეულმა უკუტალღამ მნიშვნელოვნად შეამცირა მსოფლიოში დემოკრატიული რეჟიმების რიცხვი, მაგრამ საერთო ჯამში დემოკრატიზაციის თითოეული ტალღის პროცესში ახლადშექმნილი დემოკრატიების რაოდენობა აჭარბებდა მომდევნო პერიოდში მსხვრევათა რიცხვს. უკუტალღა დემოკრატიზაციის მესამე ტალღის მონაპოვარსაც ემუქრება (ან უკვე იმსხვერპლა ზოგიერთი ახლადშექმნილი რეჟიმები).

დემოკრატიზაციის პირველი ტალღა იყო ნელი და გრძელი, მას არ მოუცია დიდი რაოდენობის ქვეყნები. ის დაიწყო მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ამერიკული და ფრანგული რევოლუციებით. 1792 წელს პირველად საფრანგეთში მოიპოვა ყველა მამაკაცმა ხმის უფლება. მაგრამ შემდგომში საფრანგეთი მერყეობდა დემოკრატიულ და არადემოკრატიულ რეჟიმებს შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვაუაქმეს მონობა მხოლოდ სამოქალაქო ომის დროს 1863 წელს, და 1960-იან წლებამდე არ შემნილა შავკანიანი მოქალაქის არჩევნებში მონაწილეობის რეალური პირობები. პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებს არადემოკრატიული ქვეყნები წარმოადგენდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიწები განაწილებული იყო ავსტრო-უნგრეთის, გერმანიის, რუსეთისა და ოტომანთა იმპერიებს შორის. ათ-თხუთმეტ ქვეყანას მთელ მსოფლიოში თუ დაერქმეოდა დემოკრატიის სახელი, რომელთა დიდ ნაწილს წარმოადგენდა ყოფილი ბრიტანული კოლონიები, ისეთები, როგორებიც-კა ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალი სახელმწიფოების შექმნამ შეამცირა არადემოკრატიული იმპერიების რაოდენობა, მაგრამ დემოკრატიული ქვეყნების რიცხვის ზრდას დიდად ხელი არ შეუწყო. თუ დემოკრატიას განვსაზღვრავთ როგორც რეჟიმს, რომელშიაც ზრდასრულ მამაკაცთა უდიდეს ნაწილს აქვს ხმის უფლება და მთავრობა სახალხოდაა არჩეული, 1922 წლისთვის 21ამგვარი რეჟიმი იყო, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. მაგრამ პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის „ულტიმატუმი“ რწმენა, რომ ომის შედეგად დემოკრატიებს მსოფლიოში უსაფრთხო გარემო შეექმსათ, მალე გაქარწყლდა. იტალიაში დამყარდა ბენიტო მუსოლინის ფაშისტური რეჟიმი, ბალტიისპირეთიდან ბალკანეთამდე ძალაუფლება აიღეს სამხედრო და სამოქალაქო დიქტატორებმა, რუსეთში სტალინის ხელისუფლება ტოტალიტარიზმის ფხით კომუნიზმის მიღწევას უმიზნებდა. ასევე ტოტალიტარული, ნაცისტური რეჟიმი დაამყარა გერმანიაში ადოლფ ჰიტლერმა. მეორე მსოფლიო ომისთვის დემოკრატიულ ქვეყანათა რაოდენობა შემცირდა ათეულამდე, და დემოკრატია გახდა მმართველობის არატიპიური ფორმა.

დემოკრატიზაციის მეორე ტალღა დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1962 წლისთვის დამოუკიდებელი ქვეყნების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა ყოფილი კოლონიების ხარჯზე. ზოგიერთმა ყოფილმა კოლონიამ (მაგ. ინდოეთმა) შემოიღო თავისუფალი არჩევნები, უმეტესობამ კი ამა თუ იმ სახის არადემოკრატიული რეჟიმი მიიღო. საარჩევნო დემოკრატიების რაოდენობამ ოცდათექვსმეტს მიაღწია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დემოკრატიაზე აიღეს გეზი, ხოლო აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ქვეყნები საბჭოური გავლენის ქვეშ მოექცნენ. და თუმცა აბსოლუტურ ციფრებში დემოკრატიათა რაოდენობა გაიზარდა, ფარდობითად თუ შევხედავთ, დამოუკიდებელ ქვეყანათა მხოლოდ 32% ატარებდა თავისუფალ არჩევნს.

დემოკრატიზაციის მეორე ტალღას მოყვა უკუსვლა ლათინურ ამერიკაში და აზიაში სამხედრო რეჟიმების მომრავლებასთან ერთად. 1973 წლისთვის მხოლოდ ყოველ მეოთხე ქვეყანას მსოფლიოში ჰქონდა თავისუფალი არჩევნების ჩატარების პრეტენზია.

მესამე ტალღა 1974 წელს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან დაიწყო. პორტუგალიისა და საბერძნეთის ავტორიტარული რეჟიმების დამხობას მოჰყვა გენერალ ფრანკოს სიკვდილი ესპანეთში და ამ ქვეყანაშიც დემოკრატიზაციის დაწყება. ეს ტალღა ქვეყნების სულ უფრო მეტ რაოდენობას აღწევდა, და 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ მასში ხარისხობრივად ახალი, გარდამტეხი ეტაპი აღნიშნა. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მსხვრევას მოჰყვა ცხრამეტი ახალი ქვეყნის შექმნა. 1995 წლისთვის ახალ დემოკრატიათა რაოდენობამ 117-ს მიაღწია. მსოფლიო ისტორიაში პირველად ქვეყანათა უმრავლესობა შეიძლება აღიწეროს როგორც ნახევრად თავისუფალი მაინც, ვინაიდან იქ ტარდება თავისუფალი არჩევნები.

ტალღური მოძრაობის მეტაფორა, როგორც ითქვა, გულისხმობს გარკვეულ უკუტალღებს და "დე-დემოკრატიზაციას," რომელიც უნდა მოჰყვეს დემოკრატიზაციის პიკს. მართლაც, ამ უკუტალღის ნიშნების შემჩნევა შეიძლება. არჩევნები შეიძლება ტარდებოდეს ქვეყანაში, რომელშიაც პოლიტიკური პარტიები შეიძლება ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ, ხმების დათვლა სწორად არ ხორციელდებოდეს, მთავრობა არ იყოს ანგარიშვალდებული პარლამენტის და შესაბამისად ხალხის წინაშე, ხოლო კანონი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდეს. თუ რეჟიმის ამგვარ მახასიათებლებსაც ვავითვალისწინებთ, მაშინ შესაძლებელია მათი დე-დემოკრატიზება მოგვანიშნებდეს უბრალოდ იმაზე, რომ მათთვის დემოკრატიული ქვეყნის სახელის დარქმევა შესაძლოა ნაჩქარევი იყო.

მსოფლიოში საშუალო ქვეყანა დღესდღეობით არის არც სრული დემოკრატია, არც სრულიად დესპოტია. ამერიკული ფონდი "თავისუფლების სახლი" (Freedom House) ზომავს დემოკრატიას მსოფლიოში თავისუფლების ინდექსის გამოყენებით, რომელშიაც შედის 21 სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების პარამეტრი. ეს პარამეტრები მნიშვნელოვანია არა მარტო არჩევნებთან დაკავშირებით, რაც იძლევა დემოკრატიის მხოლოდ საარჩევნო დემოკრატიად გაგების თავიდან აცილების შესაძლებლობას. ქვეყნები განლაგდება ერთ-

იან 7-ქულიან სკალაზე და მიეკუთვნება სამიდან ერთ კატეგორიას: თავისუფალი, ნახევრადთავისუფალი და არათავისუფალი. თავისუფალი რეჟიმები ვარირებს ანგლო-ამერიკული და დასავლურ ევროპული დამკვიდრებული დემოკრატიებიდან ახალ, არა მთლად სარწმუნოდ დამკვიდრებულ პოსტკომუნისტურ დემოკრატიებამდე, როგორებიცაა, მაგალითად, რუმინეთი და ბულგარეთი.

ნახევრად თავისუფალი ქვეყნები არ არიან სრულიად დემოკრატიულები. ამგვარი რეჟიმები მოიძებნება ყველა კონტინენტზე. თავისუფლებისა და რეპრესიების ხარისხი ვარირებს შედარებით ღია პოლიტიკური სისტემებიდან, როგორებიცაა რუსეთისა და ბრაზილიის სისტემები უფრო შეზღუდულ თავისუფლებამდე, რომელიც სინგაპურს ან კუვეიტს ახასიათებს. არათავისუფალი ქვეყნები დღესდღეობით უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა კი ქვეყანათა საერთო რაოდენობის მეოთხედს აჭარბებენ. ყველაზე ნაკლებად თავისუფალ ქვეყანათა რიცხვში შედის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, კუბა, საუდის არაბეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი.

დემოკრატიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში

1989 წელს ჰანტინგტონისეულ მესამე ტალღას შეუერთდა მრავალი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპიდან და თვით საბჭოთა კავშირიც. ამ რეგიონის პოლიტიკური მოწყობის სტრუქტურიდან გამომდინარე, მოსკოვიდან წამოსული ლიბერალიზაციის პირველი ბიძგის საპასუხოდ დემოკრატიზაციის პროცესმა ყველაზე მძლავრად და სწრაფად რეგიონის პერიფერიები მოიცვა (პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპა), ხოლო შემდგომ რეგიონის ცენტრს მიუბრუნდა.

საბჭოთა კავშირის დანგრევა და კომუნისტური ბლოკის გაქრობამ სრულიად ახალი სიტუაცია შექმნეს მსოფლიოში დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. დასავლეთის ლიბერალურ დემოკრატიას აღარ დარჩა იდეოლოგიური მეტოქე, რომელიც თვით დემოკრატიას საფრთხეს უქმნიდა. დღეს დასავლეთს, ერთის მხრივ, აღარა ჰყავს მეტოქე, რომელიც, თუნდაც თეორიულად, მის იდეალებსა და არსებობის წესს ემუქრებოდეს, ხოლო მეორეს მხრივ, დასავლური ტიპის დემოკრატია დღესდღეობით არის მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა, რომლიც ალტერნატივები, თუმცა კი მრავალად არსებობს მსოფლიოში, ნორმატიულად არ აღიქმებიან სასურველ იდეალებად.

1989 წელი გახდა ისტორიული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზების პროცესში. აღმოსავლეთი ევროპაში იგულისხმება შემდეგი ექვსი ქვეყანა: ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გდრ (აღმოსავლეთ გერმანია), უნგრეთი, პოლონეთი და რუმინეთი (იუგოსლავია და ალბანეთი, თუმცა ისინი კი იყვნენ კომუნისტური ქვეყნები, არ იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის უშუალო გავლენის ქვეშ). 1989 წელს ყველა ამ ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების პროცესი დაიწყო: დაწყებული პოლონეთით, სადაც აპრილში "სოლიდარ-

ობამ" მიაღწია შეთანხმებას კომუნისტურ ხელისუფლებასთან დამოუკიდებელი პროფკავშირების ლეგალურად აღდგენის შესახებ და დამთავრებული რუმინეთით, სადაც დეკემბერში დაამხეს ჩაუშესკუს ტირანული რეჟიმი.

"პერესტროიკის" დროს გორბაჩოვმა უარი თქვა ბრეჟნევის დროინდელ "შეზღუდული სუვერენიტეტის" დოქტრინის დაცვაზე (რომლითაც თავის დროზე გამართლდა ჩეხოსლოვაკიის მოვლენების ჩახშობა). უარის თქმა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის ძალით შენარჩუნებაზე გადამწყვეტი მომენტი იყო რეგიონის დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. თვით ამ ქვეყნებს შიგნით სახელმწიფო ძალაუფლებას არ ჰქონდა უნარი და ლეგიტიმურობა ძალით ჩაეხშოთ ახალი დემოკრატიული ძალები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა ისევე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიკა. განსაკუთრებულად გაღარიბებული იყო რუმინეთის მოსახლეობა, თუმცა პრობლემები ჰქონდა უფრო მდიდარ ქვეყნებსაც, ისეთებს, როგორებიცაა პოლონეთი და უნგრეთი, რომლებსაც 70-იან წლებში დაუგროვდათ დიდი საგარეო ვალი, ხოლო განხორციელებული ნაწილობრივი ეკონომიკური რეფორმები უშედეგო აღმოჩნდა. ეკონომიკური სტაგნაციისა და ზოგადად არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციის ფონზე კომუნისტური რეჟიმის დასუსტების პირველივე ნიშნების კვალობაზე უნგრეთისა და პოლონეთის პარტიების ხელმძღვანელობამ და ბიუროკრატიის ზედა ეშელონებმა წამოიწყეს პრივატიზება, რომლებმაც განსაკუთრებულად დიდ მასშტაბს მიაღწია 1988 და 1989 წლებში. ეს მოასწავებდა მბრძანებლური ეკონომიკის დასასრულს, და ანალოგიური ნიშნები შეიმჩნეოდა ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიც.

ამ ორ ქვეყანაში ცხადი გახდა პოლიტიკური ლიბერალიზაციის ნიშნებიც. პოლონეთში იარუზელსკიმ გაათავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი. პროფკავშირები გახდა რეალურად მოქმედი ძალა პოლიტიკურ ცხოვრებაში. კათოლიკურმა ეკლესიამაც თავისი როლი შეასრულა. უნგრეთში გაჩნდნენ ახალი პოლიტიკოსები და პოლიტიკური ძალები როგორც თვით კომუნისტური პარტიის რიგებში, ასევე მის გარეთ, რასაც არ მოჰყოლია რეპრესიები ხელისუფლების მხრიდან.

სულ უფრო ძლიერდებოდა საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ახერხებდნენ თვითორგანიზებას და სახელმწიფო ხელისუფლების ოპონირებას. სხვადასხვა ქვეყნებში საზოგადოებრივმა გამოცოცხლებამ განსხვავებული ფორმები მიიღო - უნგრეთში ეს იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება, პოლონეთში - პროფკავშირების ლიდერობა, აღმოსავლეთ გერმანიაში - პროტესტანტული ეკლესია, ჩეხოსლოვაკიაში - ხელოვნების მუშაკები და ინტელექტუალები. მიუხედავად განსხვავებებისა, ყოველივე ეს მიანიშნებდა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. სამოქალაქო საზოგადოების აშკარა სისუსტემ რუმინეთში უშუალო კავშირში იყო ჩაუშესკუს ძალისმიერ ჩამოგდებასთან და იმ რეჟიმის ავტორიტარულ ხასიათთან, რომელიც უშუალოდ ამ დამხობის მერე დამყარდა.

საბჭოთა კავშირის მხრიდან სამხედრო სამიშროების მოხსნის ფონზე მძლავრმა ზეწოლამ, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კომუნისტურმა მმართველობამ ქვეყნის შიგნით მყოფი დემოკრატიული ძალებისგან განიცადა შექმნა ამ რეჟიმების სწრაფი გარდაქმნის შესაძლებლობა. პირველი კომუნისტური რეჟიმი, რომელიც დაეცა, იყო პოლონური. 1989 წელს პარლამენტის არჩევნების ჩატარებამ მოიტანა შეუქცევადი შედეგები და ტადეუშ მაზოვეცკი გახდა პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელიც თავის არჩევას არაკომუნისტურ ძალებს, "სოლიდარობას", უმადლოდა. თუმცა დემოკრატიზაციის მოდელები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული აღმოჩნდა.

ამ ქვეყნებს შორის აღმოსავლეთ გერმანიის ბედი განსაკუთრებული იყო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გაერთიანებამდეც და მის შემდეგაც მთელ პოლიტიკურ პროცესს მასში წარმართავდა დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანების იდეა და შესაბამისი პოლიტიკური ძალები დასავლეთ გერმანიის მხრიდან. ეს გაერთიანება დაიწყო თავისუფალი არჩევნების ჩატარებით 1989 წლის მარტში, რომლებშიაც სრული გამარჯვება მოიპოვა ქრისტიან-დემოკრატიულმა გაერთიანებამ, და დასრულდა 1990 წლის 2-3 ოქტომბერს.

მიუხედავად თავისებურებებისა, რომლებითაც სასიათდებოდა მოვლენები ამა თუ იმ ქვეყანაში, ყველა დემოკრატიულ გარდაქმნას გააჩნდა შემდეგი საერთო ნიშნები:

- კომუნისტური პარტიის მონოპოლისტური მმართველობითი როლის უარყოფა;
- კონსტიტუციური ცვლილებები ლიბერალური დემოკრატიის დასამკვიდრებლად;
- თავისუფალი არჩევნები და საპარლამენტო დემოკრატიული საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბება.

ცვლილებების დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ აშკარა გახდა, რომ დემოკრატიზაციის პროცესში ზოგიერთი ქვეყნები წინ უსწრებდნენ სხვებს გარდაქმნების ეზაზე. პირობითად აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნები შეიძლება გავაერთიანოთ ორ ჯგუფში:

ჯგუფი 1: ჩეხეთის რესპუბლიკა (შეიქმნა 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის ორ ნაწილად - ჩეხეთის რესპუბლიკად და სლოვაკიად დაყოფის შედეგად), უნგრეთი და პოლონეთი;

ჯგუფი 2: ბულგარეთი, სლოვაკია და რუმინეთი

პირველი ჯგუფის ქვეყნებში შედარებით სწრაფად დამკვიდრდა კონსტიტუციური რეჟიმი და მრავალპარტიული სისტემა, ჩატარდა თავისუფალი არჩევნები, თვისობრივად შეიცვალა მმართველობა და დამკვიდრდა ფუძემდებლური სამოქალაქო თავისუფლებები. მეორე ჯგუფის ქვეყნებმა გამოიარეს კომუნისტური წყობიდან გამოსვლის უფრო მძიმე ეზა. სამოქალაქო თავისუფლებები, ხელისუფლების უმტკივნეულო გადაცემა და მმა-

რთველობის არაავტორიტარული პრაქტიკის დამკვიდრება მათთვის უფრო ძნელი აღმოჩნდა.

ამ სხვაობების მიზეზების დასადგენად მრავალი ფაქტორის დასახელება შეიძლება, მათ შორის:

1. კულტურული სხვაობები და ისტორიული განვითარება (ოტომანთა იმპერიის - თურქების გავლენის კვალი მეორე ჯგუფის ქვეყნებზე);

2. სოციოეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონე პირველი ჯგუფის ქვეყნებში;

3. კომუნისტური მმართველობა მეორე ჯგუფში იყო უფრო სტაბილური, მაშინ როცა პირველში არსებობდა იდეოლოგიური რევიზიონიზმი, პოლიტიკური არასტაბილურობა, კომუნისტური რეფორმიზმი;

4. პირველი ჯგუფის ქვეყნებში შედარებით ძლიერი იყო სამოქალაქო საზოგადოება;

5. პირველ ჯგუფში კომუნისტური რეჟიმიდან გამოსვლაში დიდი როლი შეასრულეს სამოქალაქო მოძრაობებმა, ხოლო მეორე ჯგუფში ცვლილებების ინიციატორი დიდწილად მმართველი ელიტის წრეში წარმოიშვა.

მთლიანად რეგიონის შედარება სხვა რეგიონებთან, ისევთებთან, როგორებიცაა სამხრეთ ევროპა ან ლათინური ამერიკა მეტად ბევრ კითხვას ბადებს, და არაცალსახად ფასდება სხვადასხვა ავტორებს მიერ გარკვეული ფუძემდებლური სხვაობების გამო. პოლ ლეეისის აზრით, (იხ. "დემოკრატიზაცია", დ. პოტერის რედაქტორობით) ეს სხვაობები არის შემდეგი (სხვა მიდგომა იხ. მაგალითად ადამ პრუეევორსკის მდგრად დემოკრატიაში). ჯერ ერთი, პოსტკომუნისტური გარდაქმნები ეს იყო იმავდროულად გარკვეულწილად პოსტტოტალიტარული, და არა უბრალოდ პოსტავტორიტარული გარდაქმნები. ამდენად გარკვეული ურთიერთობები სახელმწიფოსა და სახოგადოებრივ ძალებს შორის, რომლებიც პოსტავტორიტარულ გარდაქმნებში დიდ როლს თამაშობენ, აქ თითქმის არ იგრძნობოდა. ვითარებას მართავდა მეტწილად გარეშე ფაქტორები, და არა შიდა ძალები, როგორც ეს იყო სამხრეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. ამასთან დემოკრატიზაცია არ იყო ცალკე აღებული პროცესი, არამედ მას თან ახლდა რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნა, მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრიზე გადასვლა. ასევე, სამხრეთ ევროპისგან და ლათინური ამერიკისგან განსხვავებით, დემოკრატიული მმართველობის ადრინდელი გამოცდილება ამ ქვეყნებში ან არ არსებობდა, ან შორეული ისტორიის ნაწილს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ელემენტები იმ თეორიებისა, რომლებიც ადრეული ტრანზიტების შესწავლის ბაზაზე წარმოიშვა, გამოდგება ამ რეგიონისთვისაც. ასე, ელიტების სტრატეგიები კარგად ხსნის იმ სწრაფ დემოკრატიზებას, რომელიც განიცადეს უნგრეთმა და პოლონეთმა. ამ ქვეყნებში ელიტა იყო დაყოფილი და მას მოუწია მოლაპარაკებამ და დემოკრატიული პაქტების დადებამ. მძლავრმა სამოქალაქო საზოგადოებამ არა მარტო შეჭიდუდა კომუნისტური ელიტების მოქმედების არეალი, არამედ გა-

აძლიერა კონტრ-ელიტების პოტენციალი და იმ ლიდერების გავლენა, ვინც ლიბერალურ რეფორმებს მოითხოვდა.

ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიზაცია სხვა მოდელით წარიმართა, თუმცა კი არანაკლები წარმატებით. რეჟიმი ბოლომდე დარჩა ავტორიტარული, ელიტებში დაყოფა არ იგრძნობოდა და საზოგადოებაშიც არ იყო ძლიერი ოპოზიცია. ამან ხელი არ შეუშალა დემოკრატიულ გარდაქმნებს. გარკვეული ფაქტორები მისთვის ხელშემწყობი არმოჩნდა. მოდერნიზაციის და სოციოეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რომელიც ამ ქვეყანას გააჩნდა, გვაფიქრებინებს, რომ მოდერნიზაციის თეორიებს აქვს გარკვეული პოტენციალი დემოკრატიზაციის პროცესების საკვლევად ქვეყნების ამ ჯგუფში. დემოკრატიზაციის უფრო ნელი ტემპი ბულგარეთსა და რუმინეთში შეიძლება აიხსნას შესაბამის ელიტათა ფაქტორით, ასევე ამ ქვეყნებში მოდერნიზაციის უფრო დაბალი სარისხით.

საკონტროლო კითხვები

1. რა პერიოდებად ჰყოფს ჰანტინგტონი დემოკრატიზაციას?
2. რას ნიშნავს "დე-დემოკრატიზაცია"?
3. როგორ ზომავს დემოკრატიას ამერიკული ფონდი "თავისუფლების სახლი"?
4. როდის და როგორ მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაცია?
5. რა განსხვავებაა პოსტკომუნისტური ქვეყნების ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

სამართლებრივი სახელმწიფო
კომუნისტური ბლოკი
პოლიტიკური სისტემა
შეზღუდული სუვერენიტეტი
პოლიტიკური ელიტა

ბიბლიოგრაფია

1. Л.Бальцерович. Социализм, капитализм, Трансформация. Очерки на рубеже эпох. - Москва, "Наука", УРАО, 1999.
2. G.A.Almond and S.Verba. *The Civic Culture Revisited: An Analytical Study*. Boston: Little, Brown, 1980.
3. L.Diamond. *Is the Third Wave over?* Journal of Democracy, v.7, N.3, 1996.
4. S.Huntington. *The Third Wave*. University of Oklahoma Press, 1991.
5. ed. D. Potter, D.Goldblatt, M.Kiloh, P.Levis. *Democratization*. Polity Press, 1997.

§ 3. დემოკრატიზაცია და შედარებითი პოლიტიკური კვლევები

დემოკრატიზაციის პროცესების შესწავლას, როგორც წესი, მიაკუთვნებენ პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ქვედარგს - შედარებით პოლიტოლოგიას.

შედარებითი პოლიტოლოგიის მეთოდებმა და მიდგომებმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადეს ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ მისი ძირითადი საკვლევი თემები არ შეცვლილა; შედარებითი პოლიტოლოგია ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: რითი განსხვავდებიან პოლიტიკური რეჟიმები? რა განსაზღვრავს რეჟიმის სტაბილურობასა და იწვევს მის ცვლილებას? მმართველობის რომელი ფორმაა „უკეთესი"? და სხვ.

ამ თემების მიმართ ინტერესის ბოლო აფეთქება სწორედ დემოკრატიზაციის ახალ ტალღას უკავშირდება. „რეჟიმთა ცვლის" შედარებითი ანალიზი წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერების ბოლო წლების (ათწლეულების) ერთ-ერთ ყველაზე უფრო განვითარებად ნაწილს. მის შესწავლაზე დღეს არსებულ მოთხოვნილებას აქვს სხვადასხვა მიზეზი. ჯერ კიდევ ლასუელი წერდა, რომ „მოთხოვნილება შედარებით ინფორმაციაზე მომდინარეობს პოლიტიკური ელიტებიდან, რომელნიც იმედოვნებენ, რომ მათი მდგომარეობა გამყარდება, თუ განივრცობა ტერიტორიული საზღვრები მათ მიერ მიღებული ინფორმაციისა. და მხოლოდ მეორე რიგში, ზოგიერთი პოლიტოლოგი შედარებით კვლევებში ხედავს შესაძლებლობას, რომ გაზარდოს არსებული ცოდნის მარაგი და შეუდაროს თავისი პოზიციები კოლეგების აზრს". (ლასუელი, 1968, გვ.3).

დემოკრატიზაციის პროცესის შედარებითი კვლევების შედეგები კარგად გვაჩვენებს ზოგადი და მარტივი მოდელების შექმნისა და სქემატური ასხნების არაპროდუქტიულობას. მოცემული, გახსაზღვრული რეჟიმის ტიპის შექმნის, ჩამოყალიბებისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის საჭიროა, აუცილებელია სხვადასხვა, ხშირად სინამდვილეში ურთიერთსაპირისპირო, პირობები. მაგალითად, პოსტკოლონიური ქვეყნები იქმნებიან მებრძოლი ანტიკოლონიალიზმის პირობებში, მაგრამ შენარჩუნდებიან, თავს ინარჩუნებენ საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტისათვის თავდაუზოგავი, რუდუნებითი შრომის წყალობით. სამხედრო რეჟიმები ჩვეულებრივ წარმოიშობა, საიდუმლო შეთქმულებებისა და სამხედრო აჯანყებების (პუნტების) შედეგად, მაგრამ თავს შეინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მიიღებს ფართო

მხარდაჭერას ხალხისას სამოქალაქო ბიუროკრატიასთან ან პოლიტიკურ პარტიასთან კავშირში. ქარიზმატული ლიდერები, მაქს ვებერის მიხედვით, იმტკიცებენ თავის პოზიციებს, ქმნიან რა ხასწაულის მოჩვენებითობას, მაგრამ ინარჩუნებენ ლეგიტიმურობას ყოველდღიური პოლიტიკითა და ძალაუფლების, ხელისუფლების ბიუროკრატიზაციით. აბსოლუტური მონარქია ყველაზე უკეთ ეყრდნობა მოქალაქეთა უპირობო პატივისცემას ტახტისმემკვიდრეობითი ტრადიციისადმი, მაგრამ აშკარაა, რომ არ შეიძლება ხელახლა იყოს შექმნილი იმავე პრინციპებზე. დემოკრატია წარმოიქმნება კონფლიქტისა და კომპრომისისაგან, მაგრამ შენარჩუნდება, ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას მხარდი სახოგადოებრივი თანხმობის წყალობით.

სერიოზული შედარებითი გამოკვლევა მოითხოვს ყოველი შემთხვევის საკმაოდ ღრმა და „საკუთარ", „სრულ" ინტერპრეტაციას. სერიოზული გამოკვლევა წარმოაჩენს ზედაპირული მიდგომის, დეტალებისა და კონკრეტიკისადმი ზედმეტად სქემატური მიდგომის მნიშვნელოვან ნაკლსა და ხარვეზებს, და ეწინააღმდეგება აუხსნელი პროცესების წინასწარგანსაზღვრულ, წინასწარაკვიატებულ ახსნით სქემებში „ჩატენვას". თავის მხრივ „საკუთ" („სრული") და ღრმა ინტერპრეტაციები, რომელნიც საკმარისად და მახვილგონივრულად, დახვეწილად ითვალისწინებს კონტექსტს, მოითხოვს შესაბამის მეთოდოლოგიურ და კონცეპტუალურ სამუშაოებს. „დემოკრატიზაციის" ახსნისათვის საჭიროა, როგორც კომპარატივისტი ისტორიკოსის ახსნითი ოსტატობა, ხელოვნება, ასევე თამაშთა თეორიის სპეციალისტის ლოგიკურ-დედუქციური ზხროვნება.

აბსტრაქტული პროცესის, კერძოდ „დემოკრატიზაციის", ნებისმიერი ახსნა, განმტკიცებული ისტორიული ფაქტებით, მოითხოვს იმ მნიშვნელობისა და ზხრის (საზრისის) გათვალისწინებას, რომელსაც ანიჭებენ ამ ცნებასა და აბსტრაქტულ პროცესს ადამიანები, ჩართულნი ამ პროცესში. ამდენად, მეორე მიმართულება შედარებითი ტრანზიტოლოგიისა თავის ყურადღებას აჩერებს საზოგადოების და არა პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიზაციაზე, მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ მონაწილეობასა და „სიკეთეთა" გადანაწილებას საზოგადოებაში, და არა პოლიტიკურ ინსტიტუტთა რეფორმირებას.

სრული შედარების განხორციელება უაღრესად რთულია, თუ შეუძლებელი არა. პოლიტიკური და სოციალური სინამდვილე არ არის ერთგვაროვანი, ცნებებისა და კატეგორიების გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს კონტექსტის დეტალურ ცოდნას და ძალიან ადვილია, რომ ისინი არასწორად იქნეს გამოყენებული. როდესაც ამოცანად დასახულია რთული დინამიკური პროცესების შედარება, რომელიც მიმდინარეობს რამდენიმე ქვეყანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეხიჭება მკვლევრის უნარს „დაიჭიროს" სოციალურ მოვლენათა თანაზომადობა.

მთავარი, რთული და მაღალი ხარისხით არაპროგნოზირებადი პროცესების გაგებაში - ესაა მათი შეპირისპირება, შეფარდება იმის რაციონალურ ახსნასთან, თუ რა შეიძლება მომხდარიყო საწინააღმდეგო შემთხვევაში -

ანუ შესაბამისი კონტრმაგალითების შერჩევა. ამავე დროს როდესაც შესწავლის ობიექტია დემოკრატიის პროცესები, შეუძლებელია შეიქმნას დემოკრატიული ნორმების ახსნის ადექვატური სქემა, პრინციპებისა და ღირებულებების შესაბამისად გაცნობის (კოდნის) გარეშე - ისინი აუცილებელია წარმოშობადი პოლიტიკური წესრიგის სტრუქტურებისათვის. გასათვალისწინებელ სირთულეთა შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ტერმინთა და ცნებათა თარგმნის სირთულე.

ამდენად, შედარებითი პოლიტიკური ანალიზის განსახორციელებლად უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური მეთოდოლოგიური მიდგომების გამომუშავება და გონივრული გამოყენება. შედარებითი მეთოდი შედარებითი პოლიტოლოგიის საგნის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

მეთოდის თვალსაზრისით არსებობს შედარებითი ანალიზის სამი ძირითადი ტიპი: 1. ინდივიდუალური ქვეყნების (შემთხვევის) შესწავლა (case studies) შედარებით ჭრილში; 2. ქვეყნების შეზღუდული რაოდენობის სისტემური შედარება კონკრეტულ მოვლენებთან მიმართებაში მათი მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენისა და ახსნისათვის; 3. გლობალური შედარებითი კვლევები, დაფუძნებული სტატისტიკურ ანალიზზე.

როგორც ინდივიდუალური ქვეყნების შესწავლას, ასევე ქვეყნების შედარებას ძველი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ არისტოტელემ შეადარა სხვადასხვა ბერძნული ქალაქები, ხოლო დე ტოკვილმა შეისწავლა დემოკრატია ამერიკაში (1831), რაც არ იყო მხოლოდ იმდროინდელი ამერიკის აღწერა, არამედ წარმოადგენდა დემოკრატიზებადი ქვეყნის შედარებითი კვლევის ნიმუშს.

შედარებითი კვლევის უფრო ძველი და ტრადიციული მეთოდი სწორედ ინდივიდუალური ქვეყნების შესწავლაზე ფოკუსირდება. თუმცა, ზოგი თანამედროვე ავტორი მიიჩნევს, რომ ამგვარი კვლევები "არ შეიძლება მივაკუთვნოთ შედარებით მეთოდს, თუმცა კი მათ შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული ღირებულება შედარების თვალსაზრისით" (სარტორი, 1994, გვ.23). ამგვარი შეფასება შეიძლება მეტისმეტად მკაცრად მივიჩნიოთ, ვინაიდან შედარებითი კვლევების დიდი (თუ არა უდიდესი) ნაწილი დღესაც სწორედ ინდივიდუალური ქვეყნების შესწავლას ეძღვნება და შეიძლება ითქვას, რომ "მიკუთვნება თუ არა ინდივიდუალური ქვეყნის შესწავლა შედარებით კვლევებს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოიცავს ის ისეთ ცნებებს, რომლებიც სხვა ქვეყნებსაც მიესადაგება". (როუზი, 1991, გვ.449).

როდესაც საკვლევ ქვეყანათა რაოდენობა ერთზე მეტია, გამოიყენება შედარების სხვადასხვა მეთოდები. განვიხილოთ ამგვარი კვლევის ჩატარების ორი ნიმუში:

I ხერხი:

1. დემოკრატიზებადი ქვეყნების იდენტიფიცირება
2. მცდელობა ნაპოვნი იქნას ფაქტორი A, ან ფაქტორები A/B/C,

რომლებიც უსწრებენ ან ასოცირებულნი არიან დემოკრატიასთან ამ ქვეყნებში

3. არადემოკრატიზებადი ქვეყნების იდენტიფიცირება და დარწმუნება იმაში, რომ A ან A/B/C არ არიან დაკავშირებულნი მათთან (ამ ფაქტორებს იქ არა აქვთ ადგილი)

4. თუ ეს ასეა, შესწავლა, თუ რამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ A ან A/B/C არის პირობები ან მიზეზები დემოკრატიზაციისა.

II ხერხი:

1. იდენტიფიცირება ქვეყანათა ჯგუფისა, ზოგიერთი საერთო მახასიათებლით (მაგ.: ახიის ქვეყნები...)

2. ქვეყანათა ამ ჯგუფში დემოკრატიზებადი და არადემოკრატიზებადი ქვეყნების ერთმანეთისგან გამორჩევა

3. ძიება იმისა, რომ ნაპოვნი იქნეს ფაქტორი A ან A/B/C, რომელიც არის საერთო დემოკრატიზებადი ქვეყნებისათვის და არ ახასიათებს არადემოკრატიზებად ქვეყნებს.

4. შესწავლილ იქნეს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, რომ A ან A/B/C არის პირობა ან მიზეზი დემოკრატიზაციისა.

პირველი ხერხი უფრო ახლოსაა გლობალური ხასიათის კვლევებთან. ეს კვლევები განსაკუთრებით პოპულარული გახდა 1960-იან წლებში. ამგვარი კვლევის კლასიკური მაგალითია სეიმურ მარტინ ლიპსეტის გამოკვლევა (1960). მან წამოაყენა იდეა, რომ დემოკრატია უკავშირდება ქვეყნის მოდერნიზების დონეს. "მოდერნიზების დონე" დაიშალა მის ხუთ სახომ ერთეულად (მაგ. მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით, ტელეფონების რაოდენობა და სხვ.) და მოხდა სხვადასხვა (მრავალი) დემოკრატიული და ავტორიტარული ქვეყნის შედარება ამ პარამეტრების მიხედვით. კვლევის საფუძველზე ავტორმა გააკეთა დასკვნა, რომ უფრო მოდერნიზებულ ქვეყნებს ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებისა და შენარჩუნების მეტი შესაძლებლობა აქვთ.

თუმცა სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული გლობალური მაშტაბის კვლევები ხშირად გამოიყენება, მათ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებთ. მაზე დაყრდნობით მიიღება მეტად ზოგადი დასკვნები და იკარგება მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ნიუანსები.

თანამედროვე შედარებითი კვლევების დიდი წილი მოდის ქვეყნების შეზღუდული რაოდენობის შედარებაზე (მას უფრო შეესაბამება შედარებითი კვლევის მეორე ხერხი), რაც იძლევა გარკვეულ კომპრომისს განზოგადოებასა და დეტალების კვლევას შორის. საკვლევი არეალის შერჩევა დამოკიდებულია მკვლევრის ოსტატობაზე და გარკვეულ მეთოდოლოგიურ მოსაზრებებზე. ამგვარი გამოკვლევის ასევე კლასიკური მაგალითია ბარინგტონ მურის თეორია იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურული ტიპი განსაზღვრავს ქვე-

ყნის დემოკრატიზაციის შესაძლებლობას (1966). მური დეტალებში განიხილავს ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ს, ჩინეთის, იაპონიისა და ინდოეთის ინდივიდუალურ მაგალითებს, და თავის დასკვნებს აკეთებს ამ ქვეყნების ისტორიული განვითარების დეტალური ანალიზის შედეგად.

ცხადია, რომ დემოკრატიზაციის ახსნა უნდა ეფუძნებოდეს ორივეს, როგორც სინამდვილეს, რომელიც დაკავშირებულია რეალური სამყაროს კომპლექსურ რეალობასთან, ასევე ზოგადს, რომელიც საკმაოდ რელევანტურია ახსნილი ფენომენების ზოგიერთი (ან ყველა) შემთხვევისათვის. სინამდვილეში არსებობს წინააღმდეგობა (ერთგვარი დაძაბულობა) ემპირიულ კომპლექსურობასა და ზოგადს (განზოგადებულს) შორის. განზოგადოებული ახსნის მცდელობამ შეიძლება მიგვიყვანოს მეტად კომპლექსური რეალობის უგულებელყოფამდე; მეორე მხრივ, გადამეტებულმა ხახგასმამ ასეთი კომპლექსურობისა შეიძლება მიგვიყვანოს ახსნამდე, რომელიც მისადაგებული იქნება მხოლოდ შესწავლილი შემთხვევისადმი.

ამ წინააღმდეგობასთან მიმართებაში შედარებითი მეთოდის ხსენებული ორი ტიპი განსხვავდება პრიორიტეტების მიხედვით: პირველი, რომელიც მიესადაგება გენერალიზებულ (ზოგად) ახსნას არის ცვლადებზე ორიენტირებული (variable-oriented) მიდგომა; მეორე არის უფრო შემთხვევაზე ორიენტირებული (case-oriented) მიდგომა, რომელიც მეტ ყურადღებას უთმობს კომპლექსურ რეალობას.

თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილი ცდილობს ამ მეთოდების კომბინირებას. კომბინირებული (კონვერგენციული თეორიები) მიდგომის მაგალითად შეიძლება დასახელდეს რაიშმაიერი (1992).

შედარებითი მეთოდის გამოყენებისას წამოიჭრება რიგი სირთულეებისა. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

ა) მიზეზობრივი კავშირების სირთულე. დემოკრატიზება არის მეტად კომპლექსური პროცესი, რომელიც მრავალ სფეროს მოიცავს და მის ამხსნელ ფაქტორებად შეჩლუდული რაოდენობის ერთმანეთისგან შედარებით დამოუკიდებელი ცვლადების გამოყოფა მეტად რთულია. ამასთან, ამგვარი ფაქტორები გავლენას ახდენენ დემოკრატიზების პროცესზე არა დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან მიმართებაში და კომპლექსურად;

ბ) მონაცემთა არასრულყოფილება. სინამდვილის გაზომვისა და ინტერპრეტაციის პრობლემები განსაზღვრავენ შედარებითი კვლევის წარმატებულად ჩატარების ბედს. ცნებები, რომლებიც ესადაგებიან მონაცემებს, შეიძლება იყოს ბუნდოვანი, ხოლო თავად მონაცემები - არასაიმედო. ასე, დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური განვითარების შესაბამისობის კვლევა მოითხოვს აშშ-ს გაზომვას, მაგრამ ოფიციალური სტატისტიკა ვერ ითვალისწინებს ჩრდილოვან ეკონომიკას, რაც ამგვარ მონაცემებზე დაყრდნობილ ანალიზს საიმედოობას უკარგავს;

გ) შედარებითობა. რამდენად შესაძლებელია იმ ერთეულების შედარება, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებით? ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა

რაოდენობრივი, გახომვად ცვლადებზე ორიენტირებული კვლევებისთვის. ასე, რამდენად ნიშნავს ერთსა და იმავეს ყველა საკვლევ ქვეყანაში ისეთი შესადარებელი ერთეულები, როგორებიცაა ლიბერალური დემოკრატია? ეკონომიკური განვითარება? სახელმწიფო? არჩევნები? რამდენად უნივერსალურია ეს და ამდაგვარი ცნებები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილში?

საკონტროლო კითხვები

1. რას შეისწავლის შედარებითი პოლიტოლოგია? მისი ძირითადი თემები.
2. შედარებითი მეთოდის რა ძირითადი ტიპები არსებობს?
3. რა უპირატესობები და რა ნაკლოვანებები გააჩნია შედარებითი კვლევის სხვადასხვა ხერხს?
4. დაასახელეთ შედარებითი მეთოდის სირთულეები

საკვანძო ტერმინები და ცნებები

შედარებითი პოლიტოლოგია
ტრანზიტოლოგია
შედარებითი მეთოდი
შემთხვევის შესწავლა (case study)
სტატისტიკური ანალიზი
ამხსნელი ფაქტორები (ცვლადები)
მიზეზობრივი კავშირი

ბიბლიოგრაფია

1. Политическая наука: новые направления (под ред. Р.Гудина и Х.-Д. Клингеманна. Научн. ред. русского издания Е.Б.Шестопал). - Вече, М.1999.
2. ed. G.A. Almond, G.B.Powell. *Comparative Politics Today*. A World View. Harper Collins College Publisher, 1995.
3. M.Grawitz, J.Leca (eds). *Traite de science politique*. 4 vols. Paris: Press Universitaire de France, 1985.
4. J.-E. Laneand, S. Ersson. *Comparative Politics. An Introduction and New Approach*. Polity Press, 1994.
5. H.D.Lasswell. *The Future of Comparative Method*. Comparative Politics, v.1, 1968.
6. R.Rose. *Comparing Forms of Comparative Analysis*. Political Studies, 39, 1991.
7. ed. D. Potter, D.Goldblatt, M.Kiloh, P.Levis. *Democratization*. Polity Press, 1997.
8. G. Sartori. *Compare Why and How: Comparing, Miscomparing and the Comparative Method"*. in: M.Dogan, A.Kazancigil (eds), Comparing Nations: Concepts, Strategies, Substance (London: Basil Blackwell), 1994.

§ 4. დემოკრატიზაცია: ძირითადი თეორიული მიდგომები (ზოგადი მიმოხილვა)

იმისთვის რომ გავიგოთ და ავხსნათ მიმდინარე პროცესი, გავერკვეთ, რატომ იყო დემოკრატიზაცია ძლიერი იმპულსი ზოგ ქვეყანაში, ხოლო სუსტი ან თითქმის არ არსებული სხვაგან, რატომ განვითარდა ან შეჩერდა ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყნებში, საჭიროა წინასწარ კარგად განისაზღვროს არა მარტო დაკვირვების საგანი და კვლევის მეთოდი, არამედ ასევე უნდა გამოიკვეთოს თეორიული მიდგომა, რომელიც საფუძვლად დაედება კვლევას.

თეორიული მიდგომა დემოკრატიზაციის პროცესის კვლევისადმი -ეს იდეათა და განმმზოგადოებელ ახსნათა მწყობრი კომპლექსია, რომელიც ეჯრდნობა მკაფიოდ განსაზღვრულ ცნებათა რიგს. რასაკვირველია, დემოკრატიზაციის პროცესის კვლევისას, გამომდინარე პრობლემათა კომპლექსურობიდან და სირთულიდან, მრავალგვარი თეორიული მიდგომა გამოიყენება, მაგრამ გარკვეული პირობითობის გათვალისწინებით შეიძლება თეორიულ მიდგომათა სამი ძირითადი ჯგუფი გამოვყოთ.

1. *მოდერნიზაციული მიდგომა* - ხაზს უსვამს გარკვეული რაოდენობის *სოციალურ და ეკონომიკურ რეკვიზიტებს* - ან ასოცირებულს არსებულ ლიბერალურ დემოკრატიებთან, ან აუცილებელს წარმატებული დემოკრატიზაციისათვის.
2. *ტრანზიტული მიდგომა* - ხაზს უსვამს *პოლიტიკურ პროცესებსა* და *ელიტების ინიციატივებს*, განსაზღვრულს ავტორიტარული მმართველობიდან ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასასვლელად.
3. *სტრუქტურული მიდგომა* - ხაზს უსვამს *ძალაუფლების სტრუქტურების ცვლილებას* დემოკრატიზაციისათვის ხელსაყრელი მიმართულებით.

რა თქმა უნდა, ყოველი მიდგომა, ხაზგასმულთან ერთად, სხვა მრავალ ფაქტორსაც განიხილავს და ახსნის, არც ერთურთისაგან ტოტალურად განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს, მაგრამ ხაზგასმის თვალსაზრისით, ყოველი მათგანი აშკარად განსხვავებულია.

მოდერნიზაციული მიდგომა

კლასიკურ საწყის წერტილად ამ მიდგომისა შეიძლება ჩაითვალოს სეიმურ მარტინ ლიპსეტის ესსე „ეკონომიკური განვითარება და დემოკრატია“

მის წიგნში "პოლიტიკური ადამიანი" (1960). დემოკრატია, ამბობს ლიპსეტი, დაკავშირებულია ქვეყნის სოციოეკონომიკურ განვითარებასთან ან მოდერნიზაციის დონესთან: „რაც მეტად არის ქვეყანა აყვავებული, მით მეტი შანსია, რომ დემოკრატია მყარი იქნება".

აქ ახსნის პროცედურა შედგება იდენტიფიცირებისაგან მნიშვნელოვანი კორელაციებისა დისკრეტული სოციოეკონომიკური ცვლადების გარკვეულ რაოდენობას შორის, რომელთაგან ყოველი დაკავშირებულია დემოკრატიის ცვლადთან.

რა თქმა უნდა (და ეს კარგად იცოდა ლიპსეტმა), კორელაციის დადგენა არ არის იდენტური იმისა, რომ დავასკვნათ, რომ დემოკრატია გამოწვეულია სოციოეკომიკური განვითარებით. მაგრამ ლიპსეტი მაინც ცდილობს მოძებნოს ზოგი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მაგ.: „ეკონომიკური განვითარება... და უმაღლესი განათლების გავრცელება აქტუალურად განსახღვრავს (ახდენს დეტერმინირებას) „კლასთა ბრძოლის" ფორმას, აძლევს რა შესაძლებლობებს ასეთ ჯგუფებს (ე.ი. განათლებულ და შედარებით კარგი ეკონომიკური მდგომარეობისა) დაბალი კლასებისა განავითარონ გრძელვადიანი პერსპექტივები და უფრო კომპლექსური და ეტაპობრივი (გრადუალისტური) შეხედულებები პოლიტიკაზე" (ლიპსეტი, 1960, გვ.45).

სოციოეკონომიკურ განვითარებას ქვეყანაში შეუძლია გააძლიეროს საშუალო კლასი, ხოლო „ფართო (დიდი) საშუალო კლასი" კარგი ფაქტორია დემოკრატიისათვის, რადგან ის არბილებს, ასუსტებს კონფლიქტს, მხარს უჭერს ზომიერ და დემოკრატიულ პარტიებს და ცუდ მდგომარეობაში აყენებს ექსტრემისტულ ჯგუფებს.

განათლების გარკვეული დონე შესაძლებელს ხდის ტოლერანტობის ნორმების საჭიროების გაგებას, ექსტრემისტული დოქტრინების უარყოფას, რაციონალური ელექტორალური არჩევანის უნარის ზრდას.

ამ მიმართულების უფრო თანამედროვე კვლევები აჩვენებენ არა თავისთავად, სოციოეკონომიკური განვითარების მიზეზობრივ ეფექტს დემოკრატიასთან მიმართებაში, არამედ მის გავლენას დამატებით ცვლადებთან კავშირში, როგორიცაა პოლიტიკური კულტურა, ეთნიკური შემწყნარებლობა და კონფლიქტები, პოლიტიკური ინსტიტუტები და პარტიული სისტემები, კოლონიური მემკვიდრეობა, საერთაშორისო ურთიერთობები. თუმცა ჯერ ცოტა მცდელობებია იმისა, რომ ნაჩვენები იქნეს როგორ კომბინირებენ ეს ცვლადები დემოკრატიზაციის ახსნისას.

ტრანზიტული მიდგომა

ამ მიდგომის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს დანკვარტ რასტოუს სტატია "გადასვლები დემოკრატიაზე: დინამიკური მოდელის მცდელობა", რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1970 წელს.

მოდერნიზაციული მიდგომისგან განსხვავებით, ტრანზიტული მიდგომა ახდენს ახსნის ფოკუსირებას ისტორიულ პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც

მარკირებულია სოციალური კონფლიქტით. რასტოუ აღნიშნავდა, რომ ისტორიულად ხალხს, რომელიც არ იმყოფება (არ არის) კონფლიქტში გარკვეულ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, ექნება მხოლოდ მცირე საჭიროება (ან: არ ექნება საჭიროება საერთოდ) გამოიგონოს, შექმნას დემოკრატიის წესები კონფლიქტის გადაწყვეტისთვის. მოქმედება, მეტოქეობა, ბრძოლა, და საბოლოოდ შერიგება, მორიგება ისტორიულად ცალკეულ ქვეყნებში - ეს არის სწორედ ის, რასაც დემოკრატიასთან აქვს შეხება.

ამ მიდგომის შემდგომი დამუშავება ფართოდ გვხვდება დღევანდელ მეცნიერებაში. თანამედროვე მეცნიერები, ისევე როგორც რასტოუ, მკაფიოდ განასხვავებენ *საწყის ტრანზიტს* ავტორიტარული მმართველობიდან (ანუ წინასწარ, პირველად პოლიტიკურ ლიბერალიზაციას) და ლიბერალური დემოკრატიის კონსოლიდაციას. მთავარი მოსაზრება ისაა, რომ საწყისი ტრანზიტი ზოგჯერ სრულდება (დემოკრატია განიცდის კონსოლიდირებას), ხოლო ზოგჯერ ჩერდება, ანუ დემოკრატიზაცია განიცდის მარცხს.

პოლიტიკური ლიბერალიზაცია ავტორიტარულ რეჟიმში იწყება რეპრესიების შემცირებით და ზოგიერთი სამოქალაქო თავისუფლებების შექმნით, შემოღებით. ამ მოძრაობას აუცილებლად არ მივყავართ დემოკრატიზაციისკენ; ასეთი ლიბერალიზაცია შეიძლება შეწყდეს, შეჩერდეს, და რეპრესიული მმართველობა დაბრუნდეს. როდესაც ლიბერალიზაცია იწყება სერიოზულად, სხვადასხვა პოლიტიკური აქტორები იწყებენ ჩართვას რეჟიმსა და ოპოზიციურ ძალებს შორის მიმდინარე ისტორიულ ურთიერთქმედებაში. ეს აქტორები მოიცავს „მკაცრი სახის მიმდევრებს" და „რბილი სახის მიმდევრებს" ავტორიტარულ კოალიციაში, და „ოპორტუნისტებს", „ზომიერებსა" და „ექსტრემისტებს" ოპოზიციაში.

ზოგიერთი სცენარი ამ ხუთი კატეგორიის კავშირურთიერთობებისა დემოკრატიზაციისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვები. მაგ.: შედარებითი კვლევები ლათინურ ამერიკაში გვაჩვენებს, რომ ტრანზიტისთვის უფრო ხელსაყრელია, თუ იგი კონტროლირდება „რბილი სახის მიმდევრების" და „ზომიერების" კოალიციის მიერ, რომელშიც არა აქვთ ადგილი „რადიკალებს".

სხვადასხვა პროცესებმა ან მოვლენებმა შეიძლება მისცენ ბიძგი პოლიტიკურ ლიბერალიზაციას. ერთ-ერთი ეს არის მარცხი ავტორიტარული რეჟიმისა, გამოწვეული ან სამხედრო მარცხით ან ეკონომიკური პრობლემებით. მეორე - ეს არის „წარმატების პარადოქსი", მაგალითად, როდესაც მთავარი, ძირითადი, მნიშვნელოვანი წარმატება არწმუნებს ავტორიტარულ რეჟიმს, რომ იგი არაფერს დაკარგავს პოლიტიკური ლიბერალიზაციით, პირიქით, საერთაშორისო ლეგიტიმურობის თვალსაზრისით მოიგებს. მოძრაობა დემოკრატიზაციის მიმართულებით შეიძლება დაიწყოს იმის გამოც, რომ ავტორიტარული რეჟიმი დარწმუნდეს, რომ ხელისუფლებაში დარჩენა ძალიან ძვირი დაუჯდება, რადგან მოსალოდნელია *მემკვიდრეობითი კრიზისი*, რაც შეამცირებს მილიტარულ შეკავშირებულობას და საშინაო, შიდა ლეგიტიმურობას.

ტრანზიტის პერიოდში გამოყოფენ შუალედური მთავრობების ტიპებს.

გადასვლა უკვე შუალედური მთავრობიდან ან წინასწარი პირველადი ლიბერალიზაციიდან ლიბერალური ან ნაწილობრივი დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ მოიცავს სხვადასხვა ისტორიულ ფაზებს, რომელიც კომპლექსურია და არაა ცნობილი წინასწარ, არა აუცილებლად განსაზღვრული. აქაც, ამ ტრანზიტშიც, კვლავ (როგორც წინა ეტაპზე და შუალედურ მთავრობებში), წარმატებისათვის გადამწყვეტია აქტორთა პოზიცია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დემოკრატიასთან. ასეთი დემოკრატიული აქტორები ყოველთვის უმცირესობაში არიან, მაგრამ ზოგიერთი ფაქტორი მუშაობს მათ სასარგებლოდ. ერთი არის ის, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობას ქვეყანაში, თუნდაც ეს უმრავლესობა არ იყოს აუცილებლად დაკავშირებული დემოკრატიასთან, არ სურს დაბრუნება იმ ავტორიტარული ან მილიტარული რეჟიმისა, რომელსაც ის ადრე იტანდა.

მეორე არის ის, რომ ავტორიტარული პოლიტიკური დისკურსი იდეოლოგიურად უფრო სუსტია გლობალური მასშტაბით, ვიდრე დემოკრატიული დისკურსი. ამდენად, დემოკრატიულ აქტორთა უმცირესობას შეუძლია წინ წასწიოს პოლიტიკური ერთობა დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ თუ: (ა) მოხდება ნეიტრალიზება აქტორებისა, რომელნიც არიან უპირობოდ ავტორიტარულები; (ბ) ხელი შეეწყობა პრეფერენციებსა და პრაქტიკას, რომელიც თავსებადია დემოკრატიის ფუნქციონირებასთან; (გ) გაიზრდება რაოდენობა დემოკრატიული აქტორებისა; (დ) მოხდება შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მათი სტრატეგია დაექვემდებაროს იმპერატივს, რომ ხელი არ შეეწყოს ავტორიტარიზმის დაბრუნებას (ურთიერთშორის კონკურენციის პირობებშიც).

სტრუქტურული მიდგომა

ამ მიდგომის ახსნითი ფოკუსი მიმართულია *ისტორიული ცვლილების გრძელვადიან პროცესზე.* ტრანზიტული მიდგომისაგან განსხვავებით დემოკრატიზაციის პროცესი აიხსნება არა პოლიტიკური ელიტების ქმედებით, არამედ, პირველყოვლისა, *ძალაუფლების სტრუქტურების ცვლილებით.*

საბაზო წანამძღვარი სტრუქტურული მიდგომისა ისაა, რომ სპეციფიკური ურთიერთობები, ურთიერთდამოკიდებულებები ძალაუფლების ზოგიერთი სტრუქტურებისა - ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური - და ის, თუ როგორ იცვლება ისინი ისტორიულად, წარმოშობს გავლენებს და შესაძლებლობებს, რომელიც წარმართავს პოლიტიკურ ელიტებსა და სხვა აქტორებს ისტორიული ტრაექტორიით, რომელიც მიემართება ლიბერალური დემოკრატიისაკენ. სხვა ტიპის სტრუქტურული ურთიერთობები მიდის სხვა პოლიტიკური მიმართულებით. რადგან ძალაუფლების სტრუქტურები ჩვეულებრივ იცვლება თანდათანობით, გრადუალისტურად, ისტორიის განმავლობაში, ახსნაც გულისხმობს *გრძელვადიან ფაქტორებს*, და ზოგჯერ მოიცავს საუკუნეებს.

კლასიკურ საწყისად ამ მიდგომისა მიიჩნევა ბარინგტონ მურის "დიქტატურისა და დემოკრატიის სოციალური საფუძვლები" (1966). მურის მთავარი კითხვა არსებითად იყო შემდეგი: რატომ მოხდა, რომ თანდათანობითი ისტორიული ტრანსფორმაციის განმავლობაში XVII ს-იდან XX ს-ის შუამდე, როდესაც აგრარული სახოგადოებები (სადაც უმრავლესობა მოსახლეობისა ცხოვრობდა სოფლად) შეიცვალნენ თანამედროვე ინდუსტრიული სახოგადოებებით, ინგლისი, საფრანგეთი და აშშ წავიდნენ ლიბერალური დემოკრატიის პოლიტიკური ფორმის მიმართულებით, იაპონია და გერმანია ფაშიზმისაკენ, რუსეთი და ჩინეთი კომუნისტური რევოლუციებისკენ, ხოლო ინდოეთი კიდევ სხვა მიმართულებით? ბარინგტონ მურის თვალსაზრისით ამ განსხვავებებს განაპირობებდა ძალაუფლების ოთხ სტრუქტურას შორის (სამი მათგანი იყო სოციალური კლასი - გლეხობა, მიწათმფლობელები, ქალაქის ბურჟუაზია, მეოთხე - სახელმწიფო) ურთიერთდამოკიდებულებათა ცვლილების სხვადასხვა ტიპი.

ერთ-ერთი თანამედროვე ნიმუში სტრუქტურული ახსნისა არის როიშმაიერისა და სტეფენსონის "კაპიტალისტური განვითარება და დემოკრატია" (1992). ისინი ამტკიცებენ, რომ წავა თუ არა სახოგადოება ლიბერალური დემოკრატიისაკენ - ეს არსებითად დამოკიდებულია კლასთა ძალაუფლების ბალანსზე; ბრძოლა დომინანტურ და დაქვემდებარებულ კლასებს შორის მართვის უფლებისათვის წამოწევს დემოკრატიის პრობლემას სხვა ფაქტორებზე უფრო მეტად, აყენებს მას ისტორიულ დღის წესრიგში და წყვეტს დემოკრატიზაციის პერსპექტივას. გამოყოფენ ხუთ კლასს: (1) *მსხვილი მიწათმფლობელები* - ისტორიულად ყველაზე უფრო ანტიდემოკრატიული ძალა სახოგადოებაში; (2) *გლეხობა* - აგრარულ მუშაკთა და ფერმერთა ჩათვლით, რომელსაც აქვს ინტერესი დემოკრატიზაციისა, მაგრამ თავად იშვიათად მოქმედებს მის მხარდასაჭერად; (3) *ურბანული მუშათა კლასი* - იგი ისტორიულად წარმოადგენდა მთავარ ძალას, რომელიც ახორციელებდა ზეწოლას საარჩევნო უფლების გაფართოებისათვის, გაერთიანებათა, პროფკავშირული უფლებებისათვის და დემოკრატიული წინსვლის სხვა ასპექტებისათვის. კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაცია აძლიერებს მუშათა კლასს და ასუსტებს მიწათმფლობელთა კლასს, რაც ხელსაყრელია დემოკრატიისათვის. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია წარმოიშობა კაპიტალიზმის წინააღმდეგობრიობებიდან; (4) *ბურჟუაზია* - მისი როლი ნაკლებად ნათელია - იგი არ არის ისეთი ანტიდემოკრატიული, როგორც მსხვილი მიწათმფლობელები, მაგრამ არასოდეს ყოფილა გამორჩეული, როგორც ზეწოლის განმახორციელებელი ლიბერალური დემოკრატიისათვის. უეჭველია, რომ ბევრ შემთხვევაში ბურჟუაზია მხარს უჭერდა დემოკრატიის მარცხს, მისი როლი შეიძლება სხვადასხვა იყოს, რაც დამოკიდებულია მის კავშირზე, ურთიერთობებზე სხვა კლასებთან, სახელმწიფოს პოზიციასა და ძალაუფლებაზე, და საერთაშორისო ძალებზე; (5) *მომსახურეთა (salaried) და პროფესიონალთა საშუალო კლასი* - მათ ჰქონდა ასევე ორაზროვანი პოზიცია

დემოკრატიზაციის მიმართ. ის დამოკიდებული იყო კონტექსტზე. სადაც მუშათა კლასი იყო შედარებით სუსტი, საშუალო კლასი ახორციელებდა ხელმძღვანელობას დემოკრატიზაციისათვის, რათა გაეუმჯობესებინა თავისი საკუთარი პოზიცია. თუ მუშათა კლასი ძლიერი იყო, მაშინ შეიძლება სხვანაირადაც ყოფილიყო (თუმცა არა აუცილებლად).

მთავარი ზოგადი თვალსაზრისი ისაა, რომ არც ერთი ცალკეული კლასის პოზიციის განხილვა არ შეიძლება სხვებისგან იზოლირებულად, და რომ კაპიტალისტური განვითარება ცვლის კლასობრივ კავშირებს და აქედან გამომდინარე არის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი დემოკრატიული პერსპექტივისთვის.

სახელმწიფო ძალაუფლების ფორმისა და სტრუქტურის ცვლილება დემოკრატიზაციისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობისა იყო. დემოკრატიზაციას ჰქონდა მეტი შანსი მაშინ, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლება იყო საშუალო სიძლიერისა - არც ძალიან ძლიერი და არც ძალიან სუსტი. აგრეთვე კაპიტალისტურმა განვითარებამ ისტორიულად წარმართა სამოქალაქო სახოვადოების წარმოშობა და განვითარება პოლიტიკური პარტიებისა, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების საპირწონისა.

რაც შეეხება პარტიებს, დომინანტური კლასები უფრო მიდრეკილნი არიან დემოკრატიისაკენ, როდესაც პარტიული სისტემა შეიცავს ძლიერ მემარჯვენე პარტიას; როდესაც ასეთი პარტია არ არსებობს ან სუსტია და მას არ შეუძლია დაიცვას მათი ინტერესები, ასეთი კლასები მზად არიან მიმართონ სამხედროებს დემოკრატიული მმართველობის აღკვეთისათვის.

ეს ავტორები აჩვენებენ აგრეთვე, *რომ ტრანსნაციონალური* ძალაუფლების ცვლილება ზემოქმედებს კლასთა ურთიერთაკავშირებზე და სახელმწიფოს ბუნების ცვლილებაზე. ასე მაგალითად: *ეკონომიკურმა დაქვემდებარებულობამ, დამოკიდებულებამ ერთი ქვეყნისა მეორეზე შეიძლება შეაფერხოს, შეაჩეროს ინდუსტრიალიზაცია და დატოვოს ან გახადოს მუშათა კლასი მცირე, და აქედან გამომდინარე შეასუსტოს პროდემოკრატიული ძალები.* ვეო-პოლიტიკური დაქვემდებარებულობა შეიძლება იყოს არახელსაყრელი დემოკრატიული კონსოლიდაციისათვის, თუ მასიური სამხედრო და ეკონომიკური დახმარება აძლიერებს სახელმწიფო აპარატს არათანაბარზომიერად (ზედმეტად) კლასობრივ ძალებთან ბალანსის მიმართებაში. საერთაშორისო დაძაბულობის შერბილებამ შეიძლება გააუმჯობესოს დემოკრატიული პერსპექტივა. ომმა (დამარცხებამაც და გამარჯვებამაც) შეიძლება გააძლიეროს კიდეც და შეასუსტოს კიდეც დემოკრატიზაციისათვის ხელსაყრელი გარემო. საერთაშორისო იდეოლოგიური და *კულტურული* დინებები, აგრეთვე, აძლიერებენ დემოკრატიზაციას.

საკონტროლო კითხვები

1. დაასახელეთ დემოკრატიზაციის პროცესის შესწავლისადმი სამი მიდგომა

2. რას ეფუძნება მოდერნიზაციული მიდგომა?
3. რაში მდგომარეობს ტრანზიტული მიდგომის არსი?
4. რაში მდგომარეობს სტრუქტურული მიდგომის არსი?
5. რა კლასებად ყოფენ საზოგადოებას როიშმაიერი და სტევენსონი?

ხაკვანძო ტერმინები და ცნებები

მოდერნიზაცია
კლასთა ბრძოლა
პოლიტიკური ლიბერალიზაცია
ლეგიტიმურობა
ბურჟუაზია
სტრუქტურა

ბიბლიოგრაფია

1. Б.Г.Капустин. Современность как предмет политической теории. - Москва, РОССПЭН, 1998.

2. А.Ю.Мельвиль. Демократические транзиты. Теоретико-методологические и прикладные аспекты. - Московский общественный научный фонд. Москва, 1999.

3. Политическая наука: новые направления (под ред. Р.Гудина и Х.-Д. Клингеманна. Научн. ред. русского издания Е.Б.Шестопал). - Вече, М.1999.

4. Д.А.Растоу. Переходы к демократии: попытка динамической модели. - "Полис", 1996, 5.

5. S. M. Lipset. *Political Man.* New York: Doubleday, 1960.

6. B.Moore. *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World.* Boston, Beacon Press, 1966.

7. ed. D.Potter, D.Goldblatt, M.Kiloh, P.Levis. *Democratization.* Polity Press, 1997.

D.Rueschemeyer, J.Stephens. *Capitalist Development and Democracy.* Cambridge, Polity Press, 1992.

§ 5. ფაქტორები, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს დემოკრატიზაციის პროცესის ინტერპრეტაციისას

დემოკრატიზაციის პროცესის ინტერპრეტაციისას მკვლევრები გამოყოფენ რიგ ფაქტორებს, რომელთაც საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება პროცესის ასსნისას და რომელთაც, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვუწოდოთ ამხსნელი ფაქტორები. შეიძლება ითქვას, რომ ამხსნელი ფაქტორები - ეს არის პირობები, სტრუქტურები და მიზეზები; შედარებითი ანალიზი გულისხმობს, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან დემოკრატიასთან, ან წარმოადგენენ მიზეზებს დემოკრატიზაციისას. სხვადასხვა თეორიებში სხვადასხვა ფაქტორებს ექცევა უპირატესი ყურადღება. ქვემოთ ჩამოთვლილია ექვსი ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს დემოკრატიზაციაზე

დემოკრატიზაციის თანამდეროვე პროცესების შესწავლის შედეგად შესაძლებელია იმ გარე ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელიც გავლენას ახდენს და ვლინდება სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიზების მცდლობებზე. მაგალითად, ანდრეი მელვილი გამოყოფს შემდეგ ფაქტორებს:

- თანამედროვე სამყაროში დემოკრატიისადმი, როგორც დეკლარირებული იდეალისადმი ნორმატიული განწყობის გავრცელება, მისი დასასვა სახოგადოებრივი გარდაქმნების სავარაუდო და სასურველ მიზნად;
- მსოფლიო არენაზე დემოკრატიული მოდელის მიმზიდველობის ზრდა როგორც დასავლური ცივილიზაციის ტიპის ფართო კულტურული გავლენის შედეგი და ამის შედეგად ავტორიტარიზმის, როგორც ეროვნული განვითარების მოდელის დელეგიტიმიზაცია;
- დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმიდნარე რეალური გაფართოება და ექსპერიმენტირება დემოკრატიულ პროცედურებსა და ინსტიტუტებთან, რომელსაც მოსდევს მნიშვნელოვანი სახოგადოებრივი შედეგები;
- ავტორიტარიზმის ეკონომიკური არაეფექტურობა, მკაფიოდ გამოვლენილი 80-90-იან წლებში, განსაკუთრებით როგორც სახოგადოებრივი მოდერნიზების ინსტრუმენტისა, რაც უარყოფს ადრე გავრცელებულ წარმოდგენებს ეკონომიკის ავტორიტარული მოდერნიზების შედეგიანობის შესახებ;

- ისეთი სპეციფიური საერთაშორისო კონტექსტის შექმნა (მათ შორის ინსტიტუციონალურისაც - ე.წ. ტრანსნაციონალური სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილის), რომელიც სპეციფიურად ხელსაყრელია ავტორიტარიზმიდან უფრო დემოკრატიულ მოდელებზე გადასვლისათვის.

ეკონომიკური განვითარება

მოდერნიზაციული მიდგომის მომხრეები უადრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კორელაციას ეკონომიკურ განვითარებასა და დემოკრატიზაციას შორის. სტრუქტურული მიდგომის მომხრეებისათვის ეკონომიკური განვითარება უპირატესად კაპიტალისტური განვითარებაა, შესაბამისი სტრუქტურებით. ტრანზიტული მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური განვითარება ეხმარება საწყის ბიძგს კონკურენტული ელიტებისა, რომელნიც დაკავებულნი არიან დემოკრატიული კომპრომისის შექმნით.

სოციალური დაყოფა

სეიმურ მარტინ ლიპსეტის მიხედვით, სოციოეკონომიკური მოდერნიზაცია ხელს უწყობს საშუალო კლასის ზრდას, რომლის ღირებულებები შეიძლება იყოს არსებითად პრო-დემოკრატიული. სტრუქტურული მიდგომის მომხრეები აღნიშნავენ, რომ კაპიტალისტური განვითარება წარმოშობს სოციალურ კლასებს, რომელთაგან ზოგიერთი (მაგ. ურბანული მუშათა კლასი) დაინტერესებულია დემოკრატიზაციით.

გადაუწყვეტელი პოლიტიკური ბრძოლა კლასებსა და ჯგუფებს შორის ლიბერალური დემოკრატიის გზახე, არის აგრეთვე ცენტრალური მნიშვნელობისა ტრანზიტულ თეორიებში. მაგრამ არც ერთი კლასი არ არის ყველგან, ყველა ქვეყანაში და დროში დემოკრატიზაციით ერთნაირად დაინტერესებული.

გარდა კლასობრივისა, არსებობს სხვა ჯგუფური დაყოფაც. მაგ.: ეთნიკური, რასობრივი, ეროობრივი, რელიგიური ან სხვა კულტურული კრიტერიუმებით. დემოკრატია ეფუძნება ხალხის სუვერენიტეტის პრინციპს და, ამდენად, „ვინ არის ხალხი" - ამის გარკვევა ფუძემდებლური მნიშვნელობისაა. როდესაც „ხალხი" ისე არის გამოჯნული ჯგუფური ანტაგონიზმით, რომ არ არსებობს ცნობიერება ერთიანი პოლიტიკური იდენტურობისა, დემოკრატია შეუძლებელად მიიჩნევა.

სოციალური დაყოფის კიდევ ერთი ფორმაა გენდერული დაყოფა, მაგრამ მიიჩნევენ რომ მას შეიძლება მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მომავალში

დემოკრატიისათვის - ისტორიულად კი იყო თითქმის უმნიშვნელო სხვა დაჯ-ოფებთან შედარებით.

სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები

სტრუქტურული მიდგომის მომხრეები აღნიშნავენ, რომ დემოკრატიზაციის ტბა მარკირებულია მკაცრი ბალანსით ძალაუფლებისა სახელმწიფოსა და შედარებით დამოუკიდებელ კლასებს შორის, და არა განსაკუთრებულად ძლიერი სახელმწიფოთი და მასზე დაქვემდებარებული კლასებით, ან სახელმწიფოთი, რომელიც თავად დამოკიდებულია უფრო ძლიერ ან უფრო ძლიერი ძალაუფლების მქონე კლასზე (მაგ. მიწათმფლობელთა კლასზე). მოდერნიზაციული მიდგომაც დემოკრატიზაციისთვის არახელსაყრელ ფაქტორად მიიჩნევს სახელმწიფოს საყოველთაო დომინირებას სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში: ასეთ ვითარებაში ეკონომიკური ზრდა შეფერხდება, რადგან ეკონომიკური კონკურენცია პრივატული სექტორიდან გაძევებულია; ჩნდება გაყალბება და ძალადობა არჩევნებისას, რადგან უზარმაზარ უპირატესობებს იღებენ ის ინდივიდები, ვინც იგებს არჩევნებს; პოლიტიკური კორუფცია და „ჩალიჩი" წინსვლის მთავარი ინსტრუმენტი ხდება; განვითარების ყველა აქტივობა გაშუალებულია და კონტროლდება სახელმწიფოს მიერ, და საზოგადოებისა და ინდივიდის წარმატება დამოკიდებული ხდება სახელმწიფოზე (შესაბამისად იზრდება უთანაბრობა და დაძაბულობა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის).

სახელმწიფო და კლასები არის მეტად განზოგადებული, აბსტრაქტული კატეგორიები, ამიტომ ავტორთა უმეტესობა აჩერებს ყურადღებას შუალედური დონის პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, როგორც ამხსნელ ფაქტორებზე (მაგ. პარლამენტი, საარჩევნო სისტემა, პარტიული სისტემის სტრუქტურა, სპეციფიკური ურთიერთობები სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტებს შორის, ურთიერთობები პროფკავშირებსა და პარტიებს შორის და სხვ.).

ინსტიტუციონალური ანალიზი არ უგულებელყოფს ძირითად პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური თეორიების უმთავრესი ობიექტია, იგი ცდილობს ახსნას, თუ როგორ ახდენენ ინსტიტუტები პოლიტიკური შედეგების ფორმირებას უფრო ფართო (სახელმწიფო - კლასების) ურთიერთობიდან გამომდინარე სხვადასხვა ქვეყნებში.

სამოქალაქო საზოგადოება

მოდერნიზაციის და ტრანზიტული მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მოძრავი და პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოება აბალანსებს სახელმწიფო ძალაუფლებას. ძლიერი, მყარი, მკვიდრი სამოქალაქო საზოგადოე-

ბა წარმოქმნის არსებით ზღუდეს ავტორიტარიზმის დაბრუნებისათვის და ხელს უწყობს ლიბერალური დემოკრატიის კონსოლიდაციასა და შენარჩუნებას. მიჩნეულია, რომ სამოქალაქო სახოგადოების „აღორძინება", აღდგენა გადამწყვეტი ფაქტორია სამხრეთ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ტრანზიტებისათვის. ეს მნიშვნელოვანი იყო სხვა რეგიონებისთვისაც - აზია, აფრიკა, აღმოსავლეთ ევროპა (სტუდენტები, ქალები, პროფკავშირები, რელიგიური ჯგუფები, ეთნიკური/ტომობრივი ჯგუფები, იურისტები და სხვა პროფესიონალები, და სხვ.). სამოქალაქო სახოგადოების ასეთი მობილიზება ხშირად იწვევდა მედიის ჩართვას, რომელიც ახორციელებს ხელოლას ავტორიტარულ სახელმწიფოზე.

სტრუქტურული მიდგომის მომხრეებიც აღნიშნავენ სამოქალაქო სახოგადოების ზრდის მნიშვნელობას სახელმწიფო აპარატის საპირწონედ. ისინი ხაზს უსვამენ აგრეთვე კაპიტალიზმის მნიშვნელობას დაბალი კლასების ორგანიზაციული შესაძლებლობების ზრდაში, რაც ცვლის კლასთა ძალაუფლების ბალანსს, თუმცა აღნიშნავენ, აგრეთვე, რომ კომპაქტური, მჭიდრო სამოქალაქო სახოგადოება აუცილებლობით არ არის პროდემოკრატიული. უფრო მეტიც, თუ მუშათა კლასი სუსტია, სამოქალაქო სახოგადოება გამოიმუშავებს შესაბამის (შესაფერის) საშუალებებს დომინანტური კლასების ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. ამდენად, მნიშვნელოვანია არა თავისთავად სამოქალაქო სახოგადოების ზრდა, არამედ მიმართება კლასობრივ ურთიერთობათა ტიპთან.

პოლიტიკური კულტურა და იდეები

მოდერნიზაციის თეორეტიკოსებისათვის ეს არის ძირითადი, ცენტრალური ამხსნელი ფაქტორი: გამოკვლევები, რომელიც სოციოლოგიურ გამოკითხვებს ეფუძნება, აჩვენებს მყარ სტატისტიკურ კავშირს მოსახლეობის მაღალი განათლების დონესა (დემოკრატიზაციის შედეგი) და მონაწილეობას, ზომიერებასა და ტოლერანტობას შორის. სტრუქტურული თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა უფრო მეტად შედეგია დემოკრატიზაციისა, ვიდრე მიზეზი. ტრანზიტოლოგებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური კულტურის იგნორირების ტენდენცია: ისინი მიიჩნევენ, რომ გადასვლა ლიბერალურ დემოკრატიაზე გამოწვეულია უპირატესად პოლიტიკური ელიტების სარგებლიანობაზე ორიენტირებული, ანგარიშიანი ქცევით კონფლიქტში, და არა ღირებულებრივი, კულტურული ორიენტირებით.

ტრანსნაციონალური და ინტერნაციონალური ფაქტორები

დემოკრატიზაციის ახსნა მოითხოვს ყურადღების გამახვილებას როგორც ინტერნაციონალურ, ასევე ტრანსნაციონალურ ფაქტორებზე. ინტერნაციონალური ურთიერთქმედებები - ეს არის სამხედრო ალიანსები, ომები, დიპლო-

მატიური ურთიერთობები, სამთავრობთაშორისი ინსტიტუტების ურთიერთქმედება (მაგ. გაერო, მსოფლიო ბანკი და სხვ.). ტრანსნაციონალური ურთიერთობები - ეს არის გლობალური საზოგადოებათშორისი (საზოგადოება-საზოგადოება) ურთიერთობები, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელნი სახელმწიფოს კონტროლისაგან. ეს მოიცავს გლობალურ, რეგიონალურ, ნაციონალურ და ლოკალურ სხვადასხვა სახის ურთიერთობებს პოლიტიკური სივრცეებისა - მაგ.: გლობალური ეკონომიკური და ფინანსური პროცესები, შრომის გლობალური დაყოფა, გლობალური მედია, გლობალური კომუნიკაციური ქსელი და სხვ.

საკონტროლო კითხვები

1. რომელია დემოკრატიზაციის პროცესის ძირითადი ფაქტორები?
2. რით განსხვავდება ეკონომიკური განვითარების ფაქტორი სოციალური დაყოფის ფაქტორისაგან?
3. რატომ წარმოადგენს პოლიტიკური კულტურა დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს?
4. რა თავისებურებით გამოირჩევა ტრანსნაციონალური და ინტერნაციონალური ფაქტორები?
5. რა როლი აკისრიათ სახელმწიფოსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს დემოკრატიზაციის პროცესში?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

გლობალიზაცია
ინტერნაციონალიზაცია
პლურალისტური საზოგადოება
პოლიტიკური ინსტიტუტი

ბიბლიოგრაფია

1. А.Ю. Мельвиль. Опыт Теоретико - методологического синтеза структурного и процедурного подходов к демократическим транзитам. - "Полис", 2, 1998.
2. R. Fine. *Civil Society Theory. Enlightment and Critique.* Democratization, v.4, N.1, 1997.
3. D. Held. *Democracy and the Global Order, From the Modern State to Cosmopolitan Governance.* Polity Press, 1997.
4. ed. by B. Holden. *Global Democracy. Key Debates.* Routledge, 2000 .
5. S. M. Lipset. *Political Man.* New York: Doubleday, 1960.
6. ed. D. Potter, D.Goldblatt, M.Kiloh, P.Levis. *Democratization.* Polity Press, 1997.
7. A.Przeworski, L.Fernando. *Modernization, Theories and Facts.* World Politics. Jan/1997.

II დემოკრატიზაციის პროცესი, როგორც ტრანზიტი, ანუ გადასვლა დემოკრატიაზე

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ საკ უალრესად მნიშვნელოვან მიდგომას, რომელიც, ერთი მხრივ ასახავს გარკვეულ ეტაპებს დემოკრატიზაციის პროცესების კვლევაში, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს მკვლელობებს ტრანზიტის, დემოკრატიზაციის, ანუ დემოკრატიაზე გადასვლის პროცესის ახსნისას ზოგადი და კონკრეტული ტენდენციების ურთიერთდაკავშირებისა.

§ 1. დინამიკური მოდელი

1970 წელს ჟურნალში „Comparative Politics" დანკვარტ რასტოუს გამოქვეყნებული სტატია „დემოკრატიაზე გადასვლები" იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად, რომელიც გახდა საფუძველი ტრანზიტოლოგიური კვლევების გაღრმავებისა და ფართოდ გაშლისა. ყურადღების ფოკუსირება რასტოუმ მოახდინა პროცესზე, დინამიკაზე, ეტაპებზე და პროცედურებზე, რომელიც ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს დემოკრატიზაციისას.

რასტოუს თეორიის მიხედვით, დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ეროვნული ერთობის არსებობა. ეს ნიშნავს, რომ პოტენციური დემოკრატიის მოქალაქეთა მნიშვნელოვან, დიდ უმრავლესობას არა აქვს არავითარი ეჭვი და/ან არ ორჭოფობს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ პოლიტიკურ ერთობას მიეკუთვნება იგი. დემოკრატია - ეს არის სისტემა დროებითი უმრავლესობის მმართველობისა. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მმართველთა შემადგენლობისა და პოლიტიკური კურსის თავისუფალი ცვლა, სახელმწიფოს საზღვრები მყარი უნდა იყოს, ხოლო მოქალაქეთა შემადგენლობა - მუდმივი: ხალხს არ შეუძლია გადაწყვიტოს, ვიდრე არ გადაწყვეტილა, ვინ არის ხალხი.

ეროვნული ერთობა დასახელებულია დემოკრატიზაციის წინაპირობად იმ აზრით, რომ იგი წინ უნდა უსწრებდეს პროცესის სხვა სტადიებს, თუმცა არა აქვს მნიშვნელობა ამ ერთობის შექმნის კონკრეტულ დროს.

ეს წინაპირობა დემოკრატიაზე გადასვლისა ყველაზე სრულად რეალიზდება მაშინ, როდესაც ეროვნული ერთობა აღიარებულია არაგაკნობიერებ-

ულად, როდესაც ის მიღებულია „ჩუმად", როგორც ისეთი რამ, რაც თავისთავად იგულისხმება. ნაციონალისტური რიტორიკა ხშირად გაისმის მათგან, ვინც ყველაზე ნაკლებად არის დარწმუნებული თავისი ეროვნული იდენტურობის გრძნობაში.

საკუთრივ დემოკრატიზაციის პროცესი მოიცავს სამ ფაზას.

მოსამზადებელი ფაზა - ზემოთნახსენები წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, დემოკრატიზაციის პროცესი ილებს ბიძგს ხანგრძლივი და უშედეგო ბრძოლის მეშვეობით. იმისთვის, რომ პოლიტიკურმა ბრძოლამ მიიღოს ხსენებული თვისებები, მისი მონაწილენი უნდა წარმოადგენდნენ მყარ საზოგადოებრივ ძალებს, ჩვეულებრივ, სოციალურ კლასებს. ხოლო საკითხებს, რომელთა გარშემოც მიმდინარეობს ბრძოლა, მხარეთათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. ასეთი ბრძოლა, უფრო ხშირად, იწყება ახალი ელიტების გამოჩენასთან ერთად, რომელნიც წარუძღვებიან აღმდგარი, ადრე ჩაგრული და ხელმძღვანელობაში არამონაწილე სოციალური ჯგუფების შეთანხმებულ ქმედებებს.

საკითხთა წრე და ძალთა შემადგენლობა შეიძლება განსხვავდებოდეს მნიშვნელოვნად სხვადასხვა შემთხვევებში: ეს შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური ფაქტორები (ხშირად სწორედ ასეა), ასევე ნაციონალური, კონფესიური თუ სხვა. ისტორიულად დემოკრატია არ იყო პირველსაწყისი, ძირითადი მიზანი ბრძოლისა, მას მიმართავდნენ როგორც საშუალებას რაიმე სხვა მიზნის მისაღწევად; ან ის მიიღებოდა როგორც ბრძოლის ირიბი შედეგი, პროდუქტი. ბრძოლის გზები სულ სხვადასხვა იყო. მსოფლიოში არ არსებობს ორი დემოკრატია, რომელთაც გაიარეს ერთი გზა, სადაც იბრძოდნენ ერთი და იგივე ძალები, ერთი და იგივე საკითხების თაობაზე და მიღებულ იქნა ერთი და იგივე ინსტიტუციონალური შედეგები. ძნელი წარმოსადგენია, რომ მომავალშიც, რომელიმე დემოკრატიამ ზუსტად გაიმეოროს უკვე განვლილი გზა.

განმასხვავებელი ნიშანი მოსამზადებელი ფაზისა ძალთა პოლარიზაციაა და არა პლურალიზმი. თუმცა საზოგადოების განხეთქილებას აქვს ეროვნული ერთობის მოთხოვნით განპირობებული საზღვრები.

მაგრამ ეს პირობები ყველა შემთხვევაში არ იძლევა დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელების გარანტიას. ბრძოლა შეიძლება გაგრძელდეს იმ დრომდე, ვიდრე მხარეები არ დაიღლებიან, საკითხები არ დაკარგავს თავის აქტუალობას და პროცესის მიმდინარეობისას არ წარმოიშობა დემოკრატიული გადაწყვეტა; ან, ერთ-ერთმა ჯგუფმა შეიძლება მოახერხოს ოპონენტის განადგურება. ამგვარად, პროცესი შეიძლება შეჩერდეს და ეს ყველაზე ადვილად შესაძლოა მოხდეს მოსამზადებელ ფაზაზე.

გადაწყვეტილების მიღების ფაზა - გადაწყვეტილება გულისხმობს არჩევანს, და თუმცა დემოკრატიის სასარგებლოდ არჩევანი არ შეიძლება გაკეთდეს თუ არ არის შესრულებული წინაპირობა და არ განხორციელებულა მოსამზადებელი ფაზა, ეს ყველა შემთხვევაში რეალური არჩევანია, რომელიც

ავტომატურად არ გამომდინარეობს ხსენებული წინაპირობებიდან. გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება იყოს რბილი ავტოკრატია, ან უცხოური ბატონობა, ან დიქტატურა ან სხვა. შეიძლება გაგრძელდეს მოსამზადებელი ფაზაც.

დემოკრატიის სასარგებლოდ გადაწყვეტილება წარმოიქმნება რამდენიმე ძალის ურთიერთქმედების შედეგად. რამდენადაც შეთანხმების პირობები მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს და ვინმემ უნდა აიღოს საკუთარ თავზე რისკი მომავალ მოსალოდნელ შედეგებზე, აქ არაპროპორციულად დიდ როლს თამაშობს პოლიტიკურ ლიდერთა ვიწრო წრე. მოლაპარაკებათა პოტენციური მონაწილენი არიან აგრეთვე ჯგუფები, რომელნიც გამოეყვნენ ძირითად მებრძოლ მხარეებს, ან ახლად გამოვიდნენ პოლიტიკურ სცენაზე.

ყველა შემთხვევაში დემოკრატია გაცნობიერებული გადაწყვეტილების შედეგია, რომელიც მიიღება, სულ მცირე, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან: დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღება, გარკვეული აზრით, უნდა განვიხილოთ, როგორც გაცნობიერებული, ლიად გამოხატული კონსენსუსის აქტი, რომელიც აუცილებლობით მოიცავს კომპრომისს. მაგრამ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დემოკრატია შეიძლება იყოს ირიბი შედეგი ბრძოლისა და არა წინასწარი მიზანი: გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე მნიშვნელობა აქვს არა იმ ღირებულებებს, რომელთაც აბსტრაქტულად აღიარებენ ლიდერები, არამედ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმისთვისაც ისინი მზად არიან. ამავე დროს, გადაწყვეტილება, რომელიც შემუშავებულია ლიდერთა მიერ, სრულიადაც არ არის საყოველთაო. იგი გადატანილი უნდა იქნეს პროფესიონალ პოლიტიკოსთა და მთელი მოსახლეობის დონეზე, რაც მოდელის ბოლო ფაზის არსს წარმოადგენს.

მიზეზის ფაზა - დემოკრატია განსაზღვრების მიხედვით, კონკურენტული პროცესია, და ამ პროცესში უპირატესობას იღებენ ისინი, ვისაც შეუძლია ახალი სისტემისადმი თავისი ადეკვატობის რაციონალიზება, ან მეტიც - ვისაც აქვს რწმენა სისტემისა. მაგრამ პოლიტიკა არ არის მხოლოდ კონკურენტული ბრძოლა სამთავრობო თანამდებობებისათვის. ესაა პროცესი, მიმართული შიდაჯგუფური კონფლიქტების გადაწყვეტისკენაც, კონფლიქტებისა, რომელიც განპირობებულია ინტერესთა შეჯახებით და უკავშირდება სკეპტიკიზმს. ხვალინდელი დღის თაობაზე. ახალი პოლიტიკური რეჟიმი ახალი პოლიტიკური რეცეპტია უცნობ სამყაროში ერთობლივი გარღვევის განხორციელებისა. და რამდენადაც დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მრავალმხრივი განხილვა-მოლაპარაკებების პრაქტიკა, სწორედ ამ სისტემისათვის არის ყველაზე მეტად დამახასიათებელი გახვითარება ცდათა და შეცდომათა მეთოდით, სწავლა საკუთარ გამოცდილებაზე. პირველი დიდი კომპრომისი, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება დემოკრატია, თუ ის საერთოდ აღმოჩნდება სიცოცხლისუნარიანი, თავისთავად არის საბუთი შერიგება-შეთანხმებისა და ურთიერთდათმობის პრინციპების ეფექტურობისა. ეს წარმატება უბიძგებს მოპაექრე ძალებს და

პოლიტიკურ ლიდერებს სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დემოკრატიული გადაწყვეტისაკენ. აშკარა წარუმატებლობა რომელიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტაში, დარტყმის ქვეშ აყენებს დემოკრატიის მომავალს. ხოლო, როდესაც მსგავსი წარუმატებლობა მიჩვევის სტადიის დასაწყისში ხდება, შედეგები შეიძლება საბედისწერო იყოს.

ყველაზე დიდი პრობლემები დემოკრატიას ხვდება ერთობის პრობლემათა გადაწყვეტისას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ეროვნული ერთობის, როგორც წინაპირობის მნიშვნელობას.

დემოკრატიისადმი ნდობა გაიზრდება განსაკუთრებით სწრაფად, თუ ახალი რეჟიმის არსებობის პირველივე ათწლეულებში სახელმწიფო საქმეების მართვაში შეძლებს მონაწილეობის მიღებას პოლიტიკურ მიმართულებათა ფართო სპექტრი - ან სხვადასხვაგვარ კოალიციებში გაერთიანების ჭრით, ან პერიოდულად მთავრობისა და ოპოზიციის როლის შეცვლის მეშვეობით. ამავე დროს, დემოკრატიის მექანიზმთა და ხელმძღვანელობის რეკრუტირების კონკურენტული პირობების გამოყენება განამტკიცებს პოლიტიკოსებს დემოკრატიულ ჩვევებსა და რწმენაში. ეფექტური პარტიული ორგანიზაციების წარმოქმნა კი დააკავშირებს დედაქალაქის პოლიტიკოსებს მთელი ქვეყნის ელექტორალურ მასებთან, რის შედეგადაც სისტემას უერთდება მთელი მოსახლეობა. მაგრამ, შეიძლება მოხდეს ისე, რომ კონფლიქტის ფაზაში არ წარმოიშვას პარტიები, რომელთაც ექნებათ რეალური მასობრივი ბაზა, და ელექტორატის გაფართოება იქნება შეზღუდული. მაგრამ პოლიტიკური სიტემის ნაწილობრივი დემოკრატიზაციის ასეთ ვითარებაშიც, შეიძლება ამოქმედდნენ კონკურენციის მამოძრავებელი ძალები, რომელთაც შეიძლება პროცესი დასრულებამდე მიიყვანონ. თავად საპარლამენტო პარტიები, მომავალ პარლამენტში თავისი ჯგუფების გაზრდისა და გაძლიერებისათვის, დაიწყებენ ამომრჩეველთა ორგანიზებისა და მათი მხარდაჭერის მოპოვებისათვის მუშაობას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ რასტოუს მოდელი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: 1. უნდა არსებობდეს ეროვნული ერთობის განცდა; 2. უნდა არსებობდეს მყარი და სერიოზული კონფლიქტი; 3. აუცილებელია დემოკრატიული პროცედურების ვაცნობიერებული არჩევანი; და 4. პოლიტიკოსები და ელექტორატი უნდა მიეჩვიონ ახალ წესებს.

მოდელიდან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ ხსენებული კომპონენტები უნდა ჩამოყალიბდნენ ცალ-ცალკე, რიგის მიხედვით. ყველა ამოცანას აქვს თავისი ლოგიკა და ჰყავს თავისი ბუნებრივი პროტაგონისტები: ადმინისტრატორთა ქსელი და/ან ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის ჯგუფი - ეროვნული გაერთიანების ამოცანისათვის; დაბალი კლასების მასობრივი მოძრაობა, რომელსაც შესაძლოა ხელმძღვანელობდნენ ზედა ფენების განსხვავებულად მოაზროვნე წარმომადგენლები - მოსამზადებელი ბრძოლის ფაზაში; პოლიტიკურ ლიდერთა ვიწრო წრე, დახელოვნებული მოლაპარაკებათა წარმართვასა და კომპრომისთა მიღწევაში - დემოკრატიული ნორმების

ჩამოყალიბებისას; სხვადასხვა ტიპის ორგანიზატორები და ორგანიზაციები - მიჩვევის სტადიაზე.

რაც შეეხება კონსენსუსს ფუნდამენტურ პრინციპთა შესახებ - ეს არ შეიძლება იყოს დემოკრატიის წინაპირობა. თუ ადამიანები არ იმყოფებიან კონფლიქტის ვითარებაში პრინციპული საკითხების გამო, მათ საერთოდ არ სჭირდებათ რთული დემოკრატიული მექანიზმების გამოგონება კონფლიქტის გადაწყვეტისათვის. წარმოდგენილ მოდელს გადაჰყავს კონსენსუსის სხვადასხვა ასპექტები სტატიკური წინაპირობების კატეგორიიდან, პროცესის აქტიურ ელემენტთა კატეგორიაში.

დემოკრატიის საფუძველი არის არა მაქსიმალური კონსენსუსი, არამედ ეიწრო, დახვეწილი, სიფრთხილეა ზღვარი თავსმოხვეულ ერთსახოვნებასა (რომელიც მიგვიყვანს რაიმეგვარ ტირანიამდე) და შეურიგებელ ბრძოლას (რომელიც დაანგრევს ერთობას სამოქალაქო ომის ან სეცესიის მეშვეობით) შორის.

საკონტროლო კითხვები

1. რა არის დემოკრატიაზე გადასვლის დინამიკური მოდელის არსი?
2. დაასახელეთ ოთხი კომპონენტი, რომლებიც რასტოუს თვალსაზრისით აუცილებელია დემოკრატიაზე გადასასვლელად.
3. აღწერეთ, თუ რა ხდება დემოკრატიზაციის პროცესის თითოეული ფაზის დროს.

საკვანძო ტერმინები და ცნებები

დინამიკური მოდელი
ეროვნული ერთობა
სოციალური კლასი
ძალთა პოლარიზაცია
დემოკრატიზაციის ფაზები

ბიბლიოგრაფია

1. А.Ю.Мельвиль. Опыт Теоретико - методологического синтеза структурного и процедурного подходов к демократическим транзитам. - "Полис", 2, 1998.
2. Д.А.Растоу. Переходы к демократии: попытка динамической модели. - "Полис", 5, 1996.
3. О.Г.Харитонова. Генезис демократии (попытка реконструкции логики транзитологических моделей). - "Полис", 5, 1996.

§ 2. ავტორიტარული რეჟიმის ლიბერალიზაცია და ძირითად პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედება დემოკრატიზაციის პროცესში

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ დემოკრატიზაციის პროცესის ახსნის იმ მიდგომაზე, რომელიც უპირატესად ჩამოყალიბდა დემოკრატიზაციის თანამედროვე პროცესების, ე.წ. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის კვლევისას (განსაკუთრებით ლათინური ამერიკისა და სამხრეთ ევროპის ქვყნების), მაგრამ თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამოყენებადი და პროდუქტიულია საზოგადოდ დემოკრატიული ტრანზიტის შესწავლისათის.

ეს მიდგომა, რომელიც გარკვეულწილად ეყრდნობა თამაშთა თეორიის პრინციპებს, ცდილობს ჩამოაყალიბოს ზოგადი ტენდენციები და კანონზომიერებები, ალტერნატივები, რომელიც დამახასიათებელია ავტორიტარული (ან დიქტატორული) რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის პროცესისათვის საზოგადოდ, დამოუკიდებლად კონკრეტული ვითარებისა და კონტექსტისაგან სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში.

ლიბერალიზაცია

დიქტატურა, და მნიშვნელოვნად, ავტორიტარიზმიც, ვერ ითმენს დამოუკიდებელ ორგანიზაციებს. საქმე ისაა, რომ როდესაც არ არსებობს „კოლექტიური ალტერნატივა" (ან ალტერნატივები), ცალკეული პირების დამოკიდებულება არსებული რეჟიმისადმი ნაკლებად ზემოქმედებს, ნაკლებად ახდენს გავლენას მის სტაბილურობაზე. სწორედ ამიტომ რეჟიმის დაცემის ახსნა ლეგიტიმურობის ტერმინებით ან ტავტოლოგიურია, ან მცდარი. ზოგიერთი ავტორიტარული რეჟიმი უკანონო იყო დამყარებისთანავე, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის გაეძლო 40 და მეტი წელიწადი. ძნელი სათქმელია, განწყობათა ცვლილება რა ხერხით ხდება ლიბერალიზაციის დაწყებამდე და რა ხერხით - მის (ე.ი. ლიბერალიზაციის) შედეგად.

ჯერ კიდევ მაქს ვებერი აღნიშნავდა, რომ ადამიანები ხდებიან მორჩილნი, ანუ ქედს იხრიან მისაღები ალტერნატივის არ არსებობის პირობებში, და ამ შემთხვევაში ცალკეული პიროვნება ვრძნობს თავს სუსტად და უსუსურად. ავტორიტარულ რეჟიმებს ემუქრებათ არა მარტო ლეგიტიმურ-

რობის დარღვევა, ანუ კრიზისი, არამედ კონტრჰეგემონიის ორგანიზაცია: ალტერნატიული მომავლის კოლექტიური პროექტები. მხოლოდ კოლექტიური ალტერნატივის (ან ალტერნატივების) არსებობა აძლევს ცალკეულ პიროვნებას პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობას. ამიტომაც, ავტორიტარული რეჟიმები ცდილობენ ან დაუმორჩილონ დამოუკიდებელი ორგანიზაციები კონტროლს, ან ძალით გაანადგურონ ისინი.

გარკვეულ მომენტში ავტორიტარული ინსტიტუტის ერთი ჯგუფი აღლენს მომთმენობას სამოქალაქო საზოგადოების რომელიმე დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიმართ. ეს არის დასტური ბზარის გაჩენისა ავტორიტარული ძალაუფლების მონოლითურ ბლოკში; ეს აჩვენებს საზოგადოებას, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი ფორმები დამოუკიდებელი ორგანიზაციებისა არ იქნება დათრგუნულნი. ეს არის ნიშნები ლიბერალიზაციის დაწყებისა.

ასეთი გადაწყვეტილებების ახსნა შეიძლება ორგვარად: „ზემოდან" და „ქვემოდან", და ეს მოდელები ლიბერალიზაციის პროცესის ახსნისას ხშირად მეტოქეობს.

ლიბერალიზაცია - შედეგია ურთიერთქმედებისა ავტორიტარული რეჟიმის შიგნით წარმოშობილ უთანხმოებებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობად დამოუკიდებელ ორგანიზაციებს შორის. მასობრივი მოძრაობა მიანიშნებს პოტენციურ ლიბერალიზატორებს, რომ შესაძლოა ალიანსი, რომელმაც შეიძლება შეცვალოს ძალთა განლაგება ხელმძღვანელობაში; და, პირიქით, უთანხმოებები ხელმძღვანელობაში მიუთითებენ სამოქალაქო საზოგადოებას, რომ პოლიტიკური სივრცე ღიაა მასში დამოუკიდებელ ორგანიზაციათა შესასვლელად. ამდენად, მასობრივი მოძრაობა და უთანხმოებები ხელმძღვანელობაში კვებავს ურთიერთს.

გარკვეულ მომენტში სამოქალაქო საზოგადოება „იწყებს მობილიზებას", იწყებს ფორმირებას ორგანიზაციები, რომელნიც აცხადებენ დამოუკიდებლობას რეჟიმისაგან, აცხადებენ საკუთარ მიზნებს, ინტერესებსა და პროექტებს. მაგრამ ცენტრალიზებული, კონკურენციის გარეთ მდგომი რეჟიმის ინსტიტუტები ახდენენ მხოლოდ იმ ჯგუფთა ინკორპორირებას, რომელნიც მას (რეჟიმს) აღიარებენ და ახდენენ ნებისმიერი პოლიტიკური პროცესების შედეგების კონტროლირებას ეხ პოსტ. ამგვარად, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებაში წარმოიქმნება დამოუკიდებელი ორგანიზაციები, მეორე მხრივ - არ არსებობს ინსტიტუტები, სადაც ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიცვან თავისი შესედულებები და ინტერესები. ამ მიზეზის გამო - ერთადერთი ადგილი, სადაც ახლად ორგანიზებულ ჯგუფებს შეუძლიათ იბრძოლონ თავისი ღირებულებებისა და ინტერესებისათვის, ხდება ქუჩა. ბრძოლა გარდუვალად იღებს მასობრივ ხასიათს. ასეთ შემთხვევაში ლიბერალიზაციის გაგრძელება შეუძლებელი ხდება. რამდენადაც ლიბერალიზაცია ყოველთვის გულისხმობს კონტროლს ზემოდან, დამოუკიდებელ ორგანიზაციათა წარმოქმნა ადასტურებს, რომ ლიბერალიზაცია აღარ წარმოადგენს სიცოცხლისუნარიან პროექტს. მასობრივი გამოსვლები არყევენ ლიბერალიზატორთა პო-

ზიკიებს ავტორიტარულ ბლოკში. ლიბერალიზაცია ან მთავრდება, როგორც თვითკმარი პროცესი და ცალსახად: იგი ან მიდის პირქუშ პერიოდამდე, რომელსაც ფარისევლურად შეიძლება უწოდებდნენ ნორმალიზაციას, ან გრძელდება და გადადის დემოკრატიზაციაში.

ძირითად პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედება დემოკრატიზაციის პროცესში

ავტორიტარიზმიდან გამოსვლის პროცესის აღწერისას ჩვეულებრივ გამოყოფენ ოთხ პოლიტიკურ ძალას: მკაცრი ხაზის მიმდევრები და რეფორმატორები (რომლებიც შეიძლება იყვნენ და შეიძლება არ იყვნენ ლიბერალიზატორები) ავტორიტარული ბლოკის შიგნით; და ზომიერები და რადიკალები ოპოზიციაში.

ავტორიტარიზმიდან გამოსვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეფორმატორებსა და ზომიერებს შორის ურთიერთგაგების შედეგად. იგი (გამოსვლა) შესაძლებელია, თუ: 1. ზომიერები და რეფორმატორები აღწევენ შეთანხმებას ინსტიტუტების შესახებ, რომელთა პირობებშიც სოციალურ ძალებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ექნებოდათ შესამჩნევი პოლიტიკური გავლენა დემოკრატიულ სისტემაში; 2. რეფორმატორებს შეუძლიათ მიაღწიონ თანხმობას მკაცრი ხაზის მიმდევრებთან ან მოახდინონ მათი ნეიტრალიზება; 3. ზომიერებს შეუძლიათ რადიკალთა კონტროლირება. ორი უკანასკნელი პირობა ლოგიკურად წინ უსწრებს პირველს, რამდენადაც განსაზღვრავენ რეფორმატორთა და ზომიერთა შესაძლო მოქმედებებს. როგორ შეთანხმებასაც არ უნდა მიაღწიონ მათ, მან (ამ შეთანხმებამ) უნდა უბიძგოს მკაცრი ხაზის მიმდევრებს იმოქმედონ რეფორმატორებთან ერთად და შეაკავონ რადიკალები.

როდის შეიძლება იქნეს მიღწეული შეთანხმება? რეფორმატორები დგანან სტრატეგიული არჩევანის წინაშე. მათ უნდა გადაწყვიტონ: ან შეინარჩუნონ ავტორიტარული ალიანსი მკაცრი ხაზის მიმდევრებთან, ან უნდა მიისწრაფოდნენ ზომიერებთან დემოკრატიული კავშირისაკენ. ზომიერებს თავის მხრივ შეუძლიათ შევიდნენ კავშირში რადიკალებთან და მიისწრაფოდნენ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალთა სრული განადგურებისაკენ (დანგრევისკენ), ან დაიწყონ მოლაპარაკებები რეფორმატორებთან და მიისწრაფოდნენ დახავებისაკენ.

თუ რეფორმატორები გაერთიანდებიან მკაცრი ხაზის მიმდევრებთან, ხოლო ზომიერები - რადიკალებთან, ყალიბდება ორი ოპოზიციური კოალიცია, რომელიც ებმება ერთმანეთთან ორთაბრძოლაში. თუ რეფორმატორები და ზომიერები ამყარებენ კავშირს ერთმანეთთან, შედეგად მიიღება დემოკრატია გარანტიებით. თუ ზომიერები შედიან ალიანსში რადიკალებთან, ხოლო რეფორმატორები - ზომიერებთან, მაშინ რეფორმატორები იღებენ დემოკრატიას გარანტიების გარეშე, რომელიც წარმოიშობა კოალიციიდან „რადი-

ალები - ზომიერები". თუ რეფორმატორები ერთიანდებიან მკაცრი ხაზის მიმდევრებთან, ხოლო ზომიერები - რეფორმატორებთან, ზომიერები იღებენ ლიბერალიზაციას.

დემოკრატია ყალიბდება, თუ კონფლიქტში ჩართული პოლიტიკური ძალები მოლაპარაკებენ და შეთანხმდებიან ინსტიტუციონალური სტრუქტურის შესახებ, რომელიც უშვებს ღია, თუნდაც შეზღუდულ, მეტოქეობას, და თუ ეს სტრუქტურა წარმოშობს გრძელვადიან თანხმობას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გადასვლა დემოკრატიაზე ხორციელდება მოლაპარაკებათა ფაზით, მეშვეობით: ზოგ შემთხვევაში ძველი რეჟიმის წარმომადგენლებთან, ხოლო სხვა შემთხვევაში - თავად *პროტოდემოკრატიულ* ძალებს შორის, რომელნიც ქმნიან ახალ სისტემას. მოლაპარაკებები არ არის აუცილებელი რეჟიმიდან გამოსვლისას, მაგრამ აუცილებელია დემოკრატიულ ინსტიტუტთა კონსტიტუირებისას. შეუძლებელია დემოკრატიის წინასწარ განსახღვრა: იგი წარმოიმობა ქმნადობა-ურთიერთქმედების და მოლაპარაკებების პროცესში.

ჯგუფები, რომლებიც შედიან კონფლიქტში დემოკრატიულ ინსტიტუტთა არჩევანის გარშემო, ეჯახებიან სამ საერთო პრობლემას: შინაარსი versus პროცედურა, შეთანხმება versus მეტოქეობა, მაჟორიტარული სისტემა versus კონსტიტუციონალიზმი.

მონაწილეებისათვის ცნობილია ძალთა თანაფარდობა იმ მომენტში, როდესაც მიიღება ინსტიტუციონალური სტრუქტურა, და ეს შეფარდება შეიძლება იყოს არაწონასწორი ან წონასწორი. ამ პირობათა შესაბამისად მიიღება ინსტიტუტთა განსახღვრული ტიპები, და შემდეგ ეს პირობები განსახღვრავენ რამდენად სტაბილურნი აღმოჩნდებიან ეს ინსტიტუტები.

I. ძალთა შეფარდება ცნობილია და არათანასწორი. ასეთ ვითარებაში ინსტიტუტები გამოიჭრებიან კონკრეტული პიროვნების, კონკრეტული პარტიისა, ან კონკრეტული ალიანსის თარგზე. ასეთ ვითარებაში ხშირად შეიძლება შეიკვალოს ინსტიტუტები და მთლიანად კონსტიტუციები. ახალი ინსტიტუტები ჩაიფიქრება, იქმნება, რათა მოხდეს ძალთა ახალი შეფარდების კონსოლიდირება. ფესვები და როლი ასეთი ინსტიტუტებისა კარგად წარმოჩინდება საფრანგეთის სახასიათო მაგალითზე: ფრანგებს არ სჯეროდათ რეჟიმთა სიცოცხლისუნარიანობისა - მათი კონსტიტუციები ხომ თითქმის პერიოდულ გამოცემათა სიხშირით გამოდიოდა - და კონსტიტუცია როგორც ასეთი არ სარგებლობდა არავითარი ავტორიტეტით. ყოველი დოკუმენტი განიხილებოდა როგორც შეთანხმება, რომელიც განამტკიცებდა ძალაუფლების დროებით განაწილებას (ან გადანაწილებას). არ იყო რა ფუძემდებლური და ნეიტრალური, დოკუმენტი მიიჩნეოდა მხოლოდ პროცედურულ საშუალებად, რომელიც შეიცავდა ფორმალურ პირობებს, რომელთა შესაბამისადაც მთავრობას საშუალება ეძლეოდა ემართა.

კონსტიტუციები, რომელიც განამტკიცებს ძალთა არსებულ შეფარდებას, მყარი და მტკიცეა იმ დრომდე, ვიდრე შენარჩუნდება ეს თანაფარდობა.

II. ძალთა თანაფარდობა ცნობილია და წონასწორი. ამ შემთხვევაში გარემოებათა ერთობლიობა ბევრად უფრო რთულია. ასეთ ვითარებაში, როდესაც კონფლიქტში ჩართული პოლიტიკური ძალები სხვადასხვაგვარად ხედავენ სახოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფუძეს, სიტუაცია შეიძლება ვერ დაბალანსდეს სტრატეგიული საშუალებებით და ერთ-ერთი საგარაუდო შედეგი შეიძლება იყოს სამოქალაქო ომი.

კონფლიქტის, სამოქალაქო ომის პერსპექტივა, რომელიც შეიძლება თაობათა ცხოვრების მანძილზე გაგრძელდეს, რასაკვირველია, მიმზიდველი არაა (არავისთვის). ამიტომაც, პოლიტიკური ძალები იძულებულნი არიან მიიღონ რაციონალური ინსტიტუციონალური სტრუქტურა - ნებისმიერი სტრუქტურა, როგორც დროებითი გადაწყვეტა. ზოგჯერ ასეთი გადაწყვეტილებები დროებით ამცირებს კონფლიქტის ინტენსიურობას, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ასე მიღებული კონსტიტუციები არ შესრულდება. ბრაზილიის ახლანდელი პრეზიდენტი, ცნობილი მეცნიერი ფერნანდო კარდოზო წერდა, რომ „კონსტიტუციის სტატიით (მუხლით) შეუძლებელია აიკილო სახელმწიფო გადატრიალება". ქაოსი ყველასათვის მიუღებელია, იგი შეიძლება მივიდეს სამოქალაქო ომამდე და ამიტომაც, როდესაც კონფლიქტი რთულდება, მარტივ გადაწყვეტილებამდე მისვლის მცდელობა ძლიერდება: ყველაზე ხშირია ან საკუთარი, ან სხვა ქვეყნის ეამოცდილების გაზიარება.

თამაშთა თეორიის თვალსაზრისით, კონფლიქტის სიტუაციაში კოორდინაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები არასტაბილურია, თუმცა ზოგჯერ, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება, ისინი ქმედითი ხდება. ზოგჯერ ინსტიტუტები შენარჩუნდება იმიტომ, რომ არსებობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში: ცვლილებები ძვირი ჯდება.

III. ძალთა თანაფარდობა უცნობია. დავუშვათ, რომ ქვეყანა გამოდის ავტორიტარული მმართველობის ხანგრძლივი პერიოდიდან და არავინ იცის როგორი იქნება ძალთა თანაფარდობა. თუ კონსტიტუცია იწერება ამ პერიოდში, ე.ი. როდესაც ძალთა თანაფარდობა ჯერ კიდევ არ არის ნათელი და გარკვეული, ივარაუდება რომ იგი (კონსტიტუცია) ხელს შეუშლის დაბრუნებას ძველ რეჟიმთან, შეამცირებს ფსონებს და რისკს მეტოქეთა ბრძოლაში, და გარკვეულად დაახლოვებს მათ, ვინც განიცდის მარცხს; კონსტიტუცია ხელს უწყობს აგრეთვე იმას, რომ დამარცხებულებმა მიიღონ, აღიარონ დამარცხება და მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე საქმეებში.

საბოლოოდ შეიძლება გამოითქვას წინასწარი ვარაუდები:

- ინსტიტუტები, რომელიც მიიღება პერიოდში, როდესაც ძალთა თანაფარდობა უცნობია, უფრო საგარაუდოა, რომ შენარჩუნდებიან.

- ინსტიტუტები, რომელიც მიიღება როგორც დროებითი გადაწყვეტილებები იმ პერიოდში, როდესაც ცნობილია, რომ ძალთა თანაფარდობა წონასწორია და სხვადასხვა ჯგუფები აძლევენ უპირატესობას ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს, ძალა შეიძლება შეიძინოს კონვენციებმა და შეთანხ-

მებებმა, თუ ისინი შენარჩუნდებიან საკმარისად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მაგრამ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ისინი დიდხანს შენარჩუნდეს.

- ინსტიტუტები, რომელიც განამტკიცებს დროებით უპირატესობას, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ იქნება ისევე მყარი და მტკიცე, როგორც პირობები, რომელთაც თავად ინსტიტუტები წარმოქმნეს.

საკონტროლო კითხვები

1. როგორია ლიბერალიზაციის დაწყების ნიშანი?
2. როგორია სამოქალაქო საზოგადოებისა და ისტებლიშმენტის ურთიერთმიმართება ლიბერალიზაციის პროცესში?
3. რითი შეიძლება დამთავრდეს ლიბერალიზაცია?
4. რა პოლიტიკურ ძალებს გამოყოფენ ხოლმე როგორც ავტორიტარიზმიდან გამოსვლის პროცესის ძირითად მონაწილეებს?
5. ამ მონაწილეთა ურთიერთქმედების რა შემთხვევაშია შესაძლებელი ავტორიტარიზმიდან გამოსვლა?
6. ამ მონაწილეთა რა ურთიერთქმედებაა აუცილებელი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად?
7. აღწერეთ ძალთა თანაფარდობის სამი შემთხვევა

საკვანძო ტერმინები და ცნებები

ლიბერალიზაცია
დიქტატურა
ისტებლიშმენტი
სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება
მკაცრი ხაზის მიმდევრები
რეფორმატორები
ზომიერები
რადიკალები
კოალიცია
პროტოდემოკრატიული ძალები
ძალთა შეფარდება

ბიბლიოგრაფია

1. Ф.Шмиттер. Угрозы и диллемы демократии. - "Пределы власти", 1, 1994.
2. A.Przeworski. *The Games of Transition*. in: Mainwaring, S.et al. (eds). Issues in Democratic Consolidation. Notre Dame, Indiana, 1992. pp.105-52.
3. G.O'Donnell, P.C.Schmitter. *Transition from Authoritarian Rule: Tentative Conclusions about Unsertain Democracies*. Baltimore: Johns Hopkins University Press 1986.
4. A.Przeworski, et. *Sustainable Democracy*. Cambridge University Press, 1995.

§3. პოლიტიკური რეჟიმები, დემოკრატიზაცია და დემოკრატიის კონსოლიდაციის შესაძლებლობა

წინამდებარე პარაგრაფი ძირითადად ეყრდნობა ხუან ლინცის და ალფრედ სტეპანის მეთოდოლოგიურად და ფაქტობრივად უაღრესად საინტერესო ნაშრომს, რომელიც მთელი რიგი ნოვატორული იდეებისა და მიდგომების საფუძველზე განიხილავს დემოკრატიზაციის პროცესში წარმოშობილი გამოწვევებისა და პრობლემების ფართო სპექტრს, როგორც ზოგად თეორიულ ასპექტში, ასევე მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალის, შემთხვევებისა და ქვეყნების შედარებითი კვლევის ჭრილში (განსაკუთრებით სამხრეთ ევროპა, სამხრეთ ამერიკა, აღმოსავლეთ ევროპა).

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მთელი რიგი შეცდომებისა და გაუგებრობებისა, რომელთაც ხშირად შეიძლება შევხვდეთ დემოკრატიზაციის პროცესის შემსწავლელ ნაშრომებში, ლინცი და სტეპანი შეეცადნენ მკაფიოდ გამოეკვეთათ საკვლევი საგანი და შესაბამისი პრობლემატიკაც.

დემოკრატიზაცია, დემოკრატიაზე გადასვლა, დემოკრატიული გარდაქმნა ანუ ტრანზიტი სრულია, როდესაც კმარი შეთანხმებაა მიღწეული პოლიტიკური პროცედურების შესახებ - რომელიც ეხსაზღვრავს თუ როგორ ჩამოყალიბდეს არჩევითი მთავრობა; როდესაც მთავრობის მოსვლა ხელისუფლებაში არის ღია და სახალხო კენჭისყრის პირდაპირი შედეგი, როდესაც ამ მთავრობას აქვს de facto ძალაუფლება და შესაძლებლობა აწარმოოს ახალი პოლიტიკა, და როდესაც აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, ჩამოყალიბებული ახალი დემოკრატიის მიერ არ არის ვალდებული გაუნაწილოს და არც უნაწილებს ძალაუფლებას სხვა სტრუქტურებს de jure. დემოკრატიზაცია მოიცავს ლიბერალიზაციას, მაგრამ იგი უფრო ფართო და უფრო სპეციფიკური ცნებაა. ლიბერალიზაცია შეიძლება შეიცავდეს ისეთ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს, როგორიცაა: ნაკლები ცენზურა მედიაზე, სივრცის გაფართოება მუშათა კლასის ავტონომიური აქტივობის ორგანიზებისათვის, პიროვნებების უფლებათა დაცვის ზოგიერთი იურიდიული მექანიზმების შემოტანა, პოლიტპატიმრების უმეტესობის გათავისუფლება, გასახლებულთა დაბრუნება, შესაძლოა ზომები შემოსავლების განაწილების გაუმჯობესებისათვის, და რაც მთავარია ტოლერანტობა ოპოზიციისადმი. დემოკრატია აუცილებლობით მოითხოვს ღია შეჯიბრებითობას უფლებებისათვის "მოიგო" კონტროლი მთავრობაზე, ანუ გას-

დე მთავრობა. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს ღია კონკურენტული არჩევნებს, რომელთა შედეგებიც განსაზღვრავს ვინ მართავს.

თუ დაკვეყრდნობით ამ განსაზღვრებას, ცხადია, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ლიბერალიზაციას დემოკრატიზაციის გარეშე. დემოკრატიაზე გადასვლის ამგვარი დეფინიცია გვიცავს ე.წ. "მცდარი ელექტორალიზმისგან", რომელიც მიიჩნევს, რომ გამჭვირვალე არჩევნები საკმარისი პირობაა დემოკრატიისა (მაგ. შემთხვევა, როდესაც წინა პერიოდში მმართველი სამხედროები იტოვებენ პირდაპირ კონტროლს მთავრობაზე და დემოკრატიულად არჩეული მთავრობა de jure -ც არ არის სუვერენი, რაც მოხდა, მაგალითად, 80-იან წლებში გვატემალაში). მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც ასევე შეიცავს ეს დეფინიცია, არის საჭიროება შეთანხმების მიღწევისა ინსტიტუციონალურ მოწესრიგებულობაზე დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბების თაობაზე (მაგ. საარჩევნო კანონზე, სახელმწიფო მოწყობაზე და სხვ.). საკვლევით შესაძლებელია, რომ ამ საკითხებზე ბრძოლა სხვადასხვაობა ისეთი ღრმა და გადაულახავი აღმოჩნდეს, რომ კონსოლიდაციას ხელი შეუშალოს.

დემოკრატიულობის მკაფიო სტანდარტის შემოღება სასარგებლოა პოლიტიკური პოლემიკისთვისაც. ხშირად არადემოკრატიული ხელისუფლებები აცხადებენ, რომ ზოგიერთი ლიბერალური ცვლილება, რომელიც მათ შემოიტანეს, თავისთავად საკმარისია დემოკრატიისათვის. თუ შემოვილებთ ნათელ სტანდარტს, დემოკრატიული ოპოზიციისათვის ეს გააადვილებს ყურადღების გამახვილებას იმაზე, თუ რა დამატებითი ან ზოგიერთი აუცილებელი ცვლილებებია კიდევ გასაკეთებელი. განსაკუთრებით გამოსაყენებელია ასეთი სტანდარტი იმ პირობებში, როდესაც ძველი არადემოკრატიული რეჟიმი დაეცა (ან ეცემა) და ხელისუფლებაში გარდამავალი მთავრობაა. ასეთი პერიოდები ჩვეულებრივ ალსავსეა ეიფორიით, გამანადგურებელი, ძველის უარმყოფელი რეფორმებითა და დეკრეტებით. და თუ არ იარსებებს სასწრაფო ვალდებულება დემოკრატიული გადასვლისათვის საჭირო ყველა ნაბიჯის განხორციელებისა, "დროებითი" შუალედური მთავრობა შეიძლება იქცეს მუდმივად.

კონსოლიდირებული დემოკრატიის ქვეშ ივეულისხმება პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც დემოკრატია გადაქცეულია "ერთადერთ თამაშად ქალაქში", ანუ ძალაუფლებისთვის ბრძოლის ერთადერთ ზად:

- ქცევის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი ნაციონალური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ინსტიტუციონალური აქტორი არ ხარჯავს მნიშვნელოვან რესურსებს იმის ცდაში, რომ მიაღწიოს თავის მიზნებს არადემოკრატიული რეჟიმის შექმნის მეშვეობით, ან მიუბრუნდეს ძალადობას, ან უცხოურ ინტერვენციას სახელმწიფოდან გამოყოფისათვის;

- დამოკიდებულების თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სწამს, რომ დემოკრატიული პროცედურები და ინსტიტ-

უტები ყველაზე მეტად მისაღებია მათი საზოგადოების მართვისათვის და როდესაც ანტისისტემური ალტერნატივების მხარდაჭერა მეტად მცირე ან მეტ-ნაკლებად იზოლირებულია დემოკრატიული ძალებისგან;

-კონსტიტუციურად ეს ნიშნავს, რომ სამთავრობო და არასამთავრობო ძალები მზად არიან (და მათთვის ჩვეული გახდა), რომ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე კონფლიქტების გადაწყვეტა განხორციელდეს სპეციფიური კანონების, პროცედურებისა და ინსტიტუტების მეშვეობით, რომელიც სანქცირებულია ახალი დემოკრატიული პროცესის მიერ.

ზემოთმოტანილ განსაზღვრებას სისრულისთვის სჭირდება ორი აუცილებელი შენიშვნა:

1. კონსოლიდირებული დემოკრატიული რეჟიმის არსებობა არ გამორიცხავს მის დაცემას - მაგრამ თუ ეს მოხდა, ეს გამოწვეული იქნება ახალი რეალობებით და არა სისუსტითა და პრობლემებით, რომელიც სპეციფიკურია კონსოლიდირებული დემოკრატიისათვის.

2. რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი ტიპი კონსოლიდირებული დემოკრატიისა და რომ კონსოლიდირებულ დემოკრატიას არ შეუძლია გააუმჯობესოს ხარისხი.

დემოკრატიის კონსოლიდირებისთვის აუცილებელი ხუთი სფერო

ლინცი და სტეფანი გამოყოფენ შემდეგ ხუთ სფეროს, რომელთა გარეშეც ვერ მოხდება დემოკრატიის კონსოლიდირება: სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური საზოგადოება, კანონის მმართველობა, სახელმწიფო აპარატი, ეკონომიკური საზოგადოება.

1. *სამოქალაქო საზოგადოება* - ეს არის თვითორგანიზებადი ჯგუფები, მოძრაობები და ინდივიდები, შედარებით ავტონომიურნი, დამოუკიდებელნი სახელმწიფოსგან, რომელნიც ცდილობენ მოახდინონ ლირებულებათა არტიკულირება, შექმნან ასოციაციები და სოლიდარული გაერთიანებანი და წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები. სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვაგვარ სოციალურ მოძრაობებს (ქალთა ჯგუფები, სამეზობლო ასოციაციები, რელიგიური ჯგუფები, ინტელექტუალური ორგანიზაციები) და ყველა სოციალური ფენის სამოქალაქო გაერთიანებებს.

სამოქალაქო საზოგადოების იდეამ, როგორც ნორმატიულმა მისწრაფებამ და როგორც ორგანიზების სტილმა დიდი როლი შეასრულა იმოზიციის მობილიზებაში სამხედროთა ბიუროკრატიულ-ავტორიტარულ რეჟიმებთან ბრძოლაში სამხრეთ ამერიკაში, განსაკუთრებით ბრაზილიაში, და კომუნისტურ ნომენკლატურასთან დაპირისპირებაში აღმოსავლეთ ევროპაში.

რა თქმა უნდა, ამ ჯგუფების გვერდით არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელთაც შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრ-

ულონ რეჟიმისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში, მაგრამ მათ, თავისთავად არ შეუძლიათ რეჟიმის დამარცხება და დემოკრატიის დამყარება.

2. *პოლიტიკური საზოგადოება* - სპეციალურად იმისთვის ორგანიზებული პოლითეია, რომ შეჯიბრებითობის საფუძველზე მოპოვებულ იქნეს უფლება კონტროლის განხორციელებისა საჯარო ხელისუფლებასა და სახელმწიფო აპარატზე. საუკეთესო შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია დაანგრიოს არადემოკრატიული რეჟიმი. მაგრამ სრული დემოკრატიული გარდაქმნისათვის, და განსაკუთრებით დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის, საჭიროა პოლიტიკური საზოგადოების ჩართვა.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას არა მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოებების განსხვავებულობას, არამედ მათ კომპლემენტარულობას, რაც ყოველთვის არ არის აღიარებული: ხშირად ერთი განზომილება უგულებელყოფილია მეორის სასარგებლოდ. აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში არადემოკრატიულ რეჟიმებთან ბოლო ხნის ბრძოლებში ჩამოყალიბდა დისკურსი: სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს წარმოშობს პრობლემას დემოკრატიული გადასვლის პროცესში. პოლიტიკური საზოგადოების დემოკრატიული ლიდერები, საკმაოდ ხშირად, მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც შეასრულა თავისი ისტორიული როლი, უნდა იქნეს დემობილიზებული დ ადგილი დაუთმოს ჩვეულებრივი, ნორმალური დემოკრატიული პოლიტიკის განვითარებას. ზოგ შემთხვევაში ეს გამოწვეულია იმით, რომ მოძრაობები, რომელიც მოიხსენიება როგორც "სამოქალაქო საზოგადოება" სინამდვილეში წარმოადგენს არაფორმალურ პარტიებს. მაგრამ ეს ცუდი დემოკრატიული თეორია და ცუდი დემოკრატიული პოლიტიკაა: ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას, თავისი შესაძლებლობით წარმოშვას პოლიტიკური ალტერნატივები და განახორციელოს მთავრობისა და სახელმწიფოს მონიტორინგი, შეუძლია: ხელი შეუწყოს დემოკრატიზე გადასვლის დაწყებას, შეეწინააღმდეგოს უკან დაბრუნებას, დაეხმაროს გადასვლის დასრულებას, კონსოლიდირებას და დემოკრატიის გაღრმავებას. მაგრამ ამისათვის აუცილებელია გადაილახოს ცრუ დაპირისპირება სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებებს შორის. ნორმატიული პრეფერენციები და ორგანიზაციის სტილი ამ საზოგადოებებში სხვადასხვანაირია. ინსტიტუციონალური რუტინიზაცია, მოლაპარაკებები და კომპრომისები პოლიტიკაში, დაყოფა და შიდა კონფლიქტები დემოკრატიულ ძალებში ხშირად აღიქმება სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების მიერ როგორც მორალურად მათთვის მიუღებელი - არა და ეს ყველაფერი აუცილებელია დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის.

3. *კანონის მმართველობა (rule of law)* - აუცილებელია სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოებების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ის გულისხმობს, რომ ყველა მნიშვნელოვანი აქტორი - განსაკუთრებით კი მთავრობა და სახელმწიფო - პატივს სცემს და ეყრდნობა კანონის მმართველობას. კანონის მმართველობა განსახიერ-

დება კონსტიტუციონალიზმში, და მოითხოვს მეტს, ვიდრე უბრალოდ მაჟორიტარული მმართველობა: იგი მოიცავს მკაცრ კონსენსუსს და მართვის სპეციალურ "თვით-შემზღუდველ" პროცედურებს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ხმების დიდი უმრავლესობით. იგი მოითხოვს კანონთა მკაფიო იერარქიას, მათ ინტერპრეტაციას დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მიერ და მათ მხარდაჭერას მტკიცე სამართლებრივი კულტურით სამოქალაქო საზოგადოებაში.

4. *ეფექტური სახელმწიფო აპარატი*, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ფუნქციონირებას - ეს უმნიშვნელოვანესი სფერო ბევრ ქვეყანაში ძალიან სუსტია ან ფაქტიურად არ არსებობს. სხვა სირთულეებთან ერთად, პოსტკომუნისტურ სახელმწიფოში განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ პარტია და სახელმწიფო არ იყო გამოჯნული და პარტიის გაუქმებამ (ან წასვლამ ხელისუფლებიდან) გამოიწვია დეზინტეგრაცია და დელეგიტიმიზაცია სახელმწიფოსიც და სახელმწიფო აპარატისაც.

5. *ეკონომიკური საზოგადოება* - თანამედროვე კონსოლიდირებული დემოკრატია მოითხოვს სოციოპოლიტიკურ სფეროში ჩამოყალიბებული და აღიარებული ნორმების, ინსტიტუტების და რეგულაციების ქსელს, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ეკონომიკურ საზოგადოებას, რომელსაც უკავია შუალედური მდგომარეობა სახელმწიფოსა და ბაზარს შორის.

თეორიულად და ემპირიულად უალრესად მსიმვნელოვანია კარგად გავიაზროთ ორი დებულება: 1. კონსოლიდირებული დემოკრატია შეუძლებელია (არც იყო და ვერც იქნება) მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში; 2. თანამედროვე კონსოლიდირებული დემოკრატია შეუძლებელია (არც იყო და ვერც იქნება) წმინდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ჩამოთვლილი ხუთი სფერო მჭიდრო კავშირში იმყოფება ერთიმეორესთან, თითოეული გავლენას ახდენს სხვა სფეროების არსებობაზე და ასევე თავად განიცდის სხვა სფეროთა გავლენას. ამ ურთიერთმიმართებათა ძირითადი მომენტები მოკლედ გადმოცემულია ცხრილი 1.-ის სახით.

სახელმწიფოს არარსებობა, ნაციონალიზმი და დემოკრატიზაცია

დემოკრატია წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ფორმას - ამდენად, სახელმწიფოს არსებობის გარეშე შეუძლებელია კონსოლიდირებული დემოკრატიის რეჟიმის არსებობა. სახელმწიფოს არსებობა და ფუნქციონირება დემოკრატიის წინაპირობაა, რომელიც განცალკევებულად დგას კონსოლიდირების ჩამოთვლილი ხუთი სფეროსგან და სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

ზმირად, როდესაც ლაპარაკია დემოკრატიზაციაზე, იგულისხმება, რომ ცვლილებები და გამოწვევები ეხება რეჟიმს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს

ცხრილი 1.

თანამედროვე კონსოლიდირებული დემოკრატიის ხუთი ძირითადი სფერო: ურთიერთდაკავშირებული პრინციპები და საშუამავლო გეგმები

სფერო	ძირეულადი მართვანიზებული პრინციპი	აუცილებელი მხარდაჭერა სხვა სფეროებიდან	უშუალო გავლენა სხვა სფეროებზე
1	2	3	4
სამოქალაქო საზოგადოება	გაერთიანებებისა და კომუნიკაციის თავისუფლება	კანონის უზენაესობა, რომელიც ამკვიდრებს სამართლებრივ გარანტიებს. სახელმწიფო აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების უფლებათა ორგანიზებული წარმოჩენის შესაძლებლობას, თუ ეს უფლებები შელახულია. ეკონომიკური საზოგადოება საკმარისი ბლურალიზმით, რათა გააძაგრის სამოქალაქო საზოგადოების ავტონომიის აუცილებელი დონე და სიცოცხლისუნარიანობა	სამოქალაქო საზოგადოების ინტერესები და ღირებულებები პოლიტიკური საზოგადოების მთავარი მამოძრავებელია სამოქალაქო საზოგადოება ახდენს იდეების ევნერირებას და უზრუნველყოფს სახელმწიფო აპარატისა და ეკონომიკური საზოგადოების ზედამხედველობას
პოლიტიკური საზოგადოება	თავისუფალი და ინკლუზიური საარჩევნო ბრძოლა	საჭირიოებს ლეგიტიმურობას სამოქალაქო საზოგადოების თვალში. საჭიროებს სამართლებრივ გარანტიებს, დაფუძნებულს კანონის უზენაესობაზე და რეალიზებულს მოუკერძოებელი სახელმწიფო აპარატით	ქმნის კონსტიტუციასა და ძირითად კანონებს, წარმართავს სახელმწიფო აპარატს. ქმნის ზოგად მარეგულირებელ ჩარჩოს ეკონომიკური საზოგადოებისათვის
კანონის მმართველობა	კონსტიტუციონალიზმი	სამართლებრივი კულტურა მყარი ფესვებით სამოქალაქო საზოგადოებაში, რომელიც სარეგებლობს პოლიტიკური საზოგადოებისა და სახელმწიფო აპარატის პატივისცემით	აყალიბებს ნორმების იერარქიას, რომელიც სამართლებრივსა და წინასწარშეტყველებადს ხდის ქმედებებს სხვა სფეროებში.

1	2	3	4
სახელმწიფო აპარატი	რაციონალურ-ლეგალური ბიუროკრატიული ნორმები	რაციონალურ-ლეგალური ხელისუფლებისა და მისი თანმხლები ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლიის ნორმატიული მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან ფულადი მხარდაჭერა, ამოღებული გადასახადების სახით პოლიტიკური საზოგადოების მიერ და წარმოებული და სახელმწიფოსადმი გადახდილი ეკონომიკური საზოგადოების მიერ, რომელსაც წარმოებული აქვს საკმარისი გადასახადის დაკვეთებარებული ნამატი.	პოლიტიკური საზოგადოების მიერ დადგენილი დემოკრატიულად სანქციონირებული კანონებისა და პროცედურების იმპერატიული გატარება ზამოქალაქო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საზოგადოებებთან მიმართებაში.
ეკონომიკური საზოგადოება	ინსტიტუციონალიზებული ბაზარი	პოლიტიკური საზოგადოების მიერ შექმნილი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც ადიარებულია ზამოქალაქო საზოგადოების მიერ და რომელსაც იცავს სახელმწიფო აპარატი	აწარმოებს საქონლის ნამატს, რათა სახელმწიფოს საშუალება მიეცეს განახორციელოს კოლექტიური სიკეთის წარმოების ფუნქცია და ქმნის მატერიალურ ბაზას ზამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოებების პლურალიზმისა და აგტონომიისათვის.

წყარო: J. J.Linz, A. Stepan. *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe.* The Johns Hopkins University Press, 1996. გვ. 14.

სხვა, უფრო დემოკრატიული რეჟიმით. მაგრამ რეალობაში ბევრ ქვეყანაში არადემოკრატიული რეჟიმის კრიზისი უკავშირდება აგრეთვე იმ საკითხის გარკვევას, თუ ვინ იქნება ახალი დემოკრატიის დემოსი, რა ხალხისგან შედგება პოლიტიკური ერთობა, სახელმწიფო. თუ არსებობს დიდი სხვაობები წარმოდგენებში იმის თაობაზე, თუ სად გადის ქვეყნის ტერიტორიული საზღვრები და იმის თაობაზეც, თუ ვინ არის ქვეყნის მოქალაქე, შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფოს არარსებობაზე და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

სამხრეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის დემოკრატიზაციის პროცესში ეს პრობლემები წამყვანი არ იყო. მათი სახელმწიფო მთლიანობა და საზღვრები ექვს არ იწვევდა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ პოსტ-საბჭოთა ტრანზიტებს ეხება.

ცხადია, რომ სახელმწიფოს არსებობის გარეშე დემოკრატია ვერ იარსებებს. მის გარეშე ნებისმიერი, თუნდაც დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს წესრიგს, ვერ აკრიფავს გადასახადებს, და ვერ განახორციელებს მოქალაქეთა სამართლებრივ დაცვას. თუ ქვეყანაში არ არსებობს ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია თანამედროვე სახელმწიფოს ატრიბუტები, პოლიტიკური ძალაუფლება ვერ გაწვდება მთელ ტერიტორიას და მხოლოდ სეგმენტურად იარსებებს. აგრეთვე, თუ სახელმწიფო არსებობს, მაგრამ არადემოკრატიულია, მის შემადგენლობაში შეუძლებელია დემოკრატიული (ფედერალური) ერთეულის არსებობა, რისი მაგალითია ჰონკონგი, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნია.

ამდენად, სახელმწიფო დამოუკიდებლობა და თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის პირველი და აუცილებელი პირობა დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად. სახელმწიფო აღმშენებლობის ეს პროცესი გარკვეულწილად ემთხვევა ეროვნული აღმშენებლობის პროცესს, მაგრამ ამავე დროს განსხვავდება მისგან. ერი-სახელმწიფოები მხოლოდ თანამედროვეობის ხანაში შეიქმნა, რომელიც გარკვეულწილად დემოკრატიზაციის პერიოდსაც ემთხვევა. რა კავშირია დემოკრატიზაციასა და ერი-სახელმწიფოს შექმნას შორის? რა პირობებში არიან ისინი (ეს სტრატეგიები და პროცესები) ურთიერთშევსებადი? და როდის არის ეს ორი სტრატეგია შინაგანად ურთიერთსაწინააღმდეგო?

დღევანდელ მსოფლიოში ბევრი ქვეყანა არის იმავდროულად სახელმწიფო, ერი-სახელმწიფო და დემოკრატია. ასეთებია საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია, საბერძნეთი, იაპონია, შვედეთი და სხვ. მაგრამ ბევრ ქვეყანაში, რომელიც ჯერ არ არის კონსოლიდირებული დემოკრატია, ერი-სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკა ეწინააღმდეგება დემოკრატიზაციის პოლიტიკას. პირველი სწორად მიმართულია კულტურული ჰომოგენურობის გაზრდაზე. შესაბამისი კონსტიტუციები ცნობენ ხოლმე მხოლოდ ტიტულარული ერის ენას, ეროვნული რელიგია ხდება პრივილეგირებული და დომინანტური ერის კულტურული სიმბოლოები საფუძვლად ედება როგორც სახელმწიფოს მთ-

ელ სიმბოლიკას, ასევე ხდება სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი სოციალიზაციის აგენტების (რადიო, ტელევიზია, სკოლის სახელმძღვანელოები) საფუძველი. საპირისპიროდ, დემოკრატიული პოლიტიკა სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში მიმართულია ფართო და მონაწილეობრივი მოქალაქეობრიობის კულტივირებაზე, როდესაც ყველა მოქალაქეს ენიჭება თანაბარი პირადი უფლებები.

ამ ორ პოლიტიკას შორის კონფლიქტი მცირდება, თუ პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა ერთ ერთან ასოცირდება და როდესაც ერი და სახელმწიფო ერთმანეთს ემთხვევა. ასე თუ ქვეყნის გარეთ არ არის ერის მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებსაც უნდათ შემოვრთება, სახელმწიფოში მხოლოდ ერთი ერი ცხოვრობს, ხოლო კულტურული დანაწევრება არ არის მნიშვნელოვანი. ამ შემთხვევაში დემოკრატიის აღმშენებლობა საკვლევით შესაძლებელია.

ხშირად პოლიტიკურ ლიდერთა ნაციონალისტური მიდრეკილებები არ ემთხვევა სახელმწიფოში რეალურ ვითარებას, მის მრავალეროვნულობას, რაც უქმნის პრობლემებს დემოკრატიის კონსოლიდირებას. კერძოდ, დღეს ბევრია ისეთი სახელმწიფო, რომლის ლეგიტიმურობა დგას კითხვის ქვეშ. ამის ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს ეროვნული უმცირესობის არსებობა, რომელიც ისწრაფვის თვითგამორკვევას, ხოლო დომინანტური ერის უარყოფს კომპრომისს ყველა დანარჩენ ჯგუფთან და არ უშვებს მათთვის სრულყოფილ მოქალაქეობას. სახელმწიფოს საეჭვო ლეგიტიმურობის სხვა მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ერთი სახელმწიფოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას უნდოდეს სხვა სახელმწიფოსთან მიერთება, განიხილავდეს თავის თავს მის ნაწილად.

ასევე მწვავე პრობლემა უჩნდება დემოკრატიას, თუ უმცირესობის დიდი ჯგუფი განიხილება სხვა ქვეყნის მიერ როგორც დიასპორა, და ამ დიასპორამ მით უფრო შეიძლება მიმართოს მეზობელ ქვეყანას დახმარებისთვის (რაც უქნის საფრთხეს არა მარტო დემოკრატიას, არამედ მშვიდობასაც), რაც უფრო აგრესიულ ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკას მიმართავენ ტიტულარული ერის ლიდერები.

სახელმწიფოს ლეგიტიმურობის საკითხი დემოკრატიისათვის ფუნდამენტური თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობისაა. ფაქტიურად, თუ ლაპარაკია დემოკრატიაზე, შეთანხმება სახელმწიფოს არსებობის და მისი ლეგიტიმურობის შესახებ წინ უნდა უსწრებდეს დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას. ამ მხრივ დემოკრატიული და არადემოკრატიული რეჟიმები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. არადემოკრატიულ რეჟიმს ამგვარი შეთანხმება არ სჭირდება. მას შეუძლია იარსებოს სტაბილურად იმის გარეშე, რომ ანგარიში გაუწიოს სეპარატისტულ და სხვა მისთანა განწყობებს, უბრალოდ დათრგუნოს ისინი.

დემოკრატია, ამისგან განსხვავებით, თვით თავის განსაზღვრებაში მოიცავს მოქალაქეთა შეთანხმებას იმ პროცედურების შესახებ, რომლებითაც

იქმნება მთავრობა. ამდენად, თუ არსებობს ჯგუფი, რომელსაც არ უნდა ამ პოლიტიკურ ერთობაში მონაწილეობა, რაც არ უნდა დემოკრატიული იყოს იგი, ეს უქმნის სერიოზულ პრობლემებს როგორც დემოკრატიზაციას, ასევე დემოკრატიის კონსოლიდირებას.

სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს მოქალაქეობრიობა. მოქალაქეობრიობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია. სამხრეთ ევროპასა და ლათინურ ამერიკაში არ გაჩენილა კითხვები სახელმწიფოს მოქალაქეობის შესახებ, ვინაიდან ისინი უკვე დიდი ხანია არსებობდა და არ შეცვლილა დმიოკრატიზაციის დროს. საწყისი სიტუაცია ზოგ აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტ-საბჭოურ ქვეყნებში იყო სხვა. მსოფლიოს ამ ნაწილის ბოლო საუკუნის ისტორიამ დააყენა სახელმწიფოებრიობის და ეროვნულობის პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ. ბევრი აქ მცხოვრები ადამიანი ყოფილა მოქალაქე ან ქვეშევრდომი რამდენიმე სახელმწიფოსი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. აქ არის უთანხმოება იმის თაობაზე, თუ ვინ არის დემოსი, რა არის პოლითეია, და ვინ შედის პოლიტიკურ ერთობაში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს. სხვაობა პოლითეიასა და დემოსს შორის ხდება აქ პოლიტიკის საკვანძო საკითხი. მასთან დაკავშირებით შეიძლება შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული სამი ვარაუდის სახით: 1. რაც უფრო მრავალფეროვანია მოსახლეობა, მით უფრო რთულია პოლიტიკა, და მით უფრო ძნელია დემოკრატიის საწყისების თაობაზე შეთანხმების მიღწევა. 2. ეს მრავალფეროვნება არ გამორიცხავს დემოკრატიის კონსოლიდირების შესაძლებლობას, მაგრამ მოითხოვს დიდ ძალისხმევას დემოკრატიული ნორმების, პრაქტიკისა და ინსტიტუტების დამკვიდრებისათვის. 3. სახელმწიფოს უქონლობის პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი გზა შეუთავსებელია დემოკრატიასთან.

ამ სახელმწიფოთა დიდ ნაწილს აქვთ წარმოდგენა, რომ "ყველა სახელმწიფო უნდა იბრძოდეს რათა გარდაიქმნას ერი-სახელმწიფოდ, და ყველა ერი უნდა გახდეს სახელმწიფო". ამგვარი წარმოდგენა მეტად საშიშია დემოკრატიისათვის. ჯერ ერთი, მსოფლიოს ქვეყანათა დიდი ნაწილი მრავალეროვნულია, მრავალ ენოვანი და მრავალკულტურული. მათი გადაქცევა ერი-სახელმწიფოდ არც დემოკრატიული, და, სავარაუდოდ, არც არადემოკრატიული გზით დღესდღეობით არაა შესაძლებელი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ სახელმწიფოებში არც დემოკრატია იქნება შესაძლებელი? როგორ შეიძლება მისი მიღწევა მრავალეროვნულ სახელმწიფოში?

დემოკრატიის კონსოლიდირების შანსები ამგვარ ვითარებაში ძნრდება, რაც უფრო უწობს ხელს სახელმწიფო პოლიტიკა მონაწილეობრივ და თანაბარუფლებიან მოქალაქეობრიობას, რაც უფრო ანიჭებს იგი ყველას საერთო ინდივიდუალურ უფლებებს, რომლებიც უხრუნველყოფილია და დაცულია სახელმწიფოს მიერ.

ამგვარმა სახელმწიფოებმა სხვებზე მეტად უნდა მიმართონ ინსტიტუტების მოწყობის ნაირნაირ არამაჟორიტარულ, არაპლებისციტარულ ფორმებს. ასე მაგალითად, ფედერალიზმი სწორად შეიძლება იძლეოდეს სასურ-

ვულ შედეგს. მთელი რიგი ინსტიტუტებისა, რომლებსაც ლეიპჰარდი ალწერს როგორც "კონსოციონალურ (consociational) დემოკრატიას" შესაძლოა ბევრად ამარტივებდეს ვითარებას. საჭიროა ფაქიზი კომბინირება კოლექტიური და ინდივიდუალური უფლებებისა, რაც ხელს უწყობს კონფიქტების ჩაცხრობას ამგვარ, არა ერი-სახელმწიფოს ვითარებაში.

ასევე შესაძლებელია სახელმწიფო-ერის კონცეპციიც აქცენტირება. ეს არის მრავალკულტურული, და ზოგჯერ მრავალეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც ახერხებენ თავისი მოქალაქეების ლოიალურობის მოპოვებას, და მასთან მოქალაქეთა იდენტიფიცირების მიღწევას ზუსტად ისევე, როგორც ამას ნაკია-სახელმწიფოები ახერხებენ. ასეთებია აშშ და შვეიცარია. ისდოეთმა მოახერხა დემოკრატიულ სახელმწიფო-ერად გადაქცევა.

საქმე ისაა, რომ პოლიტიკური იდენტურობები არ არიან "თანდაყოლილი" (primordial) და უცვლელი. ისინი არ არიან ურთიერთგამომრიცხავი, როგორც ეს თანდაყოლილ იდენტურობებს ახასიათებს. პირიქით, ისინი უადრესად ცვალებადია და სოციალურად კონსტრუირებადი. თუ ნაციონალისტი პოლიტიკოსები არ ეაალვივებენ უკიდურეს პოლარიზებას, ბევრი ადამიანი მოინდომებს ჰქონდეს ბევრნაირი და ურთიერთშემავსებელი იდენტურობები. არსებითად, მოქალაქეობის თანაბარ უფლებებთან ერთად, ადამიანთა ესარი ჰქონდეთ ბევრნაირი და ურთიერთშემავსებელი იდენტურობები არის ის საკვანძო ფაქტორი, რომელიც ხდის შესაძლებელს დემოკრატიას მრავალეროვნულ სახელმწიფოებში. პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლი ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება. მათი შეცდომები მეტად ძვირად უჯდება მოსახლეობას. ერი-სახელმწიფოს მშენებლობისა და დემოკრატიზაციის პროცესების მიმართებების პრობლემები მოკლედ შეჯამებულია ცხრილში.

თანამედროვე არადემოკრატიული რეჟიმები

სპეციალური არგუმენტაციის გარეშე, საკი ამრის დონეზე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დემოკრატიზაციის შედეგად წარმოქნილი რეჟიმების ფორმა და მათ წინაშე მდგარი პრობლემების დიდი ნაწილი დამოკიდებულია რეჟიმის იმ ტიპზე, რომელიც არსებობდა დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებამდე.

რეჟიმების მრავალნაირი ტიპოლოგიზაცია არსებობს, და თითოეული მათგანი გამოსადეგია იმდენად, რამდენადაც ითვალისწინებს ყველა იმ სხვაობას, რომელიც არსებითია დასმულ ამოცანასთან მიმართებაში. ასე, რამდენიმე ათეული წლით ადრე პოლიტიკურ რეჟიმებს უმთავრესად ყოფდნენ დემოკრატიულ, ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებად. მაგრამ ვინაიდან მეტისმეტად ბევრი და მრავალფეროვანი ქვეყანა ამ დაყოფის მიხედვით ხვდება ერთ ,ჯეგორიაში - ავტორიტარული რეჟიმების რიცხვში, სხვადასხვა

ცხრილი 2.

შიდა ურთიერთკავშირი სახელმწიფოს, ერს (ერებს) და დემოკრატიზაციას შორის (იმ დაშვებით, რომ არ არსებობს სხვა სახელმწიფო, რომლისთვისაც ეროვნული უმცირესობა ერის ნაწილს წარმოადგენს, და რომელიც მის შეშფოთებას ცდილობს)

სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა ერების არსებობა ტიტულარული ერის გარდა	ტიტულარული ერის სახელმწიფო ლიდერების პოლიტიკა და ქმედება				
	ერი- სახელმწიფოს მიზნებისადმი მისწრაფება	გარკვეულწილად აღიარებს კულტურული მრავალფეროვნების ლეგიტიმურობას	ქმნის (Crafts) ფედერალურ ან კვაზიფედერალურ ინსტიტუტებს და/ან კვაზიკონსოციონალურ პრაქტიკას	პრინციპში აღიარებს მშვიდობიანი და დემოკრატიულად მოლაპარაკებული გამოყოფის შესაძლებლობას	არამკაფიო ან უაღრესად სუსტი სახელმწიფო ლიდერები
სხვა ერი არ არსებობს, ამასთან კულტურული და/ან ეთნიკური სხვაობები სუსტია	თავისუფლად შეიძლება დემოკრატიული და ძლიერი ერი-სახელმწიფოს კონსოლიდირება		თავისუფლად შეიძლება იარსებოს მონონაციონალურმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ		
სხვა ერი არ არსებობს, მაგრამ არის ფართო კულტურული მრავალფეროვნება		თავისუფლად შესაძლებელია დემოკრატიული სახელმწიფო-ერის არსებობა	თავისუფლად შეიძლება იარსებოს მონონაციონალურმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ		
სხვა ერი (ერები) არსებობს, მაგრამ არაა გაღვიძებული	შეიძლება არსებობდეს დემოკრატიული ერი – სახელმწიფო	დემოკრატიულმა სახელმწიფო-ერმა ითლად შეიძლება იარსებოს			

სხვა ერი (ერები) არსებობს და გაღვიძებულია	წარმოშობს კონფლიქტს, რომელიც აძნელებს, მაგრამ შეუძლებელს არ ხდის დემოკრატიის მიღწევას	დემოკრატიულმა სახელმწიფო-ერმა შეიძლება იარსებოს, მაგრამ გაუჭირდება გადასვლა →	მულტინაციონალური სახელმწიფო არის ერთადერთი დემოკრატიული შესაძლებლობა. გამოზომილი ინსტიტუციური მშენებლობით დემოკრატია შეიძლება კონსოლიდირდეს	თუ არსებობს მკაფიოდ გამიჯნული ტერიტორიული ბაზა, შესაძლებელია მშვიდობიანი გამოყოფა, დემოკრატიით ორივე ახალ სახელმწიფოში	
სხვა ერი (ერები) არსებობს და იბრძვის	წარმოშობს იმდენ კონფლიქტს ან რეპრესიებს, რომ დემოკრატიული კონსოლიდაცია არასავარაუდოა	დემოკრატიულმა სახელმწიფო-ერმა შეიძლება იარსებოთს, მაგრამ კონსოლიდაციისათვ ის უნდა გაჰყავიდეს →	მულტინაციონალური სახელმწიფო არის ერთადერთი დემოკრატიული შესაძლებლობა, მაგრამ კონსოლიდაციის პერსპექტივა ძნელია. ზეწოლები შემდეგი მიმართულებებით →	თუ ტერიტორიული ბაზა არ არსებობს, „ხაგერდოვანი გაყრა“ შეუძლებელია და თუ მილიტარულობა შენარჩუნდება, დემოკრატია ვერ კონსოლიდირდება	
არცერთ ჯგუფს არ გააჩნია საკმარისი შეკავშირებულობა ან იდენტურობა, რომ გახდეს ერის მშენებელი					**არ არის სახელმწიფოს შესაძლებლობა და ამდენად დემოკრატიაც შეუძლებელია**

წყარო: **J. J.Linz, A. Stepan.** *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe.* The Johns Hopkins University Press, 1996, გვ.36.

მკვლევრები შეეცადნენ გამოეკვეთათ არსებითი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები და წარმოედგინათ უფრო დეტალიზებული ერადაკია. ლინცმა და სტეპანმა, კერძოდ, შემოიტანეს რეჟიმების ხუთი ნარისახეობა: "დემოკრატიული", "ავტორიტარული", ტოტალიტარული", "პოსტტოტალიტარული" და "სულთანისტური". ამ ხუთიდან ჩვენ აქ დავახასიათებთ მხოლოდ უკანასკნელ სამს.

ტოტალიტარული და პოსტტოტალიტარული რეჟიმები

ტოტალიტარული რეჟიმი იდეალური ტიპია, იდეალური ფორმა, რომელიც მეტ-ნაკლებად რეალიზდებოდა და რეალიზდება ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში. თუ რეჟიმმა თითქმის სრულად მოახერხა წინამორბედი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პლურალიზმის მოსპობა, გააჩნია ერთიანი, არტიკულირებული, წამყვანი, უტოპიური იდეოლოგია, იხტენსიური და ექსტენსიური მობილიზება, მისი მმართველები მართავენ ქარიზმაზე დაყრდნობით, შეუზღუდავი ძალაუფლებით, და მათ მმართველობას მოაქვს არაპროგნოზირებადი და მტკივნეული შედეგები როგორც ელიტისათვის ასევე სხვებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ რეჟიმს გააჩნია ძლიერი მიდრეკილება ტოტალიტარიზმისკენ.

ტოტალიტარული ან ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილი რეჟიმების რიცხვმა საგრძნობლად იკლო უკვე 80-იან წლებში, და, როგორც ამას კვლევები აჩვენებს, საბჭოთა ტიპის რეჟიმებიც, რომელმაც დაიწყო ცვლილება სტალინის სიკვდილის შემდეგ, ამ დროისთვის უკვე აღარ შეესაბამებოდა ტოტალიტარული რეჟიმის ტიპოლოგიას. ამ საბჭოური ტიპის რეჟიმების ალსაწერად ავტორები იყენებენ პოსტტოტალიტარული რეჟიმის ცნებას, და ეს კატეგორია ასევე იდეალური ტიპია, რომელიც ხასიათდება რეჟიმის ტიპის განმსაზღვრელი ოთხი განზომილების - პლურალიზმის, იდეოლოგიის, მმართველობის და მობილიზების - თავისებური ფორმით.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორია პოსტტოტალიტარული რეჟიმის თავისებურება ამ ოთხი მახასიათებლის თვალსაზრისით ტოტალიტარულ და ავტორიტარულ რეჟიმებთან შედარებით. ეს სხვაობები მოკლედ შეჯამებულია ცხრილი 3.-ში.

არსებობს პოსტტოტალიტარული რეჟიმის ნაირსახეობები, რომელიც ვარირებს "ადრინდელი პოსტტოტალიტარიზმის", "უძრავი პოსტტოტალიტარიზმის" და "მომწიფებული პოსტტოტალიტარიზმის" ფარგლებში. ადრეული პოსტტოტალიტარიზმი მეტად ახლოა ტოტალიტარიზმთან, მაგრამ განსხვავდება მისგან როგორც მინიმუმ ერთი განზომილებით - ხელისუფალის ძალა უფლების შეზღუდვების არსებობით. უძრავი პოსტტოტალიტარიზმის პირობებში შეიძლება იყოს დაშვებული რეჟიმის გარკვეული კრიტიკა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, მაგრამ პარტია-სახელმწიფოს კონტროლის სხვა მექანიზმები არ იცვლებოდეს და არ უმჯობესდებოდეს (მაგ.: ჩეხოსლო-

ცხრილი 3

თანამედროვე რეჟიმების იდეალური ტიპები და მათი განმსაზღვრელი მახასიათებლები

მახასიათებელი	დემოკრატია	ავტორიტარიზმი	ტოტალიტარიზმი	პოსტტოტალიტარიზმი	სულთანიზმი
1	2	3	4	5	6
პლურალიზმი	პასუხისმგებლური პოლიტიკური პლურალიზმი, განშტკიცებული პლურალისტური ავტონომიის ექსტენსიური სფეროებით ეკონომიკაში, საზოგადოებაში და ორგანიზაციების შიდა ცხოვრებაში. სამართლებრივად დაცული პლურალიზმი, რომელიც ემთხვევა „საზოგადოებრივ კორპორატივიზმს“ და არა „სახელმწიფო კორპორატივიზმს“.	პოლიტიკური სისტემა შეზღუდული არაკონტროლირებული პოლიტიკური პლურალიზმით. ხშირად საკმაოდ ექსტენსიური სოციალური და ეკონომიკური პლურალიზმი. ავტორიტარულ რეჟიმებში პლურალიზმს მეტწილად ჰქონდა ფესვები საზოგადოებაში რეჟიმის ჩამოყალიბებამდე. ხშირად ტოვებს სიფრცეს სემი-პოზიციისათვის.	არავითარი არსებითი ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური პლურალიზმი. თფიციალურ პარტიას de jure და de facto აქვს ძალაუფლების მონოპოლია. პარტიას მოსპობილი აქვს თითქმის მოელი ბრეტოტალიტარული პლურალიზმი. არანაირი სიფრცე მეორე ეკონომიკისა ან პარალელური საზოგადოებისათვის.	შეზღუდული, მაგრამ უკონტრო-ლო სოციალური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური პლურალიზმი. თითქმის არანაირი პოლიტიკური პლურალიზმი, რადგან პარტიას ჯერ კიდევ აქვს ფორმალურად ძალა-უფლების მონოპოლია. შეიძლება არსებობდეს „მეორე ეკონომიკა“, მაგრამ სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში ჯერ კიდევ წამყვანია. პლურალიზმის გამოვლინებათა უმეტესი ნაწილი მოდის სახელმწიფო სტრუქტურებიდან ან დისიდენ-ტური ჯგუფებიდან, რომელიც შეგნებულად ფორმირდება ტოტალიტარული რეჟიმის ოპოზიციად. ჩამოყალიბებულ პოსტტოტალიტარიზმში თპოზიცია ხშირად ქმნის „მეორეულ კულტურას“ ან „პარალელურ საზოგადოებას“.	ეკონომიკური და სოციალური პლურალიზმი არ ქრება, მაგრამ ექვემდებარება გათვალისწინებულ და დესპოტურ ჩარევას. არც ერთი ინდივიდი თუ ჯგუფი სამოქალაქო თუ პოლიტიკურ საზოგადოებაში ან სახელმწიფოში არაა თავისუფალი სულთანის დესპოტური ძალის გამოვლინებისაგან. არ არსებობს კანონის მმართველობა. სუსტი ინსტიტუციონალიზაცია. კერძოსა და საზოგადოებრივის ძლიერი აღრევა.

1	2	3	4	5	6
ფიზიკურ-ტექნიკური	მოქალაქეობრივობისა და პაექრობის პროცედურული წესების ექსტენსიური ინტელექტუალური მხარდაჭერა. იდეოლოგია არატელეოლოგიურია. უმცირესობათა უფლებების, კანონის უზენაესობისა და ინდივიდუალიზმის ბატივისცემა.	პოლიტიკურ სისტემას არ გააჩნია დახვეწილი და წარმმართველი იდეოლოგია, მაგრამ აქვს განმასხვავებელი მენტალიტეტი.	დახვეწილი და წარმმართველი იდეოლოგია, რომელიც სახავს მიღწევად უტოპიას. ლიდერების, ინდივიდების და ჯგუფების საქმიანობის აზრი, ლეგიტიმაცია და ხშირად სპეციფიური პოლიტიკური კურსები მომდინარეობენ კაცობრიობისა და საზოგადოების რაიმე პოლისტური ხედვის მხარდაჭერიდან.	წარმმართველი იდეოლოგია ჯერ კიდევ არსებობს და წარმოადგენს სოციალური სანამდვილის ნაწილს, მაგრამ დასუსტებულია უტოპიის მხარდაჭერა ან რწმენა. იდეოლოგიიდან აქცენტი გადატანილია პროგრამულ კონსენსუსზე, რომელიც საკარაოდად ეფუძნება ვადაწყვეტილების მიღების რაციონალურ წესს და შეზღუდულ დებატებს. იდეოლოგიისადმი ზედმეტი აპელირების გარეშე.	სიმბოლოებით უაღრესად ოვითნებური მანიპულაცია. მმართველის უკიდურესი ქება-დიდება. არანაირი დახვეწილი ან წარმმართველი იდეოლოგია ან ოვით განმასხვავებელი მენტალურობა დესპოტური პერსონალიზმის მიღმა. არანაირი მცდელობა იდეოლოგიურად უმოაკრული ინიციატივების გამართლებისა. ფსევდოიდეოლოგია, რომლისაც არ სჯერათ მოხელეებს, ქვეშევრდომებს და გარე სამყაროს.

1	2	3	4	5	6
მობილიზაცია	მონაწილეობა აფტონომიურად წარმოქმნილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პოლიტიკური საზოგადოების მოპაექრე პარტიების მეშვეობით, რომელიც ეარანტირებულია საკანონმდებლო სისტემის მიერ. თავად რეჟიმის სუსტი მობილიზაცია, სამაგიეროდ მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა. ლეგიმის ზოგადი მცდელობა ხელი შეუწყოს კარგ მოქალაქეობრიობას და პატრიოტიზმს. დაშვებულია მშვიდობიანი და მოწესრიგებული ოპოზიცია.	პოლიტიკური სისტემა ექსტენსიური ან ინტენსიური პოლიტიკური მობილიზაციის გარეშე. გარდა მათი განვითარების რამდენიმე მომენტისა.	ელიტენსიური მობილიზაცია რეჟიმის მიერ შექმნილი საკალდებულო ორგანიზაციების ფართო რიგებში. აქტენტი კადრებისა და „მებრძოლთა“ აქტიურობაზე. ენოუზიაზმის საფუძველზე მობილიზაციის მცდელობა. პირადი ცხოვრება დაგმობილია.	მობილიზაციის ორგანიზებაში ჩართული ლიდერებისა და არალიდერების მიერ ინტერესის მზარდი დაკარგვა. მოსახლეობის რუტინული მობილიზაცია სახელმწიფოს მიერ სპონსორირებულ ორგანიზაციებში, რათა მიღწეულ იქნეს თანხმობის მინიმალური დონე. ბევრი „კადრი“ და „მებრძოლი“ არიან უბრალო კარიერისტები და ოპორტუნისტები. მოწყენილობა, განდგომა და მოსახლეობის ფასეულობების გარდაუვალი ბრიგატიზაცია ხდება მიღებული ფაქტი.	ცენტრმორიული ტიპის, სუსტი მანიშულაციური მობილიზაცია შემოხვევიდან შემოხვევამდე, იძულებითი და კლიენტელისტური შეთოდებით, ბერმანენტული ორგანიზების გარეშე. ბარა- სახელმწიფოებრივი ჯგუფების ბერითდული მობილიზაცია, რომლებიც იყენებენ ძალადობას სულთანის მიერ მაზანში ამოღებული ჯგუფების წინააღმდეგ.

1	2	3	4	5	6
ლიდერობა	ხელმძღვანელობის მაღალი ეშელონები ფორმირდება თავის-უფალი არჩევნებით და ფალდებულია განახორციელოს ძალაუფლება კონსტიტუციურ ჩარჩოებში და კანონის ფარგლებში. მმართველები პერიოდულად უნდა ექვემდებარებოდნენ თავის-უფალ არჩევნებს.	პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ლიდერი ან შემოხვევითი პატარა ჯგუფი ახორციელებს ძალაუფლებას ფორმალურად ცუდად განსაზღვრული მაგრამ აქტიურალურად ხავსებით ბროგნოზირებადი ნორმებით. ძველი ელიტარული ჯგუფების კოოპტაციის მცდელობა. სახელმწიფო აპარატისა და სამხედრო კარიერის გარკვეული ავტონომია.	ტოტალიტარული მმართველები მართავენ განუსაზღვრელი ძალაუფლებით და მმართველობის წევრებისა და არაწევრებისათვის მაღალი არაპროგნოზირებადობი ი. ხშირად ქარიზმატულია. მმართველების ზედა ფენის კომპლექტაცია დიდად დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციის ჩარჩოებში წარმატებაზე და პარტიისადმი ერთგულებაზე	ბოსტტოტალიტარული ელიტის მზარდი ზრუნვა პერსონალურ უსაფრთხოებაზე. მმართველობის ზედა ეშელონების კონტროლი პარტიული სტრუქტურების, პროცედურებისა და „შიდა დემოკრატიის“ მეშვეობით. მთავარი ლიდერები იშვიათად არიან ქარიზმატულნი. მმართველობის ზედა ეშელონების კომპლექტაცია შეზღუდულია ოფიციალური პარტიის ჩარჩოებით, მაგრამ ნაკლებადაა დამოკიდებული კარიერის კეთებაზე პარტიული ორგანიზაციის შიგნით. მმართველის პოსტი შეიძლება დაიკავოს პარტიულმა ტექნოკრატმა სახელმწიფო აპარატიდან.	უაღრესად პერსონალისტური და თვითნებური. არანაირი რაციონალურ-ლეგალური შეზღუდვები. მძლავრი დინასტიური ტენდენცია. არანაირი ავტონომია სახელმწიფო კარიერებში. ხელისუფალი არაა დამძიმებული იდეოლოგიით. ლიდერისადმი მორჩილება ემყარება ინტერესთა ბაზს და ბირად საზღაურს. ხელისუფალის აპარატი შედგება მისი ოჯახის წევრებისაგან, მეგობრებისაგან, ბიზნეს პარტნიორებისაგან, ან ამათგან, ვინც პირდაპირ ჩართულია ძალადობის გამოყენებაში რეჟიმის მხარდასაჭერად. პარტიაში პოზიციის დაკავება დაკავშირებულია მმართველისადმი წმინდა პერსონალურ მორჩილებასთან.

წყარო: J. J.Linz, A. Stepan. *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe.* The Johns Hopkins University Press. 1996, გვ. 44-45.

ვაკია 1977-1989 წწ.). შეიძლება წარმოვიდგინოთ მომწიფებული პოსტტოტალიტარიზმი, რომელშიაც დიდი ძვრები შეინიშნება რეჟიმის ყველა გახზომილებასთან მიმართებაში, მაგრამ ოფიციალური პარტიის წამყვანი პოლიტიკური როლი ხელუხლებელი რჩება.

პლურალიზმი პოსტტოტალიტარულ რეჟიმებში განსხვადება როგორც ტოტალიტარიზმის შემთხვევისგან, სადაც არ არსებობს არანაირი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური პლურალიზმი, ასევე ავტორიტარიზმისგან, რომელშიაც შეიძლება იყოს შეზღუდული პოლიტიკური პლურალიზმი და საკმაოდ ფართო სოციალური და ეკონომიკური. პოსტტოტალიტარული სოციალური პლურალიზმი ბევრად უფრო ძლიერია ვიდრე ტოტალიტარული, და შეიძლება "პარალელურ" კულტურასაც კი ქმნიდეს. სახელმწიფო გეგმური ეკონომიკა მასში თანაარსებობს საბაზრო ექსპერიმენტებთან სახელმწიფო სექტორში და მზარდ როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ კერძო სექტორთან, უმთავრესად სოფლის მეურნეობაში, კომერციაში და მომსახურებაში. ინსტიტუციური პლურალიზმი, რომელიც ქმნის სახელმწიფო ინსტიტუტების რთულ და მნიშვნელოვან ურთიერთმიმართებებს, ასევე ბევრად უფრო განვითარებულია პოსტტოტალიტარულ ვიდრე ტოტალიტარულ რეჟიმებში.

ცხადია, ავტორიტარული რეჟიმების სოციალური და ეკონომიკური პლურალიზმი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე პოსტტოტალიტარულის, მაგრამ სხვაობა მარტო ამაში არ მდგომარეობს. ვინაიდან წინამორბედმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა დიდწილად მოსპო ტრადიციული კულტურა, პოსტტოტალიტარული სოციალური პლურალიზმი, განსხვავებით ავტორიტარულისგან, არ მოიცავს ტრადიციულ ფორმებს, ტრადიციულ სახოგადოებას და ორიენტირებულია ახალ მოძრაობებზე. ასევე, მასში არ არსებობს არანაირი პოლიტიკური პლურალიზმი.

რაც შეეხება მმართველობის სტილს, პოსტტოტალიტარული რეჟიმი ამ მხრივ უფრო ახლოა ავტორიტარულთან. განსხვავებით ტოტალიტარულისგან, პოსტტოტალიტარული მმართველობა მოქცეულია გარკვეულ, თუმცა კი ჩამოუყალიბებელ, მაგრამ წინასწარმეტყველებად ჩარჩოებში. ის (მმართველობა) ნაკლებად ქარიზმატულია და უფრო სახელმწიფო ბიუროკრატიული სტილისკენ ისწრაფვა. განსხვავებით ავტორიტარულისგან, იგი იქმნება პარტიის წევრებისგან და იმ სტრუქტურებისგან, რომელიც თვით რეჟიმმა წარმოშვა. ამისგან განსხვავებით, ავტორიტარიზმი ცდილობს მოახდინოს ძალაუფლებაში იმ ჯგუფების ლიდერების კოოპტირება, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული ძალაუფლება რეჟიმის მიერ შექმნილ სტრუქტურებს გარეთ. პოსტტოტალიტარული რეჟიმის შეზღუდული პარტიულ-ბიუროკატიულ-ტექნოკრატული პლურალიზმი არ აძლევს მას შესაძლებლობას გამოიჩინოს ის მოქნილობა, რომელსაც იჩენს ავტორიტარიზმი, რომელიც ბევრად იოლად იხიდავს სხვა ელიტებს.

მეტად მკვეთრია სხვაობა ტოტალიტარულ და პოსტტოტალიტარულ რეჟიმებს შორის *იდეოლოგიასთან* მიმართებაში. ამ მხრივ პირველი რეჟიმიდან

მეორე რეჟიმზე გადასვლას ხელს უწყობს მზარდი შეუსაბამობა ოფიციალურ იდეოლოგიასა და რეალობას შორის. პოსტტოტალიტარულ ფაზაში ტოტალიტარიზმის დახვეწილი და წარმმართველი იდეოლოგია კვლავ აგრძელებს არსებობას როგორც ოფიციალური სახელმწიფო დოგმა, მაგრამ ლიდერებს შორისაც კი მისდამი ერთგულება და უტოპიის რწმენა ნაკლებია, ხოლო მოსახლეობაში იგი განიხილება მხოლოდ აუცილებელ რიტუალად. ამისგან განსხვავებით ავტორიტარიზმი არ ხასიათდება ხოლმე მკაფიოდ არტიკულირებული იდეოლოგიით, რომლის მემკვიდრეობაც პოსტტოტალიტარულ რეჟიმებში არსებობს, როგორც სოციალური ფაქტი. იდეოლოგიის შესუსტება პოსტტოტალიტარულ რეჟიმებში ამსგავსებს მათ ავტორიტარულ რეჟიმებს იმ მხრივ, რომ ისინი სულ უფრო ცდილობენ ააგონ თავისი ლეგიტიმურობა ეფექტურობის კრიტერიუმზე დაყრდნობით. ეს კი საფრთხეს უქმნის რეჟიმის არსებობას, მით უფრო, რომ, ჩვეულებრივ, რეალური პოლიტიკური კურსი შორს სცილდება იდეოლოგიურ დოგმას.

ავტორიტარული რეჟიმების უმრავლესობა არ ქმნის ასოციაციათა ქსელს, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის *მობილიზებისთვის*. მათ შეიძლება ჰქონდეთ ინტენსიური მობილიზაციის მოკლე პერიოდები, მაგრამ ეს მობილიზება ნაკლებ ინტენსიურია, ვიდრე ტოტალიტარულ რეჟიმში, და ნაკლებ ექსტენსიურია, ვიდრე პოსტტოტალიტარულში. ტოტალიტარულ რეჟიმში მობილიზება ექსტენსიურიცაა და ინტენსიურიც, რისთვისაც იქმნება მრავალნაირი ორგანიზაციები და ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები. დაგმობილია "კერძო" ადამიანთა ეანდგომა ამგვარი ცხოვრებისგან და ოჯახის ფარგლებში ჩაკეტვა. პოსტტოტალიტარული რეჟიმი ბევრად უფრო შემწყნარებლურია პასიურობის მიმართ. ამ პერიოდის დასახასიათებლად შეიძლება გამოდგეს კადარის გამონათქვამი "ვინც ჩვენს წინააღმდეგ არ არის, ის ჩვენთანაა", რომელიც აფიქსირებს არსებითად განსხვავებულ პოზიციას ტოტალიტარიზმის დროს გაბატონებულ განწყობასთან - "ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა" - შედარებით.

და ბოლოს, ტოტალიტარული, დემოკრატიული და ბევრი ავტორიტარული რეჟიმიც კი წარმოიქმნა გარკვეულ ისტორიულ პირობებში იმიტომ, რომ მათ მოიპოვეს ამ პირობებში "ბენეტური" ლეგიტიმურობა თავის მომხრეთა ძირითად ნაწილში. მათგან განსხვავებით, პოსტტოტალიტარული რეჟიმი წარმოიქმნება არა მომხრეთა მიერ მისი ლეგიტიმურობის აღიარების შედეგად, არამედ აპათიის, შიშის და დაკემის შედეგად. ასეთი რეჟიმი შეიძლება მდგრადად გამოიყურებოდეს, მაგრამ შინაგანი ღერძის დაკარგვა უქმნის საფრთხეს მის არსებობას.

სულთანიზმი

ამ კატეგორიას მიეკუთვნება პოლიტიკურ სისტემათა მთელი ჯგუფი, მათ შორის დიუვალიეს ჰაიტი, ტრუხილიოს დომინიკელთა რესპუბლიკა, მარკოსის

ფილიპინები, შაჰის ირანი, ჩაუშესკუს რუმინეთი, კიმ ირ სენის კორეა და სხვა. ვებერის მიხედვით, "პატრიმონიალიზმი . . . საკარაუდოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც ტრადიციული მმართველობა წარმოშობს ადმინისტრაციას და სამხედრო ძალებს, რომელიც ბატონის პირადი ინსტრუმენტია" (ვებერი, 1978, 1: 231, 232). პატრიმონიალიზმის უკიდურესი ფორმა, სულთანიზმი, ფორმირდება მაშინ, როდესაც მმართველი მოქმედებს არა ტრადიციის, არამედ პირველ რიგში თვითნებობის საფუძველზე. ამდენად ის მოიცავს არაბრადიციულ ელემენტს, რომელიც არ არის, ტოტალიტარული იდეოლოგიის მსგავსად, რაციონალიზებული არაპერსონიფიცირებულ ტერმინებში, არამედ მდგომარეობს მმართველის თვითნებობის უკიდურეს განვითარებაში. სწორედ ეს განასხვავებს მას ნებისმიერი რაციონალური ხელისუფლებისგან.

სულთანიზმის დროს მეტად გადახლართულია კერძო და საზოგადოებრივი სფერო, არის ძლიერი ტენდენცია ოჯახური მმართველობისკენ და მისი დინასტიური წესით გადაცემისკენ, არ არის სხვაობა სახელმწიფო კარიერასა და მმართველის პირად მსახურებას შორის; არის რაციონალური არაპერსონალური იდეოლოგიის ნაკლებობა; ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია მმართველისადმი ერთგულებაზე; და რაც ყველაზე არსებითია, მმართველი მართავს საკუთარი სურვილებისდა მიხედვით, არაპერსონალური მიზნების გარეშე.

რა სხვაობაა სულთანიზმს, ავტორიტარიზმსა და ტოტალიტარიზმს შორის?

სულთანიზმი ხასიათდება კანონის სუსტი მმართველობით და სუსტი ინსტიტუციონალიზაციით. მასში შეიძლება იყოს ფართო სოციალური და ეკონომიკური პლურალიზმი, მაგრამ თითქმის არ არსებობს პოლიტიკური პლურალიზმი. ყველა ქვეშევრდომი შეიძლება გახდეს სულთანის დესპოტიზმის მსხვერპლი. ცხოვრება ბევრად ნაკლებად წინასწარმეტყველებადია, ვიდრე ავტორიტარულ რეჟიმში, სადაც გარკვეული პლურალისტური სფეროები დაცულია მმართველის თვითნებობისაგან.

ტოტალიტარიზმისგან განსხვავებით, რომელიც ლეგიტიმიზირებულია თავისი იდეოლოგიით, სულთანიზმს ამგვარი იდეოლოგია არ გააჩნია. მმართველს შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია გამოაცხადოს თავისი მტკიცებები და შეხედულებები იდეოლოგიად, მაგრამ ეს ხდება ჩვეულებრივ უკვე იმის შემდეგ, როდესაც მან მოიპოვა ძალაუფლება. არსებითია ის გარემოება, რომ მმართველი შეიძლება მანიპულირებდეს ამ იდეოლოგიით, და, რაც მთავარია, ტოტალიტარიზმისგან განსხვავებით, სულთანიზმის პირობებში იდეოლოგია არ თამაშობს მმართველის ძალაუფლების შემზღუდველ როლს.

სულთანისტურ რეჟიმებში იშვიათია ექსტენსიური და ინტენსიური მობილიზაცია, ვინაიდან მასში სუსტია ინსტიტუციონალიზაცია და სუსტია იდეოლგიის ერთგულება. სულთანიზმს აქვს ტენდენცია გამოიყენოს პარასახელმწიფოებრივი ჯგუფები სულთანის მტრების დაშინებისა და მოსპობის მიზნით, რაც არ ხდება ავტორიტარიზმის პირობებში.

მმართველობა სულთანიზმისა და ტოტალიტარიზმის დროს ერთ ასპექტში წაგავს ერთმანეთს. ორივე შეუზღუდავია და აქვს არაწინასწარმეტყველებადი შედეგები როგორც ელიტისთვის, ასევე სხვებისთვისაც. ამ მხრივ სტალინი და სომოსა ჰგვანან ერთმანეთს. სხვაობა ისაა, რომ ლიდერის იდოლოგიური სახე ტოტალიტარიზმის დროს სერიოზულად ალიქმება ყველას მიერ, რაც ვარკვეულ ჩარჩოებს უქმნის ტოტალიტარულ მმართველს, მაგალითად, დინასტიური მმართველობა მისთვის მიუღებელია.

წინამორბედი რეჟიმის ტიპის გავლენა ტრანზიტის შესაძლო ფორმებზე და კონსოლიდირების ამოცანებზე

წინამორბედი რეჟიმის სახიათი გავლენას ახდენს არა მარტო იმაზე, თუ რა ფორმით შეიძლება მოხდეს დემოკრატიზაცია, დემოკრატიაზე გადასვლა, არამედ იმაზეც, თუ რა ტიპის ამოცანები ექნება გადასაჭრელი ამა თუ იმ ქვეყანას მანამ, სანამ დემოკრატია კონსოლიდირებული გახდება. ასე, კონკრეტულ ავტორიტარულ რეჟიმს შეიძლება გააჩნდეს განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, კონსტიტუციონალიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სამართლებრივი კულტურა, პროფესიული სახელმწიფო ბიუროკრატია და ინსტიტუციონალიზებული ეკონომიკური საზოგადოება. ამგვარი საზოგადოებისთვის მთავარი საკითხი იქნება პოლიტიკური საზოგადოების შექმნა და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება. მისგან განსხვავებით, ტოტალიტარული რეჟიმიდან გამოსვლა გულისხმობს არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს, არამედ იმავდროულად დემოკრატიის ყველა სფეროს აღმოცენებას სათითაოდ.

როგორც გვიჩვენებს ცხრილი 4.), პოსტტოტალიტარული რეჟიმიდან გამოსვლა შეიძლება დაიწყოს სუსტი საშუალო ან საშუალო მაჩვენებლებიდან თითოეულ მახასიათებელთან მიმართებაში. ეს არცთუ იოლი ვითარება კიდევ უფრო რთულდება ტოტალიტარული რეჟიმიდან გამოსვლისთვის, სადაც ყველა საწყისი მაჩვენებელი სუსტია. ასევე დიდია სხვაობა სულთანისტურს და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის: პირველი რეჟიმიდან გამოსვლა ბევრად უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული.

უფრო ვრცელი ცხრილი (ცხრილი 5.) ასახავს დემოკრატიზაციის სხვადასხვა ფორმების შესაძლებლობებს ამა თუ იმ რეჟიმისათვის. შემდეგ ცხრილში (ცხრილი 6.) ასახულია ის ამოცანები, რომლებიც იქნება გადასაწყვეტი, რათა რეჟიმი კონსოლიდირებული გახდეს. მეორე პარაგრაფში (იხ. ზემოთ) იყო საუბარი ავტორიტარული რეჟიმიდან გამოსვლაზე პაქტის, შეთანხმების ფორმით, რომელშიაც მონაწილეობენ სხვადასხვა ძალები. ბევრი ავტორი ტრანზიტს იხილავს როგორც პაქტს, რომელსაც დებს რეჟიმის ხომიერი ფრთა ოპოზიციის ზომიერ ფრთასთან, უფრო რადიკალური ფრთ-

ცხრილი 4

წინამორბედი არადემოკრატიული რეჟიმის ტიპის გავლენა დემოკრატიის კონსოლიდაციის ამოცანებზე

სფეროს მახასიათებლები	ავტორიტარული	ტოტალიტარული	პოსტტოტალიტარული	სულთანური
საბიუროკრატიული საზოგადოების ავტონომია	საშუალოდან ძლიერამდე	სუსტი	სუსტიდან საშუალომდე	სუსტიდან საშუალომდე
პოლიტიკური საზოგადოების ავტონომია	სუსტიდან საშუალომდე	სუსტი	სუსტი	სუსტი
კონსტიტუციონალიზმი და კანონის უზენაესობა	სუსტიდან ძლიერამდე	სუსტი	საშუალო	სუსტი
სახელმწიფო ბიუროკრატიის პროფესიონალური ნორმები და ავტონომია	სუსტიდან ძლიერამდე	სუსტი	სუსტიდან საშუალომდე	სუსტი
ეკონომიკური საზოგადოება საბაზრო ავტონომიის დონითა და საკუთრების ფორმების პლურალიზმით	საშუალოდან ძლიერამდე	სუსტი (კომუნისტური) ან საშუალო (ფაშისტური)	სუსტიდან სუსტი-საშუალომდე	სუსტიდან საშუალომდე

შენიშვნა: სფეროთა ხასიათი წინამორბედ არადემოკრატიულ რეჟიმში ტრანზიტის უშუალოდ წინა პერიოდში უდიდესი მნიშვნელობისაა იმ ამოცანებისათვის, რომელიც დემოკრატიული ლიდერების წინაშე დაისმება. რაც ნაკლებად განვითარებულია სფერო, მით უფრო მეტი ექნებათ გასაკეთებელი დემოკრატიულ ლიდერებს. ყიდრე ადრეა რეჟიმში შესძლებს დემოკრატიის კონსოლიდაციას.

წყარო: J. J.Linz, A. Stepan. Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe. The Johns Hopkins University Press, 1996, გვ. 56.

ცხრილი 5

წინამორბედი არადემოკრატიული რეჟიმის ტიპის გავლენა დემოკრატიული გარდაქმნის გზაზე

გზა	ავტორიტარიზმი	ტოტალიტარიზმი	პოსტტოტალიტარიზმი	სულთანიზმი
1	2	3	4	5
1. "რეფორმა-პაქტადა" – "რუტურა-პაქტადა"	იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება საკმაოდ კარგადაა განვითარებული და არსებობს ნაციონალური მასშტაბის ზომიერი პოლიტიკური ოპოზიცია, შესაძლებელია "რეფორმა-პაქტადა, რუტურა-პაქტადა" რეჟიმის ზომიერ მიმდევრებსა და ზომიერ დემოკრატულ ოპოზიციას შორის. ან რეჟიმის ზომიერმა ლიდერებმა ან ოპოზიციამ შეიძლება მოიგონ საერთოლეანი არჩევნები და დაასრულონ გარდაქმნა.	არანაირი სიფრცე ორგანიზებული დემოკრატიული ოპოზიციისათვის ან რეჟიმის ზომიერი ფრთისთვის. ამ შემთხვევაში "რეფორმა-პაქტადა" შეუძლებელია.	მომწიფებულ პოსტტოტალიტარიზმში შეიძლება იყოს კოლექტიური მმართველობა და ზომიერი ფრთა. ასევე დემოკრატულ ოპოზიციას შეიძლება ჰქონდეს კარგად განვითარებული „მეორე კულტურა" და ჰყავდეს საწყისი პოლიტიკური ჯგუფები. თუ მომწიფებული პოსტტოტალიტარისტული რეჟიმის ლიდერები დაიჯერებენ, რომ არჩევნები აუცილებელია და მათ აქვთ გამარჯვების შანსი, "რეფორმა-პაქტადა" "მეორე კულტურის" ლიდერებთან ან ჩარასახოვან ოპოზიციასთან, შესაძლებელია.	ვინაიდან ერთი მხრივ არ არსებობს კანონის უზენაესობა და საპოლალაქო თავისუფლებები, და მეორე მხრივ სახეზეა სულთნის პერსონალისტური შეჭრა მოლიან პოლიტიკაში, ორი ბრეკეკვიზიტი თოხმხრივ შეთანხმებული პაქტური რეფორმისათვის არ არსებობს – ესენია ორგანიზებული არამოძალადე დემოკრატიული ოპოზიცია და რეჟიმის ზომიერი ფრთა საკმარისი ძალაუფლებით პაქტზე მოლაპარაკებისათვის, რაც ხდის "რეფორმა-პაქტადას" ფაქტიურად შეუძლებელს.

1	2	3	4	5
2. დამარცხება ომში	დამარცხებას ომში ან ომთან დაკავშირებულ კოლაფსს შეუძლია გამოიწვიოს დემოკრატიული ტრანზიტი წინამორბედი არადემოკრატიული რეჟიმის მხრიდან მოლაპარაკების სუსტი ნების გამოვლენის საფუძველზე, თუ არსებობს დემოკრატიული ძალების წარმომადგენლები სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებაში, რომელიც მოითხოვს საარჩევნო გზას.	ყირტუალურად ერთადერთი გზა, სადაც ომში დამარცხებული ტოტალიტარიზმი შეიძლება სწრაფად მივიდეს დემოკრატიულ რეჟიმამდე, ესაა მისი ოკუპაცია დემოკრატიული რეჟიმის მიერ და გარედან მონიტორირებული დემოკრატიული ინსტალაცია.	ადრეული პოსტ-ტოტალიტარიზმში დემოკრატიული პერსპექტივები შეიძლება დაეფუძნოს ტოტალიტარიზმის ვითარებას. მომწიფებულ პოსტ-ტოტალიტარიზმში დემოკრატიული ოპოზიციის მიერ ხელისუფლების მითვისება და არჩევნების ადრე ჩატარება შესაძლებელია	კანონის უზენაესობის არსებული დეფიციტისა და ფართო ბარა-სახელმწიფოებრივი ძალადობის გამო დემოკრატიული გზა ფაქტიურად შეუძლებელია გარეგანი მონიტორინგისა და გარანტიების გარეშე.

1	2	3	4	5
3. დროებითი მთავრობა რეჟიმის ფენომენია, რომელიც არა ინიციირებული რეფორმის მიერ (შეთანხმებული გადატრიალება ან შასიმინდი ჯალაბება და რეჟიმის კოლაფსი)	ავტორიტარულ რეჟიმში შესაძლებელია რომ იარსებოს ორგანიზებულმა დემოკრატიულმა ოპოზიციამ სამოქალაქო საზოგადოებაში და თვით პოლიტიკურ საზოგადოებაშიც. თუ ისინი მოითხოვენ ადრეულ არჩევნებს, ტრანზიტის ეს გზა საკმებით შესაძლებელია. თუმცა, არჩევნების რეალური მოთხოვნის არარსებობისას დროებით მთავრობას ეკრება ცდუნება გამოიყენოს რევოლუციური ძალა პოლიტიკურ სფეროში და შეაჩეროს ან არ დაუშვას არჩევნები, რაც შეაფერხებს გარდაქმნას ან წაგვიყვანს არადემოკრატიული რეჟიმისაკენ	დროებითი მთავრობის შექმნა არაა საკარაუდო. ამასთან, ოუნდაც ღრმა კრიზისმა გამოიწვიოს მთავრობის შეცვლა, დაშლილი სამოქალაქო საზოგადოების და ორგანიზებული დემოკრატიული პოლიტიკური საზოგადოების არარსებობის პირობებში წარმატებული ზეწოლა თავისუფალი არჩევნებისათვის არაა საკარაუდო. ახალმა მთავრობამ შეიძლება სცადოს ლეგიტიმურობის მოპოვება არჩევნების გზით, მაგრამ ეს არ უზრუნველყოფს დემოკრატიზაციას.	ადრეული არჩევნები ყველაზე სასურველი გზაა მომწყვეტულ პოსტტოტალიტარიზმში, როდესაც ოპოზიციის აქტივისტებმა შეიძლება ჩამოაყალიბონ მთავრობა და წინ წასწიონ დემოკრატიზაცია. ადრეულ ან უძრავ პოსტტოტალიტარიზმში რეჟიმის ცვლილების უფრო საკარაუდო გზაა მასების იმბოხი, რომელიც, თუ არ იქნა ჩახშობილი, მიგვიყვანს რეჟიმის დაცემამდე და დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებამდე. დროებითი მთავრობა შეიძლება იყოს ფორმირებული ძველ რეჟიმთან დაკავშირებული ელიტისაგან, რომელსაც აქვს უნარი ელექტორალურად მოახდინოს თავისი ძალების კონსოლიდაცია ჯერ კიდევ „დაშლილ საზოგადოებაში“.	დიდი შანსია, რომ „დროებით მთავრობას“ ექნება ბრეტენზია იმოქმედოს ხალხის სახელით და გადადოს არჩევნები რეფორმების გატარების მიზნით. სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების ავტონომიის დეფიციტის არსებობის გამო არის დიდი შანსი, რომ ჯგუფები, რომლებიც იყვნენ დაკავშირებული სულთანთან, მაგრამ აცხადებენ ლეგიტიმურობის პრეტენზიას იმ საბაბით, რომ მხარი დაუჭირეს ამბოხს, მოიპოვებენ არადემოკრატიულ ძალაუფლებას. დემოკრატიულ ტრანზიტს ექნება უკეთესი შანსი, თუ რევოლიციური გადატრიალება წარმართული იქნება საერთაშორისო ძალებით მხარდაჭერილი დემოკრატიულად განწყობილი ლიდერების მიერ, რომლებიც დაადგენენ არჩევნების ვადებს და დაუშვებენ ძალაუფლებისათვის თავისუფალ ბრძოლას.

1	2	3	4	5
4. საკადრო სამხედროთა ძალაუფლებისგან ჩამოშორება სამოქალაქო ბიუროკრატიის	თუ რეჟიმს უძღვებიან საკადრო სამხედროები, „სამხედროებმა, როგორც ინსტიტუტმა" (თუ ის იმყოფება შინაური ან გარეგანი მუქარის ქვეშ) შეიძლება ითამაშოს როლი ზეწოლაში „სამხედროებზე, როგორც მთავრობაზე", რათა ისინი ჩამოცილდნენ პირდაპირ მმართველობას და ჩაატარონ არჩევნები. ტრანზიტული ჟურნალის ხანგრძლივობა და „ძალის სარეზერვო სფეროების" სიფართოვე, რომელიც სამხედროებმა შეძლება მოითხოვონ როგორც ძალაუფლების საფასური, მით უფრო მცირდება, რაც მეტია სამხედროებისადმი, როგორც ინსტიტუტის, შინაური და გარეგანი საფრთხე და რაც უფრო ძლიერია დემოკრატიული ძალები სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებაში	ეს გზა შეუძლებელია ამ ტიპის რეჟიმისათვის. რევოლუციური პარტიის უზენაესობა და ლიდერების შეუზღუდავი ძალაუფლება საკადრო სამხედროების მმართველობის შესაძლებლობას გამორიცხავს.	ეს გზა არაა შესაძლებელი რეჟიმის ამ ტიპისათვის მაგრამ პარტიის წამყვანი როლის გამო.	ეს გზა შეუძლებელია რეჟიმის ამ ტიპის პირობებში. სულთანიზმი გულისხმობს კერძოსა და საზოგადოებრივის გარკვეულ შერწყმას; სულთანის ინტერვენერენცია ბიუროკრატიულ წორმებთან შეუთავსებელია საკადრო სამხედროთა მმართველობასთან.

1	2	3	4	5
5. ტრანზიტის რამდენიმე სპეციფიური რეჟიმზე დამოკიდებული შესაძლებელი გზა და საგარაუდო შედეგები	თუ არადემოკრატიულ ავტორიტარულ რეჟიმს უძღვებიან 'არასაკადრო სამხედროები' და ეს რეჟიმი დაეცემა, უფრო ნოლი იქნება სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის დამკვიდრება და სამხედროთა გასამართლება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ რეჟიმის სათაურებში საკადრო სამხედროები იქნებოდნენ.	ტოტალიტარული რეჟიმის ხელმძღვანელობა შეიძლება გაიხლიჩოს, რაც გზას გაუხსნის სახალხო მობილიზაციას, ლიბერალიზაციას და შეიძლება ოვით დროებით მთავრობასაც, რომელიც ჩაატარებს არჩევნებს. ვინაიდან პროტესტის მობილიზაციას წინ უსწრებს კონტროლის მაღალი დონე, ყველაზე საკარაუდო შედეგი იქნება ის, რომ მობილიზაციის დინამიკა მიგვიყვანს ტოტალიტარული კონტროლის ძალით დაბრუნებამდე ან პოსტ-ტოტალიტარიზმისაკენ გადახრამდე. (იხ. პოსტ-ტიტალიტარიზმისთვის არსებული გადასვლის გზები).	სერიოზული კრიზისის პირისპირ პოსტტოტალიტარული რეჟიმი შეიძლება დაეცეს, თუ ვერ აღერხებს რეპრესიების გატარებას. კოლაფსს შეუძლია მიგვიყვანოს ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე არადემოკრატიული ალტერნატიული ელიტების მიერ, დემოკრატიზაციამდე ან ქაოსამდე.	სულთანიზმის დინასტიური ტენდენციების გამო, თუ სულთანი კვდება ბუნებრივი მიზეზით, თვალის წეგრები ეცდებიან გააგრძელონ სულთანური რეჟიმი. ამდენად, ჩვეულებრივ, რეჟიმის მიერ არანაირი ლიბერალიზაციის განხორციელება არ არის მოსალოდნელი.

1	2	3	4	5
6. რეფერენდუმის სპეციფიკური ტრანზიტის სხვა გზები	თუ საპოლიტიკოსოების მიერ მართული ავტორიტარული რეჟიმი წამოიწყებს დემოკრატიულ გარდაქმნას, რა შეთანხმებებიც არ უნდა იქნეს მიღწეული, ამ შეთანხმებებს ექნებათ მხოლოდ ის ძალა, რომელიც მომჭირნარეობს ამომრჩეველებისგან და არჩეული მოხელეებისგან. ამდენად, ამგვარად წარმოშობილი დემოკრატია ჩვეულებრივ ნაკლებად შეზღუდული იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც წინამორბედი არადემოკრატიული რეჟიმი მართულია საკადრო საბჭოების მიერ.	თუ ტოტალიტარულ რეჟიმს მხარს უჭერს გარეშე ჰეგემონი, მაგრამ მხარდაჭერის მოცილებამ შეიძლება შეცვალოს ყველა ძალთა ურთიერთობა. რეპრესიების ფასი აიწევს. ოპოზიცია და მობილიზაცია გაიზრდება და კოლაფსი შეიძლება გახდეს საგარაუდო შედეგი. თუ რეჟიმი დაეცემა, ქაოსი ან დროებითი მთავრობა საგარაუდოა. ორგანიზებული დემოკრატიული ოპოზიციის არარსებობის პირობებში, დროებითმა მთავრობამ სულაც რომ დაიწყოს გარდაქმნები, საგარაუდოდ შესაძლებელია კონტროლი ძველი რეჟიმის მესვეურთა მიერ.	თუ პოსტტოტალიტარულ რეჟიმს მხარს უჭერს გარეშე ჰეგემონი, ის შეიძლება დაეცეს თუ ჰეგემონი მოხსნის იძულებით გარანტიებს. თუ საქმე გვაქვს ადრეულ პოსტტოტალიტარულ რეჟიმთან, მომდევნო რეჟიმი შეიძლება იყოს ავტორიტარული ან კონტროლირებული წინა რეჟიმის გარეთ წარმოქმნილი ლიდერების მხრიდან. თუ ეს გვიანი პოსტტოტალიტარული რეჟიმია, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებმა დროებით მთავრობაში შეიძლება მოითხოვონ ადრეული და საგნებით თავისუფალი არჩევნები.	თუ სულთანი დამოკიდებულია უცხოელ პატრონზე, კრიზისის გაგრძელებას და პატრონის მხრიდან ზეწოლას შეუძლია მიეცეს მმართველის მაგრ ჩატარებულ გადამდელ არჩევნებამდე, რომლის გაკონტროლებასაც იგი მაინ აზრით შეძლებს. დაძარცხება არჩევნებში შესაძლებელია, განსაკუთრებით თუ უცხოელი პატრონი მხარს დაუჭერს ოპოზიციას. მაგრამ დემოკრატიული მმართველობა დიდად იქნება დამოკიდებული პატრონის მხრიდან მუდმივ ჩართულობაზე დემოკრატიზაციის პროცესში. უცხოელმა პატრონმა ხანდახან შეიძლება აიძულოს სულთანი გადადგეს.

1	2	3	4	5
7. რეფორმისთვის სპეციფიური ტრანზიტის სხვა გზები		ტოტალიტარული რეჟიმი შეიძლება გადაიბაროს პოსტტოტალიზატორიზმისაკენ. (იხ. ტრანზიტის გზები პოსტტოტალიტარიზმისა-თვის).		სულთნის დაშარცხების ყველაზე საკარაუდო საშინაო მიზეზი არის მისი მკვლელობა ან რევოლუციური აშბოხი შეიარაღებული ჯგუფებისა ან საამოქალაქო საზოგადოებისა. აშბოხი შეიძლება მხარდაჭერილი იქნეს ბიზნეს-ჯგუფების მხრიდანაც კი. სულთნის მიერ აბსოლუტური ძალის ეფექტრემალური გამოყენების მიმართ მათი ანტიპათიის გამო.

წყარო: J. J.Linz, A. Stepan. *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. The Johns Hopkins University Press, 1996, გვ. 57-60.

ცხრილი 6

პირობები, რომლებიც უნდა შეიქმნას განსაზღვრული ტიპის არადემოკრატიულ რეჟიმში, რათა გადაწყვეტილ იქნას ტრანზიტის დასრულების მინიმალური ამოცანები და განხორციელდეს დემოკრატიის კონსოლიდაცია.

აუცილებელი პირობები	ავტორიტარიზმი	ტოტალიტარიზმი	პოსტტოტალიტარიზმი	ხელთანაზმი
1	2	3	4	5
1. კანონის მმართველობა და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლება	ზოგ ავტორიტარულ რეჟიმში არსებობს კანონის მმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების ტრადიცია, მაგრამ სამოქალაქო თავისუფლებები კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს; ზოგ შემთხვევაში უნდა იქნეს მიღებული და ცხოვრებაში გატარებული კანონები, რაიშელიც უზრუნველყოფს პროფკავშირების, მედიის, და ა.შ. ავტონომიას.	არ არსებობს კანონის მმართველობა. არსებული კანონთა დიდი ნაწილი შეტად ბოლიტარიზებულია და ემსახურება პარტია-სახელმწიფოს, და არა მის მოქალაქეებს, და ამდენად შეუთავსებელია დემოკრატიასთან. სამოქალაქო უფლებანი შინიმალურია და საჭიროებს ლეგალიზებას, ვარგითარებას და დაცვას. სამოქალაქო საზოგადოების „დენე" ხასიათი მოითხოვს ფუნდამენტურ ცვლილებებს, რაც რთულად განსახორციელებელია მოკლე დროში	საჭიროა განხორციელდეს სამართლებრივი სისტემის ექსტენსიური რეფორმა სამოქალაქო უფლებების დაცვისა და კანონის მმართველობის უზრუნველსაყოფად.	არსებობს რა საზოგადოებრიკისა და კერძის აღრევის ტრადიცია და ძალაუფლების უკიდურესი პერსონალიზაცია, კანონის მმართველობისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება პრიორიტეტული, მაგრამ უაღრესად რთული ამოცანა.

1	2	3	4	5
2. პოლიტიკური საზოგადოების ავტონომიისა და ნდობის დამკვიდრება, და შესაბამისად საჭირო საკანონმდებლო უზრუნველყოფა	საჭიროა შეიქმნას ყველა პირობა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ საარჩევნო პაექრობას პარტიებს შორის. ზოგ შემთხვევაში პარტიების პაექრობა შეიძლება ძნელად შეჩერებული იყოს და ითლად განხორციელდეს მისი გაანახლება. სხვა შემთხვევებში საჭიროა პარტიების შექმნის სამართლებრივი უზრუნველყოფა და სპეციფიური პარტიებისათვის შეზღუდვების მოხსნა. ზოგ შემთხვევაში საჭიროა ახლად ჩამოყალიბდეს და დამკვიდრდეს პოლიტიკური უფლებები წამყვანი პოლიტიკური აქტორებისათვის. გამონაკლის შემთხვევებში ავტორიტარული სახელმწიფო პარტია შეიძლება დაიშალოს.	პარტიის დომინანტური პოზიცია საზოგადოების ყველა სფეროში და მისი პრივილეგირებული სტატუსი და რესურსები უნდა გაუქმდეს. მისი ყოფნა ყველა ინსტიტუტში უნდა დასრულდეს და მთელი მისი ქონება უნდა გადაეცეს სახელმწიფოს. თუმცა თუ მოქალაქეებს სურთ პარტიის გაანახლება, მათ ამის ნება უნდა დაერთოთ და ასევე შემთხვევაში მისი მხარდაჭერა და ძალა დამოკიდებული იქნება იმ ხმებზე, რომელსაც ხალხი მოისურვებს მისცეს მათ. არსებული ერთგვაროვანი სოციალური ლანდშაფტის პირობებში ინტერესების წარმოდგენა მნიშვნელოვნად გაძნელებული იქნება.	მმართველი პარტიის როგორც იურიდიული, ასევე სხვა ყველა პრივილეგირებული სტატუსის გაუქმება. ასევე საჭიროა განხორციელდეს საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების თავისუფალ ფორმირებას და პაექრობას. თუმცა საზოგადოება შეიძლება არ იყოს „ერთგვაროვანი“, როგორც ტოტალიტარიზმის დროს, ეკონომიკური და პოლიტიკური დიფერენციაციების შედარებითი რაკლებობა აძნელებს პოლიტიკური ინტერესების „წარმოდგენას“ და ართულებს დემოკრატიული პარტიების ნორმალური სპექტრის შექმნას.	სემიპრეზიდენტული ძალაფლობის გაუქმება და მცირედი ნდობის შექმნა არის ის მოთხოვნები, რომელიც აუცილებელია პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისათვის, ძალაუფლებისათვის თავისუფალი მეტოქეობისა და დემოკრატიული პროცედურებისა და ინსტიტუტების საკმარისად ავტონომიური ფუნქციონირებისათვის.

1	2	3	4	5
3. კონსტიტუ-ციური წესები ძალაუფლების დემოკრატი-ულად განაწილებისათვის	ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მთხდეს წინა დემოკრატიული კონსტიტუციის დაუყოვნებლივ აღდგენა. სხვა შემთხვევაში შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს არადემოკრატიული კონსტიტუციის ცვლილება-შესწორება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში საჭიროა ჩამოყალიბდეს ამომრჩეველთა სრულიად რეპრეზენტატული ასამბლეა და განხორციელდეს კონსტიტუციის შექმნის პროცესი.	შეიძლება არსებობდეს "კონსტიტუცია ქაღალდზე", მაგრამ მან, თუნდაც იგი შეკვსებული იყოს დემოკრატიული შინაარსით, შეიძლება მიგვიყვანოს საპირისპირო შედეგებამდე, რადგან იგი თავდაბალანსებულად არ იქმნებოდა დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ახალი დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნა იქნება აუცილებელი, მაგრამ რთული. ეს სირთულე გამოწვეულია პოლიტიკური საზოგადოების ჩანასახოვანი მდგომარეობით. კონსტიტუციური კულტურის ნაკლებობით და მემკვიდრეობით. რომელიც შექმნილია ადრინდელი კონსტიტუციის სიტყვიერი ჯალდებულებითობით.	ეინაადან კონსტიტუციის აქვს ფექტური ხასიათი, ძალაუფლების განაწილების კონსტიტუციური წესების გამოყენება სერიოზულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, და დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნა უნდა იყოს უმთავრესი პრიორიტეტი.	საჭირო იქნება განვითარდეს უნივერსალისტური ლეგალური კულტურა. თუმცა კი შესაძლოა არსებობდეს გამოყენებადი. მისაღები კონსტიტუცია, მაგრამ იმის გამო, რომ ადრე კონსტიტუციური წესები ბოროტად გამოიყენებოდა, კონსტიტუციონალი ზმისადმი ნდობა და პატივისცემის სული სულთანისტური პერიოდის ბოლოსათვის აღარ არსებობს.

1	2	3	4	5
4. დემოკრატიული მმართველობისთვის მსახდები და გამოუნუნებადი სახელმწიფო ბიუროკრატია	იმ შემთხვევაში, თუ ბიუროკრატია არაა პოლიტიზირებული და მას შენარჩუნებული აქვს ბროფესიული სტანდარტები, შეიძლება არ არსებობდეს ბიუროკრატიული რეფორმის დაუყოვნებლივი აუცილებლობა. ზოგ შემთხვევაში ბიუროკრატების მეტ-ნაკლებად შეზღუდული წმენდა, მოსამართლეთა და სამხედროთა ჩათვლით, შეიძლება სასურველი იყოს. მაგრამ თუ ადრინდელ არადემოკრატიულ რეჟიმში მთავარ როლს საკადრო სამხედროები ასრულებდნენ, ასეთი წმენდა შეიძლება საკმაოდ ძნელი იყოს.	სახელმწიფოს მთავარი ამოცანების პარტიისათვის დელეგირება და პარტიის შელწევა ბიუროკრატიულ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში არაპოლიტიზირებული ბიუროკრატიის შექმნას აქცევს საგალდებულო და რთულ ამოცანად. პარტიის დემონტაჟმა სახელმწიფოს შიგნით შეიძლება სერიოზულად შეზღუდოს სახელმწიფო აპარატის ეფექტურობა, კოორდინაცია. კარი გაუხსნას ახალი დემოკრატების ან ოპორტუნისტების მიერ კლიენტელისტური წესებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. პარტია-სახელმწიფოს გამოცდილება ტოვებს სახელმწიფოსადმი მოსახლეობის უნდობლობის შემკვიდრეობას.	ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს ბევრი ფუნქცია, მათ შორის სასამართლო, ხორციელდებოდა პარტიული ბიუროკრატების მიერ, აქცევს სახელმწიფო ბიუროკრატიის წმენდას და რეფორმებს საგალდებულო, მაგრამ რთულ და ძნელად მიღწევად მოთხოვნად. ადრინდელი ბიუროკრატიული ელიტის უნარმა და ოპოზიციის გამოუცდელობამ შეიძლება ჩააყენონ ძველი ელიტა ჩრიყილეგირებულ მდგომარეობაში.	კლიენტელიზმის გავრცელება და კორუფცია ბიუროკრატულ ინსტიტუტებში ზღუდავს მათ ეფექტურობას და ლეგიტიმურობას და დღის წესრიგში აყენებს ექსტენსიურ რეფორმას. ოყით დემოკრატიულად არჩეულმა ლიდერებმაც კი შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ უფრო კლიენტელისტურ პრაქტიკას, ვიდრე რაციონალურ ადმინისტრირებას.

1	2	3	4	5
5. საკმაო ავტონომია ეკონომიკის და ეკონომიკური აქტორებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბაზრო საზოგადოების, პოლიტიკური საზოგადოების და ეკონომიკური საზოგადოების პლურალიზმი	თუ ეკონომიკა ფუნქციონირების, რიგორც შერეული ეკონომიკა, შეიძლება არ იყოს საჭირო დაუყოვნებლივ ცვლილებები დემოკრატიული გარდაქმნისა და კონსოლიდაციის გათვალისწინებით. ნებისმიერი შემდგომი რეფორმა იქნება საჭიროული და აუცილებელი ნაწილი ნორმალური პოლიტიკური პროცესისა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უფრო მეტად სოციალიზაციას ან პრივატიზაციას და ბაზრის მეტ-ნაკლებ სოციალურ და/ან ეკონომიკურ რეგულირებას.	კომუნისტურ ტოტალიტარიზმში ითქმის ტოტალური სახელმწიფო საკუთრება და კონტროლი პარტიის და ეკონომიკის შორის აქცევს საბოლოო და პოლიტიკური საზოგადოების ავტონომიის ზრდას ეგზისტენციალურ რთულ ამოცანად. ეკონომიკის ფუნდამენტური რეფორმა არის ძვირფასი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკისათვის საბარათლებრივი ინსტიტუციონალური ჩარჩოს არარსებობა და საბარათლებრივი კულტურის ხასიათი „ეკონომიკური საზოგადოების“ შექმნას ხდის ძნელს და ითვლება არაკანონიერი და ნაბეჯრად-კანონიერი პრაქტიკის გაჩენას.	ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალური კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან არ უწყობს ხელს საბოლოო და პოლიტიკური საზოგადოების სიმტკიცის მინიმალურ დონესაც კი, რაც აუცილებელია დემოკრატიული პოლიციის ჩამოყალიბებისთვის. ვარკვეული რეფორმები აუცილებელია იმისათვის, რომ შეიქმნას ინსტიტუციონალიზებული ეკონომიკური საზოგადოება. შრულიად გაფანტარებული (აყვავებული) საბაზრო ეკონომიკა არ არის აუცილებელი პირობა დემოკრატიისათვის.	ბრძანებლის და მისი მოძრეების პატრიმონიალური და კლიენტელისტური სტრუქტურების დემონტაჟი იქნება აუცილებელი, რათა მოხერხდეს საბოლოო, პოლიტიკური და ეკონომიკური საზოგადოების განვითარება.

წყარო: J. J.Linz, A. Stepan. *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. The Johns Hopkins University Press, 1996, გვ. 62-64.

ების არსებობის ფონზე. თუმცა ყველა გადასვლა დემოკრატიაზე არ ხორციელდება პაქტით, და ზოგიერთი რეჟიმისთვის ამგვარი პაქტები არც არის შესაძლებელი. ცხრილი 4.-ის პირველი გრაფა, "რეფორმა-პაქტადა" - "რუპტურა-პაქტადა" პრინციპში ასახავს პაქტური ტრანზიტის კლასიკურ ვარიანტს, რომლის საუკეთესო ნიმუშია ესპანეთი. ამ ქვეყანაში რეჟიმისა და ოპოზიციის ზომიერმა წარმომადგენლებმა თავიდან დადეს პაქტი რეფორმების გატარების თაობაზე, რომელიც შემდგომში გადაიზარდა პაქტში რეჟიმის გარდაქმნის (სიტყვა ruptura ნიშნავს გაწყვეტას კავშირისა, ან გარღვევას) შესახებ. ამგვარი გადასვლა, როგორც ჩანს ტაბულიდან, შესაძლებელია მსოლოდ ავტორიტარული და მომწიფებული პოსტ-ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში. სულთანისტური და ტოტალიტარული, ადრინდელი პოსტტოტალიტარული რეჟიმებიც კი არ ქმნიან ამგვარი ტრანზიტის წინაპირობებს.

საკონტროლო კითხვები

1. როდის არის გადასვლა დემოკრატიაზე სრული ლინცისა და სტეპანის მიხედვით?

2. რა განსხვავებაა დემოკრატიზაციასა და ლიბერალიზაციას შორის?

3. დაასახელეთ კონსოლიდირებული დემოკრატიის ნიშნები

4. დაასახელეთ ხუთი სფერო, რომელთა არსებობის გარეშე ვერ მოხდება დემოკრატიის კონსოლიდირება

5. დაასახელეთ თანამედროვე რეჟიმების ნაირსახეობები ლინცისა და სტეპანის მიხედვით;

6. დაახასიათეთ ტოტალიტარული რეჟიმი

7. დაახასიათეთ პოსტტოტალიტარული რეჟიმი

8. დაახასიათეთ სულთანისტური რეჟიმი

9. დაახასიათეთ იდეოლოგიის როლი სხვადასხვა ტიპის რეჟიმებში

10. რა გავლენას ახდენს წინამორბედი რეჟიმის ტიპი ტრანზიტის შესაძლო გზებზე?

11. რა გავლენას ახდენს წინამორბედი რეჟიმის ტიპი კონსოლიდაციის ამოცანებზე?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

დემოკრატიზაცია
დემოკრატიაზე გადასვლა
ტრანზიტი
მცდარი ელექტორალიზმი
კონსოლიდირებული დემოკრატია
სამოქალაქო საზოგადოება

კანონის მმართველობა
პოლიტიკური სახოგადოება
ეკონომიკური სახოგადოება
ეფექტური სახელმწიფო აპარატი
რეჟიმების ტიპოლოგიზაცია
იდეალური ტიპი
ტოტალიტარიზმი
პოსტტოტალიტარიზმი
სულთანიზმი
ავტორიტარიზმი
პაქტი

ბიბლიოგრაფია

1. Е.Мачкув. Преобразование коммунистического тоталитаризма и посткоммунистическая трансформация: Проблемы, концепции, периодизация. - "Полис", 2000, 4.

2. А.Ю.Мельвиль. Демократические транзиты. Теоретико-методологические и прикладные аспекты. - Московский общественный научный фонд. Москва, 1999.

3. J.J.Linz, A. Stepan. *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe.* The Johns Hopkins University Press, 1996.

III დემოკრატიზაცია და ეკონომიკა

§1. საბაზრო ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკური რეჟიმები

მეოცე საუკუნის მიწურულს, როდესაც დაინგრა საბჭოთა კავშირი, რომლის მრეწველობა და მთლიანად ეკონომიკა განვითარდა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, მაგრამ საბოლოო ჯამში არაეფექტური აღმოჩნდა, დადგა საკითხი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავით დაიწყო მსჯელობა, რომელი რეჟიმია უფრო ხელსაყრელი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის, ავტორიტარული თუ დემოკრატიული. დემოკრატიის მომხრეთა არგუმენტაცია, ერთი შეხედვით, არც საჭიროებდა განსაკუთრებულ სილრმეს, მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა სწორედ დემოკრატიული რეჟიმის პირობებში არსებობს. ამასთან, კაპიტალისტურმა ეკონომიკამ გლობალიზაციის ტენდენცია შეიძინა, რაც თითქმის შეუძლებელია არათავისუფალ საზოგადოებაში, როგორიცაა, როგორც წესი, ავტორიტარული რეჟიმის მქონე სახელმწიფოები.

თუმცა, ბევრი მკვლევარი ახასიათებს რა თანამედროვე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს, მიიჩნევს, რომ დემოკრატიის განვითარება აქ დიდწილად განპირობებულია სწორედ ეკონომიკის განვითარებით და საბაზრო ეკონომიკის მაღალი დონით ანუ დემოკრატიამ კი არ შეუწყო ხელი ეფექტურ საბაზრო ეკონომიკას, არამედ პირიქით, საბაზრო ეკონომიკაა დემოკრატიის აუცილებელი პირობა. ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის განვითარება უმჯობესია მოხდეს ავტორიტარულ რეჟიმში, რომელიც შემდგომ განიკვეთის დემოკრატიზაციას, ე.ი. ჯერ უნდა განხორციელდეს ეკონომიკური რეფორმა და შემდეგ პოლიტიკური.

ამ დამოკიდებულების მომხრეებს ზოგჯერ მოჰყავთ აღმოსავლეთ აზიის „ოთხი დრაკონის" - კორეის, ტაივანის, ჰონგ-კონგის და სინგაპურის მაგალითები. ყველა მათგანი კაპიტალისტური განვითარების მაგალითებია და თანაც, ხშირ შემთხვევაში, მათი ეკონომიკური სისტემა გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე დასავლეთის ტიპის ეკონომიკები. თითოეული მათგანი არადემოკრატიული რეჟიმის დროს ჩამოყალიბდა განვითარებულ სახელმწიფოდ. რაც შეეხება იაპონიას, მართალია, II მსოფლიო ომის შემდეგ

ის დემოკრატიული იყო, მაგრამ მაშინ, როდესაც პირველად ჩამოყალიბდა წარმატებული კაპიტალიზმი, იაპონიაც არადემოკრატიული ქვეყანა იყო (1868-1912 წწ). იგივე შეიძლება ითქვას, ეკონომიკური რეფორმების წარმატების შესახებ ესპანეთსა და ჩილეში, რაც ასევე ავტორიტარული რეჟიმის დროს განხორციელდა. არანაკლებ საგულისხმოა თანამედროვე ჩინეთის მაგალითი, რომელიც ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმის პირობებში ავითარებს საკმაოდ ეფექტიან საბაზრო ეკონომიკას, და უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიაზე ლაპარაკი აქ არ შეიძლება, მისი რეჟიმი ეკონომიკური წარმატების კვალდაკვალ საგრძნობლად შერბილდა.

ეკონომიკური რეფორმების წარმატებისათვის ავტორიტარიზმის ეფექტურობის მომხრენი ხაზს უსვამენ ლეგიტიმურობის პრობლემას, რომელიც ხშირად დამახასიათებელია რეფორმების საწყისი პერიოდისათვის ახალ დემოკრატიებში. ძლიერი და ქმედითი ეკონომიკური რეფორმების გატარებისთვის აუცილებელია ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც არ იქნება დიდად დამოკიდებული მიმდინარე მოვლენებზე, როდესაც ხშირია სოციალური სტრესები და საზოგადოდ სოციალური მდგომარეობა მეტად არამყარია. იმ პირობებში კი, როდესაც დაბალია ხელისუფლების ლეგიტიმურობა და მოდერნიზაცია ხორციელდება დარიბ საზოგადოებაში, სადაც ფაქტიურად არ არსებობს საშუალო კლასი, ნაკლებად სავარაუდოა ეკონომიკური რეფორმის წარმატების შესაძლებლობა, რომელიც აუცილებლობით მოითხოვს დასაყრდენს მოსახლეობაში. ამ საზოგადოებებში მეტად პრობლემატურია შეგნებული კოლექტიური მოქმედებების ორგანიზება, რაც აუცილებელია ეკონომიკური რეფორმის წარმატებისთვის. ძნელი, თუ არა შეუძლებელი ხდება გრძელვადიანი ინტერესების ფორმირება და მათ შესაბამისად მოქმედება. საზელმწიფო ხარჯები ძირითადად მოკლევადიან ინტერესებს ხმარდება, ვინაიდან ასე მოითხოვს მძიმე სოციალური მდგომარეობა. მით უფრო, რომ ავტორიტარიზმიდან ახლახან გამოსულ ადამიანებს ჯერ კიდევ მყარად აქვთ შენარჩუნებული შეგნება, რომ მათი სოციალური მდგომარეობა მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

ასეთი დამოკიდებულების ეკონომიკური შედეგი არის შემოსავლების არაეფექტიანი განაწილება, ხარჯების კიდევ უფრო ზრდა და შესაბამისად, დასაბეგვრისა და ინვესტირების შემცირება, რაც იწვევს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლებამ უნდა იყოს დამოუკიდებელი სხვადასხვა კერძო (ჯგუფური) ზეწოლისაგან, რათა გაატაროს ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკა, ის უნდა იყოს უნიკერსალური აგენტი, რომელიც თავის თავზე აიღებს რეფორმების განხორციელებას და ბოლომდე მიიყვანს მათ მიუხედავად ამომრჩევლების უკმაყოფილებისა. ის, რომ რეფორმა ხშირად უკმაყოფილებას იწვევს, ნათელია. ეჭვგარეშეა ისიც, რომ დამოკიდებულება ამომრჩეველზე ამ რეფორმების განცალკევებას ემუქრება. მაგრამ სწორედ ავტორიტარული რეჟიმის დროს ხელისუფლება უნი-

ვერსალური აგენტია იმ აზრით, რომ ის სრულებით არ არის დამოკიდებული თავის ამომრჩეველზე და ამდენად თავისუფალია თავის ქმედებაში, მას სულ არ სჭირდება ხალხის მხარდაჭერა და მის პოლიტიკას, არაპოპულარულსაც კი მომავალი "განადიდებული" აქვს.

ასე ასაბუთებენ თავის შეხედულებას ის მკვლევრები, ვინც მიიჩნევს, რომ მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმის პირობებშია შესაძლებელი საბაზრო ეკონომიკის განვითარება, რომელიც თავის მხრივ დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის საწინდარს წარმოადგენს. მათი დასაბუთება, როგორც დავინახეთ, არ არის მოკლებული ლოგიკურობასა და სისტემატურობას. მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება საწინააღმდეგო მხარის არგუმენტაციაც, რომელიც დემოკრატიის უპირატესობებს უსვამს ხაზს. დემოკრატიულ რეჟიმებთან შედარებით, ავტორიტარულ რეჟიმებში, როგორც ცნობილია ინფორმაცია შეზღუდულია, იმიტომ რომ არათავისუფალ საზოგადოებაში ინფორმირებულობის საწინააღმდეგო მოტივები მოქმედებენ. ამიტომ ასეთ საზოგადოებებში ინფორმაცია ნაკლებად მისაწვდომია. ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც განვითარების სტრატეგიის ფოკუსი ინვესტირების სტრატეგიიდან ინვესტირების პროდუქტიულობაზე გადაინაცვლებს. რაც შეეხება იმას, რომ ავტორიტარულ რეჟიმებში უფრო ადვილად გასატარებელია ეკონომიკური რეფორმები ხელისუფლების დამოუკიდებლობის გამო ამომრჩევლებისგან, ესეც საკამათო ხდება, იმიტომ რომ ასეთი რეჟიმები მეტად მოუქნელი და მგრძნობიარეა ნებისმიერი ცვლილებისადმი. ნებისმიერი კრიზისი აქ იწვევს შეუქცევად პროცესებს, რომელიც დამხობით ემუქრება სისტემას. ამიტომ, თუ ეკონომიკური რეფორმის წარმატების შემთხვევაში ხელისუფლების ლეგიტიმურობა ძლიერდება, სამაგიეროდ მარცხის შემთხვევაში ეს ლეგიტიმურობა, რომელიც თითქმის მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებას ეფუძნება, ხელისუფლებას შეიძლება გამოეცალოს. რაც შეეხება ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებას, ის დიდწილად სწორედ ინფორმირებულობაზეა დამოკიდებული და გარეგან კავშირებზე, ამიტომ აქ ეს წარმატება არც თუ ეჭვგარეშეა.

დემოკრატიული რეჟიმების შემთხვევაში დელეგიტიმაციის შედეგად აქ კრახი და ხელისუფლების დამხობა ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან დემოკრატია ხასიათდება შინაგანი ლეგიტიმურობით. გარდა ამისა, არჩევნების სისტემა იძლევა საშუალებას აირჩეს ახალი, უფრო ლეგიტიმური და სასურველი მთავრობა, ანუ ხელისუფლება მშვიდობიანად და კონსტიტუციის ფარგლებში შეიცვალოს. ასე მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეკონომიკურ კრიზისებზე პოლიტიკური რეაქცია იყო ის, რომ საზოგადოებამ ხმა მისცა იმ პარტიებს, რომელიც მმართველობაში არ მონაწილეობდნენ და არა ის, რომ დემოკრატიის ლეგიტიმურობა უარყო და მხარი დაუჭირა დიქტატურას.

საზოგადოდ, პოლიტიკური პლურალიზმი, რომლითაც სასიათდება დემოკრატია, ეკონომიკური თუ სხვა ვადაწყვეტილებების მიღებისას მეტ საშუალებას იძლევა, დიდწილად მისი ინფორმატიულობის წყალობითაც. უფრო

მეტიც, დემოკრატიული ინსტიტუტები ამცირებს ეკონომიკური რეფორმების ტრანსაქციულ ხარჯებს და ზღუდავს სახოგადოებრივი რესურსების ძარცვას. თავისუფალი პრესა და პოლიტიკური ოპოზიცია ასრულებს „წინასწარი გაფრთხილების სისტემის" მნიშვნელოვან როლს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება პოლიტიკური შეცდომების კორექტირება. დემოკრატიული პოლიტიკური ბაზრით შექმნილი კონკურენცია იძლევა დაჯილდოებისა და დასჯის ხელმისაწვდომ მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკოსებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ თავიანთ შეცდომებზე და დაინტერესებულნი არიან ამ შეცდომებისაგან თავის დაცვაში. ელექტორატის მხარდაჭერისა და მასში რეპუტაციის დამკვიდრებაზე დამოკიდებულება ზღუდავს მხოლოდ პირადი ინტერესებიდან მოქმედებას. როდესაც ლიდერები დამოკიდებულნი არიან ეკონომიკური რეფორმების წარმატებზე, ეს მოქალაქეებთან კოოპერირების უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა და მათ მოქმედებებს სახოგადოების წინაშე მეტ პასუხისმგებლობებს ანიჭებს.

ერთი მხრივ, უმრავლესობის მმართველობა, და მეორე მხრივ, ოპოზიცია, პროფესიული კავშირები და პოლიტიკური პარტიები პოლიტიკოსების მიკერძოებულობის გავლენას ზღუდავს. ერთნიც და მეორენიც იძულებულები არიან მიიღონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, წავიდნენ ურთიერთდათმობაზე, გაიაზრონ თავიანთი მოთხოვნები, კერძო თუ სახელმწიფოებრივი. ხელისუფლების ლეგიტიმურობა არ არის ისე ძლიერ დამოკიდებული მის ეკონომიკურ ქცევებზე და ამიტომ ხდება ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობათა განაწილება-გაფანტვა, რის გამოც დემოკრატიული რეჟიმები უფრო მდგრადია ეკონომიკური კრიზისების დროს. ამიტომაც, ამ რეჟიმების პოლიტიკური სტიმულები, ინფორმაცია და ლეგიტიმურობა იძლევა შესაძლებლობებს, მიღწეულ იქნეს უფრო მეტი ეკონომიკური წარმატება, ვიდრე ავტორიტარული მმართველობის დროს.

მაგრამ, ცხადია, თავად დემოკრატიულ რეჟიმებს შორისაც არსებობს განსხვავებები და ეს განსხვავებები, რეჟიმის ინსტიტუციონალური მოწყობა და პოლიტიკური ინსტიტუტების ბუნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეფორმების ხასიათის განსაზღვრასა და მათ წარმატებაში. ცენტრალიზმი და ფედერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი თუ უმრავლესობის მმართველობა და საარჩევნო სისტემის სხვადასხვა ტიპები და ინტერესების წარდგენის მექანიზმები - ცალ-ცალკე ყველა ფლობს განსაკუთრებულ გავლენას ეკონომიკური პოლიტიკის კეთებაზე. ინსტიტუტებს, რომელიც ახდენს ძალაუფლების ნაკლებ კონცენტრაციას, შეუძლია მოახდინოს მთავრობების პარალიზება და შეზღუდოს რეფორმების განხორციელება. მეორე მხრივ, საპრეზიდენტო სისტემა და სხვა ინსტიტუციონალური თავისებურებები, რომელიც აძლიერებს მთავრობის ძალაუფლებას, ნაწილობრივ ახდენს გადაწყვეტილებების მიმღებთა იზოლაციას, აძნელებს ინფორმაციის გაცვლას, იწვევს პოლიტიკური სტიმულების ეროზიას და პოლიტიკური აქტორების პოლარიზაციას. მართალია, ასეთი ინსტიტუტები ხელს უწყობს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას, მაგრამ შესაძლოა ეს გადაწყვეტილებები

არასწორი აღმოჩნდეს. უფრო მეტიც, თუკი სოციალური კონსენსუსი მიღწეული არაა, შეუძლებელია ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელება. თუკი პოლიტიკოსები თანახმანი არიან, რომ არ არსებობს წარმოდგენილი პოლიტიკის ალტერნატივა, თუკი ინტერესთა ჯგუფებს და მეწარმეთა გაერთიანებებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ კორპორატიული შეთანხმებების მიღებას და მოქალაქეებს კი სჯერათ, რომ რეფორმები საჭიროა და ამ რეფორმებს მთავრობა კომპეტენტურად და სამართლიანად განახორციელებს, მაშინ რეფომებისათვის ბრა ხსნილია.

ეკონომიკური რეფორმების წარმატებისთვის არ არის საკმარისი პოლიტიკური სისტემის სათანადო მოწყობა, აუცილებელია აგრეთვე სახელმწიფო აპარატის ეფექტური ფუნქციონირება. მნიშვნელოვანია ის პირობებიც, რომელშიც ხდება ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ეს პირობები მნიშვნელოვან როლს თამაშობს და დიდწილად განაპირობებს რეფორმების წარმატებას. სახელმწიფოს სიძლიერე, თავისთავად, რეფორმატორებისათვის უნდა იყოს უმთავრესი პრიორიტეტი. საბაზრო რეფორმების პარადოქსი ისაა, რომ ისინი საჭიროებენ.ძლიერ სახელმწიფოს.

დემოკრატიისგან განსხვავებით, ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის დროს ძირითადი მმართველობა სახელმწიფო ბიუროკრატიის ხელშია, რომელიც სრულებითაც არ არის პროფესიონალიზმით შერჩეული ან დანიშნული, მეტიც, როგორც წესი მას ამოძრავებს თავისი (ან თავისი პოლიტიკური ლიდერების) პარტიკულარისტული ინტერესები ან (ტოტალიტარიზმის პირობებში) იდეოლოგიის სამსახური, და მისი მოქმედებაც ამ მიზნების მიხედვით ხორციელდება, რაც შორსაა სახელმწიფოს ინტერესებზე ზრუნვისაგან. ხელისუფლება აქ მხოლოდ თავის ძლიერებაზე და საკუთარი იდეოლოგიის დაცვაზეა მიმართული.

რეჟიმის ცვლილებისას ახალი დემოკრატიული მთავრობა ყოველთვის არ საჭიროებს ბიუროკრატიის ძირეულ გარდაქმნას, მას შეუძლია, უბრალოდ, მისი დეცენტრალიზაცია და გაფართოება სოციალური კეთილდღეობის, სახოგადოებრივი მომსახურების წარმოების, სამართლის ადმინისტრირებისა და გადასახადების აკრეფის სფეროში. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ის დემოკრატიული რეჟიმი, რომელიც დამყარდა საფრანგეთში მეფის ძალაუფლების დამხობის შემდეგ. ბიუროკრატიული აპარატი აქ თითქმის არც შეცვლილა. კარგ მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე ესპანეთის შემთხვევა. მისი სახელმწიფო ბიუროკრატია უკანასკნელ წლებში, ფრანკოს რეჟიმის დროს გახდა მოდერნიზებული და უფრო პროფესიული. არსებობს საწინააღმდეგო მაგალითებიც, მაგალითად, საბერძნეთში სახელმწიფო ბიუროკრატია მეტად პოლიტიზირებული იყო, რის შედეგადაც კონსერვატული და სოციალისტური მთავრობების დროს გაიზარდა პოლიტიკური სირთულეები ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას. ამის მსგავსად, პოსტკომუნისტურ უნგრეთსა და პოლონეთში სახელმწიფო ადმინისტრაცია უფრო ნაკლებად იყო პოლიტიზირებული და ამდენად უფრო პროფესიული, რის შედეგადაც იქ ეკ-

ონომიკის მართვა უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ბულგარეთსა და რუმინეთში, სადაც ვითარება სხვაგვარი იყო. საზოგადოდ, როდესაც ეკონომიკა ლიბერალიზებულია, სახელმწიფო ბიუროკრატია უფრო პროფესიონალური ხდება. ორივე ეს პირობა კი დემოკრატიული მთავრობისთვის ზრდის შესაძლებლობას გაატაროს ეკონომიკური რეფორმები.

ეკონომიკური რეფორმების წარმატების ალბათობა დიდწილად დამოკიდებულია იმ იდეებსა და ღირებულებებზე, რომელიც არსებობს დემოკრატიულ საზოგადოებებში. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ იდეას, როგორიცაა თანასწორობის იდეა - როდესაც მოქალაქეებს სჯერათ, რომ რეფორმების დანახარჯები თანაბრად ნაწილდება. ამ შემთხვევაში ეკონომიკურ რეფორმებს უფრო მეტი წარმატება ელით. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მოიპოვონ ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა ურთიერთნდობა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის და კონსენსუსი საზოგადოებაში. რეფორმებისათვის აუცილებელი კონსენსუსის მისაღწევად დემოკრატიული მთავრობები ცდილობენ მოიპოვონ მოქალაქეების ნდობა, რადგან მათი წარმატება დამოკიდებულია რეჟიმის ფართომასშტაბიან ლეგიტიმურობაზე. მაგრამ, როდესაც პოლიტიკოსები არიან ცნობილი კორუფციის მაღალი დონით, მათ არ შეუძლიათ მოიპოვონ მხარდაჭერა ხალხისაგან. თუკი პოლიტიკოსები თავიანთ მანდატებს ეფექტიანად გამოიყენებენ და იმუშავებენ საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევაზე, მათი წარუმატებლობის რისკი მინიმუმამდე შემცირდება. ამგვარად, ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ რეფორმებზეც. პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები საჭიროებენ ერთგვარ შეთანადებას, რაც სახელმწიფოს მხრიდან დიდ სიფრთხილეს და ახალი სოციალური პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს. იგულისხმება, რომ ამავე დროს პოლიტიკოსების მორალური ქცევა სრულიად ლეგიტიმურია.

ასე რომ, წარმატებული ეკონომიკური რეფორმები წინააღმდეგობაში არ მოდის დემოკრატიულ მმართველობასთან. თუმცა, იმ პოლიტიკური თუ ისტორიული წინაპირობების შექმნა, რომელიც საჭიროა ეკონომიკური რეფორმების მობილიზაციისათვის, ხანდახან არ არის ადვილი და დროს მოითხოვს, და რაც მთავარია, პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის დაგროვებას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური რეფორმა მდგრადი იქნება, დროთა განმავლობაში ეფექტს გამოიღებს და ფუნდამენტურად შეცვლის ძველი ეკონომიკის სტრუქტურას, თუკი მთავრობა, რომელიც ამ რეფორმებს ახორციელებს, საზოგადოების მხრიდან აღიქმება ლეგიტიმურად, კონსულტაციებს მართავს ძირითად სოციალურ და ინტერესთა ჯგუფებთან, ჩართავს მათ პოლიტიკის შექმნის პროცესში და ცდილობს აუხსნას საზოგადოებას ამ რეფორმების აუცილებლობა და საჭიროება. დემოკრატიებს ყველა ამ ასპექტში უპირატესობები გააჩნიათ.

რობერტ დალი საბაზრო კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთმიმართების შესახებ

რატომაა სასარგებლო საბაზრო კაპიტალიზმი დემოკრატიისათვის?

დემოკრატია და საბაზრო კაპიტალიზმი ორი ადამიანივითაა, რომლებიც დაქორწინდნენ, აქვთ ხშირი კონფლიქტი და მხოლოდ იმიტომ იტანენ ერთმანეთის, რომ არც ერთ პარტნიორს არ უნდა განცალკევებულად ყოფნა.

პოლიარქიული დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც არის თუნდაც საფუძვლები ჩაყრილი საბაზრო ეკონომიკისათვის, ხოლო იქ, სადაც საბაზრო ეკონომიკა არ დომინირებს, დემოკრატიის ადგილი არ არის. ამგვარი კავშირი არსებობს იმის გამო, რომ საბაზრო კაპიტალიზმის ძირითადი თვისებები მისაღებია და სასარგებლო დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, არასაბაზრო ორიენტაციის ეკონომიკა ვნებს დემოკრატიას.

ამ დასკვნის გასახსნელად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გრძელვადიან პერიოდში საბაზრო ეკონომიკას მივყავართ ეკონომიკურ ზრდასთან, რაც ხელს უწყობს დემოკრატიას, რადგან ის არა მარტო ამცირებს სიღარიბეს და ზრდის ცხოვრების დონეს, არამედ, შედარებით ამცირებს სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების ალბათობას.

საბაზრო კაპიტალიზმი დემოკრატიისათვის სასარგებლოა იმის გამოც, რომ იგი ქმნის განსაკუთრებულ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებს. ის ქმნის საკუთრების მფლობელებს, რომლებიც ეძიებენ ავტონომიას, თავისუფლებას, განათლებას, კანონის დაცვას და მმართველობაში მონაწილეობას. ანუ ეს არის საშუალო ფენა, კლასი, რომელიც ქვეყანაში განსახლვრავს დემოკრატიზაციის დონესაც, რადგან სწორედ მისგან მოდის ძირითადად დემოკრატიული იდეების განხორციელებისა და ინსტიტუტების შექმნის სურვილი და ინიციატივა.

მართალია, არასაბაზრო ეკონომიკაშიც შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდა და არანაკლები, ვიდრე საბაზროში, მაგრამ ამ სისტემის სტრუქტურა და ინსტიტუციონალური მოწყობა სხვაგვარია, არ არის დაფუძნებული კერძო საკუთრებაზე და ყველაფერს აკონტროლებს მთავრობა, რის შედეგადაც ძლიერდება კორუფცია. ძალაუფლება საერთოდ იწვევს კორუფციას, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება იწვევს აბსოლუტურ კორუფციას. ეს ბუნებრივიცაა, შენ გაქვს შესაძლებლობა, გამოიყენო მთელი ეკონომიკური რესურსები და ამით შეინარჩუნო შენივე ძალაუფლება.

აქედან გამომდინარეობს, რომ დემოკრატია არსებობს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, მაგრამ საბაზრო ეკონომიკა შესაძლოა არსებობდეს არადემოკრატიულ ქვეყნებშიაც. ამ ქვეყნებში ავტორიტარული ლიდერები თავიანთი პოლიტიკით ხელს უწყობენ წარმატებულ საბაზრო ეკონომიკას, ახორციელებენ ექსპორტის სუბსიდირებას, ეკონომიკურ ზრდას და სტიმულს აძლევენ განათლებული საშუალო ფენის განვითარებას, მაგ-

რამ ამასთან უნებლიეთ იმკიან შედეგად თავიანთ განადგურებას. ანუ, თუმცა საბაზრო კაპიტალიზმი და ეკონომიკური ზრდა დემოკრატიისათვის სასარგებლოა გრძელვადიან პერიოდში, მაგრამ საკმაოდ უსარგებლოა არადემოკრატიული რეჟიმებისათვის.

მაგრამ არსებობს დიდი წინააღმდეგობები დემოკრატიასა და საბაზრო კაპიტალიზმს შორის, რომელიც თითოეულ მათგანს ზღუდავს და გარკვეულად მოდიფიცირებას უკეთებს.

რატომ ვნებს კაპიტალიზმი დემოკრატიას?

დემოკრატია და საბაზრო კაპიტალიზმი მუდმივ კონფლიქტშია და ამ კონფლიქტში ერთმანეთს გარკვეულად ზღუდავს და მოდიფიცირებას უკეთებს.

ისტორიამ აჩვენა, რომ სამუშაო ძალის, მიწის, კაპიტალის და ფულის თვითრეგულირებადი ბაზრები, მართალია, ეფექტიანად მუშაობს და სახოგადოების წევრებისთვის სასარგებლოა, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილისათვის საზიანოა. სწორედ თავისუფალი ბაზრისგან დაზარალებულთა მხრიდან წარმოიშვა შეხედულება, რომ საჭიროა მისი რეგულირება. თუმცა, ამ შეხედულებას თავიდანვე ჰყავდა ოპონენტები, რომლებიც მიდიოდნენ კომპრომისზე, აცხადებდნენ, რომ თუკი მოხდება ბაზრის რეგულირება, ეს აუცილებლად უნდა იყოს დროებითი მოვლენა და არა მუდმივი. ასე ხდებოდა არა მარტო ინგლისში, არამედ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. იქ, სადაც მთავრობაზე სემოქმედება შეუძლია საზოგადოებას, შეუძლებელია თავისუფალი ბაზრის არსებობა, ანუ საბაზრო კაპიტალიზმი მთავრობის ინტერვენციების და რეგულირების გარეშე დემოკრატიულ ქვეყანაში შეუძლებელია. ამისათვის ორი მიზეზი არსებობს:

პირველი არის ის, რომ საბაზრო კაპიტალიზმის ძირითადი ინსტიტუტები თავისთავად მოითხოვს მთავრობის მხრიდან ინტერვენციებსა და რეგულირებას. კონკურენტული ბაზარი, ეკონომიკური ერთეულების საკუთრება, კონტრაქტების ძალაში შესვლა და განხორციელება, მონოპოლიების შეხლუდვა და აკრძალვა, საკუთრების უფლებების დაცვა - საბაზრო კაპიტალიზმის ეს და სხვა მრავალი ასპექტი მოლიანად დაფუძნებულია კანონებზე, პოლიტიკაზე, წესრიგზე და სხვა მოქმედებებზე, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. ასე რომ, საბაზრო ეკონომიკა არ შეიძლება იყოს, და ვერც იქნება თვითრეგულირებადი.

მეორე, მთავრობის ინტერვენციის გარეშე საბაზრო ეკონომიკა თანდათანობით აზარალებს ზოგიერთ ადამიანს. და ისინი, ვინც ზარალდება, ან გრძნობს, რომ სამომავლოდ დაზარალდება, მოითხოვენ მთავრობისაგან ეკონომიკაში ჩარევას. პირადი ინტერესით მოტივირებული ეკონომიკური აქტორები ვერ ითვალისწინებენ სხვათა ინტერესებს საკუთარ ქცევაში, რადგან თუკი საწინააღმდეგოდ მოიქცევიან, შეიძლება მათაც იგივე ბედი გაიზიარონ და უფრო მეტიც, შეიძლება დაზარალებულებს უბრალოდ ადგილი გაუცვალონ.

ამ პირობებში უამრავი კითხვა წამოიჭრება: შესაძლებელია კი ამ ზარალის შემცირება, ან სრულიად აღმოფხვრა? თუკი შესაძლებელია, რო-

გორი იქნება ამ შემთხვევაში დანახარჯები-სარგებლიანობის თანაფარდობა? როდესაც ზოგი ზარალდება, ხოლო ზოგი სარგებელს იღებს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, მაშინ საიდან უნდა გარკვეულიყო რა არის მისაღები? რომელია საუკეთესო გადაწყვეტილება? და თუ საუკეთესო არა, ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება? როგორ უნდა იქნეს მიღებული ეს გადაწყვეტილებები და ვის მიერ? როგორ და რა საშუალებებით უნდა შეეიდეს ძალაში ეს გადაწყვეტილებები?

ცხადია, რომ ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური კითხვები. ისინი მორალური და პოლიტიკური კითხვებიცაა. დემოკრატიულ ქვეყანაში, ეძებენ რა ამ კითხვებზე პასუხებს, მოქალაქეები მიმართავენ მთავრობას და პოლიტიკოსებს. საუკეთესო კანდიდატი საბაზრო ეკონომიკის სახოგადოებისათვის მტკიცეული შედეგების შესაცვლელად ეკონომიკაში ჩარევისა არის სახელმწიფოს მთავრობა. ხოლო ის, მიიღწევენ თუ არა სახოგადოების წევრები მთავრობის მხრიდან ინტერვენციებს, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.

ქვეყანაში, რომელიც ცნობილია, როგორც საბაზრო კაპიტალიზმის ქვეყანა, ყველა დონის მთავრობა მრავალგვარად ერევა ეკონომიკაში.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა - დემოკრატიულ ქვეყანაში არ შეიძლება არსებობდეს თვითრეგულირებადი საბაზრო კაპიტალიზმი, სადაც სახელმწიფო არ ახორციელებს საბაზრო ჩავარდნების კორექტირებას.

და თუკი ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობა გავლენას ახდენს საბაზრო კაპიტალიზმის ფუნქციონირებაზე, საბაზრო კაპიტალიზმის არსებობა ქვეყანაში დიდ გავლენას ახდენს დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე. ასე რომ მნიშვნელობრივი ისარი მიმართულია პოლიტიკიდან ეკონომიკისაკენ, ხოლო ეკონომიკიდან პოლიტიკისაკენ.

1. რადგანაც საბაზრო კაპიტალიზმი უცილობლად იწვევს უთანასწორობას, ის ამცირებს დემოკრატიის პოტენციალს პოლიარქიული დემოკრატიის შექმნისა, რადგანაც ხელს უწყობს პოლიტიკური რესურსების განაწილების უთანაბრობას.

2. უთანასწორობის გამო, ზოგიერთი მოქალაქე უფრო მეტ გავლენას მოიპოვებს მთავრობაზე, გადაწყვეტილებებზე და მოქმედებებზე, ვიდრე სხვა. ასე რომ, სახოგადოების წევრები არ არიან პოლიტიკურად თანასწორნი, რითაც დემოკრატიის მორალური საფუძველი - სახოგადოების წევრთა პოლიტიკური თანასწორობა - ირღვევა.

3. საბაზრო კაპიტალიზმი ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას, თუკი მიღწეულია პოლიარქიული დემოკრატიის დონე. მაგრამ მისი საწინააღმდეგო პირობის გამო, რაშიც პოლიტიკური უთანასწორობა იგულისხმება, საბაზრო კაპიტალიზმი არ არის დემოკრატიის განვითარებისათვის სასურველი, ვიდრე არ მიიღწევა პოლიარქიული დემოკრატიის დონე. 4. საბაზრო კაპიტალიზმი ავტორიტარული რეჟიმის ძლიერი დამანგრეველი ძალაა. როდესაც იგი ახდენს სახოგადოების ტრანსფორმაციას მიწისმფლობელთა და გლეხთაგან დაქირა-

ვებელებსა და დამქირავებლებად; გაუნათლებელი სოფლელი მოსახლეობიდან განათლებულ ურბანიზებულ, გადარჩენისუნარიან საზოგადოებად; მცირე ელიტის მიერ მონოპოლიზებული რესურსების საზოგადოებიდან რესურსების უფრო ფართოდ გამანაწილებელ საზოგადოებად; სისტემიდან, სადაც ბევრს შეუძლია ცოტა გააკეთოს იმისათვის, რომ გადარჩეს და საკუთარი ინტერესები დაიცვას, სისტემაში, სადაც ბევრს შეუძლია ეფექტიანად შეათანაწყოს მის საკუთრებაში არსებული რესურსები და მოახდინოს მთავრობაზე ზეგავლენა - თუკი საბაზრო კაპიტალიზმს შეუძლია ასეთი ცვლილებების მოხდენა და ასეთი პროცესები ვრცელდება მთელს განვითარებად სამყაროში, ის ასრულებს საზოგადოებისა და პოლიტიკის ტრანსფორმაციის ბორბლის ფუნქციას.

როდესაც ნაკლებად მოდერნიზებულ ქვეყანაში ავტორიტარული მმართველები ავითარებენ საბაზრო ეკონომიკას, ისინი (გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში) მუშაობენ საკუთარი მმართველობის ნგრევაზე, თუმცა ამას ვერ გრძნობენ.

მაგრამ თუკი საზოგადოება და პოლიტიკა არის საბაზრო კაპიტალიზმის მიერ ტრანსფორმირებული, შესაბამისად ფუნდამენტურად იცვლება. ახლა უკვე რესურსების უთანასწორობას, რომელსაც საბაზრო კაპიტალიზმი იწვევს, მოაქვს სერიოზული პოლიტიკური უთანასწორობა საზოგადოების წევრებს შორის. ასე რომ, როგორ შეიძლება პოლიარქიული დემოკრატიისა და საბაზრო კაპიტალიზმის დაწყვილება ისე, რომ პოლიარქიულმა დემოკრატიამ სამომავლოდ ზარალი არ განიცადოს, ძნელი სათქმელია. დამოკიდებულებამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასა და მის არადემოკრატიულ ეკონომიკურ სისტემას შორის მეოცე საუკუნეში, მიგვითითა დემოკრატიის მიზნების და პრაქტიკის საშინელი გამოწვევისაკენ, რომელიც ოცდამეერთე საუკუნეშიც გაგრძელდება.

საკონტროლო კითხვები

1. რა უპირატესობა და რა ნაკლი აქვს ავტორიტარულ რეჟიმს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას?

2. რა როლი აქვს სახელმწიფო აპარატს და ბიუროკრატიის კომპეტენტურობას რეფორმების წარმართვაში?

3. რამდენად შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული ძველი რეჟიმის აპარატი და ბიუროკრატია (როგორი მახასიათებლები უნდა ჰქონდეთ მათ) ეკონომიკური რეფორმების წარმართვაში?

4. რა მიმართებაშია ლეგიტიმურობის ხარისხი რეფორმების ეფექტურობასთან?

5. საბაზრო კაპიტალიზმის რომელი მახასიათებლები უწყობს ხელს დემოკრატიას?

6. საბაზრო კაპიტალიზმის რომელი მახასიათებლები არ უწყობს ხელს დემოკრატიას

საკვანძო ტერმინები და ცნებები

კაპიტალიზმი
საბაზრო ეკონომიკა
ეკონომიკური რეფორმა
საკუთრების უფლება
(ეკონომიკური) ინტერესთა ჯგუფი
მბრძანებლური ეკონომიკა
მოკლევადიანი ინტერესები
გრძელვადიანი ინტერესები
თანასწორობა
ზრდა (ეკონომიკური)
რეგულირება (ბაზრის)

ბიბლიოგრაფია

1. Л.Бальцерович. Социализм, капитализм, Трансформация. Очерки на рубеже эпох. - Москва, "Наука", УРАО, 1999.

2. П.Бергер. Капиталистическая революция. 50 тезисов о процветании, равенстве и свободе. Прогресс, М. 1986.

3. J. Bhagwati. *Democracy and Development*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.

4. R. A. Dahl. *Why Free Markets Are Not Enough*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.

5. R.A. Dahl. *On Democracy*. Yale University Press, 1998.

6. ed. by L. Diamond, J. J. Linz, S. M. Lipset. *Politics in Developing Countries - Comparing Experiences with Democracy*. Lynne Rienner Publishers, 1995.

7. F. Fukuyama. *Capitalism and Democracy: The Missing Link*. Journal of Democracy, Vol. 3, No. 3, July, 1992.

8. ed. by J. F. Hollifield, C. Jillson. *Pathways to Democracy: the Political Economy of Democratic Transitions*. Routledge, 2000.

9. A.Przeworski. *The Neoliberal Fallacy*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.

10. D.Rueschemeyer, J.Stephens. *Capitalist Development and Democracy*. Cambridge, Polity Press, 1992.

11. J. D.Stephens. *Capitalist Development and Democracy. Empirical Research on the Social Origins of Democracy*. in: The Idea of Democracy. Ed. by G. Copp. J. Hampton and J.E. Roemer. Cambridge University Press, 1993.

§2. პოსტკომუნისტური რეფორმების ძირითადი თავისებურებები

თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში კაპიტალიზმის და დემოკრატიის განვითარება თითქმის პარალელურად მიმდინარეობდა. ამით აიხსნება მათი, როგორც ცნებების და სისტემების სშირი იდენტიფიცირება და, სწორედ ამის გამო, დებულებამ „დემოკრატია მოითხოვს კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას" თითქოსდა აქსიომატური შინაარსი შეიძინა.

პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ასეთი განვითარება, როდესაც დემოკრატიას თან ახლავს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა დასავლეთის ქვეყნებში იმანენტურად და ბუნებრივად განხორციელდა საზოგადოებისა და მისი ღირებულებების ჩამოყალიბების კვალობაზე. სწორედ ამ ცნობილმა ისტორიულმა ვამოცდილებამ უბიძგა პოსტკომუნისტურ საზოგადოებებს დაეკავშირებიათ თავიანთი მომავალი დემოკრატიასთან და საბაზრო ეკონომიკასთან.

პოსტკომუნისტური ქვეყნების დემოკრატიული და საბაზრო გარდაქმნების „ბოლო" ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია. თუ თავიდან მიიჩნევდნენ, რომ 5-7 წელიწადში მოხდება დემოკრატიაზე და საბაზრო ეკონომიკაზე სრული გადასვლა, რაც პარალელურად აუცილებლობით საზოგადოების კეთილდღეობასაც მოიტანს, მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ ე.წ. გარდამავალი ეტაპი გაცილებით სანგრძლივი პროცესია. გარდაქმნიდან უკვე ერთი ათეული წელი გავიდა და ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში არათუ კონსოლიდირებული ლიბერალური დემოკრატია, არამედ საარჩევნო დემოკრატიაც კი, შესაძლოა, არ არსებობს, რომ ალარაფერი ვთქვათ, იმგვარი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე, როგორსაც „მოითხოვს დემოკრატია".

დაიწყო რა სოციალისტური სისტემის ტრანსფორმაცია, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეს პროცესი უპირველეს ყოვლისა დემოკრატიის პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობაში გამოიხატა. ამავე დროს, ალსანიშნავია, რომ ეს იყო "რევოლუცია ზემოდან". ამის შემდეგ დაიწყო საზოგადოებისა და ეკონომიკის შეთანაწყობის პროცესი ამ დემოკრატიულ ინსტიტუტებთან.

ეკონომიკური ცვლილებები, პირველსაწყის პოლიტიკურ ცვლილებებთან შედარებით, ბევრად უფრო რთულად და მტკივნეულად წარიმართა. ეკონომიკური სისტემა არ არის საზოგადოებრივი მოწყობის ის სფერო, რომელიც შეიძლება მყისიერად შეიცვალოს მთავრობის თვითნებური ჩარევით. პირიქით, ეს მეტისმეტად რთული სტრუქტურაა, რომელიც მოიცავს მრავალ სამართლებრივ და ფინანსურ ინსტიტუტს, ფორმალურ და არაფორ-

მალურ წესს, საერთო ღირებულებებს და ტრადიციებზე დაფუძნებულ ქცევის ტიპებს. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, ემყარება ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს. 1989 წლიდან დაწყებულმა "რევოლუციებმა", რომელიც ეყრდნობოდა მეტწილად ძველი გეგმიანი მეურნეობის ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული საფუძვლების ნგრევას, ზემოთხსენებული პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტები უფუნქციო გახადა და შემცვლელის ძიებისას სერიოზული მარცხი განიცადა. მარცხში იგულისხმება ამ შემცვლელის სწრაფად მოძებნის ილუზიის გაჭრობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ყველა „რევოლუციონერს" რეალურად ესახებოდა. მივიწყებულ იქნა ავსტრიული სკოლის ეკონომისტების (ჰაიეკი, მიზესი) უმთავრესი თქმისი, რომელიც გულისხმობს, რომ ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა, რომელიც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკას, ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის შედეგად ყალიბდება. სამართლებრივი ინსტიტუტების გადმოღება შეიძლება ადვილი მოგვეჩვენოს, მაგრამ მათი ეფექტიანად ამუშავება მოითხოვს სხვა ქვეყნების გამოცდილების ცნობიერად გაზიარებას. ადაპტაცია იმიტაციაზე ბევრად უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომლის შედეგადაც უნდა მოხდეს ამ ინსტიტუტებთან მუშაობის ქცევებშიც გათავისება. ინსტიტუციონალური მშენებლობა, რომელიც გრძელვადიანი ამოცანაა და სტაბილიზაცია ან სხვა უფრო მოკლევადიანი საკითხები არ შეიძლება განცალკევებულად განვიხილოთ. მაგალითად, ეკონომიკური სისტემის რეაქცია ფულად-საკრედიტო და ფისკალურ ღონისძიებებზე დამოკიდებულია ამ ქვეყნის ფინანსურ და საბანკო სტრუქტურებზე; მენეჯერების და მუშაკთა მიდგომები დეცენტრალიზებულ საბაზრო ეკონომიკასთან კოორდინირების პრობლემებისადმი ასევეა დამოკიდებული იმ ინსტიტუციონალურ გარემოზე, რომელშიც ისინი მოქმედებენ.

ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურები არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც განსაზღვრული მიზნების მიღწევის ინსტრუმენტები. მაშინაც კი, როდესაც დამტკიცებულია არსებული სტრუქტურების არაეფექტიანობა, არ შეიძლება მათი სწრაფად „გადაყრა" და სხვებით შეცვლა. მოცემულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ინსტიტუტები აუცილებლად ჯდება დაშვებული და არდაშვებული ქმედების გარკვეულ სახღვრებში. ასეთი სახღვრების აღიარებას მივყავართ სახოგადოებრივი ქცევის განსახღვრული სტანდარტების აღიარებამდე, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს უფრო ზოგადი მორალური ღირებულებებიდან და სოციალური ტრადიციებიდან. სხვა სიტყვებით, სტრუქტურებს აქვთ არა მხოლოდ ინსტრუმენტული მნიშვნელობა, არამედ საკუთარი შინაარსი, რომელიც ასახავს მოცემულ სისტემაში მცხოვრები, მომუშავე ადამიანების მორალს და ქმნის საფუძველს ინდივიდების იმ მიზნების მსარდაჭერისათვის, რომელიც სცდება პირადი ინტერესის ჩარჩოებს.

კავშირები შინაგან ღირებულებებს, განწყობებსა და ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი აყალიბებენ

სახლვრებს, რომლებშიც ინსტიტუციონალური სტრუქტურა კონკრეტული ინდივიდის კერძო ან ჯგუფური ინტერესებიდან გამომდინარე, დაექვემდებარება მანიპულირებას. ეს ნიშნავს, აგრეთვე, რომ სისტემის სასურველი ცვლილებები შესაძლოა შეფასებული იქნეს არსებული ღირებულებებით და განწყობებით, ვინაიდან ამ ღირებულებების ცვლილება ძალიან ნელა მიმდინარეობს. ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში მისი ისტრუმენტული ასპექტების და შინაგანი ღირებულებების დაშორიშორება ნაწილობრივ გვეხმარება ავხსნათ დეზორგანიზაციისა და აპათიის გრძნობები, რომელიც ესოდენ გაცრცელებულია პოსტკომუნისტური ქვეყნების მოსახლეობაში.

ამგვარად, სისტემის შესაძლებლობა, განიცადოს ცვლილებები თანმიმდევრული, ევოლუციური ფხით, დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია საზოგადოებრივ ღირებულებათა და მორალურ ღირებულებათა საბაზისო სტრუქტურას ახალ პრობლემებთან და გამოწვევებთან ადაპტირება. ზოგიერთი სისტემა სრულიად მოკლებულია უნარს შეეთავსოს იმ კონსტრუქციულ სისტემებს, რომელიც, შესაძლოა, მისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში სასიცოცხლოდ აუცილებელიც კი იყოს. მაგრამ ძველი სისტემის თუნდაც კრახი არ ნიშნავს, რომ შეიძლება ახლის ადვილად შექმნა. იმისთვის, რომ ახალმა სისტემამ დააკმაყოფილოს **ლეგიტიმურობის, წესრიგისა** და **კეთილდღეობის** ძირითადი მოთხოვნები, საჭიროა დრო და ეფექტიანი პოლიტიკური ხელმძღვანელობა:

- *ლეგიტიმურობა* ასაბუთებს მთავრობის ძალაუფლებას მის მოქალაქეებთან მიმართებაში და ამყარებს კავშირს საზოგადოების ძირითად ინტერესებსა და მოსახლეობის „მორალურ წარმოდგენებს" შორის;
- *წესრიგი* ნიშნავს კანონებს, სოციალურ წესრიგს, ნორმებს და პროცედურებს, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედების და ქცევის სოციალურად მისაღები ფორმებისათვის სტიმულებს, ხოლო მიუღებლობისათვის - დასჯას;
- *კეთილდღეობა* გულისხმობს, რომ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში ლოიალობა შეუძლებელი ხდება, თუკი სოციალური სარგებლობის და დანახარჯების განაწილება მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს უსამართლოდ მიაჩნია.

პოსტკომუნისტური ქვეყნების რეფორმების ძირითადი და უმთავრესი თავისებურება ისაა, რომ ერთი ტიპის პოლიტიკური ეკონომიის შეცვლა მეორეთი დაიწყო ეკონომიკური სისტემისა და პოლიტიკური ინსტიტუტების ერთდროული პარალელური ცვლილებით და რომ ტრანსფორმაციას დაექვემდებარა ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკა ავტორიტარული ხელისუფლებით. თანაც, ბუნებრივია, რომ ამ ქვეყნებს არ ჰქონდათ გამოცდილება ამ ტრანსფორმაციის პროცესების წარმართვისათვის. ღია, დემოკრატიული მთავრობებისგან, როგორც წესი, მოითხოვება ელექტორატის ინტერესების უზრუნველყოფა და რეფორმების ისეთი ტემპით წარმართვა, რომ რჩებოდეს დრო მისაღები გადაწყვეტილებების განსახილველად და გასაზიარებლად. ეს არის

საერთო პრინციპი, მაგრამ რეფორმირების პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან დისკუსიები უნდა იმართებოდეს არა რაიმე უმნიშვნელო, არამედ საზოგადოების სამომავლო სტრუქტურის და პოლიტიკური და ეთიკური ღირებულებების ცვლილების პრინციპულ საკითხებზე. დემოკრატიული სახელმწიფოსადმი აუცილებელი მოთხოვნაა განხორციელებული პოლიტიკის ახსნა და ხალხისაგან ამ პოლიტიკის გატარებაში მხარდაჭერის მონახვა. აქ, პირველყოველისა, იგულისხმება ის, რომ სიტუაცია მთავრობისაგან მოითხოვს პოლიტიკის ამოცანების ნათლად გამოხატვას და იმის ჩვენებას, რომ ხალხი მხარს უჭერს ამ პოლიტიკას. თუმცა, რასაკვირველია, ძალიან იშვიათია გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა, რომელიც შეძლებდა გარდაქმნის მთლიანი პროცესის წარმოდგენას და ახსნას და მოახდენდა ხალხის მობილიზაციას მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ამიტომაც იყო, რომ ე.წ. „შოკურ თერაპიას" იმედების გაკრუეება მოჰყვა თვით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე.

მეტად დამახასიათებელი იყო ილუზია, რომ „მხოლოდ კონკურენცია ავითარებს ინიციატივას, რაც უზრუნველყოფს მეწარმეობრივ უნარს და ტექნიკურ პროგრესს". ეს ილუზია რეალობასთან მიახლოებისას გაქრა; მართალია, საბაზრო ურთიერთობები და საბაზრო ეკონომიკა ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისათვისაა დამახასიათებელი რაღაც სახით ან როგორც ხშირად ამბობენ, მათ იმანენტურ თვისებას წარმოადგენს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეზღუდული საბაზრო ურთიერთობები მაშინვე გაშლის ფრთებს, როგორც კი ეს შეზღუდვები მოიხსნება. მართალია, ამ შეზღუდვების მოხსნით და „თამაშის წესების" ცვლილებით აუცილებლად მივიღებთ სხვა შედეგს, იმისგან განსხვავებულს, რაც, ვთქვათ, საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში გვქონდა, მაგრამ აქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იგულისხმებოდეს, რომ ე.წ. „შოკური თეორია", „დიდი ნახტომი" და ა.შ. ერთადერთ და სასურველ შედეგს მოიტანს, რომ ეს შედეგი განეითარებული საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ერთობლიობა იქნება.

თავის დროზე „შოკური თერაპიის" მომხრეებმა ამ პრობლემების იგნორირება მოახდინეს; სკენარი აღმოსავლეთი ევროპის თითქმის ყველა და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ერთნაირად წარიმართა - იმის შიშით, რომ „ძველი გვარდია" არ დაბრუნებულიყო, რეფორმატორებმა უარყვეს კონსენსუსი და, როგორც აღინიშნა, ეს ცვლილებები კვლავ ძველებურად, ავტორიტარული სისტემისთვის დამახასიათებელი ფორმით მოხდა. ამდენად, ამგვარი ერთმნიშვნელოვნებითა და რაიმე ალტერნატივების უარყოფით, მოცემული მიდგომა საოცრად და პარადოქსულად ავტორიტარული აღმოჩნდა, ხოლო თავის პოლიტიკურ წანამძღვრებში ის მეტისმეტი აჩქარებითა და ერთგვარი გულუბრყვილობით ხასიათდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ შოკურმა თერაპიამ „ძველი გვარდიის" ნეიტრალიზება კი არ მოახდინა, არამედ მას დამატებითი კოზირებიც კი მისცა

ხელში. სახელმწიფო ქონების დაჩქარებული პრივატიზაცია კარგად იქნა გამოყენებული ძველი რეჟიმის წარმომადგენელთა მიერ (ურთიერთშეჭრდილი პარტიული, ბიუროკრატიული და სამეურნეო ელიტა) იმისათვის, რომ იაფად შეესყიდათ აქტივები და მესაკუთრეები გამხდარიყვნენ. შედეგად, თუკი მათი ბატონობის წყარო იყო პარტიული იერარქია, ახლა ასეთ დონორად გადაიქცა ეკონომიკური ძალაუფლება, რომელიც სპეციალურად მათთვის წარმოიშვა საბაზრო ურთიერთობებზე შეჭლუდვების მოხსნის კვალობაზე. ნომენკლატურამ გამოამყღავნა ნებისმიერ სახელისუფლებო და მმართველობის ფორმასთან ადაპტირების არაჩვეულებრივი უნარი. უფრო მეტიც, ძველი გვარდიის წარმომადგენელთა უმრავლესობას ადარც კი აწყობდა „ისრების უკან გადაწევა", რადგან თითქმის ყველა რეფორმიდან, რომელიც კი გატარდა, მან არცთუ ისე მცირე სარგებლობა მიიღო; და რაც უფრო მძაფრი და მძიმე იყო "შოკი", მით უფრო ადვილი იყო ბაზრის არასრულყოფილებათა გამოყენება, ეკონომიკური და იურიდიული ინფრასტრუქტურის პრობლემების საკუთარი ინტერესებისათვის რეალიზება. მით უმეტეს, რომ ძველმა სისტემამ ამ თვალსაზრისით თავი თითქმის ამოწურა და ახალი სისტემით ახალი შესაძლებლობები და ვარიანტები გაჩნდა „შავი ხვრელების" გამოყენებისთვის.

პოსტკომუნისტური ქვეყნების რეფორმატორების კიდევ ერთ სამწუხარო ილუზიას წარმოადგენდა ის, რომ მათ ეგონათ, რომ დასავლური საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ საბაზრო ძალებით მართული სისტემაა ანუ ერთხელ შემოღებული თუ აღიარებული, ის თავისთავად ვითარდება და თვითონ ახდენს თავისი თავის კორექტირებას. რაც შეეხება მთავრობის ჩარევას ეკონომიკაში, ის აღიქმებოდა, როგორც იმთავითვე მავნე ღონისძიება, რომელიც, პირველყოვლისა, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე აისახებოდა. სინამდვილეში კი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული სისტემის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მთავრობებსა და ხალხებს ეძლევათ შესაძლებლობა მრავალი ალტერნატიული გზიდან ამოირჩიონ საქმეთა წარმართვის მათთვის სასურველი და მისაღები გზა. როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის ყველა დემოკრატიულ ქვეყანას გააჩნია ინსტიტუტებისა და ღირებულებების საერთო ნაკრები, რომელთა გარეშეც ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ ვერც ეკონომიკის და ვერც სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

პოსტკომუნისტურ სივრცეში რეფორმების წარუმატებლობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ისეთ მოკლე დროში, როგორშიც მის შედეგებს მოელოდნენ, არის არა მხოლოდ ამ მოლოდინის არარეალურობა და ილუზორულობა, არამედ ის, რომ ისინი ორიენტირებულნი იყვნენ (და ეს არ ეხება მხოლოდ ეკონომიკურ რეფორმებს, ასეთივე წარმატებით შეიძლება ვისაუბროთ პოლიტიკური სისტემის ცვლილებაზეც) მხოლოდ მაკროდონეზე, და პრაქტიკულად უგულებელყოფდნენ ამ რეფორმების მიკროდონის სუბიექტებზე (მწარმოებლებზე, მომწოდებლებზე და საერთოდ ინდივიდებზე) დაყვანის აუცილებლობას. ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იყო

ეჩრუნველყოფილი რეფორმების შედეგად დასამკვიდრებელი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინსტიტუტების მიზნების, ხასიათის და თავისებურებათა შესაბამისობა საზოგადოების ღირებულებებთან, მოთხოვნებთან და შესაძლებლობებთან. სწორედ ამ შეუსაბამობამ გამოიწვია საზოგადოებაში ტოტალური სტრუქტურული უმუშევრობა (იმავდროულად ე.წ. დეპროფესიონალიზაცია), შესაბამისად, შემოსავლების კლება და საზოგადოების პოლარიზაცია (შემოსავლების და ძალაუფლების უთანაბრო გადანაწილება), პრაქტიკულად ე.წ. საშუალო ფენის დასაყრდენის გაქრობა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, საზოგადოების ერთ ნაწილში (არცთუ მცირერიცხოვანში) ჩნდება უნდობლობა თავისთავად დემოკრატიის მიმართ, სულ უფრო და უფრო მკვიდრდება აზრი, რომ დემოკრატიული გარდაქმნები ვერ ეჩრუნველყოფს საზოგადოებისათვის ელემენტარულ მატერიალურ პირობებს და ამდენად, ეს გარდაქმნები მიუღებელია, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება სულაც არ ნიშნავს ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის შექმნას, და ეს შეუძლებელია ავტორიტარული სისტემის გარეშე.

როგორც წინა პარაგრაფში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური რეფორმების წარმატებისათვის მნიშვნელოვანია, როგორც ჩანს, ის, თუ როგორი სახით გამოიყენებს ქვეყანა ამ ორი რეჟიმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და მეთოდებს და როგორ მიაღწევს საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ არის მაგალითები, რომლებიც ადასტურებენ ავტორიტარული რეჟიმების ეფექტიანობას, ფაქტია, რომ გამოკვლევები აჩვენებს თვით პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიღწეულ ეკონომიკურ წარმატებებსაც (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი), რისი მიღწევაც პრაქტიკულად გამორიცხული იყო 1981 წლამდე. საშინელი ფისკალური კრიზისები, უზარმაზარი საგარეო ვალები და ინფლაცია დაერთო განვითარების ავტორიტარულ ღონისძიებებს არგენტინაში, პერუში, ბრაზილიაში, ნიკარაგუაში, ჰაიტიზე, ფილიპინებზე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ბირმაში, ზამბიაში, უგანდაში, ზაირში. რაც შეეხება ავტორიტარული რეჟიმების წარმატებას აღმოსავლეთ აზიაში, ეს შესაძლოა უფრო მეტად განაპირობა მთელმა რიგმა კულტურულმა და ინსტიტუციონალურმა ფაქტორებმა, ამ ქვეყნების ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტირებულმა სტრატეგიამ და მათი რეჟიმების უფრო მეტად კომპეტენტურმა ბუნებამ, და არა თავისთავად ავტორიტარიზმმა.

საკონტროლო კითხვები

1. პოსტკომუნისტური რეფორმების ძირითადი თავისებურება.

2. რა ძირითადი ხარვეზები ახასიათებდა ე. წ. "შოკური თერაპიის" პოლიტიკას?

3. რა მსგავსებაა პოსტკომუნისტურ სივრცეში შექმნილ ეკონომიკურ სისტემებს და დასავლეთში არსებულ ეკონომიკურ სისტემებს შორის?

4. რა განსხვავებაა პოსტკომუნისტურ ხივრცეში შექმნილ ეკონომიკურ სისტემებსა და დასავლეთში არსებულ ეკონომიკურ სისტემებს შორის?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

ლიბერალური ღირებულებები
ცენტრალიზებული ეკონომიკა
გეგმიანი ეკონომიკა
კონკურენცია
გრადუალიზმი
სტაბილიზაცია (ფინანსური)
საშუალო ფენა (კლასი)

ბიბლიოგრაფია

1. Л.Бальцерович. Социализм, капитализм, Трансформация. Очерки на рубеже эпох. - Москва, "Наука", УРАО, 1999.

2. Т.Ворожейкина. Демократия и экономическая реформа (опыт сравнительного анализа России и Латинской Америки). - "Pro et Contra", т.1, N.1.

3. П.Раймент. Трудный путь к рыночной экономике: реальности и иллюзии. - "МЭиМО", 1996, 5.

4. B. Crawford & A. Lijphart. *Explaining Political and Economic Change in Post-Communist Eastern Europe: Old Legacies, New Institutions, Hegemonic Norms, and International Pressures.* Comparative Political Studies, vol. 28, no. 2, July 1995.

5. L.Csaba. *The Capitalist Revolution in Eastern Europe, A Contributon to the Economic Theory of Sistemic Change*. Edvard Elgar, 1995.

6. G.W.Kolodko. *From Recession to Growth in Post-Communist Economies: Expectations versus Reality.* Communist and Postcommunist Studies, vol. 26, No 2, June 1993.

7. J. Szymanderski. *Moral Order and Corruption in Transition to the Market: Popular Belief and Their Underpinnings*. Comunist Economics & Economic Transformation, vol. 7, No. 2. 1995.

§3. არაფორმალური ეკონომიკა

ეკონომიკის დახასიათება მრავალი ნიშნითა და მიდგომით შეიძლება. ჩვენთან ყველაზე გავრცელებულია მისი კლასიფიკაცია საბაზრო და მბრძანებლური ეკონომიკად როგორც ერთადერთ შესაძლო ალტერნატივად. მაგრამ ეკონომიკა შეიძლება დახასიათდეს სხვა მიდგომების საფუძველზეც. ერთი ასეთი მიდგომა, რომელიც პროდუქტიულად გამოიყენება ბევრი მეცნიერის მიერ პოსტკომუნისტური სინამდვილის შესწავლისას, გულისხმობს იმის დადგენას, თუ როგორია ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემის კანონიერად მუშაობის ხარისხი. როგორც რიჩარდ როუზი წერს, პოსტკომუნისტური საზოგადოებისათვის არსებობს არჩევანი საბაზრო ეკონომიკის ორ სხვადასხვა სახეობას შორის: სამოქალაქო და არასამოქალაქო საბაზრო ეკონომიკას შორის. საბაზრო მექანიზმების განვითარება არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა სამოქალაქო ეკონომიკისათვის, რომელიც მოითხოვს აგრეთვე ინდივიდებისა და ფირმებისაგან კანონის, კონტრაქტის, გადასახადების პატივისცემას და დამორჩილებას მათდამი. თუკი ასე არ ხდება, შედეგად ვიღებთ არასამოქალაქო საბაზრო ეკონომიკას, სადაც ბაზარი ფუნქციონირებს ყოველგვარი კანონის დაცვის გარეშე, მთავრობა ვერ ახერხებს გადასახადების შეგროვებას და მოქალაქეებსაც ძირითადად არ უნდათ მათი გადახდა.

დასავლეთში სამოქალაქო ეკონომიკა არის ნორმა. პოსტკომუნისტურ სამყაროში მისი ისეთი ფუძემდებლური ლეგალური კონცეპტები, როგორიცაა კერძო საკუთრება, კონტრაქტები, მოგებისა და წაგების ანგარიში, სააქციო კომპანიები - სიახლეა, რომელიც, ამავე დროს, მთლიანად უცხოა. მაგალითად, პრივატიზაცია გულისხმობს, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი სექტორის ლეგალურობას და ვიდრე სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოები გაიყიდება, სახელმწიფომ როგორც გაყიდვის წინაპირობა, უნდა ალიაროს ცენტრალიზებული კონტროლისაგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ეკონომიკის არსებობა. დღეს თანამედროვე პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში არსებობს ერთგვარი, თავისებური ტიპის ეკონომიკა, რომელიც აერთიანებს როგორც **სამოქალაქო (ფორმალურ)**, ასევე **არასამოქალაქო, არაფორმალურ** (არაოფიციალურ) ელემენტებს და ქმნის *ეკონომიკის ისეთ სახეობას, რომელიც არ არსებობს დასავლეთ ევროპაში.*

არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობის გავრცელებული ტიპებია:

1. *ლეგალური არაფორმალური ეკონომიკა* - ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც არ ფიქსირდება ანგარიშგებასა და კონტრაქტებში, მაგრამ რომელიც

არ არღვევს არსებულ საკანონმდებლო ნორმებს, და არც სხვა სამეურნეო აგენტების უფლებებს (მაგალითად, ნატურალური მეურნეობა სოფლად);

2. *არასამართლებრივი ეკონომიკა* - ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც არღვევს სხვა სამეურნეო აგენტების უფლებებს, მაგრამ არ არის რეგლამენტირებული მოქმედი კანონმდებლობით და ამდენად, მდებარეობს არასამართლებრივ ზონაში (მაგალითად, ფინანსური პირამიდები, „გამონაკლისის წესით" დაშვებული შეღავათები და სუბსიდიები და სხვ);

3. *ნახევრად სამართლებრივი ეკონომიკა* - ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც თავისი მიზნებით შეესაბამება კანონმდებლობას, მაგრამ პერიოდულად სკდება კანონის სახლვრებს გამოყენებულ საშუალებათა ხასიათის მიხედვით (მაგალითად - გადასახადების თავიდან აცილების სხვადასხვა ზეები, ბარტერული გაცვლები, მუშაობა პატენტისა და ლიცენზიის გარეშე, თანამშრომლის დაქირავება გაფორმების გარეშე);

4. *არალეგალური კრიმინალური ეკონომიკა* - კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა (მაგალითად - ნარკობიზნესის, იარაღის უკანონო წარმოება და ვაჭრობა, პროსტიტუცია, კონტრაბანდა, რეკეტი).

ეკონომიკური საქმიანობის პირველი ორი ფორმა სრულიად არ ეწინააღმდეგება კანონს, მაგრამ არ იცავს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს (პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ასეთი ეკონომიკის წილი განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში). მესამე და მეოთხე ფორმები არაკანონიერია, განეკუთვნება ე.წ. ჩრდილოვან ეკონომიკას. მაგრამ აქაც აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტურ სინამდვილეში ხსენებული ეკონომიკების ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკის მესამე ტიპი პრაქტიკულად მოიცავს მთელი ეკონომიკის უდიდეს ნაწილს (I და II ტიპის გამოკლებით) - მაშინ, როდესაც ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკებში ასეთი ტიპის ეკონომიკა (ე.წ. „ნახევრად სამართლებრივი") ჩვეულებრივ 5-იდან 15%-მდეა.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გავრცელებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია:

- საწარმოს დაფარვა (რეგულარული ორგანიზებული სამეურნეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე) ან უკანონო მეწარმეობა;
- სამეურნეო ოპერაციების დაფარვა (წინასწარგანზრახული დაფარვა ხელშეკრულებებში და ანგარიშგებაში);
- დაქირავებული სამუშაო ძალის დაფარვა;
- შემოსავლების დაფარვა (გადასახადების არ გადახდა).

ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის „ზოგიერთი" კლასიკური მიზეზი:

1. ეკონომიკური და სტრუქტურული კრიზისის პირობებში შრომით ბაზარზე ვითარების გართულება, რაც იწვევს მცირე მეწარმეობისა და დამო-

უკიდებელი დასაქმების უსწრაფეს ზრდას (ბუმს), რაც თავისთავად ხდება ნოყიერი ნიადაგი ჩრდილოვანი ურთიერთობების ზრდისათვის;

2. მასიური მიგრაცია (გარე და შიდა) დეპრესიული რეგიონებიდან და ცხელი წერტილებიდან, მიგრანტთა მასები, როგორც წესი, ყალიბდებიან ჩრდილოვანი ეკონომიკის ანკლავებად;

3. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ხასიათი: უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩრდილში წასული ეკონომიკის წილი არის პირდაპირ დამოკიდებული სამ პარამეტრზე: 1. რეგულატორული ჩარევის ხარისხი; 2. გადასახადების დონე; 3. კორუფციის მასშტაბები.

4. საგარეო ბაზრების გახსნა - რაც ზრდის კონკურენტულ ბრძოლას და უბიძგებს დანახარჯთა შემცირებისაკენ ნებისმიერი - ლეგალური თუ არალეგალური საშუალებებით;

5. გადახრა შრომით ურთიერთობებში მეტი არაფორმალურობისა და მოქნილობისაკენ, როგორც რეაქცია მათ ზედმეტად ინსტიტუციონალიზაციაზე და რეგლამენტაციაზე წინა პერიოდებში.

პოსტკომუნისტურ პერიოდში ეკონომიკის ჩრდილოვანი სფეროები გაფართოვდა, რადგანაც შემცირდა ვერტიკალური კონტროლი სამეურნეო საქმიანობაზე და ამასთან შენარჩუნდა მაღალი ადმინისტრაციული ბარიერები და ტრანსაქციული დანახარჯები ბაზარზე შესვლისათვის, ისევე როგორც მძიმე საგადასახადო ტვირთი სამეურნეო აგენტების არასაკმარისი დაკულობის პირობებში.

ადმინისტრაციული ბარიერები და ტრანსაქციული დანახარჯები რეგისტრაციაზე, ლიცენზიებზე და სხვ. მეტად მაღალია, რის გამოც სამეურნეო სუბიექტები ცდილობენ გაბარდონ შემოსავალი გადასახადებისგან თავის არიდების ტოლ. ფორმალური წესები სისტემატურად ირღვევა სამეურნეო აგენტების მხრიდან, რითაც ხდება მათთვის განსაკუთრებული შეღავათიანი პირობების უზრუნველყოფა ბაზარზე გარკვეული პრივილეგიების მიღების მეშვეობით (პრივილეგიებს იღებენ ჩინოვნიკთა მოქრთამვით). სამეურნეო აგენტების მოქმედება ხდება ჩრდილოვანი, ისინი ეძებენ არა საბაზრო ნიშებს, არამედ საკონკურენტო უპირატესობებს უკვე დაკავებულ ნიშებში.

შემოსავლების გადანაწილებას პოსტკომუნისტურ სინამდვილეში რთული ხასიათი აქვს და უფრო სწორად ის ხორციელდება ირიბად - სახელმწიფო ბიუჯეტში დიფერენცირებული არგადახდების მეშვეობით.

გადასახადების არგადახდა (თავიდან აცილება) იქცა სამეურნეო აგენტების ქცევის ღერძად და, რაც მთავარია, ამ პოლიტიკაში ამკარა არალეგალურობის გვერდით ჩვეულებრივი ჩართულია რესპექტაბელური საწარმოებისა და რიგითი მოქალაქეების მასა. გადასახადებისგან თავის არიდება მორალურად გამართლებულად მიაჩნიათ მეწარმეებსაც და მთლიანად სახოგადოებასაც.

არასამოქალაქო ეკონომიკის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ ხარჯებისა და გადასახადების განაკვეთების გადამეტებისაგან თავი უნდა შეიკავოს და მისცეს ინდივიდებს სტიმულები იმისათვის, რომ მთავრობის მიერ დაწესებული ვალდებულებები გადასახადებთან და სხვა კანონებთან დაკავშირებით მათთვის მისაღები გახდეს.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ხდება საქმიანობის „ჩრდილში" გადატანა არის ფორმალური საშუალებების შეზღუდულობა, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს კონტრაქტების შესრულება თავად სამეურნეო აგენტების მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც წესი, შეუძლებელია მიმართო სასამართლოს ან რაიმე ოფიციალურ ინსტანციას, საქმიანი შეთანხმებების დარღვევისას, რაც უბიძგებს ძალის გამოყენების „დაკანონებისაკენ" კანონის ძალის არარსებობის პირობებში.

ნიშანდობლივია თავისი პარადოქსალურობით ხელისუფალთა პოზიციაც: ისინი აშკარად აღიარებენ (ხშირად გაზვიადებულადაც) ჩრდილოვანი (მათ შორის, კრიმინალური) ეკონომიკის მასშტაბებსა და როლს და ჩქმალავენ სახელმწიფოს როლს ეკონომიკურ საქმიანობაში. ჩრდილოვანი ეკონომიკა იქცევა „ეზოირად" პოლიტიკურ თამაშებში.

საკონტროლო კითხვები

1. დაასახელეთ საბაზრო ეკონომიკის ორი ნაირსახეობა.
2. არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობის რა და რა ტიპები შეიძლება გამოიყოს?
2. რა ურთიერთმიმართებებია არაფორმალური ეკონომიკის სხვადასხვა ტიპებს შორის?
3. რა მიზეზები განაპირობებს ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდას?
4. დაასახელეთ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გავრცელებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები.

საკვანძო ტერმინები და ცნებები

სამოქალაქო ეკონომიკა
არაფორმალური ეკონომიკა
ლეგალური ეკონომიკა
ჩრდილოვანი ეკონომიკა
არასამოქალაქო ეკონომიკა
ნახევრად სამართლებრივი ეკონომიკა
არალეგალური ეკონომიკა
კრიმინალური ეკონომიკა

ბიბლიოგრაფია

1. П.Р а й м е н т. Трудный путь к рыночной экономике: реальности и иллюзии. - "МЭиМО", 1996, 5.

2. P r z e w o r s k i. *The Neoliberal Fallacy*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.

3. R.R o s e. *Toward a Civil Economy*. Journal of Democracy, Vol.3, No. 2, April 1992.

4. R.R o s e, W.M i s h l e r and C.H a p e f e r. *Democracy and its Alterantives. Understanding Post-Communist Societies*. The Johns Hopkins University Press, Baltimore, 1998.

5. L. S i r c. *Morality in Economic Life*. Comunist Economics & Economic Transformation, vol. 7, No. 2. 1995.

6. J. S z y m a n d e r s k i. *Moral Order and Corruption in Transition to the Market: Popular Belief and Their Underpinnings*. Comunist Economics & Economic Transformation, vol. 7, No. 2. 1995.

§4. პოსტსაბჭოთა სახელმწიფო და ეკონომიკა

დღეს დანამდვილებით არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა აუცილებლობით გამოიწვია ასეთი ეკონომიკური დაცემა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. მოვლენათა შემდგომი განვითარების პროგნოზირება ყველა მეცნიერს გაუჭირდებოდა, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი ტრანსფორმაციის პრეცედენტი (კომუნისტური, გეგმიანი სისტემიდან დემოკრატიაზე და საბაზრო ეკონომიკაზე პარალელურად გადასვლის) მსოფლიოში არ არსებობდა. ამასთან ზოგიერთი მეცნიერი აღიარებს, რომ ასეთი კრიზისები ბუნებრივი და გარდუვალიც კი იყო. ახლა შეფასება და ანალიზი შედარებით მარტივია და შეცდომებიც უკეთ ჩანს, მაგრამ გარდაქმნების დაწყებისას გადაწყვეტილებების მიღების მთელი სირთულე ის გახლდათ, რომ მოვლენები მეტისმეტი დინამიურობით ვითარდებოდა, გადაწყვეტილებათა გაანალიზების და ანალიზის დრო ძალიან მცირე იყო, გამოცდილება არ არსებობდა. თუ მსჯელობაში მივიღებთ ძველ ტრადიციებს და ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში საკუთარი ადგილისა და ფუნქციების მოძიების აუცილებლობას, შედეგები, რომელსაც დღეს მთელი საზოგადოება იმკის თითქოსდა ბუნებრივი და ფატალურიც კი ჩანს.

რამდენადაც რეფორმამდელ და რეფორმისშემდგომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, გარდაქმნები (პოლიტიკური თუ ეკონომიკური) ზემოდან დაიწყო, ეკონომიკური ძალაუფლებაც ამავე მიმართულებით გადანაწილდა. ამდენად ამ თვალსაზრისითაც, ყველაფერი შებრუნებული აღმოჩნდა: დასავლური ლიბერალური დემოკრატიებისაგან განსხვავებით, პოლიტიკური ძალაუფლება ეკონომიკურმა ძლიერებამ კი არ მოიტანა, არამედ პირიქით, უცებ „ციდან ჩამოვარდნილმა" პოლიტიკურმა ძალაუფლებამ თავისთავად, განსაკუთრებული შრომის და ჯაფის გარეშე, მოიყოლა ეკონომიკური ძალაუფლება. მასობრივი პრივატიზაციის შედეგად, შეიქმნა „ბიუროკრატიული, კლანური კაპიტალისტური" სისტემა, სადაც წამყვან როლს ასრულებენ არა კერძო მეწარმეები, რომლებიც თავისუფლად კონკურირებენ ერთმანეთთან, არამედ სახელმწიფო ძალაუფლებასთან შეჭრდილი საქმიანი ადამიანები, რომელთაც პრაქტიკულად მონოპოლია აქვთ ყველაზე მომგებიან ბაზარზე. სახეზეა „ველური" საბაზრო ურთიერთობები, სადაც შეზღუდულია კონკურენცია, და სადაც არ არსებობს საკმარისი იურიდიული და ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კერძო საკუთრების დაცვას, პირად პასუხისმგებლობას, არჩევანის თავისუფლებას და მეწარმეობრივი უნარის

რეალიზებას. ამგვარად ჩამოყალიბდა სოციალურად არამდგრადი სისტემა, რომელიც იწვევს შემოსავლების მძაფრ პოლარიზაციას, რის გამოც აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი შევიწროებულია და არა აქვს ლეგალური ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობა. სულ უფრო იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი, რაც ხელს აძლევს კორუფციას და ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს.

რეფორმების შედეგად მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად შემცირდა, სოციალური დაძაბულობა გამწვავდა და ეკონომიკური პოტენციალის უდიდესი ნაწილი დაიკარგა. ამ პირობებში აგრეთვე პოლიტიკური გარდაქმნების პირველი ენთუზიაზმი იცვლება მოსახლეობის სრული გაუცხოებით მთავრობის მიმართ. ეს გაუცხოება გამოწვეულია იმ სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შეუსაბამობით საზოგადოების მოლოდინებთან, რომელიც რეფორმების პირველ ეტაპზე განხორციელებულ ღონისძიებებს ედოთ საფუძვლად.

ამ გაუცხოებას რამოდენიმე კონკრეტული მიზეზი აქვს. **ერთი მიზეზია** მმართველი კლასის ჯგუფური ელიტიზმი და მისი მორალის დაბალი დონე, რაც კატასტროფულად სცემს მის პრესტიჟს და ლეგიტიმურობას მოსახლეობის თვალში. **მეორე** - თავად მმართველ კლასში არსებული განხეთქილებები და ოლიგარქიული კლანური დაჯგუფებების წარმოშობა, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან და საკუთარი ინტერესების დაცვით კიდევ უფრო აზარალებენ მოსახლეობას. ეს კიდევ უფრო აბნევს მოსახლეობას, რადგან ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას აწვდიან მას ყველა ამ ჯგუფის შესახებ. **მესამე** - რეფორმების განხორციელება იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი მოსახლეობაზე, ანუ მათი ინტერესების სრული იგნორირება და რეალურად დაუცველი ფენების მოთხოვნების უგულებელყოფა. და **მეოთხე** - მოსახლეობის პასიურობა, რაც გამოწვეულია მისი გამოუცდელობით, თუმცა ამასთან იმის მოთხოვნილების დეფიციტით, რომ რაიმე ორგანიზებულ პოლიტიკურ მოქმედებებს მიმართოს, რათა თავიდან აიცილოს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებით მანიპულირება.

სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს ასეთი ტიპის ეკონომიკაში, მაგრამ იგი მას არ მართავს.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ეკონომიკაში ხორციელდება ყიდვისა და გაყიდვის ერთობლიობა, ხოლო ფასები, გარკვეული ზომით, განისაზღვრება მოთხოვნითა და მიწოდებით, კონკურენციის საფუძველზე, ეს არ არის თავისუფალი ბაზარი, რადგან აქ არ არის მყარი და ფორმალური მექანიზმი, რომელიც დაუკავშირებდა ერთმანეთთან მწარმოებელს, მომხმარებელსა და გამყიდველს, და მეორეც, აქ მოქმედებს ნათესაობისა და სხვა ამგვარი ერთობების ურთიერთდამოკიდებულებები და აგრეთვე ურთიერთობები „კლიენტი-პატრონი".

უნდა ითქვას, რომ დასავლეთშიც არსებობენ ფენები, რომლებიც მისდევენ ცხოვრების ამ არაფორმალურს წესს, მაგრამ ეს მარგინალური ფენებია

- ემიგრანტები, უმუშევრები, და სხვ. ის შეესატყვისება ყველაზე უფრო დაბალ სოციალურ დონეს - არსებობის შენარჩუნებასა და ადაპტაციას. ამ ფენების ჩართვა სოციალურ სისტემაში შესაძლებელია, თუ იგი მართლაც მხოლოდ მარგინალურია და საზოგადოებაში უმთავრესი ადგილი უკავია სხვა დონეებსა და ფუნქციებს.

შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი შექმნილი ვითარების ჩამოყალიბებაში შეასრულა სპეციფიურმა მიმართებამ სახელმწიფოსა და ეკონომიკის სფეროებს შორის, რომელიც დამახასიათებელი გახდა მეტ-ნაკლებად ყველა პოსტკომუნისტური, მაგრამ განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის.

სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში ორი მოდელის სახით წარმოიდგინება: 1. სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკას; 2. სახელმწიფო უარყოფს ამ როლს. მაგრამ ეს არის იდეალური ტიპები, თეორიული აბსტრაქცია. რეალურად კი არსებობს შერეული ეკონომიკები და რაც მთავარია, დემოკრატიის ჩამოყალიბება და დამკვიდრება, მისი ვიწრო სოციალური ბაზის პირობებში აუცილებლობით მოითხოვს, როგორც მინიმუმ, რაციონალურ სახელმწიფოს.

დასავლეთში საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ფუნქციონირებადი ბაზარი გულისხმობს სამოქალაქო წესრიგს. სწორედ სახელმწიფო და არა ბაზარი აკანონებს და იცავს საკუთრების უფლებებს; სახელმწიფო და არა ბაზარი უზრუნველყოფს კონტრაქტების შესრულებას; სახელმწიფო და არა ბაზარი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და ქმნის უსაფრთხო გარემოს, რაც ახდენს ინვესტირების სტიმულირებას. სახელმწიფოს და არა ბაზრის ფუნქციაა ამუშაოს ცენტრალური ბანკი და ბეჭდოს ფული. ეს არ არის რადიკალური იდეები: „სამართლებრივი სახელმწიფო" (Recht Staat) წინ უსწრებდა „მისწრაფებას მოგებისადმი" ბაზარზე (საბაზრო ეკონომიკაში).

აქედან გამომდინარე, რამდენად პარადოქსულიც არ უნდა მოგვეჩვენოს, სახელმწიფოს ქმედება არის უკილობელი პირობა განსახელმწიფოებრიობისათვის, რომელსაც მივყავართ სამოქალაქო ეკონომიკისაკენ. თუ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ხელს უწყობს სოციალურ აქტივობაზე სახელმწიფოს კონტროლის მოსპობა, პირიქით, სამოქალაქო ეკონომიკის ჩამოყალიბება დამოკიდებულია სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე შემოიღოს კანონები, რომლებიც სჭირდება ბაზარს ფუნქციონირებისათვის.

XX საუკუნის მიწურულს აღმოჩნდა, რომ სუსტი სახელმწიფო უფრო მეტად საშიშია საბაზრო განვითარებული ეკონომიკისთვის, ვიდრე ზედმეტად ძლიერი სახელმწიფო. უფრო ადრე, „ცივი ომის" ეპოქაში მიიჩნევდნენ, რომ ყველა ბოროტება პოლიტიკაში მომდინარეობს „ძალიან ძლიერი სახელმწიფოსაგან" და საფრთხე, რომელიც მომდინარეობდა „ძალიან სუსტი სახელმწიფოსაგან", არ იმსახურებდა მნიშვნელოვან ყურადღებას.

ამგვარად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე ხდება სრულიად აშკარა: არშემდგარი სახელმწიფო (ან ძალიან სუსტი სახელმწიფო) ლიბერალურ ეკონომიკურ ღირებულებებს ემუქრება ისევე სერიოზულად, როგორც დესპოტური

სახელმწიფო. ლიბერალურ საზოგადოებაში სწორედ ლიბერალური სახელმწიფოა ყველაზე საიმედო გარანტი „ადამიანის უფლებათა დაცვისთვის". და იქ, სადაც სახელმწიფოს არ ძალუძს ეფექტიანად განახორციელოს თავისი ძალაუფლება, ადამიანის უფლებათა განხორციელება და დაცვა შეუძლებელია.

სამართლებრივი წესრიგისა და სახელმწიფო ძალაუფლების ნათელი მაგალითია კრედიტორის უფლება ვალის დაბრუნებაზე. ევროპელი ან ამერიკელი, რომელიც მოითხოვს თავისი უფლებების განხორციელებას კანონისა და ხელშეკრულებათა შესაბამისად, აუცილებლად სახელმწიფოს მიმართავს დახმარებისათვის.

ადამიანის უფლებათა დაცვა შეუძლებელია სახელმწიფო სახსრების ეფექტური გამოყენების გარეშე. ამ სახსრების მოპოვება კი გადასახადების აკრეფის გარეშე შეუძლებელია. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ არის უზრუნველყოფილი, რამდენადაც სახელმწიფო არ არის გადახდისუნარიანი. გადასახადის გადამხდელები არ ენდობიან სახელმწიფოს, ვინაიდან სახელმწიფო სამსახურის მორალურ-სამართლებრივი სტრანდარტები უადრესად დაბალია. კორუფციაში ჩართული მოხელეების მკაცრი მოთხოვნა გადასახადის გადახდისა, რასაკვირველია, სრულიად არასაკმარისია იმისათვის, რომ სუბიექტებმა მოახდინონ შემოსავლების დეკლარირება.

სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გადასახადების აკრეფის დონის რეალურად ამაღლება, თუ ადამიანები დარწმუნდებიან, რომ სახელმწიფო მათ სამართლიანად (ყველას ერთნაირად) ექცევა და ამავე დროს ის მკაფიოდ აყალიბებს საკუთარ მიზნებს და ითვალისწინებს რა მათ ინტერესებს, პარტნიორულად თანამშრომლობს ძირითად საზოგადოებრივ ჯგუფებთან და ძალებთან საერთო პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

თუ საკუთრების უფლებები და მათი რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმი მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, ქონების ფლობა არ წარმოშობს პატრონის გრძნობას, ისევე, როგორც პრივატიზაცია არ წარმოშობს მეწარმეობას. ბაზარს ქმნის, ასულდგმულებს და პერმანენტულად არეგულირებს კანონები და სასამართლო გადაწყვეტილებები. ისევე, როგორც არ შეიძლება იყოს ბაზარი იქ, სადაც ყველაფერი იგეგმება, ასევე არ შეიძლება ის იყოს იქ, სადაც ყველაფერი იყიდება (მაგალითად, მოხელეები, რომლებიც გასცემენ სარეგისტრაციო მოწმობებსა და ლიცენზიებს). ბაზარი ვულისხმობს კომპეტენტური და პატიოსანი ბიუროკრატიის არსებობას; კარგად ორგანიზებულ, ფინანსირებულ, ავტორიტეტულ და მაქსიმალურად შესაძლებელ პატიოსან სასამართლო სისტემას.

სრულიად ბრს მოკლებულია საკუთრების უფლების არსებობა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია შეინახოს პოლიცია და თუნდაც არმია, საკუთრების მფლობელის უფლებებს ძნელად თუ ვინმე დაიცავს მბარცველებისა და ბანდიტებისაგან (ქვეყნის შიგნითაც და გარედანაც).

ლიბერალური ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ადამიანთა მზადყოფნა ენდონ ერთმანეთის სიტყვას, ეს არის ფსიქოლოგიური ვანწყობა, რომელიც სამართლის სფეროს გარეთ ძევს. სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა, გააფართოოს დროითი ჩარჩოები, რომელშიც ფუნქციონირებს ეკონომიკის კერძო სუბიექტები, ეკონომიკური ქცევის საყოველთაო და მდგრადი წესების დადგენის მეშვეობით.

პოსტსაბჭოთა გამოცდილება ადასტურებს, რომ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ ლიბერალურ პოლიტიკურ სისტემასთან ერთად თანაარსებობს და მხოლოდ ამ ორ სისტემას (პოლიტიკურს და ეკონომიკურს) ერთობლივად შეუძლია ხელი შეუწყოს შესაბამისი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური საფუძვლების შექმნასაც და ჩამოყალიბებასაც.

თავისუფალი ეკონომიკის სისტემის შენარჩუნებაში დაინტერესებულნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ მდიდრები, არამედ სხვებიც (საშუალო და დაბალი ფენებიც). თავისუფალი ეკონომიკა, რომელშიც კერძო სიმდიდრე დაცული უნდა იყოს როგორც გარე, ასევე შიდა მტაცებლებისაგან, ეულისხმობს, რომ ლიბერალურ სახელმწიფოს არ შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია მთელი სახოგადოების უფლებამოსილ წარმომადგენლობაზე, თუ ის არ ვანიხილავს ღატაკთა იზოლაციას, მათ გაუცხოებას დანარჩენი საზოგადოებისაგან, როგორც პირველხარისხოვან მორალურ პრობლემას და არ რეაგირებს ამ პრობლემაზე ენერგიულად, როგორც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გამოწვევაზე.

იმისთვის, რომ დაიცვას საკუთარი თავისუფლება, ავტონომიურმა პიროვნებამ უნდა დაიცვას ლეგიტიმური პოლიტიკური ხელისუფლება - სახელმწიფო, - რომელიც, თავის მხრივ, იცავს და უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას.

საკონტროლო კითხვები

1. რამდენად შესაძლებელია იმის თქმა, რომ ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოიწვია დაცემა?
2. რა გამოიწვია მასობრივმა პრივატიზაციამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში?
3. რა იწვევს მოსახლეობის გაუცხოებას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში?
4. რატომ სჭირდება საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფო?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

რეფორმა
პრივატიზაცია
ჩრდილოვანი ეკონომიკა
საკონტრაქტო ურთიერთობები
არალეგალური ეკონომიკა

ბიბლიოგრაფია

1. რედ. გ.ქორგოლიანი. მეწარმეობა და კორუფცია საქართველოში. - ბიზნეს ლიგა, თბილისი, 1998.

2. М.Н.Афанасьев. Клиентелизм и российская государственность. - М.1997.

3. И.Клямкин, Л.Тимофеев. Теневая Россия. Экономико-социологическое исследование. - Российский гуманитарный университет, Центр по изучению нелегальной экономической деятельности. Москва, 2000.

4. Я.Ш.Паппэ. Олигархи. Экономическая хроника 1992-2000. - Государственный университет, Высшая школа экономики. Москва, 2000.

5. С.Хоямс. Чему Россия учит нас теперь? - "Pro et Contra", т.2, 1997, pubs.carnegie.ru/p&c/.

6. Л.Шевцова. Россия: логика политических перемен. - в: "Россия политическая" (под ред. Л.Шевцовой), М. 1998.

7. R.Rose. *Postcommunism and the Problem of Trust*. Journal of Democracy, v.5, N.3, 1994.

IV დემოკრატია და საზოგადოება

§1. სამოქალაქო საზოგადოება

ტოკვილი, XIX საუკუნის ამერიკის აღწერისას, გაოცებული იყო ამერიკელთა მზადყოფნით შექმნათ ათასგვარი ასოციაციები:

„ნებისმიერი ასაკის, ნებისმიერი საზოგადოებრივი მდგომარეობის, ყველანაირი შეხედულებების მქონე ამერიკელები მუდამ ქმნიან ასოციაციებს. ეს არის არა მხოლოდ კომერციული და ინდუსტრიული ასოციაციები, რომლებშიაც ყველა მონაწილეობს, არამედ სხვა ათასნაირი ტიპის ასოციაციები - რელიგიური, მორალური, სერიოზული, ზედაპირული (უსარგებლო), მეტად ზოგადი და მეტად შეზღუდული, უზომოდ გაბერილი და მეტად მოცლევადიანი მიზნების განხორციელებაზე მიმართული. . . ამგვარად, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა არის ის, რომელშიაც ადამიანებმა დღესდღეობით უმაღლეს დონეზე აიყვანეს ერთობლივი მოქმედების საფუძველზე საერთო სურვილების მიღწევის ხელოვნება და იყენებენ ამ ახალ ტექნოლოგიას უდიდესი რაოდენობის მიზნების მისაღწევად.“ (ტოკვილი, 2000, გვ. 378).

მასვე ეკუთვნის დემოკრატიის დახასიათება არა იმდენად როგორც პოლიტიკური რეჟიმის ფორმის, არამედ როგორც საზოგადოების ტიპისა. „დემოკრატიულ, ეგალიტარულ საზოგადოებას“ იგი უპირისპირებს მის „არისტოკრატიულ, იერარქიულ“ წინამორბედს. ამ გარდაქმნას იგი უკავშირებს ტრადიციული, იერარქიული სოციალური კავშირების რღვევასა და ინდივიდუალიზმის წარმოქმნას. ამ ახალ საზოგადოებაში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ქმედითუნარიანობა დამოკიდებულია მოქალაქეებში მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთების არსებობაზე. როდესაც მოქალაქეები იღებენ გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივ საკითხებზე (სხვა სიტყვებით, მონაწილეობენ პოლიტიკის კეთების პროცესში), მათ უნდა იხელმძღვანელონ არა მარტო საკუთარი წუთიერი ინტერესებით, არამედ მხედველობაში იქონიონ საერთო სიკეთის მიღწევა. ტოკვილის აზრით, სწორედ ამ უნარის გამოშუშავებას უწყობს ხელს დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეთა უნარი და ჩვევა შექმნან ასოციაციები.

ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს *“ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს,*

რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადი, (ფართოდ) თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიური და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით" (დაიმონდი, 1994, გვ.5). ზოგადად „საზოგადოებისგან" ის განსხვავდება იმით, რომ მასში ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად საზოგადოებრივ სფეროში საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების და იდეების გამოხატვის მეშვეობით, ინფორმაციის გასაცვლელად, საერთო მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს წინაშე მოთხოვნების წამოსაყენებლად და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოება შუალედური წარმონაქმნია, რომელსაც უკავია ადგილი კერძო ცხოვრების სფეროსა და სახელმწიფოს შორის. სამოქალაქო საზოგადოება არ მოიცავს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, სარგებლის მიღებისკენ მიმართულ ჯგუფურ აქტივობას (მაგ., ზრუნვას დასვენებაზე, გართობაზე, სულიერ დაკმაყოფილებაზე), ცალკეული ფირმების კომერციულ წამოწყებებს და სახელმწიფოზე კონტროლის მისაღწევად წარმოებულ პოლიტიკურ ქმედებებს. სამოქალაქო საზოგადოებაში მოქმედ პირებს მათი ავტონომიურობისა და მოქმედების თავისუფლების დასაცავად ესაჭიროებათ ინსტიტუციონალიზებული სამართლებრივი წესრიგი. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოება არა მარტო ხელუდაკს სახელმწიფო ხელისუფლებას, არამედ ლეგიტიმურ სასიათსაც ანიჭებს მას იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელისუფლება დაფუძნებულია კანონის უზენაესობაზე. იქ, სადაც საკუთრივ სახელმწიფო არღვევს კანონიერების ჩარჩოებს და უგულვებელყოფს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ავტონომიურობას, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მაინც არსებობდეს, (თუმცა კი „ჩანასახოვანი" ან „დამახინჯებული" ფორმით) თუ მისი შემადგენელი ელემენტები მოქმედებს გარკვეული გაზიარებული წესების შესაბამისად (რომლებიც, მაგალითად, უარყოფენ ძალადობას და აღიარებენ პლურალიზმს). გაზიარებული წესების არსებობა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ეს ურთიერთობები "სამოქალაქოდ" ჩაითვალოს.

სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციათა მრავალ ფორმას, როგორც ფორმალურს, ისე არაფორმალურს. ეს ჯგუფები შეიძლება იყოს: 1. ეკონომიკური (სამეწარმეო და კომერციული ასოციაციები და ქსელები); 2. კულტურული (რელიგიური, ეთნიკური, კომუნალური და სხვა ასოციაციები და ინსტიტუტები, რომელიც იცავს კოლექტიურ უფლებებს, ღირებულებებს, შეხედულებებს, რწმენასა და სიმბოლოებს); 3. ინფორმაციული და საგანმანათლებლო (რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებრივი ცოდნის, იდეების, ახალი ამბებისა და ინფორმაციის წარმოებას და გავრცელებას); 4. ინტერესებზე დაფუძნებული - (შექმნილი თავისი წევრების საერთო მატერიალური ან ფუნქციონალური ინტერესების დასაცავად; ეს წევრები შეიძლება იყონ მუშები, ვეტერანები, პენსიონერები, პროფესიონალები და ა.შ.); 5. ორიენტირებული განვითარებაზე (ორგანიზაციები, რომლებიც თავს უყრიან ინდივიდუალურ რესურსებს ადგილობრივ დონეზე ინფრასტ-

რუქტურის, ინსტიტუტების და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად) 6. გარკვეულ პრობლემატიკაზე ორიენტირებული (გარემოს დაცვის მოძრაობა, ქალთა უფლებების დაცვა, მიწის რეფორმა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა) 7. მოქალაქეობრივი (რომლებიც ცდილობენ არაპოლიტიკური ეზით გაუმჯობესონ პოლიტიკური სისტემა და გახადონ ის უფრო დემოკრატიული ადამიანთა უფლებებზე მონიტორინგით, ამომრჩეველთა მობილიზებითა და განათლებით, არჩევნების პროცესებზე თვალყურის მიდევნებით, ანტიკორუფციული საქმიანობით და ა.შ.).

გარდა ზემოთჩამოთვლილი ორგანიზაციებისა სამოქალაქო საზოგადოებაში შედის მთელი რიგი ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში "იდეოლოგიური ბაზრის" არსებობას და ინფორმაციისა და იდეების დაუბრკოლებელ გაცვლას. ამ ინსტიტუტების რიცხვში შედის არა მხოლოდ დამოუკიდებელი მასმედია, არამედ აგრეთვე ის ინსტიტუტებიც, რომელიც განეკუთვნება ავტონომიური კულტურული და ინტელექტუალური საქმიანობის უფრო ფართო სფეროს - უნივერსიტეტები, სამეცნიერო ინსტიტუტები, გამომცემლობები, თეატრები, კინოფირმები, და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან რამდენიმე ასპექტით (გარდა იმისა, რომ უნდა იყვნენ ნებაყოფლობითი, თვითწარმოქმნადი, ავტონომიური და გარკვეული წესების ფარგლებში მოქმედი): 1. სამოქალაქო საზოგადოება ისახავს მიზნებს, რომელიც საზოგადოებრივია, და არა პირადი. პროდუქტი, რომელიც იქმნება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მიერ წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეს; 2. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები საქმიანობის პროცესში ამა თუ იმ ეზით ამყარებს კავშირებს სახელმწიფოსთან, მაგრამ არ ცდილობს მის ჩარჩოებში ფორმალური პოსტის ან ძალაუფლების მოპოვებას. აქის სანაცვლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ სახელმწიფოსაგან მიიღონ მატერიალური სარგებელი, პოლიტიკური კურსის ცვლილება, თანადგომა, კომპენსაცია ან ანგარიშგება. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოება არ არის უბრალოდ რაღაც ნაშთი, რომელიც მიიღება „საზოგადოებისგან" იმ ყველაფრის გამოკლებით, რაც მიეკუთვნება სახელმწიფოს ან ფორმალურ პოლიტიკურ სისტემას. მოქალაქეობრივი ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები, რომელიც ცდილობს სახელმწიფოს ბუნების შეცვლას შეიძლება მაინც მივაკუთვნოთ სამოქალაქო საზოგადოებას, იმ შემთხვევაში, თუ მათ ძალისხმევას წარმართავს საზოგადოებრივი სარგებლის მოტანის სურვილი და არა თვით ჯგუფისთვის სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება. მაგალითად, დემოკრატიული ვარდაქმნების მხარდამჭერი მშვიდობიანი მოძრაობები, როგორც წესი, სამოქალაქო საზოგადოებიდან წარმოიქმნება.

კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც განასხვავებს მას საერთოდ საზოგადოებისგან და ადამიანთა დაინტერესებული ჯგუფებისგან არის მისი პლურალიზმი. ის ხასიათდება მრავალფეროვნებით. თუკი რომელიმე ორგანი-

ზაკია, იქნება ის რელიგიური ფუნდამენტალისტური, რევოლუციური ან სხვა, ცდილობს მოაქციოს თავისი მონოპოლიის ჩარჩოებში პოლიტიკური ან ფუნქციონალური სფერო, დაუქვემდებაროს საზოგადოება ერთადერთ აღმსარებლობას, ან პოლიტიკა - ერთადერთ იდეოლოგიას და ამტკიცებს, რომ ერთადერთი ლეგიტიმური ჭეშა სწორედ მის მიერაა დასახული, ის უპირისპირდება სამოქალაქო საზოგადოების პლურალისტურ და ბაზარზე ორიენტირებულ ხასიათს. ამას უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების მეოთხე ნიშანი, დანაწევრებულობა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მასში არც ერთი ჯგუფი არ ცდილობს ინდივიდის ან თემის ინტერესთა მთელი სპექტრის ასახვას. პირიქით, სხვადასხვა ჯგუფები გამოხატავენ სხვადასხვა ინტერესებს, ხოლო ინდივიდს შეუძლია გაწევრიანება ერთდროულად მრავალ სხვადასხვა ჯგუფში, რომელიც განსხვავებულ მიზნებს ისახავს.

სამოქალაქო საზოგადოება განსხვავებულია და ავტონომიურია არა მხოლოდ სახელმწიფოსგან და მთელი საზოგადოებისგან, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ქმედებების მეოთხე არენისგან - პოლიტიკური საზოგადოებისგან (რომელიც უპირველესად პარტიების სისტემას ნიშნავს). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და კავშირებმა შეიძლება შექმნან ალიანსები პარტიებთან, მაგრამ თუ პარტიები მოაქცევენ მათ თავისი გავლენის ქვეშ, ან სულაც წარმართავენ მათ საქმიანობას, ამ შემთხვევაში სამოქალაქო კავშირების მოღვაწეობას უკვე პოლიტიკური ხასიათი ეძლევა, ისინი გადადიან პოლიტიკურ სფეროში და ძირითადად კარგავენ უნარს განახორციელონ გარკვეული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციები პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის შუამავლობისა და დემოკრატიული აღმშენებლობის სფეროში.

საკონტროლო კითხვები

1. რას გულისხმობენ სამოქალაქო საზოგადოების ქვეშ?
2. რით განსხვავდება საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოებისაგან?
3. ორგანიზაციათა რა ფორმებს შეიძლება მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოება?
4. რით განსხვავდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან?
5. როგორია სამოქალაქო საზოგადოების მიმართება სახელმწიფოსთან; პოლიტიკურ საზოგადოებასთან?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

ასოციაცია
საერთო (კოლექტიური, საზოგადოებრივი) სიკეთე
საზოგადოებრივი სფერო

"იდეოლოგიური ბაზარი"
პლურალიზმი
სამოქალაქო საზოგადოება

ბიბლიოგრაფია

1. ვ ა ც ლ ა ვ ჰ ა ვ ე ლ ი . ძალა უძალოთა. - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1995.

2. С.П.П е р е г у д о в , Н.Ю.Л а п и н а , И.С.С е м е н о в . Группы интересов и российское государство. - Эдиториал УРСС, Москва, 1999.

3. А. де Т о к в и л ь . Демократия в Америке. - Весь Мир, Москва, 2000.

4. Ф.Ш м и т т е р . Размышления о гражданском обществе и консолидации демократии. - "Полис", 5, 1996.

5. L.D i a m o n d . *Toward Democratic Consolidation*. Journal of Democracy, v.5, N.3, 1994.

6. R.F i n e . *Civil Society Theory. Enlightment and Critique*. Democratization, v.4, N.1, 1997.

7. M. W.F o l e y , B.E d w a r d s . *The Paradox of Civil Society*. Journal of Democracy, V.7, N.3, 1996.

§2. დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა დემოკრატიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრერეკვიზიტია. ლარი დაიმონდი გამოყოფს სამოქალაქო საზოგადოების ათ დემოკრატიულ ფუნქციას:

- "სახელმწიფო ძალაუფლების შეჩხლუდვის ბაზისის უზრუნველყოფა" წარმოადგენს პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას. ამ ფუნქციას გააჩნია ორი განზომილება: დემოკრატიულ სახელმწიფოში - სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების განხორციელების მონიტორინგი და შეჩხლუდვა, ხოლო ავტორიტარულ სახელმწიფოებში - მათი დემოკრატიზება.

- მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ის, რომ საზოგადოებრივი ასოციაციების მაღალი აქტივობა აცვლებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირება, მოქალაქეთა პოლიტიკური ეფექტურობის და კვალიფიკაციის ამაღლება, და დემოკრატიული მოქალაქეობრიობის მოვალეობათა და უფლებათა აღიარება. როგორც ტოკვილი აღნიშნავდა, ნებაყოფლობითი „ასოციაციები შეიძლება განვიხილოთ დიდ საყოველთაო სკოლად, რომელსაც ესწრება ყველა მცხოვრები გაერთიანების ზოგადი თეორიის შესასწავლად". (ტოკვილი, 2000, გვ.384).

- სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გახდეს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების და პრაქტიკის დამკვიდრების ადგილი, როგორიცაა ტოლერანტობა, თანხმობა, კომპრომისის მონახვის სურვილი, განსხვავებული აზრის პატივისცემა. სწორედ ეს შეადგენს სამოქალაქო საზოგადოების მესამე ფუნქციას. ეს ღირებულებები და ნორმები ყველაზე სტაბილური ხდება მაშინ, როდესაც ისინი წარმოიქმნება გამოცდილებიდან, და სამოქალაქო საზოგადოებაში ორგანიზაციული მონაწილეობა ამ მხრივ დიდ გამოცდილებას იძლევა.

- სამოქალაქო საზოგადოება თავისი მეოთხე ფუნქციით ემსახურება დემოკრატიას იმით, რომ ინტერესების გამოხატვის, დაბალანსებისა და წარმოჩენის მიზნით ქმნის პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებულ არხებს. ეს ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ეხება პოლიტიკისგან ტრადიციულად გათიშულ ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა ქალები ან რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები. სამოქალაქო საზოგადოება განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს დემოკრატიას, როდესაც იგი ქმნის მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაცია მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას.

- მეტად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ისეთი ფუნქციაც, როგორიცაა კლასობრივი კონფლიქტისა და პოლიტიკური დაპირისპირების საფრთხის შემცირება, რასაც ახდენს პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, ვინაიდან იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი ინტერესების წარმოქმნას. რამდენადაც ინდივიდები ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში საკუთარი მრავალფეროვანი ინტერესების დასაცავად და დასაკმაყოფილებლად, უფრო საკარაუდო ხდება მათი ურთიერთობა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან. ამ ურთიერთგადამკვეთმა ზემოქმედებამ უნდა შეამციროს მათი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების კატეგორიულობა და ხელი შეუწყოს უფრო ვრცელი და მრავალმხრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ტოლერანტობასა და მეტ მზადყოფნას კომპრომისებისათვის.

- სამოქალაქო საზოგადოების მეექვსე ფუნქციად შეიძლება ჩაითვალოს ასპარეზის შექმნა პოლიტიკური ლიდერების ჩამოყალიბებისათვის. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში მათი ლიდერები და აქტივისტები იძენენ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკას, რომელიც აუცილებელია მთავრობაში და პარტიულ პოლიტიკაში მოღვაწეობისათვის. ისინი სწავლობენ, თუროგორ მოასდინონ ადამიანების მობილიზება და თავისი ქმედებების მოტივირება, საკითხების განხილვა, ფონდების მოპოვება და მართვა, ბიუჯეტის შედგენა, პროგრამების გამოქვეყნება, პერსონალის მართვა, შეთანხმებების მიღწევა და კოალიციების შექმნა.

- სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება დიდი როლი ითამაშონ დემოკრატიის გამტკიცების საქმეში. გარდამავალ პერიოდში მათ შეიძლება თვალყური ადევნონ არჩევნებს, იმუშაონ საარჩევნო სისტემის რეფორმის გატარებაზე, შეიმუშაონ ხელისუფლების დეცენტრალიზების და პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზების გეგმები და ა.შ. დემოკრატიული გარდაქმნების წარმატების შემდეგ ადამიანთა უფლებების დამცავი ორგანიზაციები აგრძელებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში, ციხეებში ადამიანთა უფლებების დაცვასა, და უმცირესობების ინტერესების წარმოჩენაში. ამაში გამოიხატება მისი მეშვიდე ფუნქცია.

- შემდეგი ფუნქცია ისაა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ავრცელებს ინფორმაციას და ამით ემსახურება მოქალაქეებს მათი ინტერესების კოლექტიურ დაცვასა და მიღწევაში. თავისუფალი პრესა არის ინფორმაციითა და ალტერნატიული შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. დამოუკიდებელ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ მიაწოდონ საზოგადოებას ძნელად მოსაპოვებელი ინფორმაცია მთავრობის საქმიანობის შესახებ, რომელიც არ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რას აცხადებს მთავრობა საკუთარი საქმიანობის თაობაზე.

- მორიგი მეცხრე ფუნქცია დაკავშირებულია იმასთან, რომ ახალი ინფორმაციისა და იდეების გავრცელება არსებითია დემოკრატიის პირობებში ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად. როგორც წესი, ეკონომიკის სტაბილიზების პროგრამები უნდა განხორციელდეს სწრაფად და ძალისმიერად არჩეული ხელისუფლების მიერ კრიზისულ სიტუაციაში. მათგან განსხვავებით, უფრო სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმები - პრივატიზება, ეკონომიკური და საგაჭრო ლიბერალიზება - იმ შემთხვევაში იღებს უფრო მდგრად და სრულყოფილ ფორმას, თუ ისინი მიიღწევა დემოკრატიული პროცესის ჩარჩოებში. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ეკონომიკური რეფორმების წარმატებისათვის აუცილებელია ფართო მხარდაჭერა, რაც საჭიროებს სპეციალური მუშაობის ჩატარებას. მართლაც, იმ ინტერესებს, რომლებისთვისაც რეფორმებმა შესაძლოა არასასურველი შედეგი მოიტანოს, როგორც წესი, ბევრად უფრო ორგანიზებული სახე აქვს, ვიდრე იმ ადამიანთა ინტერესებს, რომელთათვისაც რეფორმები პოტენციურად მოგების მომტანია. ამ ჯგუფში შესული ადამიანები - ფერმერები, წვრილი მეწარმეები, მომხმარებლები - როგორც წესი, გათიშულები და ცუდად ინფორმირებული არიან.

- უკანასკნელი ფუნქცია დამოკიდებულია პირველი ცხრა ფუნქციის წარმატებულ განხორციელებაზე. სამოქალაქო საზოგადოება ამკვიდრებს მოქალაქეებში სახელმწიფოს პატივისცემას პოლიტიკური სისტემის პასუხისმგებლური ხასიათის, მისი ეფექტურობის, მასში ადამიანების ჩართულობის გაზრდით, და ამდენად, სისტემის ლეგიტიმურობის ხელშეწყობით. ის აუმჯობესებს სახელმწიფოს მმართველობით პოტენციალს და ზრდის მის შესაძლებლობას დაეყრდნოს მოქალაქეთა ნებაყოფლობით მორჩილებას.

დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლიბერალურ დემოკრატიებს, როგორც წესი, ახასიათებთ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. თუმცა ეს პირველ რიგში ეხება დასავლურ დემოკრატიებს; მათგან განსხვავებით, მაგალითად იაპონიაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ნდობის მაღალი დონეა, არასახელმწიფო ასოციაციები ხასიათდება წევრების მცირე რაოდენობით.

დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების უფრო სიღრმისეული ანალიზი მოითხოვს ასევე ამ ორივე ცნების (დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების) გაშლას და დაკონკრეტებას იმის მსგავსად, როგორც ეს გაკეთდა ლიბერალურ და მინიმალურ დემოკრატიასთან მიმართებაში. უნდა განვიხილოთ სამოქალაქო საზოგადოება არა უბრალოდ როგორც არასამთავრობო ასოციაციათა ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება არსებობდეს, არამედ როგორც საზოგადოების გარკვეული ტიპი, როგორც სოციალური კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს დემოკრატიის საზოგადოებრივ საფუძვლებს და ანიჭებს დემოკრატიას მის ჭეშმარიტ (ლიბერალურ) სახეობას.

„. . . სინამდვილეში ყველაზე არსებითია ის ინსტიტუტები და ის კონკრეტული სოციალური კონტექსტი, რომლებიც მას (დემოკრატიას) წარმოშობენ. ამ ინსტიტუციონალური პირობების მიღმა „დემოკრატიის" არსი ბუნდოვანი რჩება, ხოლო თავად ის - მიუღწეველი. . . „სამოქალაქო საზოგადოება" უფრო სერიოზულ ლოზუნგად მეჩვენება, ვიდრე „დემოკრატია", ვინაიდან იგი მიუთითებს კონკრეტულ ინსტიტუციონალურ პირობებზე და აუცილებელ ისტორიულ კონტექსტზე" (გელნერი, 1995).

სამოქალაქო საზოგადოების ცნებისადმი ეს მიდგომა უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, ვიდრე ის, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. იგი სწავლობს საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარკვეული ტიპის (არასამთავრობო ორგანიზაციების) ჩამოყალიბების პერსპექტივებს ყველა სხვა ფაქტორთან მიმართებაში - ეკონომიკასთან, კულტურასთან, პოლიტიკასთან და ისტორიულ გამოცდილებასთან, და სულაც არ გამოყოფს ამ ერთობლიობიდან მხოლოდ ერთს - ასოციაციურ ცხოვრებას.

იყენებენ რა ერთსა და იმავე ტერმინს, ლარი დაიმონდი და გელნერი სხვადასხვა შინაარსს დებენ მასში. ერთი ლაპარაკობს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომელიც ამა თუ იმ დოზით შეიძლება არადემოკრატიულ ქვეყნებშიც არსებობდეს (და დემოკრატიზაციასაც უწყობდეს ხელს), ხოლო მეორე - გარკვეულ სოციალურ წესრიგზე, რომელიც წარმოშობს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე თვით დემოკრატიასაც.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების გამარტივებული, ზედაპირული ინტერპრეტაცია ბევრ (როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ) შეცდომას უკავშირდება, იმგვარადვე, როგორც ეს მოსდის დემოკრატიის ცნების მინიმალისტურ ინტერპრეტაციას. მაგალითად, ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის არსებობა თავისთავად მეტყველებს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობაზე.

ასევე, ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ აძლევს ძლიერ სახელმწიფოს შესაძლებლობას დაამყაროს დიქტატი საზოგადოებაზე. მაგრამ თუ სახელმწიფო სუსტია, მისი გაძლიერება გაკილებით უფრო მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, ვიდრე ლაპარაკი მისი შეზღუდვის თაობაზე. ძლიერი სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია იმ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა, რომელთა დამკვიდრებაზე სამოქალაქო საზოგადოება გვეუბნება. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება უკავშირდება სახელმწიფოს გაძლიერებას, და არა პირიქით, მის დასუსტებას.

არსებობს განსხვავებული მიდგომაც, როდესაც მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური საკითხების განხილვა და მათზე მსჯელობა არაა სამოქალაქო საზოგადოების საქმე, იგი უნდა იყოს დეპოლიტიზირებული და არ ერეოდეს პოლიტიკურ ბრძოლებში, რადგანაც ეს მხოლოდ პოლიტიკური საზოგადოების, პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოხელეების სამოქმედო ასპარეზია. პოლიტიკის და სახელმწიფოს იგნორირებას სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ ხშირად მივყავართ ვითარებამდე, როდესაც ასეთი დეპოლი-

ტიხებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას ხდება მეტისმეტად დამოკიდებული პოლიტიკოსების შეხედულებებზე, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია პოსტსაბჭოური სივრცისთვის - განსხვავებით დემოკრატიული ქვეყნებისგან, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბევრად უფრო კარგად ახერხებენ სწორედ პოლიტიკაზე და სახელმწიფო საკითხებზე დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი აზრის გამოთქმასა და ჩამოყალიბებას. იმ შემთხვევაში, თუ მათ ზურგს არ უმაგრებს სამოქალაქო საზოგადოება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკეთეს შემთხვევაში ასრულებენ კომუნიკაციურ ფუნქციას ხელისუფლება - ხალხი, მაგრამ ვერ ასრულებენ სხვა ფუნქციებს: ხალხი - ხელისუფლება და ხალხი - ხალხი. პოლიტიკური დღის წესრიგი დემოკრატიულ ქვეყნებში ნაწილობრივ მაინც მასმედიის გავლენით ყალიბდება, რაც დემოკრატიის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. პოლიტიკური იდეები და ღირებულებები სწორედ სამოქალაქო საზოგადოებაში უნდა იღებდეს სათავეს, თუკი ლაპარაკია დემოკრატიის ხელშეწყობაზე სამოქალაქო საზოგადოების მიერ. დეპოლიტიზირებული სამოქალაქო საზოგადოების ფონზე მასმედია ვერ იტვირთავს მეოთხე ხელისუფლების ფუნქციას.

პოსტსაბჭოურ სივრცეში საზოგადოებრივი კონფლიქტი წარმოდგენილია როგორც პოლიტიკური სფეროს მახასიათებელი, რომელიც შორს დგას სამოქალაქო საზოგადოებისაგან, ამასთან სამოქალაქო საზოგადოება ხშირად ესახებათ როგორც თბილი, უკონფლიქტო ურთიერთობების სფერო. სწორედ ამით არის გამოწვეული სამოქალაქო საზოგადოების დეპოლიტიზების სურვილი. სინამდვილეში, სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნის თავიდათავი სწორედ კონფლიქტის არსებობაა (პირველ რიგში ეკონომიკურის). თუ საზოგადოებაში არ ჩამოყალიბდა კონფლიქტების (კონკურენციის) პირობებში ერთობლივი მოქმედების, კონსენსუსის კულტურა, ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა ავტომატურად გადაინაცვლებს სახელმწიფოს კომპეტენციის სფეროში, რაც ასუსტებს, და არა აძლიერებს დემოკრატიას, ზრდის სახელმწიფოს მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საშიშროებას.

ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგი

გერმანელმა მეცნიერმა ტიონისმა (Tönnies) საზოგადოებრივ მეცნიერებებში დაამკვიდრა ორი გერმანული ტერმინის გამოყენება, Gemeinschaft (თემი) და Gesellschaft (საზოგადოება) ორი ტიპის საზოგადოებრივი წესრიგის გასამიჯნავად. პირველი, Gemeinschaft შეესაბამება არამოდერნიზებულ, ტრადიციულ ერთობას, ხოლო მეორე, Gesellschaft – მოდერნიზებულ, ინდუსტრიალიზებულ, კონკურენციის საფუძველზე აგებულ საზოგადოებას. პირველს ტიონისი ერთგვარი ნოსტალგიით აღწერს როგორც

ჰარმონიულს და ჰუმანურს, ხოლო მეორეს, რომელშიაც ადამიანები მუდმივად ქიშპობენ და პაექრობენ საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად, განიხილავს დეჰუმანიზირებული, ეგოისტური ინტერესების ბრძოლის ველად.

თანამედროვე ტიპის საზოგადოების წარმოქმნამდე ტრადიციულ საზოგადოებებში Gemeinschaft -ში, ადამიანთა ურთიერთობები ნაკლებად მრავალფეროვანი იყო, მათ ხასიათს განაპირობებდა ადამიანის ადგილი საკმაოდ ვიწრო და მდგრად ერთობაში; საზოგადოებრივი წესრიგი უფრო ჰარმონიული იყო და ეფუძნებოდა ჩვეულებებს, ეროვნულ თავისებურებებს, ემოციებს და რელიგიას. საზოგადოებრივი ურთიერთობები იყო რეგლამენტირებული, ურთიერთობა ადამიანებს შორის ხდებოდა პირისპირ. ადამიანთა შორის სოლიდარობა ამ საზოგადოებაში მექანიკურად მომდინარეობდა მათი ნათესაური, თემური ან მეზობლური დამოკიდებულებისგან.

თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგი, Gesellschaft ეფუძნება რაციონალურ გათვლას და რაციონალური მიზნების ერთობას, იგი აგებულია კონტრაქტის, შეთანხმების საფუძველზე, მას იცავს პოლიტიკური კანონმდებლობა და იდეოლოგიურად ამართლებს საზოგადოებრივი აზრი. ცივილიზებული ადამიანი ცხოვრობს რაციონალურად, მოქმედებს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად ირჩევს ურთიერთობათა სახეობას, ის მობილურია, მოდულური (გელნერის გაგებით), ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობებისთვის მისი ფუნქციონალური მახასიათებლები (მაგ. პროფესიონალიზმი) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი პიროვნული თავისებურება. ამ საზოგადოებაში სოლიდარობა ადამიანთა შორის ჩნდება მათი ინტერესებისა და მიზნების ორგანული თანხვედრის შედეგად.

ოჯახი და ოჯახური ურთიერთობები დომინირებს პირველი ტიპის საზოგადოებრივ წესრიგში, რომელთანაც უფრო ახლო დგას სოფლის მოწყობა. დიდი ინდუსტრიული ქალაქი უფრო ახლოსაა მეორე ტიპის საზოგადოებასთან. შემთხვევითი არ არის, რომ „სამოქალაქო" საზოგადოება - ეს არის მოქალაქეთა, ქალაქელთა საზოგადოება.

ცხადია, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ადამიანი მონაწილეობს ორივე ტიპის ურთიერთობებში, საწყისები, რომლებზედაც ხდება თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში შესვლა, განსხვავებულია ურთიერთობების ტრადიციული ფორმისგან. ტრადიციული საწყისები ადამიანთა ურთიერთობისა არ არის საკმარისი თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური წესრიგის ფუნქციონირებისათვის, და ეს პრობლემა - ერთი ტიპის ურთიერთობებიდან მეორეზე გადასვა - თუმცა კი ყოველთვის მტკივნეულია, ყველა საზოგადოებაში ერთნაირად იოლად არ წყდება. თუ ტრადიციული ურთიერთობები უბრალოდ მოიშალა თანამედროვე წესრიგის ხელოვნურად დამკვიდრების შედეგად და მათ ადგილზე არ წარმოიქმნა სამოქალაქო საზოგადოება, ხელოვნურმა მოდერნიზაციამ შეი-

ძლება უბრალოდ დაანაწევროს ადამიანები იმის ნაცვლად, რომ გამოიწვიოს შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

ამ კუთხით განხილული სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა უკავშირდება საზოგადოების უნარს დაამყაროს ქმედითი თანამშრომლობა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

როგორც ტიონისის ანალიზი აჩვენებს, მარტო ტრადიციებზე დაყრდნობით თანამედროვე ურთიერთობების აგება შეუძლებელია. რაც არ უნდა ღირებული და აუცილებელი იყოს რელიგიური, კუთხური, ეროვნული, კულტურული თუ სხვა იდენტურობებისა და ერთობები, ისინი ყველა მიეკუთვნება მექანიკური, Gemeinschaft -ის სოლიდარობის ტიპს. Gesellschaft -ის ორგანული და ინდივიდუალისტური სოლიდარობის დამკვიდრება სხვა ტიპის ურთიერთობების აღმოცენებასთანაა დაკავშირებული. ურთიერთობების „სოფლური" სტილი, რომელიც ნაცნობობის და პიროვნული ურთიერთობების დომინირებით ხასიათდება, ეკონიმიკას და პოლიტიკას ანიჭებს კლანურობის არაკონკურენტულ ხასიათს.

Gesellschaft -ში ადამიანს მუდმივად უწევს ურთიერთობების დამყარება სხვა ადამიანებთან ისე, რომ ეს ურთიერთობა არ არის რეგლამენტირებული არც ნაცნობობით, არც ნათესაობით, არც გახიარებული მორალითა და არც რელიგიური ნორმებით. მას აქვს უფლებები და ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ როგორია მისი უფლებები და ვალდებულებები სხვა ადამიანების, საზოგადოების წინაშე?

აქ წინა პლანზე გამოდის პატიოსანი, თავისი სიტყვის ერთგული, შეთანხმების შემსრულებელი ადამიანის პრობლემა. ადამიანისა, რომელსაც პირობის შესრულებას პირველ რიგში აიძულებს არა სასჯელის შიში, არამედ საკუთარი სინდისი. შემთხვევითი არაა, რომ ეს საკითხი ფართოდ განიხილებოდა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებისა და მორალისტების მიერ.

მკვიდრდება თუ არა Gesellschaft-ისთვის დამახასიათებელი ურთიერთობები ინდუსტრიალიზაციის, დემოკრატიზაციისა თუ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგად, თუნდაც შორეულ მომავალში, თუ მათი კულტივირება სპეციალური ზრუნვის საგანი უნდა იყოს? რამდენად შესაძლებელია (ან საჭირო) მათი კულტივირება? იქნებ ეს არის პოლიტიკური კულტურის ის პარამეტრი, რომელიც ვერ შეიცვლება მოცემული კულტურის ჩარჩოებში? ყველა ეს კითხვა, ცხადია, სცდება სამოქალაქო საზოგადოების პრობლემატიკას და მოიცავს ზოგადად როგორც დემოკრატიის დამკვიდრების, ასევე ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.

საკონტროლო კითხვები

1. რომელია სამოქალაქო საზოგადოების ათი დემოკრატიული ფუნქცია დაიმონდის მიხედვით?

2. რით განსხვავდება სამოქალაქო საზოგადოების გელნერისეული გაგება დაიმონდის განსაზღვრებისგან?

3. როგორია სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციის კრიტიკა?

4. საჭიროა თუ არა, რომ სამოქალაქო საზოგადოება განიხილავდეს პოლიტიკურ იდეებს და რატომ?

5. რით განსხვავდება ტრადიციული საზოგადოება თანამედროვე საზოგადოებისაგან?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

კლასობრივი კონფლიქტი
არასამთავრობო ორგანიზაცია
კრიზისული სიტუაცია
სოციალური წესრიგი
დეპოლიტიზაცია
ინსტიტუტი
Gesellschaft
Gemeinschaft

ბიბლიოგრაფია

1. Э.Гельнер. Условия свободы. Гражданское общество и его исторические соперники. - Ad Marginem, M. 1995.

2. Ф.Шмиттер. Размышления о гражданском обществе и консолидации демократии. - "Полис", 1996, 5.

3. L.Diamond. *Toward Democratic Consolidation*. Journal of Democracy, v.5, N.3, 1994.

4. M.Olson. *The Logic of Collective Action. Public Goods and the Theory of Groups*. Harvard Economic Studies, v. CXXIV, Harvard University Press, 1971.

5. F. Tonnies. *Gemeinschaft und Gesellschaft*. The Michigan State University Press, 1957.

§3. საზოგადოებრივი კაპიტალი

ზემოთ ჩვენ ვეცადეთ იმის დასაბუთება, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების გამართული მუშაობა დიდადაა დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებზე. ამ თეორიას ემპირიული კვლევებიც ადასტურებს. რობერტ პატნემმა, გამოიკვლია რა სამხრეთ და ჩრდილოეთ იტალიაში სამოქალაქო ცხოვრების თავისებურებები და მათი მიმართება ამ რეგიონების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასთან, მდიდარ ფაქტობრივ დარაოდენობრივ მასალაზე დაყრდნობით აჩვენა, რომ საზოგადოებრივი კაპიტალი ის სიმდიდრეა, რომელიც საზოგადოების წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსახლვრელ ფაქტორს წარმოადგენს, და რომელიც ერთბაშად არ იქმნება.

პატნემი სვამს კითხვას - რა კავშირშია ამა თუ იმ დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტის წარმატებული ფუნქციონირება იმ სოციალურ კონტექსტთან, რომელიც საზოგადოებას ახასიათებს?

1860 წელს იტალიის ერთიანი სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის უაღრესად ცენტრალიზებული მმართველობის მოდელი განიხილებოდა, როგორც აუცილებელი საშუალება სუსტად ინტეგრირებული, მრავალფეროვანი და უკიდურესად განსხვავებული გეოგრაფიული რეგიონების გაერთიანებლად და ერთიანი ერის ჩამოსაყალიბებლად. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის პირობებში გახდა შესაძლებელი 1948 წლის ახალ კონსტიტუციაში რეგიონებში პირდაპირი არჩევნებით არჩეული ხელისუფლების არსებობის დაფიქსირება. თუმცა კი კონსტიტუციის ეს მუხლი სრული სახით 1970 წლამდე არ ამოქმედებულა და შემდგომშიც ახლადშექმნილ რეგიონულ ხელისუფლებას გარკვეული დრო დასჭირდა, რათა რეგიონების თვითმმართველობა ფორმალურიდან რეალურად გადაქცეულიყო. 1970 წელს იტალიის მთავრობამ დაიწყო ქვეყნის მმართველობის დეცენტრალიზება და მოახდინა ძალაუფლებისა და რესურსების მნიშვნელოვანი დელეგირება ახლადშექმნილ რეგიონულ წარმომადგენლობით ხელისუფლებაზე.

რა მოუტანა რეფორმამ იტალიის რეგიონებს? გაუმჯობესდა თუ არა მის შედეგად მმართველობისა და პოლიტიკის ხარისხი? რამდენად წარმატებით ამუშავდა ახლადშექმნილი წარმომადგენლობითი პოლიტიკური ინსტიტუტები? ხელისუფლების საქმიანობის დეტალური შესწავლის საფუძველზე მეცნიერებმა „ნიშნები დაუწერეს" რეგიონების ახლადშექმნილ ინსტიტუტებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კარგად ახორციელებდნენ ისინი მათ

წინაშე დასმულ ამოცანებს - სრულყოფდნენ კანონმდებლობას, დროულად ამტკიცებდნენ ბიუჯეტებს, აუმჯობესებდნენ ბიუროკრატიის მუშაობას, ჯანმრთველობის დაცვას და სხვ.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთი რეგიონის ხელისუფლება სტაბილურად კარგად მუშაობდა, ხოლო სხვების კი სტაბილურად დაბალ დონეზე ფუნქციონირებდა. ეს ობიექტური მაჩვენებლები ზედმიწევნით სრულად ასახავდა მოსახლეობის წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია ამა თუ იმ რეგიონული ხელისუფლების საქმიანობა. ამგვარად, ზოგიერთი რეგიონის ხელისუფლების მოლვაწეობა უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სხვებისა. მათ უფრო ეფექტურად წარმართეს შიდა პროცესები, პოლიტიკური ინიციატივების გამოვლენისას მეტი შემოქმედებითობა გამოიჩინეს, უფრო ეფექტურად განახორციელეს ეს ინიციატივები. ეს განსხვავებები კარგად იყო გათვითცნობიერებული რეგიონების მოსახლეობის მიერ.

რამ განაპირობა ეს განსხვავება? განა ყველა რეგიონს არ გააჩნდა იდენტური მმართველობის სტრუქტურები, და ანალოგიური საკანონმდებლო და ეკონომიკური რესურსები?

აღმოჩნდა, რომ ჩრდილოეთის რეგიონების მმართველობა საერთო ჯამში უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სამხრეთის რეგიონებისა. რამდენადაც წმინდა პოლიტიკური ხასიათის პარამეტრები იდენტურია, ამ განსხვავების ახსნა შეუძლებელია სხვა ტიპის, არაპოლიტიკური ფაქტორების მოშველიების გარეშე. ამგვარი ფაქტორები ორი სახის შეიძლება იყოს: ა) სოციოეკონომიკური - სოციოეკონომიკური განვითარების დონე, რომელიც უკავშირდება ინდუსტრიალიზაციის დონეს; და ბ) სოციოკულტურული: „სამოქალაქო ურთიერთობების“ თავისებურებები - სამოქალაქო ურთიერთობების ხასიათი და სოციალური სოლიდარობის დონე.

დასავლეთის ისტორიაში სამრეწველო (ინდუსტრიული) რევოლუცია წარმოადგენს უკანასკნელი საუკუნეების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, რომელმაც რადიკალურად შეცვალა დასაყლური საზოგადოებების ცხოვრება. ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია მეცნიერების მიერ ხშირად განიხილება ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად. ინდუსტრიალიზაცია, რომელიც იტალიაში გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო, ბევრად უფრო წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში, ვიდრე სამხრეთ ნაწილში. მაგრამ დასკვნა, რომელიც მეცნიერებმა გამოკვლევებზე დაყრდნობით გააკეთეს, შედეგია: საკარაუდოდ ორივე - თანამედროვე ეკონომიკის დამკვიდრება და დემოკრატიული ინსტიტუტების წარმატება ჩრდილოეთ იტალიაში უკავშირდება მესამე ფაქტორის ზეგავლენას - ამ რეგიონში სახოგადოებრივი ცხოვრების მიწყობის ხასიათს.

რაში მდგომარეობს განსხვავების არსი სახოგადოებრივი ცხოვრების ამ ორ მოდელს შორის?

განსხვავება ჩრდილოეთისა და სამხრეთის მცხოვრებთა შორის დაახლოებით შეესაბამება სხვაობას *მოქალაქესა* და *ქვეშევრდომს* შორის. მოქალაქე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის უანგარო ალტრუისტია, რომელიც არ ზრუნავს საკუთარ ინტერესებზე, არამედ იმას, რომ თავის ინტერესებს ის იაზრებს უფრო ფართო საზოგადოებრივი ინტერესების კონტექსტში. მოქალაქეთა ერთობა ხასიათდება ყველასათვის ერთნაირი უფლებებითა და მოვალეობებით. ამგვარი ერთობა შეკრულია კოოპერირების და „მისვლა-მოსვლის" ჰორიზონტალური ურთიერთობებით, და არა ზემდგომისა და მასზე დამოკიდებულის ურთიერთობებით, როგორც ეს ბატონსა და ქვეშევრდომს შორის ხდება. მოქალაქეები ურთიერთობენ როგორც თანასწორნი, და არა როგორც პატრონი და კლიენტი.

იმ საზოგადოების ღირებულებები და ნორმები, რომელიც მოქალაქეებისგან შედგება, ვლინდება ამ საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. მასში ადამიანები უფრო ადვილად ქმნიან კავშირებს, ხოლო ეს კავშირები, თავის მხრივ, ხელს უწყობს წარმატებულ საზოგადოებრივ ურთიერთქმედებას. იქ, სადაც მოქალაქეობრივი განწყობები სუსტია, ადამიანებს უჭირთ ერთად მოქმედება საერთო მიზნების მისაღწევად, რომელიც სცილდება მათი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე უშუალოდ ზრუნვას. საზოგადოებრივი ცხოვრებით მეტი დაინტერესება ვლინდება, მაგალითად, იმაში, რომ მოქალაქეთაგან შემდგარ საზოგადოებაში ადამიანები მეტად კითხულობენ გაზეთებს. მოქალაქეები, ქვეშევრდომებისგან განსხვავებით, ინტერესდებიან იმით, თუ რა იწერება გაზეთებში და უფრო ხშირად ყიდულობენ მათ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლები მოქალაქეობრივი ცნობიერების მქონე მოსახლეობა ასოციალური ან აპოლიტიკურია. უბრალოდ მასში გაბატონდარი ვერტიკალური, არასიმეტრიული, პატრონ-კლიენტის ურთიერთობები საზოგადოებრივ ცხოვრებას სხვა ელფერს ანიჭებს. როდესაც იტალიის სამხრეთი რეგიონების მცხოვრებს ექმნება პრობლემა (მაგალითად, სჭირდება ლიცენზია, სამსახური და სხვა), იგი გაცილებით უფრო ხშირად ცდილობს მოძებნოს პოლიტიკოსი, რომელიც მას პიროვნულად დაეხმარება, ვიდრე ეს ხდება ჩრდილოეთ რეგიონებში. შეიძლება სწორედ ამიტომ პოლიტიკური ცხოვრება იქ უფრო პერსონიფიცირებულია, უფროა ორიენტირებული პოლიტიკოსებზე, როგორც პიროვნებებზე, ვიდრე მათ პროგრამებზე. ჩრდილოეთ რეგიონებში პოლიტიკოსები უფრო იშვიათად ხვდებიან მთხოვნელებს, თანაც მათ უფრო ხშირად მიმართავენ პოლიტიკის განსაზღვრასთან და კანონების მიღებასთან დაკავშირებული საკითხების გამო, მაშინ როცა სამხრეთ რეგიონებში მათ უფრო ხშირად სთხოვენ სამსახურსა და მფარველობას.

ჩრდილოეთ იტალიაში სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება ნაკლებად იერარქიულია, ვიდრე სამხრეთში. თანასწორობა მნიშვნელოვანი მახასიათებელია იმ საზოგადოებისა, რომელიც უფრო მიდრეკილია ჰორიზონტალური, სიმეტრიული ურთიერთობებისადმი. სამხრეთში ადამიანები

გრძნობენ, რომ ისინი არიან ექსპლუატირებულნი, არა აქვთ გავლენა და გათიშულები არიან. სამხრეთ რეგიონებში, მაფიის სამშობლოში, ბევრად უფრო გავრცელებულია კორუფცია. კანონები უფრო „კანონობს" ჩრდილოეთში, ვიდრე სამხრეთში. ჰორიზონტალური კავშირების სისუსტის ფონზე იერარქია, ძალა და პოლიცია რჩება იმ შემაკავშირებელ ვერტიკალურ ინსტიტუტად, რომელიც იცავს საზოგადოებას ანარქიისგან.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განსხვავებული იყო აგრეთვე ეკონომიკური ზრდის ტემპები იტალიის სხვადასხვა რეგიონებში. იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთში წარმატებულად ვითარდება ბიზნესი და წარმოება, სამხრეთში უმეტესწილად ვერ ხერხდება სიღარიბისა და ჩამორჩენილობის დაძლევა. ამგვარად, სხვაობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთანაც. ამ კავშირის სრული ანალიზი მეტად რთულია, მაგრამ ზოგიერთი ნიშნის გამოკვეთა მაინც შესაძლებელია. ასე მაგალითად, მკვლევრები მიუთითებენ იტალიის ეკონომიკურ განვითარებაში ე.წ. „ინდუსტრიული რაიონების" მნიშვნელობაზე. ამ რაიონებში ვითარდება წვრილი, მაგრამ ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული და მეტად პროდუქტიული წარმოება. მათ ახასიათებთ კონკურენციისა და კოოპერირების თავისებური საზავი. ფირმები კონკურირებენ ინოვაციების შემოტანისა და წარმოების განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ კოოპერირებენ ადმინისტრაციულ მომსახურებაში, ნედლეულის შემოტანაში, ინფორმაციის მიღებასა და კვლევებში. ფირმების ამ ქსელს ახასიათებს ჰორიზონტალური კავშირების სიძლიერე, რომელიც ეფუძნება ქვეკონტრაქტების დადებას და შეკვეთების ნაწილის გადაცემას დროებით ნაკლებად დატვირთულ კონკურენტებზე. იქმნება ტექნოლოგიურად მოწინავე და მოქნილი სისტემა, რომელსაც შეუძლია წარმატებით კონკურირება თანამედროვე სამყაროში. *„კერძო ეკონომიკური ასოციაციებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების ხშირმა ქსელმა . . . თანამშრომლობის ქცევის განვითარების ხელშეწყობით და მცირე ფირმებისთვის იმ ინფრასტრუქტურის შექმნით, რომელსაც ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ საკუთარი ძალებით, შექმნა გარემო, რომელშიაც წარმატებით ვითარდება ბაზარი."* (მ.ლაზერონი, 1988, გვ.331).

რამ განაპირობა ესოდენ დიდი განსხვავება ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობაში? ამ სხვაობის ფესვები შეიძლება განპირობებული იყოს ისტორიული ტრადიციით. ჩრდილოეთ იტალიას წარსულში (მეთერთმეტე საუკუნიდან) ახასიათებდა ქალაქი-რესპუბლიკების არსებობა. თვითმმართველობის ამ მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ, შესაძლოა, გამოუმუშავა მოსახლეობას თანასწორობის, პასუხისმგებლობის და სოლიდარობის ჩვევა. სამხრეთ იტალია კი განიცდიდა სიცილიის სამეფოს ფეოდალურ და ავტორიტარულ ბატონობას, რამაც იქ ჩამოაყალიბა არა მოქალაქე, არამედ ქვეშევრდომი. სამხრეთში, იტალიის გაერთიანების შემდეგაც:

„ყველა კლასში კომუნალური სულის არარსებობა გამომდინარეობდა მორჩილების ჩვევისგან, რაც ადამიანებს დესპოტიზმის საუკუნეებმა ჩა-

უნერგა. არისტოკრატიაც კი შეეჩვია ობსტრუქციას და გაიზიარა ის შეხედულება, რომ მორალური თვალსაზრისით საეჭვებით დასაშვებია მმართველების მოტყუება, თუკი ეს მოტყუება სარგებლის მომტანია. . . გადასახადების გადახდის საჭიროების გათვითცნობიერების სანაცვლოდ, ჩამოყალიბდა დამოკიდებულება, რომ თუ ადამიანთა ერთმა ჯგუფმა გამოძებნა მათი გვერდის ავლის გზა, მაშინ დანარჩენმა ჯგუფებმაც უმჯობესია მიხედონ თავის საკუთარ ინტერესებს. ამგვარად, თითოეული პროვინცია, თითოეული კლასი, თითოეული წარმოება ეძებდა მოგების მიღების გზებს საზოგადოების მოგების ხარჯზე." (დ.სმისი: "იტალია, თანამედროვე ისტორია". ციტ. პატნემი, 1993, გვ.143).

ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიღწევა უფრო იოლია იქ, სადაც ადამიანები თანამშრომლობენ და კოოპერირებენ. ამდენად, თანამშრომლობა და კოოპერირება ზოგადად უნდა იყოს რაციონალური გათვლის შედეგი, და არა უბრალოდ „ლირსეული მოქალაქისთვის" დამახასიათებელი ჩვევა. მაგრამ, როგორც იტალიის მაგალითი გვიჩვენებს, რაციონალური გაზრდება იმისა, რომ კოოპერირება ზოგადად სასარგებლოა, არ იწვევს ამ კოოპერირების სწაფ განვითარებას. ის, რომ სხვადასხვა საზოგადოებები აცლენენ თანამშრომლობისა და კოოპერირების განსხვავებულ უნარს, მიუთითებს იმაზე, რომ გარდა ეკონომიკური, ინტელექტუალური, მატერიალური და სხვა სახის კაპიტალისა, საზოგადოების წარმატებული განვითარებისთვის საჭიროა კაპიტალის კიდევ ერთი სახეობა - საზოგადოებრივი კაპიტალი.

"*საზოგადოებრივ კაპიტალში იგულისხმება საზოგადოებრივი მოწყობის ისეთი მახასიათებლები, რომელთა რიცხვშიც შედის ადამიანთა შორის ნდობა, ურთიერთობის ნორმები და ამ ურთიერთობათა ქსელები, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდას შეთანხმებული მოქმედების გაადვილების გზით". (პატნემი, 1993, გვ. 167).*

ის, რომ საზოგადოებრივი კაპიტალი აადვილებს სპონტანურ თანამშრომლობას, შეიძლება დავინახოთ მარტივი მაგალითის საშუალებით. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ის, რასაც საბჭოთა დროში „ურთიერთდახმარების სალაროებს" უწოდებდნენ. მათი ფუნქციონირების პრინციპი მარტივია. თუ სალაროში გაერთიანებულია, მაგალითად, თორმეტი ადამიანი, რომლებსაც შემოაქვთ ყოველთვიურად თითო-თითო ლარი, მაშინ ამ სალაროს ყველა წევრს შეეძლება რიგრიგობით, წლის განმავლობაში ერთხელ მიიღოს ამ სალაროდან თორმეტი ლარი. მთავარი, რასაც ეფუძნება ამ სალაროს ფუნქციონირება არის ის, რომ მან, ვინც უკვე აიღო თორმეტი ლარი, უნდა გააგრძელოს თავისი შენატანის შეტანა მანამ, ვიდრე არ შეიკვრება წრე და მანამ სალაროს მეთორმეტე, უკანასკნელი წევრი არ აიღებს მის კუთვნილ თორმეტ ლარს. რა ხდის ამგვარი ასოციაციების არსებობას შესაძლებელს? რატომ აგრძელებენ სალაროს წევრები შენატანების გადახდას მას შემდეგ, რაც თავისი წილი გამოიტანეს? და რატომ რისკავენ საერთოდ

ამგვარ სალაროებში გაერთიანებას, მათ ხომ არა აქვთ იმის გარანტია, რომ სალაროს სხვა წევრების მიერ მოტყუებულნი არ დარჩებიან? საიდან ჩნდება ერთმანეთის ნდობა, რომელიც აუცილებელია სალაროს ფუნქციონირებისათვის?

პატარა სოფელში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და არავინ აპირებს სხვაგან გადასახლებას, ამგვარი ნდობა შეიძლება ბუნებრივად გამომდინარეობდეს იქიდან, რომ სოფლის ყველა მცხოვრები იძულებულია დაემორჩილოს ქცევის ერთიან ნორმებს, რომელთა დარღვევა დაგმობას გამოიწვევს თანასოფლელების მხრიდან. დიდ ქალაქში, სადაც ურთიერთობები ნაკლებად მჭიდრო და პიროვნულია, ნდობის უზრუნველსაყოფად საჭიროა უფრო რთული და ნაკლებად მჭიდროდ შეკრული სახოგადოებრივი ქსელების გამოყენება. ქალაქში სალაროს ყველა წევრი შეიძლება არ იცნობდეს ერთმანეთს და მათი ნდობა ერთგვარად ჯაჭვურად გადაიცემოდეს ერთი ადამიანიდან მეორეზე: "მე ვენდობი იმას, იმიტომ რომ მას ენდობი შენ, ხოლო მე შენ გენდობი". ცხადია, რომ რაც უფრო მცირეა სახოგადოებრივი კაპიტალი, მით უფრო ძნელია ამგვარ ასოციაციაში ადამიანთა გაწევრიანება.

ეს მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გადაიქცეს სახოგადოებრივი კაპიტალი მატერიალურ მოგებად ყველასათვის. ისტორიულად, გარკვეული თვალსაზრისით, ანალოგიური მექანიზმების წყალობით წარმოიქმნა ბანკები ჩრდილოეთ იტალიის სავაჭრო ქალაქებში, რომელიც გასცემდა კრედიტებს (credere- იტალიურად *დაჯერება*).

მისწრაფება გაიზარდოს სახოგადოებრივი კაპიტალი ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი კაპიტალის ზრდის სურვილი. თანაც, სახოგადოებრივი კაპიტალი, სხვა რესურსებისგან განსხვავებით, იზრდება, და არა მცირდება მისი ხშირი მოხმარებით. და პირიქით, იგი მცირდება იმ შემთხვევაში, თუ ამ კაპიტალით არ სარგებლობენ.

სახოგადოებრივი კაპიტალი ამცირებს პარტნიორების ხარჯებს იმ ურთიერთობებზე, რომელიც უზრუნველყოფს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას. კერძოდ, ის შეთანხმება, რომელიც ერთ შემთხვევაში შეიძლება ძალაში შევიდეს ხელის ერთი ჩამორთმევით, სხვა შემთხვევაში პარტნიორების მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვს ურიცხვი ადვოკატების ჩარევას და უამრავი ქაღალდის ხელმოწერას.

ნდობა არის სახოგადოებრივი კაპიტალის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. "*თითქმის ყველა კომერციული ურთიერთობა გულისხმობს თავის თავში ნდობის ელემენტს, მათ შორის ყველა ურთიერთობა, რომელიც დროთა განმავლობაში გრძელდება. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მსოფლიოში ეკონომიკური ჩამორჩენილობის დიდი ნაწილი შეიძლება აიხსნას ერთმანეთისადმი ნდობის არარსებობით*". (კ. ეროუ, 1972, გვ.357).

ხშირად მიიჩნევენ, რომ წარმატებული თანამშრომლობისათვის საჭიროა მესამე მხარის არსებობა - მაგალითად, სახელმწიფო კანონის უზენა-

ესობის დაკვა შეიძლება უზრუნველყოფდეს მსარეთა შორის გარკვეულ ნდობას. მაგრამ მიუკერძოებელი სახელმწიფოს შექმნა თავად არის პრობლემა, რომელიც თავისი ფუნქციონირების წინაპირობად მოითხოვს მისდამი ნდობას. სახელმწიფოს მმართველებმა შეიძლება გამოიყენონ სახელმწიფო ძალაუფლება საკუთარ ინტერესებში. თანამედროვე საზოგადოებაში, მისი პლურალისტური მოწყობიდან გამომდინარე ნდობა ვერ წარმოიქმნება ვერც გაზიარებული რელიგიური ნორმებიდან და ვერც სხვა გარეგანი ფაქტორებიდან. თავისი წმინდა სახით ნდობა უპირობოა.

რატომ ხდება, რომ ერთი საზოგადოება ხასიათდება ნდობის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე მეორე? ისტორიული ფესვების მოძიება არ არის საკმარისი ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვინაიდან იგი წარმოშობს სხვა კითხვას - რატომ მოხდა, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი იტალია განვითარების სხვადასხვა ტემპით წავიდა თუნდაც მეთორმეტმეტე საუკუნეში? იტალიის მაგალითის შესწავლა, საკარაუდოდ, ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს - სოციალური კონტექსტი და ისტორია მნიშვნელოვნად განაპირობებს ფორმალური ინსტიტუტების ფუნქციონირებას. საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნა იოლი არ არის, მაგრამ იგი წარმოადგენს კარგ პირობას დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტური ამუშავებისათვის.

ნდობა, ეკონომიკა და დემოკრატია

სიტყვა „ნდობა" მეტად პოპულარული გახდა 90-იანი წლების სამეცნიერო გამოკვლევებში.

ადამიანთა შორის ნდობას, როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის ფორმას, ფრენსის ფუკუიამა განიხილავს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სტრუქტურის განმსაზღვრელ კომპონენტად. მისი მტკიცებით, აშშ-სა და იაპონიას გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ადრე ფიქრობდნენ. ორივე ქვეყნის მოქალაქეებს ახასიათებთ მაღალი უნარი ენდონ არა ნათესავებს და, ამდენად, შექმნან დიდი ინდუსტრიული კორპორაციები. ნდობის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში, ბიზნესი თითქმის მთლიანად ოჯახური საწარმოს სახით შენარჩუნდა. მხოლოდ მაღალი ნდობის მქონე საზოგადოებებში არის შესაძლებელი მესაკუთრეებმა იქირავონ პროფესიონალი მენეჯერი მათი საკუთრების სამართავად, რომელიც დაინიშნება ამ თანამდებობაზე მისი პროფესიონალიზმის წყალობით და არა ოჯახის წევრობის გამო.

ამერიკის და იაპონიის ამგვარი გაიგივება მეტად მოულოდნელად გამოიყურება და მიუთითებს იმაზე, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში ნდობის არსებობის საფუძვლები ფუკუიამას არა აქვს სათანადოდ დიფერენცირებული. ფუკუიამასთვის ადამიანი არის სანდო იმდენად, რამდენადაც იქცევა საზოგადოებაში დამკვიდრებული წესებისა და მორალის შესაბამისად. საზოგადოება მისგან მოელის გარკვეულ ქცევას, რომელსაც განაპირობებს

ან მისი წარმომავლობა (მაგ. ფეოდალურ სახოგადოებაში), ან სახოგადოებაში გავრცელებული რელიგიური რწმენა, ან სახოგადოებრივი ქცევის მიღებული პრაქტიკა (მაგ. საქართველოში ჰანაშვილზე მისვლა), და ის ამ მოლოდინს ამართლებს. იაპონური სახოგადოებისთვის, რომელიც მეტად კოლექტივისტურია და ეფუძნება წარმომავლობას, რელიგიურ და კულტურულ „ერთნაირობის", ნდობის ფენომენის არსის ამგვარი გაგება, შესაძლოა, გამართლებულიც იყოს, მაგრამ ამერიკისთვის მისი გამოყენება ცოტა სათუოა. ამერიკელს იაპონელისგან ბევრად უფრო ხშირად უხდება ტოლერანტობის გამოვლენა ქცევის განსხვავებული ნორმების მქონე ადამიანების მიმართ, ვიდრე ერთიან ნორმებზე დაფუძნებულ ერთიერთობებში მონაწილეობა. თანამედროვე ამერიკული სახოგადოება ინდივიდუალისტურია, მასში პატივს სცემენ ინდივიდის ავტონომიას და პატიოსნებას. ადამიანის მორალი მისი კერძო საქმეა. ამდენად, თანამედროვე სახოგადოებაში ორ ადამიანს შორის ნდობის წარმოქმნა შეიძლება ზოგჯერ მოითხოვდეს უპირობო რწმენას ერთიმეორის მიმართ, ისეთივე უპირობოს, როგორიცაა მეგობრობა ან ღმერთის რწმენა, რომელიც ან არსებობს, ან არა, მაგრამ რომლის მოთხოვნა არ შეიძლება გარეგანი პირობების დასმით.

ადამიანთა შორის არსებული ნდობა არ არის სახოგადოების ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მახასიათებელი. ერთი მხრივ ის, როგორც ამას პატნემი აბეტკიცებს, ახდენს გავლენას დემოკრატიული და საბაზრო ინსტიტუტების კარგ ფუნქციონირებაზე. მაგრამ მეორე მხრივ, საგანგებულია, რომ ამ ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება თავად იწვევს ნდობის დონის ამაღლებას. ანუ, შესაძლოა დავუშვათ, რომ ადამიანთა შორის ნდობის დაბალმა დონემ იტალიასა და გერმანიაში გავლენა მოახდინა ამ ქვეყნებში დემოკრატიის დამარცხებაზე მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, მაგრამ ამ ნდობის ზრდა ორივე ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიუთითებდეს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩასტაბილიზებულ ზეგავლენაზე სახოგადოებაში. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს ზრდა უკავშირდება ამავე პერიოდში ამ ქვეყნებში ეკონომიკის სწრაფ აღორძინებას. ამჟამად სახეზეა აშშ-ში ნდობის დონის გარკვეული კლება, მეტიც გამოითქვა მოსაზრება ამ ქვეყანაში სახოგადოებრივი კაპიტალის კლების სამიშროების შესახებ, რასაც პატნემი გარკვეულწილად სახოგადოებრივ ცხოვრებაზე ტელევიზიის გავლენით ხსნის.

საკონტროლო კითხვები

1. რა საკითხი შეისწავლა პატნემმა იტალიის მაგალითზე?

2. რა ფაქტორების ზეგავლენას ხედავს პატნემი იმაში, რომ იტალიის ჩრდილოეთ რეგიონების დემოკრატიის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთის?

3. რა განსხვავებაა მოქალაქესა და ქვეშევრდომს შორის?

4. რა იგულისხმება საზოგადოებრივ კაპიტალში?
5. რა შესაბამისობაშია ნდობა და საზოგადოებრივი კაპიტალი?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

ნდობა
საზოგადოებრივი კაპიტალი
სოციალური კონტექსტი
ინდუსტრიული რევოლუცია
ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირები
ტრადიციული საზოგადოება

ბიბლიოგრაფია

1. С.П.Перегудов, Н.Ю.Лапина, И.С.Семенов. Группы интересов и российское государство. - Эдиториал УРСС, Москва, 1999
2. R.D.Putnam. *Making Democracy Work. Civic Traditions in Modern Italy.* Princeton University Press, 1993
3. A.B.Seligman. *The Problem of Trust.* Princeton University Press, 1997

§ 4. პოლიტიკური კულტურა

II მსოფლიო ომის შემდგომ გაშლილი დემოკრატიზაციის პროცესის შესწავლისას ერთ-ერთი წამყვანი თემა ხდება პოლიტიკური კულტურა. გაბრიელ ალმონდის და სიდნეი ვერბას ცნობილ გამოკვლევაში „სამოქალაქო კულტურა" (1963) საბუთდებოდა, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები და მოქმედებათა ტიპები მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში შეესაბამებიან ერის პოლიტიკურ კულტურას. კულტურის შესწავლა გახდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დემოკრატიზაციის პროცესთა ანალიზისას, რამდენადაც საქმე ეხებოდა დემოკრატიისათვის აუცილებელ, საჭირო კულტურულ წანამძღვართა ძიებას. ალმონდმა და ვერბამ ხუთი დემოკრატიული საზოგადოების შესწავლის საფუძველზე დაადგინეს, რომ ერის პოლიტიკური კულტურა ახდენს დამოუკიდებელ ზეგავლენას სოციალურ და პოლიტიკურ ქცევაზე. კულტურა ადგენს და განსაზღვრავს ქცევის ნორმებს, რომელსაც აღიქვამენ და მისდევენ საზოგადოების წევრები იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმე პიროვნულად არ იზიარებს მოცემულ ღირებულებებს.

რონალდ ინგლეჰარტმა (1990) მოიტანა ახალი მტკიცებულებები შესაბამისობისა მოქალაქეთა პოლიტიკურ შეხედულებებსა და დემოკრატიის სტაბილურობას შორის 22 ქვეყნის მაგალითზე. პატნემმა (ვრცლად ის. წინა პარაგრაფი) ჩაატარა შედარებები მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით იტალიის რეგიონებში და გამოარკვია, რომ თუ ვიკით კულტურული ტრადიციები, რომელიც ვარირებს თანაშრომლობისკენ განწყობიდან (რაც დამახასიათებელია ჩრდილოეთ იტალიისათვის), იერარქიული დაქვემდებარების განწყობამდე (რაც დამახასიათებელია სამხრეთისათვის), შეიძლება დარწმუნებით ვიმსჯელოთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მოქმედების სტილის შესახებ. პატნემმა აჩვენა, რომ ეს კულტურული ტრადიციები სათავეს იღებენ მოქალაქეთა გაერთიანების ადრინდელ ფორმებში.

უკანასკნელი დროის გლობალური ტალღა დემოკრატიზაციისა კვლავ ხდის მნიშვნელოვანსა და აქტუალურს პოლიტიკურ კულტურასა და პოლიტიკურ სისტემას შორის შესაბამისობის პრობლემას: ჩვეულებრივ (არა ცვალებად, არა გარდამავალ) პირობებში პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური რეჟიმის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები მდგრადია, მუდმივია, და აქედან გამომდინარე რთულია ინსტიტუციონალურ და კულტურულ ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირის შესწავლა. დემოკრატიასთან თავსებადი კულტურული ნორმების გავრცელებულობა და სიმყარე შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან ფაქტორად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გეზის ახსნაში.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სოციალურმა მეცნიერებებმა მიაღწია დიდ წარმატებებს ემპირიული მასალების მოგროვებაში ევროპისა და აზიის ახალი დემოკრატიების (ანუ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნების) პოლიტიკური კულტურისა და მოქალაქეთა პოლიტიკური შეხედულებების და ღირებულებრივი განწყობების შესახებ. მაგრამ ემპირიულ კვლევათა წარმატებებს არ ახლავს თან შესაბამისი თეორიული ინოვაციები, რომლითაც ხასიათდებოდა დემოკრატიზაციის ადრინდელი „ტალღები". ასეთი საჭიროება ცხადია: გამოცდილება გვკარნახობს, რომ არსებობს არა ერთი, არამედ მრავალი „დემოკრატიული კულტურა", ისევე როგორც ხერხები და მეთოდები, პრინციპები ცნება „კულტურის" განსაზღვრისა, რომელიც საჭიროებს აღწერასა და შემდგომ შესწავლას.

ინგლჰარტმა წამოწია იდეა ღირებულებრივი ორიენტირების მოძრაობისა პოსტმატერიალისტურობის მიმართულებით ინდუსტრიულად განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში: იგი აღნიშნავს, რომ პრიორიტეტები საზოგადოებაში ფორმირდება, ყალიბდება შესაბამისად ორიენტაციისა რაიმეს „ნაკლულობაზე" (რაც აკლია საზოგადოებას, ის არის პრიორიტეტული): ადამიანები მეტ ღირებულებას ანიჭებენ იმას, რაც საზოგადოებაში შედარებით ნაკლებია. უფროსი თაობის ადამიანები ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ საზოგადოების ტრადიციული „მატერიალისტური" მიზნების მნიშვნელობას, ისეთებისას, როგორიცაა ეკონომიკური კეთილდღეობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, კანონიერება და წესრიგი, რელიგიური ღირებულებები და ძლიერი ეროვნული თავდაცვა. ახალი თაობა, რომელიც აღიზარდა პირობებში, როდესაც საზოგადოებამ, როგორც ჩანს, შესძლო მიეღწია ტრადიციული მიზნებისათვის, დასავლეთის ქვეყნებში ყურადღებას აქცევს „პოსტმატერიალისტურ" მიზნებს - თვითგამოხატვას, პიროვნულ თავისუფლებას, სოციალურ თანასწორობას, თვითრეალიზების და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფას. ამ ტიპის ინტერესებმა განაპირობა მოქალაქეთა ახალი მოძრაობების წარმოშობა, მაგ.: ეკოლოგიური, ფემინისტური და სხვ. პოსტმატერიალიზმმა ეჭვის, კითხვის ქვეშ დააყენა დემოკრატიის პრინციპები, გაშალა დისკუსია წარმომადგენლობითი და პარტიციპატორული (მონაწილეობრივი) დემოკრატიის შესახებ, რამაც შექმნა საფუძველი „დემოკრატიის კრიზისზე" ლაპარაკისათვის.

ინგლჰარტი განსაზღვრავს პოსტმატერიალიზმს, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შედეგს; ამ თვალსაზრისით, აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები განსხვავდება დასავლეთისაგან, - ისინი გარკვეულწილად იმყოფებიან დასავლეთის მიერ გავლილი გზის დასაწყისში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ქვეყნების ელიტები და მოსახლეობა იხელმძღვანელებენ მატერიალისტური მიზნებით, რომელიც ადრე პრევალირებდა დასავლური დემოკრატიების პოლიტიკაშიც. ამასთან ერთად, დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუციონალურ ფორმათა განვითარებას.

მაგრამ, გლობალიზაციის პერიოდში დასავლეთის იდეოლოგიური და ინფორმაციული პრევალირების პირობებში, თვით ამ ქვეყნებშიც (ახალ დემოკრატიებში) პოსტმატერიალისტური ორიენტირები იკრებს ძალას და არადექვატური პირობების გამო ამ საზოგადოებებში წარმოშობს პრობლემებს, რომელიც უცნობია დასავლური განვითარების ალგორითმისათვის. ამ კოლიზიამ დღევანდელი დასავლური პოსტმატერიალისტური ორიენტირების ქსელსა და ახალ დემოკრატიათათვის საჭირო და აუცილებელ ტრადიციულ დასავლურ მატერიალისტურ ღირებულებებს შორის ამ ქვეყნებში დამატებითი სირთულეები და სულ სხვა, შესაძლოა, სრულიად „არადემოკრატიული" პოლიტიკური სისტემების ფორმირება შეიძლება გამოიწვიოს.

პოლიტიკური კულტურის ღირებულებრივ ორიენტირთა ცვლილებები უშუალოდ ან გაშუალებულად აისახება ელექტორატის ქცევაში. საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი მთავარი თემა ხდება იმ ფაქტორთა მნიშვნელობის ფარდობითი ცვლილებები, რომელიც ზემოქმედებს ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე. პოლიტიკური არჩევანი დასავლურ დემოკრატიათა უმრავლესობაში ტრადიციულად განისაზღვრებოდა კლასობრივი, რელიგიური და სხვა სოციალური განსხვავებებით. რამდენადაც ადამიანები ნაკლებად იყვნენ მომზადებულნი რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის, ისინი ეჯრდნობოდნენ შეხედულებებსა და განწყობებს გარკვეული, მათ მიმართ გარეგანი რეფერენტული ჯგუფებისა. ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა პროფკავშირები და საეკლესიო თემები, იყვნენ მთავარი მოქმედი პირები პოლიტიკაში, ისინი ზეგავლენას ახდენდნენ როგორც ელიტაზე, ასევე უბრალო მოქალაქეებზე.

მზარდი ყურადღება ელექტორალური ქცევის ცვლილებისადმი დაკავშირებულია მასზე კლასობრივი და რელიგიური განსხვავებების გავლენის აშკარა შემცირებასთან. ეს დაადასტურა გამოკვლევებმა ბევრ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში: დღევანდელ ვითარებაში სოციალური მდგომარეობა აღარ განსაზღვრავს ადამიანის პოლიტიკურ პოზიციას.

ვრძელვადიანი ფაქტორების მნიშვნელობის შემცირებამ, რომელნიც ეფუძნებიან სოციალურ მდგომარეობას ან პარტიულ კუთვნილებას, უნდა გააძლიეროს მოკლევადიანი ფაქტორების გავლენა, ისეთების, როგორიცაა კანდიდატის საერთო სახე ან მისი პოზიცია ცალკეული, განსაზღვრული საკითხისადმი; იზრდება ე.წ. „პრობლემის მიხედვით ხმის მიცემის" პოტენციალი. დღეს მოქალაქეთა ყურადღებას იპყრობენ ამწუთიერი ან პიროვნული ხასიათის კონკრეტული საკითხები.

ამ ახალ ტენდენციებს საარჩევნო პროცესში დადებითთან (პოლიტიკოსთა ყურადღება საზოგადოებისადმი...) ერთად, შესაძლოა ჰქონდეთ უარყოფითი, ჩრდილოვანი მხარეებიც. „პრობლემის მიხედვით ხმის მიცემის" გავრცელება ზღუდავს საზოგადოების შესაძლებლობას გავლენა იქონიოს პოლიტიკურ პრობლემებზე, რომელიც ცდება კერძო ინტერესთა ჩარჩოებს. ისეთებზე, მაგალითად, როგორიცაა ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა. ძალიან დიდმა

ყურადღებამ ცალკეული საკითხისადმი შეიძლება მიგვიყვანოს რაციონალურობის ცნების შევიწროებასთან, რაც ისევე მავნეა დემოკრატიისათვის, როგორც „მკაცრი“, მყიფე სოციალური წყალგამყოფები. გარდა ამისა, პირდაპირი, გაუშუალებელი კონტაქტი პოლიტიკოსებისა და მოქალაქეებისა ქმნის პირობებს დემაგოგიისა და პოლიტიკური ექსტრემიზმისათვის.

ახლად ფორმირებად დემოკრატიებშიც შეიძლება დაეკვირდეთ მსგავს სიტუაციას. წარმოშობის პროცესში მყოფი პარტიული სისტემები ძნელად თუ იქნება დაფუძნებული მყარ, მდგრად, მუდმივ განსხვავებებზე სოციალურ ჯგუფებს შორის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დემოკრატიაზე გადასვლა ხორციელდება ძალიან სწრაფად. ელექტორალური ქცევის მოდელი ახალი დემოკრატიის ბევრ ქვეყანაშიც ეფუძნება იგივე მოულოდნელ ფაქტორებს, რომლებიც ბოლო ათწლეულებში დამახასიათებელი გახდა განვითარებული დემოკრატიებისათვის. თუმცა, მიზეზები სხვადასხვაა - იქ ტრადიციული გრძელვადიანი ინტერესები უზრუნველყოფილია, ახალ დემოკრატიაში კი მათი გამოვლენა, აგრეგირება და შესაბამისად უზრუნველყოფაც არ ხდება და არც საამისო განწყობილებები ყალიბდება განსხვავებული ეკონომიკური და სოციალური ვითარების გამო.

მაგრამ ეს მსგავსება ატარებს ზედაპირულ ხასიათს. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები განიცდიან ელექტორალური არჩევანის მოდელების ევოლუციას, როგორც ხანგრძლივად არსებული პოლიტიკური დაჯგუფებებისა და პარტიული კუთვნილება-განწყობების რღვევის, უფრო „განათლებული“ ელექტორატის განვითარების და წარმომადგენლობითი დემოკრატიის შეზღუდულობის დაძლევის მცდელობის შედეგს. ახალი პოლიტიკური ძალები საარჩევნო პროცესში დასავლურ დემოკრატიებში ვითარდებიან იმ პირობებში, როდესაც ტრადიციული რეგულატორები, დაკავშირებული ინტერესთა ჯგუფებთან ან პარტიებთან, აგრძელებენ მნიშვნელოვან, თუმცა კი შემცირებად გავლენის მოხდენას.

აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დემოკრატიული პარტიული სისტემების წინაშე დგას ელექტორალური არჩევანის საბაზო სტრუქტურების განვითარების ამოცანა (ის რაც დასავლეთში უკვე განხორციელდა ადრე). მაგრამ პარტიების შექმნა გლობალიზაციისა და ინფორმატიზაციის ეპოქაში, კაბელური ტელევიზიისა და თანამგზავრული კავშირის სამყაროში, საარჩევნო პროცესის შესახებ ნებისმიერი სოციალური წარმომავლობის ადამიანთა გათვითცნობიერებულობის მაღალი ხარისხის პირობებში, ნაკლებად სავარაუდოა რომ წავიდეს 20-იანი წლების დასავლეთ ევროპული ნიმუშების მიხედვით.

საკონტროლო კითხვები

1. რა განსაზღვრავს პოლიტიკურ ქცევას გ. ალმონდის და ს. ვერბას მიხედვით?

2. რა დაასაბუთა თავისი კვლევებით ინგლეჰარტმა?

3. როგორ განსაზღვრავს ინგლეჰარტი პოსტმატერიალიზმს?

4. რა შესაბამისობაშია ერთმანეთთან ელექტორალური ქცევა და პოლიტიკური კულტურა?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

პოლიტიკური კულტურა
ღირებულებრივი ორიენტაციები
საზოგადოებრივი უსაფრთხოება
ელექტორალური ქცევა
პოსტმატერიალისტური ღირებულებები

ბიბლიოგრაფია

1. Б.Г.Капустин, И.М.Клямкин. Либеральные ценности в сознании россиян. "Полис", 1994, 2.

2. Политическая наука: новые направления (под ред. Р.Гудина и Х.-Д. Клингеманна. Научн. ред. русского издания Е.Б.Шестопал). - Вече, М.1999.

3. G.A.Almond and S.Verba. *The Civic Culture.* Princeton: Princeton University Press. 1963.

4. R.Inglehart. *Culture Shift in Advanced Industrial Society*. Princeton: Princeton Univercity Press. 1990.

5. R.Inglehart. *Modernization and Postmodernization. Cultural, Economic, and Political Change in 43 Societies.* Princeton University Press, 1997.

6. R.Rose, W.Mishler and C.Hapefer. *Democracy and its Alterantives. Understanding Post-Communist Societies.* The John Hopkins University Press, Baltimore, 1998.

V დემოკრატიზაციის თანამედროვე გამოწვევები

§1. ნეოლიბერალიზმი და ინტერნაციონალიზაცია, როგორც თანამედროვე დემოკრატიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორები

მესამე და მეოთხე თავებში ჩვენ ვისაუბრეთ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ურთიერთმიმართების ზოგადთეორიულ პრობლემებზე, აღვწერეთ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეები პოსტსაბჭოურ სივრცეში, დავახასიათეთ სამოქალაქო საზოგადოება და მისი როლი დემოკრატიის მდგრადი არსებობისთვის. ყველა ამ პრობლემის თავისებურება უფრო ნათელი და მკაფიო ხდება კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით და იმ ქვეყნების შედარებითი ანალიზით, რომლებმაც ახლახანს განიკადეს დემოკრატიზება.

როგორც ადრე იყო ნახსენები, დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ, რომელიც 1974 წელს დაიწყო, მოიცვა სამხრეთ ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნები. მიუხედავად დიდი სხვაობებისა, რომელიც ამ სამ რეგიონს ახასიათებს, მათში წარმართული დემოკრატიზაციის პროცესების შედარებითი ანალიზი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა დემოკრატიის მდგრადობის, სასელმწიფოსა და ეკონომიკური რეფორმების ურთიერთმიმართების საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამ შედარებით ანალიზს ეყრდნობა წიგნი "მდგრადი დემოკრატია", რომელიც დაიწერა 1995 წელს 21 ავტორისგან შემდგარი ჯგუფის მიერ ადამ პრეუევროსკის ხელმძღვანელობით; ეს ავტორები წარმოადგენდნენ 10 ქვეყანას და მათი მიზანი იყო ახლად დემოკრატიზებული ქვეყნების წინაშე მდგარი გამოწვევების შესწავლა. ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ეყრდნობა სწორედ ამ გამოკვლევას.

ადრეჩვენ ვსაუბრობდით დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკური რეფორმების ერთდროულობაზე პოსტკომუნისტურ სივრცეში. მაგრამ ეს ვითარებს არ იყო სულ მთლად უნიკალური იმ მხრივ, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და დემოკრატიზაციის პროცესების ერთდროულობა მესამე ტალღის ზოგიერთი სხვა ქვეყნისთვისაც იყო დამახასიათებელი. ეკონომი-

კური კრიზისები, რომელიც განიცადა არგენტინამ, ბრაზილიამ და მექსიკამ 80-იან წლებში უპრეცედენტო აღმოჩნდა ამ ქვეყნების ისტორიაში.

რიგმა ქვეყნებმა (განსაკუთრებით პოსტკომუნისტური სივრციდან, მაგრამ არა მარტო მათ) გასწიეს რისკი და იღებენ მონაწილეობას ექსპერიმენტში, რომელიც უდიდესია სტალინისტური ფორსირებული ინდუსტრიალიზაციიდან (1929წ.) მოყოლებული. ეკონომიკურ ტრანსფორმაციას ამ ქვეყნებში დღეს (1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული) ბევრი აქვს საერთო ტრანსფორმაციის წინა, სოციალისტურ პროექტთან. ისინი ახორციელებენ ინტელექტუალურ პროექტს, რომელიც გამომუშავდა ჩრდილოეთ ამერიკის აკადემიურ წრეებში და გაზიარებულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ. ისინი არიან რადიკალურნი: ისინი განწყობილნი არიან უგულებელყონ, გადაატრიალონ ყველა არსებული სოციალური ურთიერთობები. და ისინი ვვთავაზობენ ერთადერთ პანაკეას, ჯადოსნურ ჯოხს, რომლის ერთი აქნევაც უმკურნალებს ყველა ავადმყოფობას. პირველად ისტორიაში კაპიტალიზმი ხდება აღიარებული, როგორც დოქტრინის აპლიკაცია და არა როგორც განვითარება გამოცდისა და შეცდომის ისტორიული პროცესისა.

ბარდაქმნების ეს პროცესი ეყრდნობა იდეოლოგიას - ეს არის ნეოლიბერალური იდეოლოგია. ეს იდეოლოგია დაფუძნებულია ბაზრისა და კერძო საკუთრების ღირსების, სიქველის, უკეთესობის რწმენაზე, რაც არ არის დამტკიცებადი, გამართლებადი, არგუმენტირებადი თანამედროვე ეკონომიკის შუქზე, მათ შორის ნეოკლასიკური თეორიისა. ის აყენებს ეფექტურობას განაწილებაზე უფრო მაღლა, იმდენად, რომ გამართლებულად მიიჩნევს მოსალოდნელ სოციალურ საფრთხეებს. ის განათავსებს ეკონომიკურ მოსაზრებებს პოლიტიკურზე ზემოთ, და მზადაა მიიტანოს სხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ღირებულებები ეფექტურობის სამსხვერპლოზე. ის დაფუძნებულია ღრმა რწმენაზე, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშ, რომელსაც აუცილებლად უნდა მივსდიოთ: არა მხოლოდ ოპონირება, არამედ მსჯელობა, დისკუსიაც კი განიხილება როგორც რეაქციონერობა, რომელიც გამომდინარეობს საკუთარი, „პოპულისტური" კერძო ინტერესებიდან. ამ იდეოლოგიის მიმდევარნი აცხადებენ, ისე, თითქოს ისინი ფლობდნენ საბოლოო ჭეშმარიტებას: მათ მიერ წარმოდგენილი მოდელი - ეს არის ზოგადი მოდელი პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკისა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეფასებულ იქნეს საბოლოო შედეგები ყველა ცალკეული ნაბიჯისა.

1991 წლის 30 აპრილს „გარდიანი" წერდა: „დიდი ინდუსტრიული ეკონომიკების წარმმართველმა ჯგუფებმა გუშინ მოუწოდეს აღმოსავლეთ ევროპის ახალ დემოკრატიებს უარყონ „გრადუალიზმი" და მიიღონ პოლონეთის მოდელი სწრაფი ეკონომიკური რეფორმებისა". ითვლებოდა, რომ თუმცა გრადუალისტურმა მიდგომამ შეიძლება შეამციროს სოციალური დაძაბულობები, ზომიერი რეფორმების ხანგრძლივი პერიოდი შეიცავს საფ-

რთხეს, რომ რეფორმატორებიცა და მოსახლეობაც „დაიღალონ რეფორმებისგან", რამდენადაც ისინი ვერ მოიტანენ ხელშესახებ, შესამჩნევ ცვლილებებს. აგრეთვე, რეფორმათა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვანაირმა ანტირეფორმისტულმა ძალებმა და სხვა ლობისტებმა შეიძლება მოახდინონ ძალთა მობილიზება და თანდათანობით, ეტაპობრივად შეაჩერონ რეფორმის პროცესი. „შოკური მიდგომის" მომხრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოსახლეობის მზადყოფნა მსხვერპლის გაღებისათვის ხანმოკლეა, ხოლო პოლიტიკოსთა სიმამაცე - შეზღუდული. ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერა ასეთ მიდგომასთან ალმოჩნდა დაკავშირებული.

სინამდვილეში ეს მოდელი არის ნარევი ფაქტებისა, იდეების დაცვისა, ეგოიზმისა და კეთილი სურვილებისა. უფრო მეტიც, ეს არ არის ის მოდელიც კი, რომელსაც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები მისდევენ თავად, საკუთარ პრაქტიკაში: დასავლელი მრჩეველები ორაზროვან სიტუაციაში ვარდებიან, ამბობენ რა „გააკეთეთ როგორც ჩვენ გეუბნებით, და არა როგორც ჩვენ ვაკეთებთ".

განვლილმა პერიოდმა ნათლად დაგვანახა, რომ ვითარება არც ისე მარტივი და ცალსახაა, როგორც 80-იანი წლების ბოლოს წარმოედგინათ ნეოლიბერალური მიდგომის მომხრეებს. ხაზგასმით უნდა ალინიშნოს, რომ დემოკრატიისა და აყვავების ძიება, მისწრაფება, აუცილებლად შეიცავს ალტერნატივებს, არჩევანებს და გადაწყვეტილებებს.

II მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში განხორციელდა მოდერნიზაციის რამდენიმე მოდელი, კერძოდ კომუნისტურ ალმოსავლეთში და კაპიტალისტურ სამხრეთში.

ლათინურ ამერიკული მოდელი დაეფუძნა კერძო საკუთრებას, სახელმწიფოს აქტიურ როლს და პროტექციონისტული პოლიტიკის წარმართვას, რომელიც ორიენტირებული იყო იმპორტის შემცვლელ ინდუსტრიალიზაციაზე. ალმოსავლეთ ევროპის მოდელი დაეფუძნა სახელმწიფო საკუთრებას და ცენტრალიზებულ მბრძანებლურ ეკონომიკას. ორივე რეგიონი დიდი ინტერნაციონალური სისტემის დამოკიდებული ნაწილი იყო: მთავარი გადაწყვეტილებები ინვესტიციების, წარმოების, ფასების შესახებ მიიღებოდა ცალკეული ქვეყნების სახლვრებს მიღმა. ალმოსავლეთ ევროპის სისტემა დომინირებული იყო ერთი ცენტრის მიერ და გადაწყვეტილებები იყო უპირატესად პოლიტიკური, ხოლო სამხრეთში შესაძლებელი იყო სხვადასხვა ცენტრების მეტოქეობა და გადაწყვეტილებები მიიღებოდა ნაკლებად ხილული კერძო ინსტიტუტების მიერ.

ორივე სტრატეგია წარმატებული იყო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და რიგმა ქვეყნებისა შექმნა მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ბაზა - ეკონომიკური ზრდის ტემპები იყო უმეტესწილად უფრო მაღალი ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში (1950 -80 წწ-ში). მაგრამ ეს ზრდა

1980 წლიდან ფერხდება, ხდება ტემპების დაკლება და თითქმის ეკონომიკის კოლაფსი.

ამ კოლაფსის ხუთი ახსნა ერთმანეთთან მეტოქეობს: 1. მაღალი ტემპები ზრდისა იყო შესაძლებელი მანამ, სანამ განვითარება იყო ექსტენსიური, არ იხლუდებოდა მასალებისა და შრომითი რესურსების ნაკლებობით; 2. ეკონომიკურ მოდელებს, რომელიც ანიჭებს სახელმწიფოს უპირატეს როლს, როგორც განვითარების სტრატეგიის არქიტექტორს, შეეძლო ეფექტურად ემუშავა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკა შედარებით მარტივი იყო; 3. 1975 წლის შემდგომმა საერთაშორისო კონიუნქტურამ - უეცარმა ფასების აწევამ ნავთობზე და სხვა პირველად რესურსებზე, კომბინირებულმა საგარეო ვალთან და განვითარებულ ქვეყნებში არსებულ ფისკალურ სიმკაცრესთან - საფუძველი შეურყია განვითარების იხეთ სტრატეგიას, რომელიც იმპორტის შემცვლელ ინდუსტრიალიზაციაზე იყო დაფუძნებული; 4. განვითარების სტრატეგიები - მძიმე ინდუსტრიაზე ორიენტირებული ავტარკია აღმოსავლეთში და ხანგრძლივი ექსპლოატაციის სამომხმარებლო პროდუქციის წარმოების პროტექციონიზმი სამხრეთში - არ მიემართებოდნენ თავისთავადი და მყარი განვითარებისაკენ, რადგან ისინი წარმოშობდნენ საგარეო გაცვლის პერმანენტულ კრიზისს; 5. კორუფცია და კაპიტალის გადინება სამხრეთში, ისევე როგორც მაღალი დონე არაპროდუქტიული, განსაკუთრებით სამხედრო ხარჯებისა აღმოსავლეთში ნთქავდა ეკონომიკური ნამატის მზარდ პროპორციას.

ამ მიზეზთაგან ძნელია ილაპარაკო რომელიმეს ერთადერთობაზე ან უპირატესობაზე. ფაქტია, რომ ეს მოვლენები ერთდროულად განვითარდა აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, თუმცა კი გარეგნულად განსხვავებული რეაგირება გამოიწვია - აღმოსავლეთ ევროპამ უარყო ეკონომიკის თავისი მოდელი (მბრძანებლური ეკონომიკა), ლათინურმა ამერიკამ კი - არა.

მიუხედავად ამ სხვაობისა, ეკონომიკური კრიზისის გამოწვევაზე რეაგირების არსი არსებითად ერთი და იგივე აღმოჩნდა. ის შეიძლება აღიწეროს, როგორც მოდერნიზაცია ინტერნაციონალიზაციის ზეით. სხვადასხვა პოლიტიკური ძალები კაპიტალისტურ სამხრეთში და პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთში ვერ ხედავენ ალტერნატივას „ჩრდილოეთ-დასავლეთის ზეისა“: ზეისა, რომელიც მიიყვანს მათ საზოგადოებებს პირველ სამყაროში. ეს არის ზეა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ორგანიზაციის გადმოღებისა, რომელიც უკვე არსებობს: დემოკრატია, ბაზარი და ინდივიდუალისტური, მოხმარებაზე ორიენტირებული კულტურა, რომელიც გაბატონებულია განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროში. ამ სტრატეგიაში მოდერნიზაცია ხდება სინონიმი ინტერნაციონალიზაციისა: ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, კომბინირებული იმიტაციასთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მოდელებისა, რომელიც პრევალირებს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ეს სტრატეგია განსხვავდება ომის შემდგომი მოდერნიზაციის სტრატეგიებისაგან, რომელიც განიხილავდა განვითარებას, როგორც პროექტს ნაციონალური ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. იმდროინდელი მიდგომები იცავდა ეროვნული კულტურის მნიშვნელობას, მიისწრაფოდა პოლიტიკური ინსტიტუტებისაკენ, რომელიც შეიცავდა ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნული ინდუსტრია მიიჩნეოდა ეკონომიკური ზრდის წარმმართველად და ორიენტირებული იყო ლოკალურ ბაზრებზე. ამის საპირისპიროდ სტრატეგია მოდერნიზაციისა ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით ნებაყოფლობით ადიარებს, სულ მცირე, ეროვნული სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში. ეს სტრატეგია აღებს ლოკალურ ბაზრებს უცხოური შეღწევისათვის, ის არღვევს კულტურულ ბარიერებს, და ასდენს პოლიტიკური ინსტიტუტების მოდელირებას საყოველთაოდ გავრცელებული ნიმუშების მიხედვით. "კოკა-კოლა" აღარ არის იმპერიალისტური ბატონობის ნარკოტიკი, არამედ უნივერსალური აყვავების ნექტარია.

ალტერნატივები აღარ არსებობს: დღეს მოდერნიზაცია ნიშნავს ლიბერალურ დემოკრატიას, მოხმარებაზე ორიენტირებულ კულტურას და კაპიტალიზმს.

მართალია, ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება და მისწრაფებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ ერთდროულობა ამ ცვლილებებისა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში წარმოშობს ვარაუდს, რომ ინტერნაციონალური ფაქტორები გადამწყვეტია. ამას განაპირობებს, ერთის მხრივ, შექმნილი საერთო გარემო, რომელშიც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს უწევთ ოპერირება, ხოლო, მეორეს მხრივ, იმ ინტერნაციონალურ აქტორთა სპეციფიური ქმედებები, რომელნიც (აქტორები) ახორციელებენ ზეწოლას ცვლილებებზე.

80-იან წლებში წარმოებისა და ფინანსების გლობალიზაციამ შექმნა კონტექსტი, სადაც ეროვნული დამოუკიდებლობის ძველი სტილის დაცვა უაღრესად ძნელი ხდება. პროტექციონიზმით ქვეყნის დაცვა ხდება ძალიან მძიმე (და ძვირი); ფასი იზრდება ახალი ტექნოლოგიების სწრაფი დიფუზიის გამო, რაც ახდენს საერთაშორისო კონკურენციის ტრანსფორმირებას. ფინანსური ინტეგრაცია, თავის მხრივ, ართულებს დამოუკიდებელი გაკვლის სავალრო და სატარიფო პოლიტიკის განსორციელებას და აადვილებს კაპიტალის გადინებას.

ტეტჩერის, რეიგანისა და კოლის წარმოჩენამ, როგორც სამი უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ქვეყნის ლიდერებისა, ხელი შეუწყო ნეოლიბერალიზმის განმტკიცებას, როგორც ცენტრალური იდეოლოგიური ძალისა დასავლურ სამყაროში. ამ ძალის გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე აღმოსავლეთ აზიის მოდელის სიმძლავრის წარმოჩენამ, მოდელისა, რომელიც განიხილებოდა როგორც ნიმუში laissez faire ფაირე ეკონომიკისა. და საბოლოოდ, ცივი ომის დასრულებამ და სსრკ-ის დეზინტეგრაციამ, თითქოსდა წვრტილი დაუსვა ალტერსატივის შესაძლებლობას.

1985 წლიდან, „ბეიკერის გეგმა“ ხაზს უსვამდა სტრუქტურულ რეფორმებს და, განსაკუთრებით, ვაჭრობის ლიბერალიზაციას. 70-იანი წლებისაგან განსხვავებით, 80-იან წლებში ჩამოყალიბდა კრედიტორთა ერთიანი ფრონტი. ფინანსურ ინსტიტუტებს, კერძო ბანკებს და ტეტჩერ-რეიგან-კოლის მთავრობებს სურდათ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება გამოეყენებინათ თავისი იდეოლოგიური განწყობა-მისწრაფებების განმტკიცებისათვის.

თუმცა ეს მიდგომები საყოველთაო არ იყო. იაპონია და კორეა მისდევდა განსხვავებულ ეკონომიკურ სტრატეგიას: ისინი იცავდნენ შიდა ბაზრებს და ზღუდავდნენ უცხოური კაპიტალის შემოსვლას. ასევე, აქ სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა (ისევე, როგორც ევროპაში) ფინანსური სუბსიდიების, ექსპორტის სტიმულირებისა და ინდუსტრიული პოლიტიკების (policy) მეშვეობით.

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა შემთხვევაში მოდერნიზაცია ინტერნაციონალიზაციის ფხით, იქაც კი, სადაც ავტონომიური ეროვნული განვითარების სტრატეგია იყო უპირატესი (იაპონია, სამხრეთ კორეა, ესპანეთი...), ის წარმოშობდა და წარმოშობს დიდ დაძაბულობებს - შემოსავლების განაწილებაში, პოლიტიკაში, კულტურაში.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფხა მოდერნიზაციისა ინტერნაციონალიზაციის ფხით ამცირებს ამ დაძაბულობებს, მაგ: არა გაუაზრებელი იმიტაცია, არამედ ახალი ინტერნაციონალური კონტექსტისადმი ეონიერულად წარმართული წარმატებული ადაპტაცია. არჩევანების სტრუქტურა განსხვავებულია, და როგორც იაპონიის მაგალითი ადასტურებს, განვითარებული ქვეყნების პოლიტიკებისა და ინსტიტუტების იმიტირებას შეიძლება ჰქონდეს შემოქმედებითი, გამომეონებლური ადაპტაციის ფორმა, და არა პასიური მიმბაძველობისა.

უეჭველად წარმატებულია ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა. ინტერნაციონალიზაციამ შეიძლება მიიღოს აგრეთვე ფორმა ინტეგრაციისა რეგიონალ ბაზრებში და პოლიტიკურ ინსტიტუტებში - ასეთი არჩევანი აქვთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ევროკავშირთიანების სახით. ასეთი ინტეგრაცია შეიძლება გულისხმობდეს ტრანსფერებსა და სუბსიდიებს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის, და, რა თქმა უნდა, ბაზარზე დაშვებას. ამ ფაქტორმა ითამაშა როლი არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაშიც - დემოკრატიის დამკვიდრებაში, სამხრეთ ევროპის ქვეყნებისათვის. რეგიონალიზმმა დადებითი როლი შეასრულა სამხრეთ ამერიკაშიც (ერთიანი საბაჟო სივრცე - ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, პარაგვაი; თავისუფალი ვაჭრობის არეალში შესვლა - ჩილე, მექსიკა, აშშ, კანადა), თუმცა უფრო ნაკლები, ვიდრე ევროპაში: აქ ეს არ იყო განმტკიცებული ინსტიტუციონალურად და მიმდინარეობდა ერთი აქტორის (აშშ) ჰეგემონიით.

მაგრამ, ამ პოზიტიური შესაძლებლობების მიუხედავად, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია უდიდეს სირთულეებს წარმოშობს. ინტერნაციონალიზაცია კოსკურენტული სტრატეგიაა: იგი აუცილებლად წარმოშობს გა-

მარჯვენებულებსა და დამარცხებულებს. ყველა ქვეყანას არ შეუძლია იყოს ექსპორტიორი. მეტიც, გამარჯვებულები და დამარცხებულები შეიძლება იყვნენ არა სახელმწიფოები, არამედ რეგიონები, სექტორები, ინდუსტრიის დარგები, ფირმები ან ცალკეული სოციალური ჯგუფები - და ყველა ამ მიმართებებით შესაძლოა წარმოიშვას (და უკვე წარმოშობილია) დაძაბულობა.

მთავრობათა შესაძლებლობა მოახდინონ ამ ვითარებაში დამარცხებულთა რაიმე ფორმით კომპენსირება, უალრესად შეზღუდულია და ძალიან ამცირებს მათ ეფექტურობას.

საკონტროლო კითხვები

1. ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების რა ძირითადი მსგავსებაა მესამე ტალღის სამხრეთ ამერიკისა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისთვის.

2. რას ეყრდნობა ეკონომიკური გარქმნები მესამე ტალღის ქვეყნებში?

3. დაასახელეთ მოდერნიზაციის ეკონომიკური მოდელები, რომლებიც განხორციელდა II მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტურ აღმოსავლეთში და კაპიტალისტურ სამხრეთში. აღწერეთ ამ მოდერნიზების მიმდინარეობა.

4. როგორია დღეს მოდერნიზაციის სტრატეგია მესამე ტალღის ქვეყნებში?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

"გრადუალიზმი"
ავტარქია
პროტექციონიზმი
ნეოლიბერალიზმი
კონკურენტული სტრატეგია

ბიბლიოგრაფია

1. Т.Ворожейкина. Демократия и экономическая реформа (опыт сравнительного анализа России и Латинской Америки). -"Pro et Contra", т.1, N.1.

2. И.Клямкин. Посткоммунистическая демократия и ее исторические особенности в России. - "Полис", 1993, 2.

3. ed. by L. Diamond, J. J. Linz, S. M. Lipset. *Politics in Developing Countries - Comparing Experiences with Democracy.* Lynne Rienner Publishers, 1995.

4. G. O'Donnell. *On the State, Democratization and Some Conceptual Problems: A Latine American View with Glances at Some Poscommunist Countries.* World Development, vol.21, N.8, 1993.

5. A.Przeworski, et. *Sustainable Democracy.* Cambridge University Press, 1995.

§2. დემოკრატიზაცია და სახელმწიფო

ეფექტური სახელმწიფოს პრობლემა

90-იან წლებამდე, წინა ორი ათწლეულისათვის, დემოკრატიზაციის პროცესის კვლევებისათვის დამახასიათებელი იყო ფოკუსირება რეჟიმებსა და ბაზარზე და ამასთან დაკავშირებულ თემებზე. ასეთი მიდგომისას, რაღაცნაირად, მოხდა უდიდესი გამორჩენა - ეს იყო ერთგვარი დაბრმავება სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც ადრე მკვლევართა და პოლიტიკოსთა ყურადღების უმთავრეს საგანს წარმოადგენდა. ამ შეცდომის გამოსწორებაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გილერმო ო'დონელის, ხუან ლინკის და ზოგიერთი სხვა მეცნიერის ნაშრომებმა.

ო'დონელი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო არა მხოლოდ სახელმწიფო აპარატია, სახელმწიფო სექტორი ან სახელმწიფო ბიუროკრატიის ნაკრები, რომლებადაც მას ხშირად აღიქვამენ, არამედ ამ ცნებაში ასევე შედის იმ სახოგადოებრივ ურთიერთობათა რიგი, რომლებიც ქმნის გარკვეულ წესრიგს; ამ ურთიერთობათა დიდი ნაწილი ფორმალიზებულია სამართლებრივ სისტემაში, რომელსაც აყალიბებს და იცავს სახელმწიფო. კანონები თავისთავად არ იქმნება და არ სრულდება; კანონების რეალური აღსრულება დამოკიდებულია იმ უამრავ ქცევაზე, რომელიც (შეგნებულად თუ შეუგნებლად) თავსებადია კანონის მოთხოვნასთან. კანონთა ეს ეფექტიანობა განპირობებულია დარწმუნებულობით, რომ საჭიროების შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება მოახერხებს კანონის აღსრულებას. ამდენად, კანონი სახელმწიფოს ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს სახოგადოებრივი წესრიგის თანაბრობას, მის ერთგვაროვან აღსრულებას როგორც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე ყველა სოციალური ჯგუფისთვის.

როდესაც სახელმწიფო კრიზისშია (მაგ. არგენტინა, ბრაზილია, პერუ და სხვა ქვეყნები), ეს კრიზისი აისახება მთელ სახოგადოებაზე შემდეგ ასპექტებში: 1. სახელმწიფო ბიუროკრატია ვერ ფუნქციონირებს ეფექტურად; 2. კანონები არ ხორციელდება; 3. სახელმწიფო სტრუქტურები ვერ აწარმოებენ სახოგადოებრივ პროდუქტს. აღსანიშნავია, რომ ზოგმა ქვეყანამ, როგორებიცაა ესპანეთი, პორტუგალია, სამხრეთ კორეა, ტაივანი და ჩილე მოახერხა ამგვარი კრიზისის თავიდან აცილება. ისინი განვითარდნენ როგორც ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკები, რომლებსაც გააჩნიათ ძლიერი სახელმწიფოები, და რომელთაც შესძლეს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირება.

სახელმწიფოს ეფექტურობა-არაეფექტურობის საკითხი არ უნდა აგვერიოს სახელმწიფო აპარატის ზომისა და წონის საკითხში. ზედმეტად გაბერილი სახელმწიფო აპარატის შეკვეცა არ უნდა იწვევდეს სახელმწიფოს ეფექტურობის დაქვეითებას, არამედ მოქნილი და ეფექტური სტრუქტურის შექმნას. სწორად, როდესაც ცდილობენ შეამცირონ სახელმწიფო აპარატი და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტი, უნებლიეთ ზიანებენ სახელმწიფოს სხვა მხარეებსაც - სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივ წესრიგს და სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის მწარმოებელს.

სახელმწიფო აპარატის შემცირება არ გამოიწვევს ამგვარ მძიმე შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოება ერთმანეთთან ჰომოგენურადაა დაკავშირებული, ანუ კანონი თანაბრად ვრცელდება როგორც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე ყველა სოციალურ ფენაზე.

როდესაც სახელმწიფო კრიზისშია, მასთან ერთად არსებობს ძალაუფლების სხვა, ავტონომიური სფეროები. რაც უფრო დაშორებულია პროვინცია ან რაიონი ქვეყნის ცენტრს, მით უფრო საეარაუდოა მასში ძალისმიერი პერსონიფიცირებული მმართველობა - პატრიმონიალური, და სულთანისტურიც კი. მრავალ ახლადწარმოქმნილ დემოკრატიაში კანონი და სახელმწიფო ძალაუფლება ქრება, როგორც კი გასცდები დედაქალაქის საზღვრებს. ჩნდება კერძო, ანუ პრიკატიზებული ძალაუფლების ზონები; ამ ზონებს სწორად ბევრი წარმომადგენელი ჰყავთ პარლამენტში; მათი წარმომადგენლობა შედგება ადამიანებისგან, რომლებიც ადგილზე მჭიდროდ არიან შეკავშირებული კლიენტელისტური, პერსონალისტური, პატრიმონიალური კავშირებით. პარლამენტში წარმოდგენილი ამგვარი ადგილობრივი ინტერესები მეტად შეზღუდულია: მათ უნდათ სტატუს ქვოს შენარჩუნება და ცენტრიდან მაქსიმალური რაოდენობის რესურსების თავისთან გადმოქაჩვა. პარტიების არსებობა ხელს უწყობს ამგვარ ლობისტებს, ვინაიდან ეს პარტიები არა მარტო "არაიდეოლოგიურია", არამედ სრულიად ოპორტუნისტულიც თავიანთ პოზიციებში. მათ არ გააჩნიათ დისციპლინა, ახალი პარტიის შექმნა და პარტიიდან პარტიაში გადასვლა არ წარმოადგენს არანაირ პრობლემას. ამგვარი პოლიტიკოსები ხელს უწყობენ იმას, რომ ქვეყნის მმართველობა იყოს დეკლეგატიური, და ცეზარისტულიც კი, იმითი, რომ აფერხებენ მდგრადი რეპრეზენტატული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოს სისუსტე შესაბამისად გაელენას ახდენს დემოკრატიის ფორმაზე. ასე რომ საკითხი - როგორია მოცემული რეჟიმი - დემოკრატიული თუ ავტორიტარული, ეხება არა მხოლოდ თავად რეჟიმს, არამედ სახელმწიფოსაც. დასმული საკითხი მოითხოვს იმის ანალიზს, თუ როგორაა მოწყობილი სახელმწიფო - უნივერსალისტურად თუ არა, ვრცელდება თუ არა მისი კანონები მთელ ტერიტორიაზე და ყველა სოციალურ ჯგუფზე. ამდენად გამოდის, რომ თვით სახელმწიფო შეიძლება იყოს ავტორიტარული ან დემოკრატიული, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უნივერსალისტურია მასში კონსტიტუციურად გასაზღვრული მოქალაქეობის ნორმები, რამდენად თანაბრადაა

დაცული ადამიანის უფლებები. იმ ახალ დემოკრატიებში, რომელშიც სახელმწიფოს არ შეუძლია კანონიერების დაცვა, მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობა მეტად დაბალია. ქვეყნის "დემოკრატიულობა" ვარირებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა მასში დაცული არა მხოლოდ "პოლიტიკური", არამედ "ლიბერალური" უფლებები; ანუ შესაძლებელია, რომ მოქალაქე ერთის მხრივ თავისუფლად მონაწილეობდეს არჩევნებში და იმავდროულად არ იყოს დაცული პოლიციისგან ან უსამართლო მოსამართლეებისგან.

სახელმწიფოს კრიზისსა და სახელმწიფოს-როგორც-კანონის დაქვეითებას შეიძლება ხელი შეუწყოს მძიმე სოციოეკონომიკურმა კრიზისმა. ეს მომდინარეობს არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური დეზინტეგრაციის პროცესებისგან, და არა მხოლოდ სახელმწიფოს, მისი ბიუროკრატიის, მისი კანონებისა და თვით საზოგადოებრივი სიკეთის მწარმოებლის ლეგიტიმურობის სტატუსის კრიზისისგან. ამ კრიზისს ხელს უწყობს აგრეთვე ნეოლიბერალური პოლიტიკაც, რომელიც, ეძებს რა სოციოეკონომიკური პრობლემების დაძლევის გზებს, ცდილობს ნებისმიერი ფით შეამციროს სახელმწიფო აპარატი და მისი ხარჯები.

ეფექტური სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია დემოკრატიისა და ბაზრის არსებობა. პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების დემოკრატიზაციის ეფექტი დამოკიდებულია სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობასა და ინსტიტუციონალურ სიცოცხლისუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო მეტისმეტად გაიზარდა, გახდა პოლიტიკურად მძიმე და ეკონომიკურად არაეფექტური, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მიმდინარე რეფორმების ანტისახელმწიფოებრივი საფუძვლები. ზემოთ უკვე ნახსენები ნაშრომის, "მდგრადი დემოკრატიის" ავტორთა აზრით, ნეოლიბერალურ რჩევათა პრინციპული შეცდომა ისაა, რომ ისინი ჯეროვნად არ აფასებენ სახელმწიფო ინსტიტუტების როლს ჯგუფებისა და ინდივიდთა საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ორგანიზებაში. დემოკრატია რომ იყოს მდგრადი, სახელმწიფო უნდა იყოს გარანტი ტერიტორიული მთლიანობისა და ფიზიკური უსაფრთხოებისა, მან უნდა შესძლოს უზრუნველყოს პირობები მოქალაქეობის ეფექტური განხორციელებისათვის, მოახდინოს საზოგადოებრივი დანაზოგების მობილიზება, მოახდინოს რესურსთა გადანაწილებისა და შემოსავლების კორექტული განაწილების კოორდინირება. და თუ სახელმწიფო ინსტიტუტებს ძალუძთ ამ ამოცანათა შესრულება, გარდაქმნისა და რეფორმების პერიოდში ისინი უნდა იქნენ რეორგანიზებულნი და არა მარტივად შესუსტებულნი.

სახელმწიფოს როლი ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნებაში განსაკუთრებით წამოიწია წინ სსრკ-ის (და იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის) დაშლის შემდეგ. ესპანეთის გარდა, დღემდე, დემოკრატიზაცია წარიმართა ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ იყო პრობლემატური; რიგი პოლიტიკური ძალებისათვის დემოკრატიზაცია იყო (და არის) სინონიმური ეროვნული დამოუკიდებლობისა - თვითგამორ-

კვევისა და მულტინაციონალური სახელმწიფოს დანგრევისა, რომელიც განასახიერებდა ავტორიტარულ მმართველობას.

დემოკრატია უფლებების და პასუხისმგებლობების სისტემაა, მაგრამ მათი განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები ავტომატურად არ წარმოიშობა დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობიდან: აუცილებელია სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო, რათა მათი განხორციელება გახდეს შესაძლებელი.

დემოკრატიზაცია და ტერიტორიული მთლიანობა

ჯერ კიდევ ჯონ სტიუარტ მილი წერდა: იმ ხალხში, რომელსაც არ გააჩნია შეხედულებათა და ინტერესთა ერთობა, განსაკუთრებით, როდესაც ისინი წერენ და კითხულობენ სხვადასხვა ენებზე, შეუძლებელია არსებობდეს საერთო საზოგადოებრივი აზრი, აუცილებელი წარმომადგენლობითი მთავრობის მუშაობისათვის.

ამის მსგავსად, რობერტ დალიც (1970) ასკვნის, რომ ნაციონალური განსხვავებები სახელმწიფოში ზღუდავს მონაწილეობას ზოგიერთი მოქალაქისათვის, და აქედან გამომდინარე წარმატებული პოლიარქიის შესაძლებლობას.

ბევრი ავტორი მიიჩნევს, რომ ეთნიკური იდენტურობა „ოანდაყოლილია", და რომ ეთნიკური და კულტურული დაყოფა უფრო საგნობრივია (და ობიექტური), ვიდრე ინტერესთა ჯგუფების ან კლასებისა. მართალია ამ შეხედულებებს ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა და ჰყავს, მაგრამ კომუნიზმის კოლაფსის შემდეგ პრიმორდიალისტური თეორია ფენიქსივით აღსდგა ხელახლა.

მაგალითად, ჩვენ ვნახეთ, რომ სერბები და ხორვატები დაუბრუნდნენ ოავიანთ ჩვეულ ანტიპათიას, თუმცა კი იტანდნენ ერთმანეთს ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის დროს. ბევრი სხვა დაპირისპირებისა და კონფლიქტების მოწმენიც გავხდით. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ე.წ. „საგნობრივი" (ეთნიკური, ობიექტური) განსხვავებანი ბევრ ამ ეთნიკურ ჯგუფს შორის სულაც არ არის უფრო მეტი, ვიდრე ნორმანებსა და ბრეტონელებს, ბავარიელებსა და რაინლენდერებს, პიემონტელებსა და სიცილიელებს შორის. თუ ხალხი ერთ პოლიტიკურ ერთობაში ხასს უსვამს კულტურულ განსხვავებებს და ეფლობა ეთნიკურ მეტოქეობაში (შეჯიბრში), ცდილობს მეორე ჯგუფის დაჯაბნას, უფრო სავარაუდოა, რომ ეს უფრო ინსტიტუციონალური მარცხის შედეგია, ვიდრე მისი მიზეზი. რეგიონალური ნაციონალიზმი არ არის მიზეზი ინსტიტუციონალური მარცხისა ცენტრში, შეიძლება, უფრო პირიქითაა: ინსტიტუციონალური მარცხი ცენტრში წარმოშობს კონტექსტს, რომელშიც რეგიონალურ ნაციონალისტებს შეუძლიათ ეფექტურად მობილიზება და ავტონომიისაკენ მოძრაობის წარმართვა.

რობერტ დალი წერდა, რომ ნაციონალური პრობლემა უნდა იქნეს გადაწყვეტილი მანამ, ვიდრე ნორმალური დემოკრატიული პოლიტიკა შესძლებს დამკვიდრებას. ეს თვალსაზრისი მეტისმეტად მკაცრ ჩარჩოებს უქმნის დემოკრატიზაციის შესაძლებლობებს მულტინაციონალურ სახელმწიფოებში. ნაციონალისტური მოძრაობები, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიზაციას თავისი მოწოდებებით სეპარატიზმისკენ, არაა გამოწვეული, როგორც ამას „პრიმორდიალისტები" ამტკიცებენ, კულტურული განსხვავებებით თავისთავად; უფრო მეტად, მმართველობის მარცხი ხსნის ნაციონალიზმის სახელით კულტურულ ჯგუფთა მობილიზაციას. დემოკრატიული ტრანზიტის პერიოდში, როდესაც ცენტრი სუსტდება კულტურულად განსხვავებული რეგიონის პირისპირ, სავარაუდოა რომ ავტონომიის მოთხოვნები განვითარდეს.

ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ დემოკრატია მულტინაციონალურ სახელმწიფოებში იქნება განსხვავებული, ვიდრე იქ, სადაც ნაციონალური მოთხოვნები არ არის არტიკულირებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კულტურულად და ნაციონალურად ჰეტეროგენული საზოგადოებები არ არიან სიცოცხლისუნარიანი კანდიდატები წარმატებული დემოკრატიზაციისა.

დემოკრატია, მოქალაქეობა და სახელმწიფო

მოქალაქეობა შეიძლება უნივერსალისტურად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნორმატული სისტემა ექვემდებარება უნივერსალურ კრიტერიუმებს, როდესაც ეფექტურად ხორციელდება კანონის მმართველობა, როდესაც საჯარო ხელისუფლება მოსურნეა და მას შეუძლია დაიცვას ყველას უფლებები, და როდესაც ყველა ინდივიდი ზოგიერთი სოციალური და ეკონომიკური პრერეკვიზიტით სარგებლობს. მწოლოდ ეფექტურ სახელმწიფოს შეუძლია წარმოშვას პირობები, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეობის უნივერსალურ რეალიზებას.

იმისთვის რომ დემოკრატიის პირობებში მოქალაქეობა იყოს ეფექტური, სახელმწიფოს მიერ უნდა შესრულდეს სამი პირობა:

1. იმისათვის, რომ მოქალაქეობის განხორციელება იყოს წინასწარმეტყველებადი, მთავრობა და მოხელეები თავად უნდა მოქმედებდნენ კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობაში;
2. უნივერსალისტური სამართლებრივი სისტემა საფუძველია კონსტიტუციური წესრიგისა, რომლის გარანტი მოცემულ ტერიტორიაზე სახელმწიფოა: ის მოიცავს უფლებებსა და ვალდებულებებს საჯარო სამართლისა და აგრეთვე კერძო და საჯარო კანონმდებლობის ურთიერთობათა რეგულაციას. მხოლოდ ისეთმა სახელმწიფომ შეიძლება უზრუნველყოს არაძალადობრივი კერძო ურთიერთობები, რომელიც მტკიცედ ეყრდნობა კანონებს. აქედან გამომდინარე მოქალაქეობრივ

უფლებათა განხორციელების და განმტკიცების, გაბატონების, ძლევამოსილების დონე დამოკიდებულია სახელმწიფოს ყოფნის (მონაწილეობის) ხარისხსა და რაოდენობაზე კერძო ურთიერთობებში. თუ სასამართლო და პოლიტიკური სისტემები გამოიყენება, როგორც საშუალება უფლებათა განხორციელებისათვის და კონფლიქტთა რეგულირებისათვის, მოქალაქენი უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეს სისტემები იქნება გამოყენებული უნივერსალისტურად და უპირობოდ და რომ მათი გამოყენება წინასწარმეტყველებადია;

3. იმისათვის, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ ეფექტურად განახორციელოს თავისი მოქალაქეობრივი უფლებები, უნდა არსებობდეს ამ უფლებათა განხორციელებისათვის საჭირო სოციალური პირობები; ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ინდივიდებისათვის, რომელნიც სარგებლობენ გარკვეული (თუნდაც მცირე) დონის მატერიალური უსაფრთხოებით, აქვთ ასევე გარკვეული (თუნდაც მცირე, მაგრამ მინიმალურად აუცილებელი, საჭირო) დონის განათლება, და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მოქალაქეებმა, ისევე, როგორც სახელმწიფომ, ხელახლა უნდა განსაზღვრონ თავისი როლი დემოკრატიულ ვითარებაში. სხვადასხვა ტიპის ავტორიტარულ სისტემებში სახელმწიფოს შეუძლია აწარმოოს სიკეთეები, უპირატესობები ცალკეული გამორჩეული ჯგუფებისათვის დისკრეტული წესით. ინდივიდები არ ზროვნებენ უფლებათა ტერმინებში, ეს მათთვის არ არის საინტერესო, რამდენადაც ეს უფლებები შეიძლება ვერ განხორციელდეს და ყოველთვის შეიძლება იქნეს დარღვეული. შესაბამისად, რადგან სახელმწიფო - ეს არის დესპოტური ძალაუფლება, მოქალაქენი არ ზროვნებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ტერმინებშიც: ვალდებულების ტერმინოლოგია გამოიყენება დიქტატორული ძალაუფლების მიერ როგორც რეპრესიების ინსტრუმენტი. დემოკრატიზაციის დაწყებისას, ახალ ვითარებაში მოქალაქეებს ადარ აკისრიათ და ადარ ემუქრებათ მტრული ძალის მიერ დაკისრებული და დადგენილი ვალდებულებები: ხდება ვალდებულების საზოგადო დისკრედიტაცია. ხმის მიცემის უარყოფა (არჩევნებში არმონაწილეობა) და გადასახადების არ გადახდა, რაც ფართოდ გავრცელებულია ახალ დემოკრატიებში, ამის აშკარა გამოხატულებაა, და იმავდროულად, კიდევ უფრო ასუსტებს უკვე სუსტ და არამყარ სახელმწიფოს.

დემოკრატიული ვითარების შესაქმნელად აუცილებელია, რომ განისაზღვროს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ჩარჩო ვალდებულებების ორმხრივი ურთიერთქსელი: თუ, ერთი მხრივ, სახელმწიფო არ განამტკიცებს, იცავს და უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქენი ორგანიზებულად არ ცდილობენ გახადონ თავისი უფლებები ეფექტური და არ აიძულებენ სახელმწიფოს შეასრულოს თავისი პასუხისმგებლობანი, მოქალაქეობის საუკეთესო კონცეფციაც კი უნაყოფოა.

ახალი დემოკრატიები ერთდროულად უნდა იყოს მიმართული მოქალაქეობის პოლიტიკურ, სამოქალაქო და სოციალურ მოთხოვნილებებზე. მათ არ შეუძლიათ მისდიონ დასავლეთ ევროპის ხანგრძლივ გამოცდილებას, სადაც კანონის მმართველობა, პოლიტიკურ უფლებათა სისტემა, სოციალური კეთილდღეობისა და განათლების უფლებები წარმოდგენილი იყო, როგორც ერთმანეთის მომდევნო გამოწვევები. დღეს, რეჟიმთა ტრანზიტისა და ეკონომიკური კრიზისის ვითარება ბევრ ქვეყანაში მოქალაქეობის ყველა ამ პრერეკვიზიტს ზეწოლის ქვეშ აქცევს.

ბევრი ახალი დემოკრატიის მთავრობა აცხადებს და მიიჩნევს, რომ აქვთ რა დიდი ეკონომიკური სიძნელეები, მძიმე ეკონომიკური კრიზისი, მათ შეუძლიათ განუდგნენ თავის კანონიერ, ლეგალურ, კონსტიტუციურ ვალდებულებებსაც კი; და ამ პირობებში ბევრი მთავრობა ცდილობს მართოს განსაკუთრებული ზომებით და საშუალებებით.

ბევრ ახალ დემოკრატიაში კანონის მმართველობა ხორციელდება არარეგულარულად ტერიტორიულ სივრცეში, რადგან მოქალაქეობრივი უფლებების დაცვაში დიდი სოციალური განსხვავებები არსებობს. არაეფექტური სახელმწიფო თანაარსებობს ძალაუფლების ავტონომიურ სფეროებთან: ისინი ოპერირებენ სხვადასხვა წესებით და ხშირად დადიან კერძო ძალისა და კერძო ბატონობის, დომინირების სისტემაზე, ფემილიზმზე, ოჯახურობა-კლანურობაზე, რეგიონალიზმზე, პერსონალიზმზე; მათი კავშირურთიერთობა სახელმწიფოსთან დაფუძნებულია გაცვლაზე ხმებისა, პოლიტიკური სარგებლისა, საჯარო ფონდებისა და ადმინისტრაციული რესურსებისა. ეს სახელმწიფოები უძლურნი არიან განახორციელონ, უზრუნველყონ კანონის მმართველობაც და მოქალაქეობაც თავისი ტერიტორიის დიდ ნაწილშიც და თავისი სახოგადოებების ფართო სექტორებშიც. ექსტრემალურ შემთხვევებში, სახელმწიფოები საერთოდ უგულებელყოფენ თავის პასუხისმგებლობას კანონიერების განმტკიცებასა და განხორციელებაში სახოგადოების ვრცელ სექტორებში, ან ტერიტორიის ზოგიერთ ნაწილში, ზოგიერთ ურბანულ არეალში, ან ზოგ სოციალურ ჯგუფში. ეს მოიცავს პოლიციურ დაცვასაც - ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქეები პოლიციას აღიქვამენ უფრო საფრთხედ, ვიდრე დაცვად.

განათლების მიღების შესაძლებლობა, ისევე როგორც საბაზო სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობა, სოციალურ ჯგუფებში მეტად არათანასწორადაა განაწილებული. ბევრ ქვეყანაში საბაზო სოციალური მომსახურება შეიძლება იყოს de facto პრივატიზებული ან უბრალოდ, მარტივად გაუჩინარებული. დემოკრატიზაციის წარმატებული შემთხვევები (მაგ., სამხრეთ ევროპაში) განხორციელდა სწორედ იქ, სადაც სახელმწიფომ გააფართოვა თავისი როლი, როგორც სოციალური დაცვის და განათლების პროვაიდერმა (მწარმოებელმა).

საგანმანათლებლო და სოციალურ უთანასწორობათა ზეგავლენა მოქალაქეობის განხორციელებაზე ბევრ სახოგადოებაში დასტურდება. განათ-

ლების დაბალი დონე დაკავშირებულია პოლიტიკურ სკეპტიციზმთან, პესიმიზმთან ინდივიდის პერსონალური შესაძლებლობების შესახებ ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და მოვლენებზე, უფრო შეზღუდულ პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ინდიფერენტიზმთან დემოკრატიასთან მიმართებაში. დემოკრატიული პოლიტიკის მხარდაჭერაც და უარყოფაც ასეთი ინდივიდისათვის ხულერთია, ირელევანტურია. სოციოეკონომიკური უთანასწორობანიც აგრეთვე დაკავშირებულია ასეთსავე მიდგომებთან დემოკრატიული პოლიტიკის მიმართ. მაგალითად, პოლონეთში უმაღლესი განათლების მქონეთა 77% ზიარებდა ახრს, რომ დემოკრატია მართვის საუკეთესო ფორმაა, ხოლო საშუალო განათლების რესპოდენტთაგან - 48%.

70-იანი წლების გამოკვლევების (ჰაბერმასი, სტიგლერი) მიხედვით, ბევრი სახელმწიფო, როგორც განვითარებული, ასევე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა, გახდა მსხვერპლი მასში კერძო (მიკერძოებულ) ინტერესთა შეჭრისა და დაკარგა თავისი შესაძლებლობა მიდევნებოდა უნივერსალისტურ პოლიტიკას (policies). ამ ანალიზის მიხედვით, სახელმწიფო მეტისმეტად გაიზარდა, ანაწილებდა ძალიან ბევრს, და ამდენად შექმნა მძლავრი სტიმულები ძლიერი კერძო, პრივატული ჯგუფებისათვის მიდევნებოდნენ მატერიალურ ინტერესებს სახელმწიფოსთან მიმართებაში, ცდილიყვნენ ამ ინტერესთა დაკმაყოფილებას სახელმწიფო ასპარეზზე, სახელმწიფოს მეშვეობით და არა სამეწარმეო აქტივობის საშუალებით. შედეგად, არა მხოლოდ კერძო ინტერესი შეიჭრა სახელმწიფოში, არამედ ამ სახელმწიფოებმა განიცადეს ღრმა ფისკალური კრიზისი. ეს ვითარება დამახასიათებელია ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპისთვისაც.

სახელმწიფოს ეს ფისკალური კრიზისი შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდა საბაზრო რეფორმებზე ორიენტაციით. სტაბილიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნის სტრატეგიები (policies) შეიცავდნენ ეკონომიკურ დაცემას და აქედან გამომდინარე, შემცირდა საგადასახადო ბაზა: ამ ფენომენმა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა აღმოსავლეთ ევროპაში და ყოფილ სსრკ-ის ქვეყნებში, სადაც გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე დაემთხვა საბჭოთა ბაზრის კოლაფსს. სტანდარტული სტრუქტურული გარდაქმნის პაკეტი ჩვეულებრივ მოიცავს ხარჯების შემცირებას სამმართველო სტრუქტურებისათვის. ამასთან ერთად, ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, საგადასახადო ბაზის ეროზია ხშირად დამძიმებული, გაძლიერებული იყო პრივატიზაციის პროცესით. და, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აქტივობათა რეორიენტაცია გარდაუვალია და ასეთი რჩევებიც სამართლიანია, საჯარო ხარჯების განურჩეველმა და უწესრიგო შეკვეცამ შეამცირა სახელმწიფოს შესაძლებლობა მოქალაქეობრივი უფლებების ეფექტური განხორციელების გარანტირებისა, განსაკუთრებით პოლიციური დაცვის, განათლებისა და მდგრადი შემოსავლების სფეროებში.

უფრო კომპლექსური ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ რეჟიმის ცვლილება თავისთავად სხვადასხვა ზნითა და ფორმით გარკვეულად არყევს საფუძ-

ველს სახელმწიფოების, როგორც ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობისა. ზოგიერთ მულტინაციონალურ სახელმწიფოებში ცენტრალურმა ბიუროკრატიულმა აპარატმა განიცადა დეზინტეგრაცია, როგორც ფისკალურმა, სამხედრო და, საბოლოოდ, პოლიტიკურმა ერთობამ. მაგრამ რეჟიმის ცვლილებამ შეიძლება შეარყიოს სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს მთლიანობა სასწორზე არ დევს.

ინსტიტუტებისადმი უნდობლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში

თუდემოკრატიას განვიხილავთ, როგორც პროცესს, რომლითაც მოქალაქეები ირჩევენ თავის მმართველებს კონკურენტული ელიტების რიცხვიდან და ეს ელიტები, თავის მხრივ, აღიარებას აღწევენ მაღალი სტატუსის მოპოვებით დიდ ფორმალურ ორგანიზაციებში, ასეთი დემოკრატია მოითხოვს რეგულარულ კონკურენციას ორგანიზებულ ჯგუფებს შორის, როდესაც თითოეული ცდილობს დაარწმუნოს ადამიანები, რომ იგი გამოხატავს მათ ინტერესებს და იმსახურებს მათ ნდობას.

პიროვნებამ შეიძლება მოიპოვოს ხმები არჩევნებში უბრალოდ პირადი მიმზიდველობის ხარჯზე, მაგრამ ამგვარი პიროვნების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად არ არსებობს საკმარისი ინსტიტუციონალური საფუძვლები. ინდივიდები შეიძლება წარმოადგენდნენ ამოსავალ წერტილს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში, მაგრამ ისინი არ არიან ერთადერთი აუცილებელი ელემენტი. ადამიანები არ ცხოვრობენ იზოლირებულად. ოჯახი წარმოადგენს ასოციაციის უმარტივეს და ყველაზე მეტი ნდობით აღჭურვილ ფორმას. ოჯახს გარეთ მეგობრული კავშირების გაბმით პიროვნებები სურვილისამებრ ავრცობენ სანდო კავშირების ქსელს. მაშინაც კი, როდესაც მოქალაქეები უკმაყოფილონი არიან მმართველობითა და ეკონომიკის მდგომარეობით, უმრავლესობა მაინც კმაყოფილია თავისი ოჯახითა და მეგობრებით. სამუშაო და გასართობი კონტაქტები უზრუნველყოფენ პიროვნების პირველადი ჯგუფური ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას. ამ ქსელის ჩარჩოებში, პიროვნებას შეუძლია გადაწყვიტოს, თუ ვის შეიძლება ენდოს უშუალო ინტენსიური კონტაქტების საფუძველზე და, თავის მხრივ, შეიძლება სანდო პიროვნების რეპუტაცია შეიძინოს.

როგორც დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში, ისე სახოგადოდ თანამედროვე სახოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში შენარჩუნებულია უშუალო, ემოციური და ტრადიციული კონტაქტები ადამიანებს შორის, მაგრამ ამ ცხოვრებას გაცილებით უფრო მეტად არეგულირებს აბსტრაქტული, ფორმალური სტრუქტურები და ინსტიტუტები, რომელიც თანამედროვე ეპოქაში შეიქმნა. ეს სტრუქტურები და ინსტიტუტები უნივერსალურია, ყველა შემთხვევაში ერთნაირი და ადამიანისგან დაშორებული. ასეთია, მაგალითად, თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც, გან-

სხვავებით ტრადიციული ძალაუფლებისგან, თანაბრად ექცევა ყველა ადამიანს სამართლის გარკვეულ უნივერსალურ პრინციპებზე დაყრდნობით.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა მჭიდროდ უკავშირდება ნდობას ამ აბსტრაქტული სისტემების მიმართ (რაც მოიცავს არაპერსონიფიცირებული პრინციპებისა და ანონიმური, უცნობი ადამიანების ნდობას), ვინაიდან აბსტრაქტული, უნივერსალური და ფორმალიზებული ინსტიტუტები დიდ როლს ასრულებს თანამედროვე პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებაში. ამგვარი ნდობის არსებობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე დემოკრატიის არსებობისთვისაც: ადამიანები არ მართავენ პირდაპირ, ისინი უნდა ენდობოდნენ წარმომადგენლობით ინსტიტუტებს, რომელთა პასუხისმგებლობის არსს წარმოადგენს მილიონობით ადამიანის ინტერესებისა და პრიორიტეტების შეჯერება. ამ ფუნქციის მატარებელი ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგალითად, პარლამენტის დეპუტატები, სახელმწიფოს მოხელეები არიან. სხვა ორგანიზაციები, როგორიცაა პროფკავშირები, ბიზნესის ასოციაციები, ეკლესია და უნივერსიტეტი, მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოებას და შედარებით დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. პოლიტიკურ პარტიებს ენიჭება ყველაზე დიდი მნიშვნელობა დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფენ კომუნიკაციის ორმხრივ არხებს მასებსა და მმართველობის ინსტიტუტებს შორის.

ზემოთ უკვე ნახსენები მკვლევარის რიჩარდ როუზის აზრით, ნდობის არარსებობა წარმოადგენს კომუნისტური მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმთავრეს მანკიერებას. ვინაიდან კომუნისტური პარტია ამტკიცებდა, რომ მარტო მან იცოდა, თუ როგორ უნდა წარემართა საზოგადოების ცხოვრება, არ ჰქონდა არანაირი აზრი ადამიანთა მიერ მათი შეხედულებების გამოვლენას არჩევნების ან სხვა, პარტია-სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად შექნილი ინსტიტუტების მეშვეობით. კომუნისტური ლოგიკა უზრუნველყოფდა საზოგადოების ტოტალიტარულ ორგანიზებას, რომელშიაც ყველა ინსტიტუტს უნდა მიეღო მონაწილეობა სოციალიზმის მშენებლობის ერთიან პროცესში. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა პროფკავშირები, მწერალთა კავშირი და სხვ. უბრალოდ პარტია-სახელმწიფოს მარიონეტებს წარმოადგენდნენ. ამგვარი მანკიერი პრაქტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავდა, რასაც შედეგად მოსდევდა მოსახლეობის მასიური უნდობლობა ინსტიტუტების მიმართ, ვინაიდან ეს ინსტიტუტები კი არ გამოხატავდა ადამიანთა შეხედულებებს, არამედ თრგუნავდა მათ.

როგორც სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, პოსტკომუნისტური ქვეყნების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოსურნეა იცხოვროს დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ გრძნობენ, რომ მათ საზოგადოებებს ამისთვის აკლიათ უმთავრესი შემადგენელი ნაწილი – სანდო ინსტიტუტები, რომელსაც შესწევს უნარი გასწიოს შუამავლის როლი ინდივიდებსა და სახელმწიფოს შორის. პარტიული პოლიტიკისადმი უნდობლობა ენდემურია იმ ხალხში,

რომლისთვისაც „პარტია“ ასოციირებულია „აპარატჩიკებთან“ და ნომენკლატურასთან. დამოუკიდებელი ინსტიტუტების სისტემატურმა ჩახშობამ თითქმის საუკუნის განმავლობაში მეტად გააძნელა ახალი ინსტიტუტების წარმოქმნა. ეს კი წარმომადგენლობით ინსტიტუტებს უქმნის სირთულეებს სახალხო აღიარების მოსაპოვებლად. ასეთი ვითარება თანაბრად ეხება პარტიებსაც.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატია სულაც არ მოითხოვს მთავრობისადმი მაღალი ნდობის უცილობელ არსებობას. საკმარისია გავიხსენოთ სკანდალებისა და კორუფციის მრავალი შემთხვევა მსოფლიოს ყველაზე ძირძველ და მყარ დემოკრატიებში, რათა დავრწმუნდეთ, რომ ფრთხილი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მისი მოხელეების მიმართ შეიძლება გამართლებული იყოს. დასავლეთის დემოკრატიებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები რეგულარულად აფიქსირებს უნდობლობის მაღალ დონეს მმართველობის ინსტიტუტების მიმართ. მაგრამ ვინაიდან ამ საზოგადოებებში უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტიტუტების ფუნქციონირება, რომელიც ერთმანეთს ეჯიბრება მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეუძლია მაინც იპოვოს ისეთი ინსტიტუტი, რომელსაც ის მიენდობა. დასავლეთში შედარებით მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სრულად გამოთიშულნი არიან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან იმ თვალსაზრისით, რომ ვერ პოულობენ ორგანიზაციას, რომელიც მათ ინტერესებს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოურ საზოგადოებებში ღრმადაა დასადგურებული უნდობლობა, ადამიანები მაინც ფართოდ სარგებლობენ არც ისე დიდი ხნის წინ მოპოვებული დამოუკიდებლობით სახელმწიფოსაგან. მაგრამ ამავე დროს ეს უნდობლობა დაბრკოლებას უქმნის დემოკრატიის განვითარებას. ახლადშექმნილ რეჟიმებში ტარდება რეგულარული არჩევნები, მაგრამ კენჭისყრის შედეგად არ ირჩევა წარმომადგენლობითი ორგანოები, ვინაიდან გამარჯვებულები არ არიან დამკვიდრებული ინსტიტუტების წარმომადგენლები. ზოგადად, პოსტკომუნისტური ქვეყნების მოქალაქეები არ ენდობიან იმ პარტიებს, რომლებსაც ისინი ხმას აძლევენ. უნდობლობის შემკვიდრეობა იმდენად ძლიერია, რომ არჩევანის არსებობის შემთხვევაში მათ უმრავლესობას ურჩევნია იარსებოს სუსტი და არაეფექტური ხელისუფლების პირობებში, ვიდრე ძლიერი ხელისუფლებით.

ნდობა ინსტიტუტების მიმართ არ მყარდება კანონის ძალით. სანდო ინსტიტუტები თანამშრომლობის და შესაბამისი პოლიტიკური ჩვევების გამომუშავების გრძელი და პოზიტიური ისტორიული პროცესის ნაყოფია. ნდობა შეიძლება იყოს მხოლოდ მოპოვებული, და ეს უფრო ადვილად ხდება როდესაც პროცესი მოდის ქვევიდან, და არა ზევიდან. პოსტსაბჭოთა ადამიანი ენდობა იმათ, ვისაც იცნობს, და იცნობს იმათ, ვისაც ენდობა. მცირე ორგანიზაციები, რომელშიაც ყველა ყველას იცნობს უფრო ადვილად ხდება მათი წევრების ნდობის საგანი და უფრო ადვილად იქმნება, ვიდრე მასობრივ წევრობაზე გათვლილი ინსტიტუტები. შესაძლოა ეს მცირე ორგანიზაციები, იქნება ისინი ეკონომიკური თუ სამოქალაქო, დროთა განმავლ-

ობაში გადაიზარდოს დიდ და უფრო ფორმალიზებულ ინსტიტუტებად. სამოქალაქო საზოგადოების შექმნა წაგავს ბაღის კულტივირებას, ის მოითხოვს უზარმაზარ დროს და მოთმინებას.

საკონტროლო კითხვები

5. როგორია ნეოლიბერალური მიდგომის სტრატეგია სახელმწიფოსთან მიმართებაში და რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოყვეს მას?

6. რაში გამოიხატება სახელმწიფოს კრიზისი?

7. რა სხვაობაა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემცირებასა და სახელმწიფოს აპარატის შემცირებას შორის?

8. რა იწვევს რეგიონულ ნაციონალიზმს, როგორც გამოწვევას ტერიტორიული ერთობისა - პრიმორდიალური კულტურული სხვაობები თუ შეუსაბამო პოლიტიკური ინსტიტუტები?

9. როგორია სახელმწიფოს როლი ეფექტური მოქალაქეობის დამკვიდრებაში?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

პრივატიზებული ძალაუფლების ზონები
კლიენტელიზმი
პატრიმონიალური კავშირები
რეპრეზენტატული ინსტიტუტები
პოლიარქია
ეთნიკური იდენტურობა
პრიმორდიალიზმი
ფემილიზმი
რეგიონალიზმი

ბიბლიოგრაფია

1. М.Н.Афанасьев. Клиентелизм и российская государственность. - М., 1997.

2. С.Холмс. Чему Россия учит нас теперь? - "Pro et Contra", т.2, 1997, pubs.carnegie.ru/p&c/.

3. H.-D.Klingemann, D. Fuchs [eds]. *Citizens and the State*. Oxford: Oxford University Press, 1995.

4. J. J.Linz, A. Stepan. *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. The Johns Hopkins University Press, 1996.

5. A.Przeworski. *The Neoliberal Fallacy*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.

6. A.Przeworski, et. *Sustainable Democracy*. Cambridge University Press, 1995.

§ 3. ახალი დემოკრატიების ინსტიტუტები

პირველ თავში ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ მსოფლიოში არსებულ დემოკრატიულ რეჟიმებს შორის ბევრია ისეთი, რომელიც ხასიათდება მინიმალური დემოკრატიის არსებობით, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ლიბერალური დემოკრატიის მაღალ სტანდარტებს. ეს ფენომენი - არალიბერალური დემოკრატია განსაკუთრებით გავრცელდა სწორედ დემოკრატიზაციის მესამე ტალღის კვალობაზე და მრავალი მკვლევრის ყურადღების ცენტრში მოექცა. ცხადი გახდა, რომ მინიმალური არალიბერალური დემოკრატიების არსებობის ახსნა იმით, რომ მათი კონსოლიდირება ჯერ კიდევ პროცესშია და რომ ისინი დროებით და გარდამავალ ფორმას წარმოადგენენ, არადამაკმაყოფილებელია. ამ ახსნას, ჯერ ერთი, აქვს ტელეოლოგიური ელფერი, ანუ ის ცდილობს ფაქტების დალაგებას სასურველი მიზნების მიღწევის აუცილებლობიდან გამომდინარე. ხოლო მეორე, რაც ცხადი გახდა ბოლო წლებში არის ის, რომ მინიმალური დემოკრატიები წარმოადგენენ პოლიტიკური მოწყობის საკმაოდ სტაბილურ ფორმას, რომელიც, შესაძლოა, სულაც არ მიილტვოდეს ლიბერალიზებისკენ, ყოველ შემთხვევაში, ხილვად მომავალში.

ამ პრობლემამ გამოიწვია ბევრი ისეთი კვლევის ჩატარება, და თეორიული საკითხის წამოჭრა, რომელიც ხსნიდა ამ ახალი მოვლენის საწყისებს. ქვემოთ ჩვენ მიმოვიხილავთ სამ მიდგომას, რომელშიაც მოცემულია ახალი მინიმალური დემოკრატიების ნორმატიული მოწყობის დიაგნოსტიკა. ეს მიდგომები, თუმცა კი განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებს, არსებითად ერთსა და იმავე მოვლენას აღწერს. პირველი (რომელიც ეკუთვნის ფარიდ ზაქარიას) საუბრობს კონსტიტუციური ლიბერალიზმის და დემოკრატიის ურთიერთმიმართებაზე. მეორე (გილერმო ო'დონელის) ხაზს უსვამს მინიმალურ დემოკრატიებში არაფორმალური პარტიკულარისტული ინსტიტუტების მნიშვნელობას, ხოლო მესამე (ასევე ო'დონელის) ყურადღებას ამახვილებს ახალ დემოკრატიებში ისეთი ტრადიციების ნაკლებობაზე, როგორიცაა ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი.

დემოკრატია თუ კონსტიტუციური ლიბერალიზმი

ღია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიის არსია, ხოლო ამ გზით შექმნილი მთავრობა - დემოკრატიულია იმისდა მიუხედავად, თუ როგორია იგი - თუნდაც კორუმპირებული, უუნარო, ხალხისთვის ზია-

ნის მომტანი და სხვა. ითვლება, რომ კონკურენტული ღია არჩევნები საკმარისი კრიტერიუმია ქვეყნის დემოკრატიულობის დასამტკიცებლად.

კონსტიტუციურ ლიბერალიზმს, ამისგან განსხვავებით, არაფერი აქვს საერთო მთავრობის არჩევის პროცედურასთან. ის უფრო მთავრობის მიზნებს და საქმიანობის სტილს ეხება. ამ ტერმინში გაერთიანებულია არა ერთი - ლიბერალიზმის, არამედ ორი ისტორიული ტრადიციის - ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის იდეალები (იხ. შემდგომი ქვეპარაგრაფი). ლიბერალიზმი გულისხმობს ინდივიდუალური თავისუფლების, პიროვნული ავტონომიისა და ღირსების დაცვას, ხოლო კონსტიტუციური ასპექტი მიუთითებს კანონის უზენაესობის ტრადიციას. კონსტიტუციური ლიბერალიზმი ისტორიულად დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარდა. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ხელისუფლების ყველა შტოს ძალაუფლების დაბალანსებას, კანონის საყოველთაობას, მიუკერძოებელ სასამართლოსა და ტრიბუნალს, ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას. კონსტიტუციური ლიბერალიზმი აცხადებს, რომ ყველა ადამიანს აქვს გარკვეული ბუნებრივი განუყოფელი უფლებები და სახელმწიფომ უნდა მიიღოს ძირითადი კანონი, რომელიც საზღვრავს მის ძალაუფლებას და იცავს ამ უფლებებს.

მეოცე საუკუნემდე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა ლიბერალური ავტოკრატია, ან, უკეთეს შემთხვევაში, ნახევრად დემოკრატია იყო. მათი უმრავლესობა საყოველთაო ხმის უფლების მქონე სრულუფლებიანი დემოკრატია გახდა მხოლოდ 1940-იანი წლების მიწურულს. მაგრამ მანამდე, ასი წლით ადრე, ამ ქვეყნებში დამკვიდრდა კონსტიტუციური ლიბერალიზმის მნიშვნელოვანი ასპექტები: კანონის უზენაესობა, პიროვნული საკუთრების უფლება, განცალკევებული ძალაუფლებანი, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება. სწორედ კონსტიტუციური ლიბერალიზმი არის ის, რაც პირველ რიგში განასხვავებდა დასავლურ სახელმწიფოებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან. დღეს მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში დემოკრატია ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ლიბერალური კონსტიტუციონალიზმი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიბერალური დემოკრატია სულაც არ არის დემოკრატიის ერთადერთი კონსოლიდირებული ფორმა, და ის მისი მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ნაირსახეობაა.

დასავლურ მოდელთან ყველაზე ახლოა, ალბათ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების უახლესი ისტორია. აღმოსავლეთ აზიის რეჟიმთა უმრავლესობა მხოლოდ ნახევრად დემოკრატიულია, მაგრამ ამ რეჟიმთა უმრავლესობამ მიანიჭა თავიანთ მოქალაქეებს ეკონომიკური, სამოქალაქო, რელიგიური უფლებების ფართო სპექტრი - შეზღუდული პოლიტიკური უფლებებით.

კონსტიტუციურმა ლიბერალიზმმა მიიყვანა დასავლური დემოკრატიები დემოკრატიასთან, მაგრამ მოხდება კი პირიქით - მიდის თუ არა დემოკრატია კონსტიტუციურ ლიბერალიზმთან? დემოკრატიზაციის ბოლო ათწლეულების გამოცდილება ამ კითხვაზე მკაფიო პასუხს არ იძლევა. დემოკრატიზაციის

მეორე ტალღის ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში კონსტიტუციური ლიბერალიზმის მცირე გამოცდილების მქონე დიქტატურებმა ჭა დაუთმო დემოკრატიას. მაგრამ თავისუფლების თვალსაზრისით მათში მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, არჩევნები დღეს რომ ჩატარდეს, ხელისუფლებაში ამჟამად არსებულზე ნაკლებად ლიბერალური ძალები მოვა. ამავე დროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა უმრავლესობა, რომლებიც, როგორც მიჩნეულია, დღეს ლიბერალურ დემოკრატიებად ჩამოყალიბდნენ, თავის დროზე ავსტრო-უნგრეთის იმპერიას ეკუთვნოდა, რომელიც ლიბერალური ავტოკრატიის კლასიკური მაგალითია. ბრიტანეთის ყოფილი კოლონიებიც ასევე წარმატებით ნერგავენ დემოკრატიას, ვინაიდან ბრიტანეთის კოლონიალიზმმა მათში კონსტიტუციური ლიბერალიზმის მემკვიდრეობა დატოვა.

როგორც კი ხელისუფლება დემოკრატიულადაა არჩეული, ჩნდება მოსაზრება, რომ მისი შეზღუდვა აღარაა საჭირო. დაძაბულობა დემოკრატიასა და კონსტიტუციურ ლიბერალიზმს შორის სამთავრობო ძალაუფლების საზღვარზე ჩნდება. კონსტიტუციური ლიბერალიზმის მთავარი მიზანია - ძალაუფლების შეზღუდვა, ხოლო დემოკრატიის - მისი აკუმულაცია და გამოყენება. ლიბერალიზმი ზრუნავს თავისუფლების დაცვაზე, რომელსაც, მისი აზრით, დემოკრატია ემუქრება. დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას ახასიათებს ძალაუფლების ექსტრაკონსტიტუციური უზურპაციის ტენდენცია, რომელიც დღესდღეობით განსაკუთრებით გავრცელებულია ლათინური ამერიკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ამ სისტემებს, როგორც წესი, ჰყავთ ძლიერი ლიდერები, რომლებსაც სჯერათ, რომ ხალხის სახელით ლაპარაკობენ. ძალაუფლების უზურპაცია ხდება როგორც ჰორიზონტალურად (ხელისუფლების სხვა შტოების), ასევე ვერტიკალურად (რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებისა, კერძო ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების).

ძლიერი და ცენტრალიზებული მმართველობის შექმნა ხშირად მართლდება წესრიგისა და მოდერნიზაციის ჩატარების საჭიროებით. მაგრამ ლეგიტიმური ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამგვარი ხელისუფლება, გარდა გადამეტებული პოლიტიკურისა, სხვა სოციალურ და ეკონომიკურ ძალაუფლებასაც იხვეჭს ხოლმე. კონსტიტუციური ლიბერალიზმის არარსებობისას ორივე შესაძლო ალტერნატივა არასასურველია - ანარქია, ერთის მხრივ, და ტირანული სახელმწიფო, მეორეს მხრივ.

დემოკრატიას ზოგჯერ მიიჩნევენ ეთნიკური ჰარმონიისა და მშვიდობის გარანტად, რაც ესოდენ აქტუალურია დღევანდელი მშფოთვარე მსოფლიოსთვის. ეს მართლაც სწორია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ლაპარაკია ლიბერალურ დემოკრატიაზე. კონსტიტუციური ლიბერალიზმის არარსებობის ფონზე დემოკრატიის დანერგვამ გამოიწვია ნაციონალიზმი, ეთნიკური კონფლიქტები და ომიც კი. არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად ყველაზე მარტივი ჭა გამოდგა რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური იდენტურობის

საფუძველზე მხარდაჭერის მოპოვება. ვინაიდან არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ტრადიცია, გამარჯვებული ეთნიკური ჯგუფი ცდილობს სხვა ჯგუფების დაჩაგვრას. კომპრომისი წარმოუდგენელი ჩანს: შეიძლება მოილაპარაკო მატერიალურ საკითხებზე, როგორებიცაა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები და დახმარებები, მაგრამ როგორ უნდა მოგვარდეს განსხვავება ეროვნულ რელიგიასთან დაკავშირებით? 1960 წელს აფრიკული და აზიური დემოკრატიების დამხობის მიმოხილვისას ორმა მეცნიერმა დაასკვნა რომ დემოკრატიის არსებობა "უბრალოდ შეუძლებელია გაჯერებული ეთნიკური კონკურენციის პირობებში". მართლაც, რა აზრი აქვს არჩევნების ჩატარებას, თუ მათ შედეგად ერთი ტომის ნაცვლად მეორე იმარჯვებს, როდესაც ორივე თავის მიზნად მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ისახავს?

ამდენად, როდესაც ლაპარაკია დემოკრატიისა და მშვიდობის თანაფარდობაზე, ერთი ცხადია - მშვიდობა პირველ რიგში ლიბერალურია. ბოლო 200 წლის განმავლობაში დემოკრატიზებადი ქვეყნები გაცილებით ხშირად იწყებდნენ ომს, ვიდრე სტაბილური ავტოკრატიები ან ლიბერალური დემოკრატიები. იმ ქვეყნებში, რომელიც არ არის დამყარებული კონსტიტუციურ ლიბერალიზმზე, დემოკრატიის აღზევებას ჰიპერნაციონალიზმი და ომის მოთხოვნებიც მოჰყვება. მაგალითები მრავალია, დაწყებული საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან და დამთავრებული დღევანდელი ქვეყნებით, თუნდაც სომხეთითა და აზერბაიჯანით.

კონსტიტუციის მნიშვნელობა უალრესად მაღალია კონსტიტუციური ლიბერალიზმისთვის. ხშირად ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემა დემოკრატიულია. სინამდვილეში ამ სისტემის განმასხვავებელი ნიშანია სწორედ მისი არადემოკრატიულობა, რომელიც საარჩევნო უმრავლესობას მრავალ ბარიერს უქმნის. მმართველობის სამი განშტოებიდან ერთს - ზოგთა აზრით, მთავარს - აურჩეველი 9 კაცი და ქალი უძღვება უვადოდ სიცოცხლის ბოლომდე. სენატი ყველაზე არარეპრეზენტატული უმაღლესი პალატაა მსოფლიოში. მსგავსად, ამერიკის საკანონმდებლო ორგანოებში უმრავლესობის კი არა, უმცირესობის მმართველობაა. სახელმწიფო ძალაუფლების კიდევ ერთხელ გადასამოწმებლად, შტატის და ადგილობრივი ხელისუფლებები ძლიერი ფედერალური ხელისუფლების მათ ტერიტორიაზე შემოჭრის ყოველ მცდელობას ებრძვიან. კერძო ბიზნესი და სხვა არასამთავრობო ჯგუფები შეადგენენ კიდევ ერთ ძლიერ და გავლენიან სტრატას სახოგადოებაში, რასაც ტოკვილი საშუამავლო ასოციაციებს უწოდებდა.

ფრანგული მოდელი ბევრად უფრო ემსრობა ადამიანის კეთილშობილების რწმენას, ვიდრე ამერიკული, და არადასავლური ქვეყნების უმეტესობამ ფრანგული მოდელი მიიღო. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობა პოლიტიკურ კრიზისებს ვერ გადაურჩა. რასაკვირველია, აქ ამერიკული მოდელის გადმოღებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ლიბე-

რალური კონსტიტუციონალიზმისადმი უფრო სერიოზული ყურადღების მიქცევაზე და ძალაუფლების განაწილების და კონტროლის მექანიზმებზე.

ქვეყანაში არჩევნების ჩატარება ადვილია, მაგრამ კონსტიტუციური ლიბერალიზმის დამკვიდრება ძნელია. ოავისუფალი არჩევნების არჩატარება უნდა იქნეს განხილული როგორც მმართველობის ერთ-ერთი, და არა ერთადერთი ნაკლი. შეხლეულული დემოკრატიის ხელისუფლება, რომელიც თანმიმდევრულად იცავს ადამიანთა კონსტიტუციურ უფლებებს, დიქტატურად არ უნდა იწოდებოდეს.

უნივერსალიზმი და პარტიკულარიზმი „ახალი დემოკრატიების“ პოლიტიკურ ინსტიტუტებში

წინა პარაგრაფებში ნათქვამი იყო, რომ დემოკრატიის ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ტიპზე, მის უნარზე უნივერსალურად გაავრცელოს კანონი და წესრიგი მთელ ტერიტორიაზე და ყველა სოციალურ ფენაზე. ძველ და ინსტიტუციონალიზებულ დემოკრატიებში კონსტიტუციური, სამართლებრივი სახელმწიფოს სწორედ ეს ტიპი არსებობს. შედარებით უფრო ცუდადაა შესწავლილი სახელმწიფოს ტიპები იმ ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციური და რეალური ნორმები მეტად შორსაა ერთმანეთისგან, და შესაბამისად კონსტიტუციის შესწავლა არაფერს ამბობს ხელისუფლების რეალურ მოწყობაზე.

„ახალი დემოკრატიების“ დახასიათებისას და მათი არსის წარმოჩენისას (როგორც ლათინური ამერიკის, ისე პოსტკომუნისტური ქვეყნების) თვალშისაცემი ხდება შემდეგი წინააღმდეგობა: ამ დემოკრატიებში არსებობს ორი უალრესად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. პირველი მათგანი ფორმალიზებულია, მაგრამ პერიოდულ ხასიათს ატარებს - ეს არის არჩევნები. მეორე კი არაფორმალურია, ფუნქციონირებს პერმანენტულად და ფარულადაა გავრცელებული - ეს არის პარტიკულარიზმი (ან უფრო ფარული მნიშვნელობით - კლიენტელიზმი).

რას წარმოადგენს ეს მეორე, არაფორმალური ინსტიტუტი და რა გავლენას ახდენს იგი დემოკრატიის ფორმალური ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე?

ზოგადად პარტიკულარიზმი, იგივე განსაკუთრებულობა ან მიკერძოება უნივერსალურობის ანუ საყოველთაობის საპირისპირო მოვლენას წარმოადგენს.

უნივერსალურობა, საყოველთაობა, ქმნის თანასწორიან სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების საფუძველს. დემოკრატიის იდეალს წარმოადგენს მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობის აღიარება. ამ თანასწორობის საფუძველი ადამიანთა საყოველთაო, თანდაყოლილი, ბუნებრივი უფლებებია, შესაბამისად, დემოკრატიის

ყველა ინსტიტუტი უნივერსალური, საყოველთაო ხასიათისაა, რომლებითაც ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება ისარგებლოს. არჩევნებში ყველა ამომრჩევლის ხმას თანაბარი წონა გააჩნია. სამართლებრივი სახელმწიფო ასევე უნივერსალისტურია. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. სახელმწიფო ორგანოები თანაბრად უნდა ემსახურებოდეს ყველას დადგენილი წესების შესაბამისად. ადამიანის პირადი თავისუფლებები და უფლებები დაცულია სწორედ ამ ყველასათვის ერთნაირი კანონებისა და წესების მეშვეობით და არა მათ საპირისპიროდ, მათი დარღვევით.

საპირისპიროდ, პარტიკულარიზმის, პარტიკულარისტული ურთიერთობების პირობებში არ არის დაცული კანონებისა და წესების წინაშე ყველას თანასწორობა. პარტიკულარისტულ სახოგადოებებში უფლებები და თავისუფლებები არსებობს ცალკეული ადამიანებისათვის, რომლებმაც „მოახერხეს" მათი მოპოვება და არა მთელი სახოგადოებისათვის. საყოველთაო, უნივერსალური კანონები და წესები აღიქმება არა თავისუფლების დამცავ მექანიზმად, არამედ მის შემზღუდველ ფაქტორად. იმ სახოგადოებებში, რომლებშიც პარტიკულარისტული ინსტიტუტები დომინირებს, ადამიანი არ ერიდება საყოველთაო წესებისა და ნორმების დარღვევას, თუკი ამ დარღვევით იგი თავის კერძო, პიროვნულ ინტერესებს დაიკმაყოფილებს. ამგვარ სახოგადოებებში კანონების აღსრულება უზრუნველყოფილია უფრო მეტად სახელმწიფოს ძალით, ვიდრე ამ კანონების ლეგიტიმურობით.

თუკი ძველ, ლიბერალურ დემოკრატიებში პოლიტიკური პროცესები მეტ-ნაკლებად ხორციელდება ღია, ფორმალიზებული წესების შესაბამისად, და საკმარისია ამ წესების შესწავლა, რათა გავერკვევთ, თუ როგორ მოქმედებს ესა თუ ის სისტემა პრაქტიკაში, პარტიკულარისტულ სახოგადოებებში არაფორმალური პრაქტიკების მხედველობაში მიუღებლად შეუძლებელია რეალურ ვითარებაში გარკვევა.

ამგვარ სახოგადოებებში ნებისმიერი სახოგადოებრივი ინსტიტუტი, და მათ შორის ყველაზე დიდი - სახელმწიფო, განიცდის იმ ადამიანთა ზეგავლენას, რომლებიც ცდილობენ მათ გამოყენებას საკუთარ ინტერესებში. ინდივიდუალურად, ეს ადამიანები არ ამყარებენ სოლიდარობას სხვა, მათსავე მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა მიმართ. არ ამყარებენ ჰორიზონტალურ (პარტნიორულ) კავშირებს და არ თანამშრომლობენ მათი მსგავსი ინტერესების მქონე ადამიანებთან საერთო მიზნების მისაღწევად. ისინი უპირველესად მთელ ძალისხმევას მიმართავენ უპირატესობის მისაღწევად ვერტიკალური (ბატონობა-დამორჩილება) ურთიერთობების საფუძველზე. ნაცნობობით, მოკრთამვით, კლანური სახის გაერთიანებებში შესვლით, ისინი ცდილობენ იმ სახოგადოებრივი სიკეთეების გამოყენებას, რომელიც წესით საყოველთაო, და უნივერსალური ხასიათის უნდა იყოს. თანამდებობის პირი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება თავის „კლიენტებს" - ნაცნობებს, მეგობრებს, ძღვენის მომტანებს, ხოლო დანარჩენები ამ „კლიენტებთან" შედარებით არათანაბარ ურთიერთობებში ხვდებიან.

ძველ, ჩამოყალიბებულ დემოკრატიებშიც ხშირია საზღვრების დარღვევა საზოგადოებრივ და კერძო სფეროებს შორის. მაგრამ თავად ამ საზღვრის არსებობის ცნება უმნიშვნელოვანესადაა მიჩნეული და საზოგადოება, კანონის საფუძველზე, ყოველთვის იბრძვის იმ ოფიციალური პირების წინააღმდეგ, რომელთა პიროვნული მოტივებით ქმედება, პოლიტიკის კეთების კერძო ინტერესებისადმი დაქვემდებარება გამჟღავნდება. იმ პოლიტიკურ რეჟიმებში კი, რომლებშიც პარტიკულარისტულ ურთიერთობებს ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები, საზოგადოებრივ და კერძო სფეროებს შორის არსებული საზღვრის ცნებას ნაკლები ყურადღება ექცევა და ნაკლები მნიშვნელობაც ენიჭება. შესაბამისად, ხელისუფლების მატარებელთ ორიენტაცია აღებული აქვთ არა იმდენად საზოგადოებრივ, რამდენადაც კერძო ინტერესებზე.

პარტიკულარისტული ურთიერთობები იმდენად ღრმად არის შეჭრილი ხელისუფლების სხვადასხვა სფეროებში და იმდენად ბუნებრივი სახე აქვს მიღებული, რომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ფორმალური, დაკანონებული წესების ნაწილს წარმოადგენენ და სწორედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთავარ წარმმართველ ძალას ქმნიან. ყოველივე ამის შედეგია საზოგადოების კინიკური დამოკიდებულება დემოკრატიის ინსტიტუტებისადმი, მათზე პასუხისმგებლების და ზოგადად „პოლიტიკოსების" მიმართ. კერძოსა და საზოგადოებრივის აღრევა აღიქმება ჩვეულებრივ მოვლენად, ყოველდღიურობის შემადგენელ ნაწილად და პრაქტიკაში იგი გამოიყენება პოლიტიკური ძალაუფლების მიღებისა და შენარჩუნებისათვის. ამგვარ პოლიტიკურ რეჟიმებში ინსტიტუტების პარტიკულარიზაცია, როგორც საზოგადოებრივი ნორმა, ნორმისტიპი, სისტემის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, დემოკრატიულობასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევის ერთ სიბრტყეზე განხილვა არ შეიძლება. არსებობს შედარებით ძველი, ჩამოყალიბებული დემოკრატიული რეჟიმები (იტალია, ინდოეთი, ანდა იაპონია, ლათინურ ამერიკაში - კოლუმბია და ვენესუელა), სადაც არ ხორციელდება ფორმალური, კანონით გათვალისწინებული წესების სრული დიქტატი. ეს რეჟიმები წარმოადგენს კონსოლიდირებულ დემოკრატიებს, მაგრამ უნდა დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად მიესადაგება მათ ლიბერალური დემოკრატიის სახელი.

პარტიკულარიზმი ადამიანთა საზოგადოების პერმანენტული თვისებაა. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში (თანამედროვეობის ეპოქაში) და ისიც მხოლოდ მცირე რაოდენობით ქვეყნებში (დასავლეთის ცივილიზაცია) იქნა აღიარებული უნივერსალისტური პოლიტიკური წესრიგი, დემოკრატიის უნივერსალური ნორმები და პოლიტიკის კეთების პროცესიც დემოკრატიის ნორმებს დაექვემდებარა. მრავალ „ახალ დემოკრატიაში" პარტიკულარიზმი მყარად თანაცხოვრობს უმრავლეს ფორმალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლო პოსტების დაკავება ხდება უნივერსალურობის პრინციპის დაცვით და ემყარება არჩევითობის პრინციპს. „ახალი დემოკრატიები" არ ჯდება იმ დემოკრატიის თეორიის ჩარჩოებში, რომელიც მიესადაგება ჩრდილოეთ-დასავლეთის პოლიტიკურ რეჟიმებს.

იმას, რომ ზოგიერთი ე. წ. დემოკრატია არაფორმალური, კანონით გაუთვალისწინებელი წესების უკიდურეს ზეგავლენას განიცდის, მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს. ეს უპირველესად ეხება სახოგადოებრივ და კერძო სფეროებს შორის საზღვრის ბუნდოვანებას, რეალურ არარსებობას. ამგვარ ქვეყნებში პასუხისმგებლობა ან ანგარიშვალდებულება, რაც მყარი დემოკრატიების საკვანძო ასპექტია, განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს.

არჩევნების ინსტიტუციონალიზაცია ნიშნავს, რომ არსებობს ელექტორატის პასუხისმგებლობა, საკმარისად თავისუფალი პრესა და აქედან გამომდინარე, სახოგადოების სხვადასხვა აქტიურ ნაწილებს საშუალება აქვს გააკონტროლოს ხელისუფლების მიერ პოლიტიკის კეთების პროცესი, შეაფასოს სახოგადოებისათვის მისი ავკარგიანობა და მოითხოვოს ძალაუფლების მატარებლის დასჯა არაკანონიერი ქმედების შემთხვევაში.

ის, რაც „ახალ დემოკრატიებს" აკლიათ, არის პასუხისმგებლობის, ანგარიშვალდებულების სხვა განზომილება, რომელსაც „დონელი „ჰორიზონტალურს" უწოდებს. იგულისხმება ის კონტროლი, რომელიც გარკვეულმა სახელმწიფო დაწესებულებამ უნდა განახორციელოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებზე. ყველა ჩამოყალიბებულ დემოკრატიაში არსებობს სხვადასხვა სახის დაწესებულებები, რომელთაც გააჩნია კანონიერი უფლება აკონტროლოს და გამოიყენოს სანქციები სხვა სახელმწიფო დაწესებულებების არაკანონიერი ქმედების შემთხვევაში. ეს არის ხშირად გამოყენებული „კანონის მმართველობის" ცნების ერთ-ერთი მთავარი სფერო, რაც გულისხმობს, რომ კანონი სახელმწიფო მოხელეებზე, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირებზე მაღლა დგას. ზემოთქმულის ფუძემდებლური იდეაა, რომ ფორმალურ ინსტიტუტებს აქვთ კარგად ჩამოყალიბებული, კანონით განსაზღვრული მოქმედების ჩარჩოები, რომელიც გარკვეულ არტახებში აქცევს არჩეულ პირთა მოქმედებას, მათ მიერ პოლიტიკის კეთებას. ეს კი მჭიდრო კავშირშია კერძოსა და სახოგადოებრივის ურთიერთმიმართების სფეროსთან იმ თვალსაზრისით, რომ სახოგადოებამ უნდა მისდიოს საყოველთაო და სახოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებულ წესებს და არა კერძო ინტერესებს.

საპირისპიროდ, „ახალი დემოკრატიების" უმრავლესობაში მხოლოდ მცირე ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება თუ არსებობს. უფრო მეტიც, მრავალ მათგანში ხელისუფლების წარმომადგენლები ენერგიულად ილაწიან და ხშირად წარმატებითაც, რომ აღმოფხვრან თუნდაც მცირედი ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება. ასეთ ვითარებაში პარტიკულარიზმი უმთავრესი პოლიტიკური ინსტიტუტი სდება. არსებობს დიდი უფსკრული ფორმალურ წესებსა და იმ ხერხებს შორის, რომლითაც პოლიტიკურ ინსტიტუტთა უმრავლესობა რეალურად ფუნქციონირებს. ეს კი იწვევს მიახლოებას პოლიტიკური ხელისუფლის დელეგატიურ, არაწარმომადგენლობით ცნებასთან. იგულისხმება კეისარული, პლებისციტური ტიპის აღმასრულებელი, რომელიც, არჩევის შემდეგ, უფლებამოსილად მიიჩნევს საკუთარ თავს მართოს ისე, წარმართოს პოლიტიკა იმგვარად, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ.

აღმასრულებელი ცდილობს დააკნინოს და შეზღუდოს პარლამენტი, სასამართლო, კონტროლის უფლების მქონე სახელმწიფო დაწესებულებები და დაიპაკუთროს მათთვის კანონის ძალით მინიჭებული სფეროები. მეორე მხრივ, როგორც მაქს ვებერი აღნიშნავს, რეალურ ძალაუფლებასა და ანგარიშვალდებულებას მოკლებულ ინსტიტუტებში არსებობს იმგვარად მოქმედების ტენდენცია, რომელიც გარკვეულად სამართლიანად წარმოაჩენს მათთვის ამ ფუნქციების მოკლებას. პარტიკულარიზმი კიდევ უფრო ყოვლისმომცველი ხდება პარლამენტსა და პარტიებში, რომლებიც დაუფარავად იღვწიან სასამართლოს ფუნქციების შეზღუდვისათვის. მაკონტროლებელი ორგანოები ან უმოქმედია, ან საერთოდ გაუქმებულია. ეს კონტექსტი ხელს უწყობს კანონიერად დამყარებული ხელისუფლების მომავალ ეროზიას და კიდევ უფრო უმნიშვნელოს ხდის სახლვრებს კერძოსა და სახოგადოებრივს შორის, ქმნის უსარმაზარ შესაძლებლობებს კორუფციისათვის.

ბუნებრივია კითხვა: პარტიკულარიზმისა და ზემოაღნიშნული სახლვრების არარსებობის პირობებში როგორ მოხდა ამ ქვეყნებში კონკურენტული და სამართლიანი არჩევნების ინსტიტუტის შენარჩუნება? დასმული კითხვის პასუხს ერთი მხრივ წარმოადგენს „დემოკრატიულობის" სურვილი, რაც გაპირობებულია საერთაშორისო ეკონომიკურადღებით და საარჩევნო დარღვევების ფართო გაშუქებით. კონკურენტული არჩევნები არის მთავარი, რომ არ ითქვას ერთადერთი, რაც დემოკრატიულად წარმოაჩენს ქვეყნებს სხვა მთავრობებისა და საერთაშორისო სახოგადოებრიობის წინაშე. ამუამად ამ აღიარებას მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს ამ ქვეყნებისათვის და იმ მთავრობებისათვის, რომლებიც მათ მართავენ. საკუთრივ ქვეყნის შიგნით არჩევნები არის მომენტი, როდესაც მოქმედებს რაღაც მსგავსი პორიზონტალური ანგარიშვალდებულებისა: პარტიები ხელისუფლებაში შედიან მიღებული ხმების მიხედვით. არჩევნებზე ხდება პოლიტიკურ საკითხებზე და ხმის მიცემის რიტუალებსა და სიმბოლოებზე ფოკუსირება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ვლინდება სამართლიანობის სურვილი მოქალაქეთა მხრიდან. ხელისუფლებათა უმრავლესობა ერიდება აშკარა დარღვევებს, რომ საერთაშორისო სახოგადოებრიობისაგან „არადემოკრატიულის" იარლიყი არ მიიღოს.

უკიდურეს პარტიკულარიზაციას, დელეგატიურ მმართველობას, სუსტ პორიზონტალურ ანგარიშვალდებულებას მინიმუმ ორი არასასურველი შედეგი აქვს: პირველია ის, რომ ზოგადად კონტროლის ნაკლებობა ხელახლა დამკვიდრების საშუალებას აძლევს ძველ აკტორიტარულ პრაქტიკას, პოლიტიკის კეთების პროცესს დემოკრატიულობის ყოველგვარ ნიშანს აცლის. მეორე ის არის, რომ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიულ ინსტიტუტებს არსებობა უხდებათ ღრმა და აღმავალი არათანასწორობის პირობებში, პოლიტიკური კურსის განსახლვრა და პოლიტიკის კეთების პროცესი მიმდინარეობს მაღალორგანიზებული და ეკონომიკურად ძლიერი ინტერესების სასარგებლოდ.

უმრავლეს „ახალ დემოკრატიებში" ინდივიდებს და მოქალაქეებს კავშირი აქვთ ფორმალური წესებით მოქმედ მხოლოდ ერთ ინსტიტუტთან - არ-

ჩვენებთან. სრული სამოქალაქო უფლებებით კი მხოლოდ პრიეილეგირებული უმცირესობის წევრები სარგებლობენ, სწორედ ისინი, ვინც რეალურად ქმნიან პოლიტიკას.

„დელეგირებული დემოკრატიიის“ ნიშნები პოსტსაბჭოთა სივრცეში

გილერმო ო'დონელმა მიმოქცევაში შემოიტანა ცნება „დელეგირებული დემოკრატია“, რითაც იგი ახასიათებს ზოგიერთ ახალ პოლიტიკურ რეჟიმს (უმთავრესად ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში). იგი სახს უსვამს, რომ ამ ქვეყნებში არსებული რეჟიმები დემოკრატიულია ფორმალური ნიშნების თვალსაზრისით, მაგრამ ისინი არ ამჟღავნებენ ევოლუციის ნიშნებს *წარმომადგენლობითი დემოკრატიის* ჩამოყალიბების მიმართულებით. ისინი წარმოადგენენ „ჯერ კიდევ არამყარ რეჟიმებს, რომელსაც არ გააჩნია ინსტიტუტების საკუთარი სისტემა... მაგრამ მათ უკვე დაამტკიცეს საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა... ამ რეჟიმებში არ არსებობს არც ავტორიტარიზმის რაიმე ნიშანი და საფრთხე და არც წარმომადგენლობით დემოკრატიაზე გადასვლის ტენდენცია.“

მოცემულ მოდელს შემდეგი მახასიათებლები აქვს: მკაცრი მაჟორიტარიზმი, ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევა მისი პერსონიფიცირებით, ხელისუფალთა მისწრაფება შეამცირონ წარმომადგენლობითი ინსტიტუტების, პოლიტიკური ორგანიზაციების (მათ შორის ხელისუფლებისადმი ლოიალურებისაც) და არაინსტიტუციონალური პოლიტიკური მექანიზმების როლი.

დელეგირებული დემოკრატიის მოდელის ჩარჩოებში შეიძლება მოვათავსოთ პოსტსაბჭოთა სახოგადოებებისათვის დამახასიათებული ორი ფენომენი:

პირველი უკავშირდება ხელისუფლებისათვის რეალური ავტორეპრეზენტაციის მექანიზმების და ლეგიტიმურობის ინსტიტუციონალური (ე.ი. დეპერსონიფიცირებული) წყაროების არარსებობას. ეს მმართველ დაჯგუფებას აიძულებს ისწრაფვოდეს საკუთარი პოლიტიკის დეიდეოლოგიზაციისაკენ, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წინაშე ვალდებულებებისაგან რეალური განთავისუფლებისაკენ და ამ მიზნებისათვის გამოსადეგარი წყაროების ხელოვნურად შექმნისაკენ.

ყოველივე ეს მიმდინარეობს ორი ფრით:

1) ხალხის მიერ ხელისუფლების ლეგიტიმურობის დადასტურება რეფერენდუმების მექანიზმის გამოყენებით და ხელისუფლების მატარებელთა გარდაქმნა ამავე ლეგიტიმურობის წყაროდ;
2) პოლიტიკური ორგანიზაციების „ზემოდან“ შექმნა, რომელიც შერწყმულია სახელისუფლო სტრუქტურებთან - წარმოადგენს თავისებურ „ხელის-

უფლების პარტიას". ამასთანავე, „ხელისუფლების პარტიებს" შეუძლიათ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების მიმართ ფორმალურად გამოხატონ უნდობლობა, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მასების უკმაყოფილებისათვის გარკვეული „ობიექტი" გამოიძებნოს და ამ უკმაყოფილებას კონკრეტული მიმართულება ჰქონდეს.

მეორე ფენომენი ეს არის ხელისუფლების მიერ პროვოცირებული პოლიტიკურ ძალთა პოლარიზაცია, რაც სერიოზულ პრობლემებს უპირველესად ოპოზიციას უქმნის, თუკი ის მართლაც დემოკრატიულ ღირებულებებს და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებზეა ორიენტირებული. მმართველი რეჟიმის უარი კომპრომისებზე ეყრდნობა საზოგადოების მხრიდან ინსტიტუციონალური თვითორგანიზების კატასტროფულ უუნარობას, რაც ერწყმის სამართლებრივი განუკითხაობა. ყოველივე ეს კი წარმოადგენს ჭეშ საპარლამენტო ფორმების დისკრედიტაციისაკენ. არასაპარლამენტო ჭეშ კი (მაგ., ალტერნატიული მოძრაობების შექმნა) კიდევ უფრო უპერსპექტივოა და თავიდანვე არალეგიტიმურად აქცევს ოპოზიციას.

ამგვარ სიტუაციაში პოლიტიკური ორგანიზაციებისა და არჩევითი ინსტიტუტების არსებობა ფორმალურ სასიათს ატარებს. მათ გააჩნია კანონიერი საფუძველი და ისინი აღიარებულია საზოგადოების მიერ, მაგრამ მცირე ძალა თუ აქვთ გადაწყვეტილებათა მიღების თვალსაზრისით. ყოველივე ამის შედეგს კი წარმოადგენს ამ ინსტიტუტების აღმავალი დეგრადაცია, საზოგადოებაში მათი პრესტიჟის დაკარგვა და რეალური ჩამოცილება ხელისუფლების სადავეებიდან. პოსტსაბჭოთა სინამდვილეში უამრავი ასეთი მაგალითი არსებობს. უფრო მეტიც, მსგავსი მოვლენების რეპროდუცირების პროგნოზირება თავისუფლად შეიძლება არჩევნების მიმდინარეობისას, რომელსაც მმართველი რეჟიმი ატარებს საკუთარი გავლენის გახმტკიცების მიზნით. ამის პარალელურად მიმდინარეობს სახელმწიფო სამსახურის სისტემის დეგრადაცია, ყველა დონის სახელისუფლო სტრუქტურების გადაქცევა კორპორაციებად, რომელიც აგებულია კლიენტელისტური პრინციპის, კერძო ინტერესების საფუძველზე. მთლიანობაში სახელმწიფო აპარატს კი ენიჭება იდეოლოგიური ფუნქციები ხელისუფლების მიერ მისი უკონტროლობის, როგორც ლოიალობის საფასურის მხარდაჭერით.

ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი როგორც თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძვლები

დემოკრატია, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი

ლიბერალურ დემოკრატიებს ახასიათებთ არა მარტო დემოკრატიისადმი ერთგულება, არამედ სხვა პოლიტიკური ტრადიციების არსებობაც. როგორც

წესი მათში იგულისხმება ორი კომპონენტი, ორი პოლიტიკური ტრადიცია, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს თანამედროვე დემოკრატიების სახეს - დემოკრატია და ლიბერალიზმი. მათთან ერთად არსებობს მესამე ტრადიცია, რომლისგანაც ასევე განუყოფელია თანამედროვე დემოკრატიის არსებობა - ეს არის რესპუბლიკანიზმი. ორი პოლიტიკური ტრადიციის - ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის სისუსტეზე ლათინური ამერიკის ქვეყნებში მიუთითებს გილერმო ო'დონელი, როდესაც ცდილობს ახსნას ამ ქვეყნებში დამკვიდრებული პოლიტიკური რეჟიმების თავისებურებები, მათ შორის არა მარტო დემოკრატიის არალიბერალურობა, არამედ კორუფციაც.

დემოკრატია, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი სხვადასხვა ისტორიულ და ინტელექტუალურ ტრადიციაში იღებენ სათავეს. დემოკრატია სათავეს იღებს ძველ ათენში; რესპუბლიკანიზმი - წინაიმპერიულ რომში და ზოგიერთ შუასაუკუნოვან იტალიურ ქალაქში; ლიბერალური ტრადიცია სცენაზე გამოდის შუასაუკუნოვანი ევროპის ფეოდალურ საზოგადოებებში, ხოლო შემდგომ ლოკის ინგლისში და მონტესკიეს საფრანგეთში. წინააღმდეგობრიობა, რომელიც ამ სამ ტრადიციას შორის არსებობს, ქმნის რთულ ნახაზს, თანამედროვე დემოკრატიის ღია და დინამიურ ფორმას.

ლიბერალიზმი იცავს ინდივიდს და მის უფლებებს, რომლებიც არც ერთმა ძალაუფლებამ არ შეიძლება შელახოს, და ამგვარად, კერძო სფეროს განიხილავს, საზოგადოებრივ სფეროსთან საპირისპიროდ, იმ ასპარეზად, სადაც ყველაზე სრულად ხდება ადამიანის რეალიზება. რესპუბლიკანიზმი, ისევე როგორც ლიბერალიზმი, მკაფიოდ განასხვავებს კერძო და საზოგადოებრივ სფეროებს, მაგრამ სხვა მიზეზის გამო. რესპუბლიკანიზმი ხაზს უსვამს პიროვნების, მით უფრო, მმართველის ვალდებულებებს საზოგადოების წინაშე და თვლის, რომ ადამიანის უმაღლესი ღირსებაა საზოგადოების უანგარო სამსახური.

შესაბამისად, საზოგადოებრივ სფეროს, საზოგადოებრივ ინტერესს ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი სხვადასხვა შინაარსს ანიჭებენ. ლიბერალიზმისთვის საზოგადოებრივი ინტერესი ეს არის ყველას ინტერესი, კერძო ინტერესების ნაკრები და მათგან გამომდინარე ჯამური შედეგი. რესპუბლიკანიზმისთვის ეს არის საერთო ინტერესი, ინტერესი, რომელიც მაღლა დგას თითოეულ კერძო ინტერესზე და რომელსაც კერძო ინტერესი შეიძლება შეეწიროს კიდეც.

განსხვავებული ღირებულება, რომელსაც ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი ანიჭებს კერძო და საზოგადოებრივ სფეროს, იწვევს განსხვავებულ დასკვნებს პოლიტიკური უფლებებისა და მოვალეობების, მოქალაქეობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკური დებატების არსს წარმოადგენს. ყველა ეს დებატები გამომდინარეობს იმ მკაფიო ზღვარის არსებობიდან, რომელიც ასხვავებს კერძოსა და საზოგადოებრივს, და რომელიც ორივე ტრადიციის მიერაა ხაზგასმული.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობრივი შინაგანი ლოგიკისა, ლიბერალიზმსაც და რესპუბლიკანიზმსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი თანხვედრა, რომელიც განაპირობებს მათ ორგანულ თანაარსებობას ერთი სახოგადოებისა და ერთი დემოკრატიული სისტემის ჩარჩოებში: ორივე რეალიზდება კანონისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პატივისცემაში. რა ფრითაც არ უნდა იაროთ, ლიბერალურით თუ რესპუბლიკურით, მიხვალთ ისეთი სამართლებრივი წესრიგის აღიარებამდე, რომელშიც ადამიანის და სახოგადოების ურთიერთობას არეგულირებს უნივერსალური, ყველასათვის ერთნაირი კანონი. ეს კანონი არა მარტო იცავს ადამიანის უნივერსალურ (ყველასთვის ერთნაირ) თავისუფლებებს, არამედ განსაზღვრავს მის ვალდებულებებს სხვა ადამიანების, სახოგადოების წინაშე. შედეგად თანამედროვე დემოკრატიის მოქალაქე არის არა მარტო თავისუფალი, არამედ პასუხისმგებელი, მისი თავისუფლება განუყოფელია სახოგადოების (და არა მხოლოდ საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის) წინაშე მისი პასუხისმგებლობისგან.

როდესაც ვამბობთ, რომ სახოგადოებრივი და კერძო სფეროები ერთმანეთისგან განცალკევებულია, ეს სულაც არ ნიშნავს ამ სფეროების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობას. ლიბერალიზმისგან და რესპუბლიკანიზმისგან განსხვავებით, დემოკრატია კი არ აშორიშორებს ერთმანეთისგან კერძოს და სახოგადოებრივს, არამედ პირიქით - მათ შორის კავშირს ამყარებს. დემოკრატიის მექანიზმებში ჩადებულია ის, რაც ახდენს კერძო და სახოგადოებრივი ინტერესების ერთმანეთზე მიბმას. დემოკრატიის ჩართვით ხდება სწორედ ინტერესთა მრავალნაირი კონფლიქტების მოგვარება, როგორც კერძო პირთა, ასევე სახოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

დემოკრატია, რესპუბლიკანიზმისგან განსხვავებით, არ მოითხოვს მმართველებისგან განსაკუთრებულ კეთილშობილებას; პირიქით, დემოკრატია გულისხმობს, რომ ნებისმიერს შეუძლია ქვეყნის მართვა. ასევე, დემოკრატია, ლიბერალიზმისგან განსხვავებით, არ ფიქრობს, რომ პიროვნება დაცული უნდა იყოს იმისგან, რასაც ხალხი, ხალხის უმრავლესობა გადაწყვეტს. დემოკრატია უზრუნველყოფს ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის მიერ დაშორიშორებულ კერძო და სახოგადოებრივ სფეროებს შორის ჰარმონიული ბალანსის დამყარებას.

ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს სამი ტრადიცია გაერთიანებულა მრავალნაირად და ცვალებადად. ნებისმიერი მათგანისთვის გადაჭარბებული უპირატესობის მინიჭებამ შეიძლება დემოკრატიას საფრთხე შეუქმნას. დემოკრატია ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის გარეშე შეიძლება უმრავლესობის ტირანიად გარდაიქმნას, ლიბერალიზმი დემოკრატიისა და რესპუბლიკანიზმის გარეშე - პლუტოკრატიად, ხოლო რესპუბლიკანიზმი ლიბერალიზმისა და დემოკრატიის გარეშე გადაგვარდება თვითდაჯერებული ელიტის პატერნალისტურ მმართველობად.

ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, რომელიც ტერიტორიულად განსაზღვრული სახელმწიფოს არსებობას უკავშირდება, ყველა ამ

ტრადიციის ნაჯერია. სახელმწიფო არის დემოკრატიის მეოთხე კომპონენტი, რომელიც მისი ხასიათის მნიშვნელოვან ელემენტებს განსახლვრავს.

ბევრი ქვეყანა, რომლისთვისაც, ინგლისისგან თუ საფრანგეთისგან გა-ნსხვავებით, დემოკრატია „სახლში ნახარდი პროდუქტი" არაა, ხშირად ცდილობს დაამკვიდროს ის კანონები და კონსტიტუცია, რომელიც განვითა-რებული დემოკრატიებისთვის დამახასიათებელ თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოწყობას შეეფერება. ამ დროს იწყება უსასრულო კამათი იმასე, თუ რა არის უკეთესი - ცხოვრება აიგოს ამ კანონებისა და ინსტიტუ-ტების შესაბამისად, თუ კანონები შემოუშავდეს რეალური ცხოვრების მიხედ-ვით. ცხადია, ორივე მხარე მხედველობაში მისაღებია. მაგრამ უფრო არს�pe-ითია ის, რომ თავად უნივერსალისტური კანონების შემოღება თანამედრო-ვეობის ნიშანია, თანამედროვე ეპოქის მოკლენა. მათ უკან დასავლეთში ლიბე-რალური და რესპუბლიკური ტრადიციები დგას, რომელიც ძალად თუ გას-ცდა დასავლეთის სასზღვრებს, მიუხედავად სხვა სამყაროს მრავალი ქვეყნის პრეტენზიისა, დემოკრატიის სახელი დარჩეოდა. დასავლეთში ლიბე-რალური და რესპუბლიკური პრინციპების გაბატონება კი ამ მხრივ უკავში-რდება ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და კაპი-ტალიზმის დამკვიდრებას.

ეროვნული სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე სამართლიანობის დაცვის ფუნქციას მას მერე, რაც ხორციელდება სამართლის კოდიფიკაცია კან-ონების სახით და სამართლებრივი კანონის დაცვა ხდება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქცია. ამდენად სამართალი რეალიზდება კანონის მეშვეო-ბით, და არა პირიქით - სამართლიანობის დამკვიდრება კანონიდან გამომდ-ინარეობს. სამართლიანობის დამკვიდრებას უნიფერსალური კანონის ფსი-ალეგორიაში უნდა ედოს სამართლიანობის უნივერსალისტური პრინციპები, ისეთი, როგორსაც დასავლეთში დემოკრატია, ლიბერალიზმი და რესპუბლი-კანიზმი წარმოადგენენ. შესაძლებელია კი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა საზოგადოებაში სამართლიანობასა რაიმე სახის უნივერ-სალისტური შეხედულებების არსებობის გარეშე?

თანამედროვე კაპიტალიზმის და საბაზრო ეკონომიკის განვითარების კავშირი ლიბერალიზმთან და რესპუბლიკანიზმთან ასევე შეიძლება განვიხი-ლოთ კერძო და საზოგადოებრივი სფეროს დაშორიშორების სიბრტყეში. სწორედ კერძოს და საზოგადოებრივის დაშორიშორება ხდის შესაძლებელს ისეთ საზოგადოებრივ მოწყობას, როდესაც ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ალარაა მოქცეული ერთიან პირამიდაში. კაპიტალისტი შეიძ-ლება იყოს ბევრად უფრო მდიდარი ხელისუფლების ნებისმიერ წარმომად-გენელზე ისე, რომ მისი თავისუფლება არ იყოს შელახული (თავისუფლების დაცვის ლიბერალური პრინციპი), ხოლო რესპუბლიკანიზმის შედეგია ის, რომ ხელისუფალი, რომელიც საზოგადოებას უანგარიშოდ ემსახურება, სან-აცვლოდ საყოველთაო ალიარებას მოიხვეჭს, რაც მის უანგარიშობას ანიჭებს არა ალტრუიზმის, არამედ რაციონალურობის ელფერს.

ამდენად, თანამედროვეობის ეპოქაში დასავლეთის ქვეყნებში სახოგადოებრივის და კერძოს, სახელმწიფოს და ეკონომიკის ცალკე სფეროებად გამოყალიბება (რაც ასევე ხელოვნური სახოგადოების წარმოქმნას უკავშირდება) შეიძლება დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური პრინციპების ჭრილში განვიხილოთ. ამ სფეროების ეს არაანისეული მნიშვნელობანია არა მხოლოდ კანონის უსუსურობის დამკვიდრებისთვის, არამედ წარმოიმადგენლობითი დემოკრატიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

წარმომადგენლობითობა, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი

რიდესაც დემოკრატია პირდაპირი დემოკრატიაა, ანუ საჯარო ადგილას შეკრებილ მოქალაქეთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების ნაირსახეობაა, მაშინ არ არსებობს არჩევითი, წარმომადგენლობითი ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული პრობლემები არ ჩნდება. მაგრამ თანამედროვე დემოკრატია ძირითადად წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს, რომელიც დაფუძნებულია მმართველების არჩევის პრინციპზე.

ხელისუფლების არჩევით დემოკრატია ათავსებს კერძო ინტერესების მქონე პიროვნებას სახოგადოებრივ სფეროში, ანიჭებს მას სახოგადოებრივ ვალდებულებებს, მაგრამ ბევრს არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს მის მიერ გაგებული მისი მოვალეობები, რას უნდა ეფუძნებოდეს მისი გადაწყვეტილებები. რა პრინციპებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს მან კონფლიქტი, რომელიც შეიძლება გაჩნდეს მის კერძო ინტერესებსა და მის მიერ დასაცავ სახოგადოებრივ ინტერესებს შორის? ან კონფლიქტი სხვადასხვა სახოგადოებრივ ჯგუფთა ინტერესებს შორის?

წარმოვიდგინოთ პარლამენტის დეპუტატი, რომელიც არის ფერმინისტური მოძრაობის აქტივისტი და პარლამენტში მოსულია ქალთა უფლებების დაცვის ლიზუნგით. ან რეგიონის წარმომადგენელი, ან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც ამ უმცირესობის უფლებებს იცავს. რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს ამ ადამიანებმა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას? რა არის მათი წარმომადგენლობითი ფუნქციის არსი? აქ შესაძლოა დეპუტატის მანდატის სხვადასხვა ინტერპრეტაცია: დეპუტატმა უნდა გამოხატოს თავისი ამომრჩეველების ინტერესები (იმათი, ვინც მას ხმა მისცა); დეპუტატი გამოხატავს მოელი მოსახლეობის ინტერესებს; დეპუტატი მისდევს თავისი პარტიის პოლიტიკას; დეპუტატი თავისუფალია მოიქცეს ისე, როგორც მას მისი სინდისი კარნახობს. ეროელ შემთხვევაში ის აუცილებლად აღმოჩნდება ისეთ სიტუაციებში, რიდესაც იმ ჯგუფის ინტერესი, რომელსაც იგი წარმოადგენს, გარკვეულწილად არ ემთხვევა მთელი სახოგადოების ინტერესს - მაგალითად, მასწავლებელთა ხელფასების გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა და, ამის შედეგად, ინფლაცია, რაც მთელ სახოგადოებას შეეხება.

აქ ნაჩვენებია „წარმომადგენლობითობის პარადიქსი", რომელიც შეკავშირდება ამომრჩეველთა კერძო ინტერესების მათ ჯამურ (ან საერთო) ინტე-

რესად გადაქცევის პროცესს. ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც ამ პროცესში იქმნება, მდგომარეობს არა მხოლოდ კერძოსა და საზოგადოებრივის ურთიერთმიმართებაში, არამედ ურთიერთმიმართებაში სხვადასხვა საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, როგორიცაა სხვადასხვა ჯგუფური ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესი და სხვა.

ლიბერალიზმიც და რესპუბლიკანიზმიც იძლევიან წარმომადგენლობით დემოკრატიაში ამ კონფლიქტის სამართლიანი გადაჭრის სცენარს, მაგრამ სხვადასხვა ლოგიკიდან გამომდინარე. ლიბერალიზმი, განიხილავს რა საზოგადოებრივ ინტერესს როგორც კერძო ინტერესთა ჯამს, რომელთაგან ყველა თანასწორუფლებიანია, ამბობს, რომ უმრავლესობის თავისუფლება არ უნდა მიიღწეოდეს უმცირესობის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. დემოკრატია, ხალხის მმართველობა, არ უნდა გადაიქცეს უმრავლესობის ტირანიად, ამდენად გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს მოლაპარაკებითა და შეთანხმებით, ყველას ინტერესების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, პოლიტიკოსი ვალდებულია მხარი დაუჭიროს კომპრომისულ, ყველას თვალში სამართლიან წინადადებას. რესპუბლიკანიზმი, განიხილავს რა საზოგადოებრივ ინტერესს როგორც ყველას ინტერესზე მაღლა მდგომს, როგორც არა ჯამურს, არამედ საერთოს, პოლიტიკოსისგან მოითხოვს საზოგადოების წინაშე ვალდებულებების შესრულებას.

მოკლედ, ერთიც და მეორეც ამტკიცებს იმას, რომ საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩეული ადამიანი ემსახურება ამა თუ იმ სახით გაგებულ საზოგადოებრივ ინტერესებს. ისინი ქმნიან მიუკერძოებლობის ეთიკურ ველს, რომლის რეალიზება, გარდა სამართლებრივი მექანიზმებისა, გულისხმობს ამ ეთიკური ნორმების გაზიარებასა და აღიარებას ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების მიერ.

ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულება, ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი

არჩევნები, რომელიც ტარდება პერიოდულად, წარმოადგენს ამომრჩეველთა მიერ ხელისუფლების კონტროლის ვერტიკალურ ინსტრუმენტს. სამწუხაროდ, ეს ინსტრუმენტი, მისი პერიოდული ხასიათისა და სხვა ნაკლოვანებების გამო სრულად ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლებაზე იმ კონტროლს, რომელიც აიძულებს მას დაუქვემდებაროს თავისი კერძო ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ დემოკრატიის ინსტიტუციონალურ მოწყობაში თავის დროზე გათვალისწინებულ იქნა ჰორიზონტალური კონტროლის არსებობა - ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებისა და შტოების მიერ ძალაუფლების განაწილებისა და ურთიერთკონტროლის მექანიზმები.

ჰორიზონტალური კონტროლი მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოები უფლებამოსილნი არიან - და რეალურად ასრულებენ კიდეც - ერთმანეთის ზედამხედველობასა და კონტროლს კანონების

დაცვის თავალსაზრისით, კონსტიტუციურობისა და ძალაუფლების გადამეტების თავიდან აცილების მიზნით. ამ კონტროლის არარსებობის პირობებში შეიძლება დაზარალდეს დემოკრატიის სამივე კომპონენტი - დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური. დემოკრატია ზარალდება, თუ არჩევნები ტარდება დარღვევებით, ლიბერალიზმი ზარალდება, თუ ირღვევა ადამიანთა უფლებები, ხოლო რესპუბლიკანიზმი ზარალება, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევენ კანონს და მოქმედებენ ვოლუნტარისტულად.

თუ პირველი და მეორე ყოველთვის იწვევენ პროტესტს, უკანასკნელი ყველაზე იშვიათად ალიქმება როგორც ბოროტება, და ზოგჯერ არც შეიცავს ბოროტ განზრახვას. მართლაც, პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ შლის არაპოპულარულ პარლამენტს, შეიძლება პატრიოტული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდეს და ხალხის მოწონებასაც იმსახურებდეს. მაგრამ ის იმავდროულად შლის სახელმწიფო მოწყობის საფუძვლებს, ეფექტურ და ავტონომიურ ინსტიტუტებს, რომლებმაც ერთობლივად, კომპლექსში უნდა განახორციელონ ძალაუფლება და გაინაწილონ პასუხისმგებლობა.

ახალ დემოკრატიებში ძალაუფლების ამგვარი გადამეტება, ხელისუფლების სხვა შტოების დასუსტება, როგორც წესი პრეზიდენტებისგან მომდინარეობს. მართავენ რა ხალხის სახელით, ისინი ხშირად არ თვლიან საჭიროდ დაექვემდებარონ კანონის მოთხოვნებს. ამგვარი ერთპიროვნული მმართველების ძალაუფლება არ არის უსაზღვრო, მათაც უწევთ კომპრომისებზე წასვლა როგორც მოკავშირე, ისე ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ ამგვარი კომპრომისები სულ სხვა, არაკონსტიტუციურ წესებსა და ნორმებს ეყრდნობა, ამწუთიერი, კონიუნქტურული და ინტრიგანული ხასიათის თამაშის ელფერს ატარებს.

ჰორიზონტალური ანგარიშვალდებლების დარღვევა ასუსტებს დემოკრატიას, განსაკუთრებით კი მის რესპუბლიკურ და ლიბერალურ კომპონენტებს. ის ქმნის საფუძვლებს იმისათვის, რომ პოლიტიკოსებმა გამოიყენონ თავისი თანამდებობები ბოროტად, რაც დაუშვებელია რესპუბლიკური ნორმებიდან გამომდინარე. ამავე დროს იგი ქმნის საფუძველს იმისთვისაც, რომ ცალკეულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა გადამეტებული ძალაუფლება მოიპოვონ, რაც დაუშვებელია ლიბერალური ნორმებიდან გამომდინარე.

დემოკრატია შეიძლება არსებობდეს, და არსებობს კიდეევაც, ლიბერალური და რესპუბლიკური კომპონენტების სისუსტის ფონზეც. მაგრამ ამგვარ დემოკრატიას ახასიათებს ხოლმე მაღალი კორუფცია (რესპუბლიკანიზმის ნაკლებობა) და შედარებით ნაკლებად - ძალაუფლების გადამეტება (ლიბერალიზმის ნაკლებობა). ნაკლებად იმიტომ, რომ როგორც კი ძალაუფლების გადამეტება გარკვეულ ზღვარს ცდება, რეჟიმი დემოკრატიულობის სახელს კარგავს. ერთი კი ფაქტია - დემოკრატია თავისთავად, ლიბერალიზმისა და რესპუბლიკანიზმის გარეშე, კორუფციისა და ძალაუფლების გადამეტების პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებს.

საკონტროლო კითხვები

1. დაახასიათეთ კონსტიტუციური ლიბერალიზმი

2. რა მიმართებაა კონსტიტუციურ ლიბერალიზმსა და დემოკრატიზაციას შორის?

3. რაში მდგომარეობს კონსტიტუციური ლიბერალიზმის როლი ხელისუფლების შემზღუდველი მექანიზმების შექმნაში?

4. დაახასიათეთ ის არაფორმალური პარტიკულარისტული პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელიც ფართოდაა გავრცელებული რიგ "ახალ დემოკრატიებში"

4. დაახასიათეთ საზოგადოებრივი და კერძო სფეროს ურთიერთმიმართება: ა) უნივერსალისტური ბ) პარტიკულარისტული ინსტიტუტების ფუნქციონირების პირობებში.

5. რითი განსხვავდება ჰორიზონტული ანგარიშვალდებულება "ძველ" და "ახალ" დემოკრატიებში?

6. როგორია დელეგირებული დემოკრატია და რითი წაგავს მას პოსტსაბჭოური დემოკრატიები?

7. დაახასიათეთ დემოკრატიის სამი კომპონენტი - ლიბერალიზმი, რესპუბლიკანიზმი და დემოკრატია, მათი პრიორიტეტები და წინააღმდეგობები.

5. დაახასიათეთ კერძო და საზოგადოებრივი სფეროების ურთიერთმიმართება ლიბერალიზმის, რესპუბლიკანიზმისა და დემოკრატიის თვალსაზრისით.

6. რა არის საფუძველი ამ სამი ტრადიციის თანაარსებობისა თანამედროვე დემოკრატიებში?

7. რა როლს ასრულებს ლიბერალიზმი და რესპუბლიკანიზმი ეროვნული სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში?

8. რატომაა საჭირო რესპუბლიკანიზმი და ლიბერალიზმი წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის?

9. რა მიმართება აქვს რესპუბლიკანიზმსა და ლიბერალიზმს ძალაუფლების გადაჭარბებასთან და კორუფციასთან?

საკვანძო ტერმინები და ცნებები

კონსტიტუციური ლიბერალიზმი
ლიბერალური ავტოკრატია
უნივერსალიზმი
პარტიკულარიზმი
ჰორიზონტალური კონტროლი
დელეგირებული დემოკრატია
ხელისუფლების პარტია
რესპუბლიკანიზმი
პლუტოკრატია

ბიბლიოგრაფია

1. რედ. გ.ქ ო რ ქ ო ლ ი ა ნ ი . მეწარმეობა და კორუფცია საქართველოში. - ბიზნეს ლიგა, თბილისი, 1998.

2. Г.О'Д о н н е л л . Делегативная демократия. - "Пределы власти", М.1994.

3. Х.М.Р о с а л е с . Воспитание гражданской идентичности: об отношениях между национализмом и патриотизмом. - Полис, 6, 1999.

4. J. J.L i n z , A.S t e p a n . *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. The Johns Hopkins University Press, 1996.

5. G.O'D o n e l l . *Horisontal Accontability in New Democracies.* Journal of Democracy, v.9, N.3, 1998.

6. G. O'D o n n e l l . *Illusions about Concolidation.* Journal of Democracy, v. 7, N.2, 1996.

7. F.Z a k a r i a . *The Rise of Illiberal Democracy.* Foreign Affairs, 76,6 1997.

8. R.R o s e . *Postcommunism and the Problem of Trust.* Journal of Democracy, v.5, N.3, 1994.

ბიბლიოგრაფია

1. დემოკრატია და ეკონომიკა. - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", N4, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000.
2. დემოკრატია: იდეალი და რეალობა. - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", N 1, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 1999.
3. თანამედროვე დემოკრატია: ღირებულებები და იდეალები. - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", N 3, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000.
4. დ ო მ ი ნ ი კ კ ო ლ ა. პოლიტიკური სოციოლოგია (თარგმანი ფრანგულიდან). - თბილისი, 1999.
5. კორუფცია: ზოგადი პრობლემები. - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", N 5, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000.
6. მასმედია თანამედროვე საზოგადოებაში. - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", N 7, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000.
7. კ ა რ ლ პ ო პ ე რ ი. კიდევ ერთხელ ღია საზოგადოებისა და მისი მტრების შესახებ. - ჟურნალი "ეპოქა", N 4, 1998.
8. რედ. გ.ჟ ო რ ჟ ო ლ ი ა ნ ი. მეწარმეობა და კორუფცია საქართველოში. - ბიზნეს ლიგა, თბილისი, 1998.
9. როგორ კეთდება პოლიტიკა? - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", N 2, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 1999.
10. საზოგადოება და პოლიტიკა. N 1 - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1996.
11. საზოგადოება და პოლიტიკა. N 3 - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2000.
12. სამოქალაქო საზოგადოება. კრებული. - სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 1998.
13. სამოქალაქო საზოგადოება. - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", N 6, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000.
14. ძნელი გზა დამოუკიდებლობისაკენ. უცხოელი მეცნიერები 90-იანი წლების საქართველოს შესახებ. - თარგმანების კრებული. რედ. გ.ჟორჟოლიანი. ფონდი "დემოკრატია და აღორძინება", საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 1998.
15. ვ ა ც ლ ა ვ ჰ ა ვ ე ლ ი. ძალა უძალოთა. - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1995.

16. М.Н.Афанасьев. Клиентелизм и российская государственность. - М.1997.
17. Л.Бальцерович. Социализм, капитализм, Трансформация. Очерки на рубеже эпох. - Москва, "Наука", УРАО, 1999.
18. П.Бергер. Капиталистическая революция. 50 тезисов о процветании, равенстве и свободе. - Прогресс, М. 1986.
19. Т.Ворожейкина. Демократия и экономическая реформа (опыт сравнительного анализа России и Латинской Америки). - "Pro et Contra", т.1, N.1.
20. Э.Гельнер. Условия свободы. Гражданское общество и его исторические соперники . - AM arginem, М. 1995.
21. Гражданское общество: западный опыт и проблемы России. - Москва, 1998.
22. Дж.Дьюи. Возраждающийся капитализм. - "Полис", 3, 1994.
23. М.В.Ильин, А.Ю.Мельвиль, Ю.Е.Федоров. Демократия и демократизация (раздел учебного пособия). - "Полис", 5, 1996.
24. Б.Г.Капустин. Три рассуждения о либерализме и либерализмах. - "Полис", N 3, 1994.
25. Б.Г.Капустин, И.М.Клямкин. Либеральные ценности в сознании россиян. "Полис", 2, 1994.
26. Б.Г.Капустин. Современность как предмет политической теории. - Москва, РОССПЭН, 1998.
27. И.Клямкин. Посткоммунистическая демократия и ее исторические особенности в России. - "Полис", 2, 1993.
28. И.Клямкин, Л.Тимофеев. Теневая Россия. Экономико-социологическое исследование. - Российский гуманитарный университет, Центр по изучению нелегальной экономической деятельности. Москва, 2000.
29. А.Лейпхарт. Демократия в многосоставных обществах. Сравнительное исследование. -Аспект Пресс, Москва, 1997.
30. Х. Х.Линц. Крушение демократических режимов. Крушение, разрушение и восстановление равновесия. - Проблемы Восточной Европы, 39-40, Вашингтон, 1993.
31. Е.Мачкув. Преобразование коммунистического тоталитаризма и посткоммунистическая трансформация: Проблемы, концепции, периодизация. - "Полис", 4, 2000.
32. А.Ю.Мельвиль. Опыт Теоретико - методологического синтеза структурного и процедурного подходов к демократическим транзитам. - "Полис", 2, 1998.
33. А.Ю.Мельвиль. Демократические транзиты. Теоретико-методологические и прикладные аспекты. - Московский общественный научный фонд. Москва, 1999.
34. А.Н.Никитченко. Транснационализация демократии (третья волна). Демократизации в свете теории международных отношений. - "Полис", 5, 1996.
35. Г.О'Доннелл. Делегативная демократия. - "Пределы власти", М., 1994
36. Я.Ш.Паппэ. Олигархи. Экономическая хроника 1992-2000. - Государственный университет, Высшая школа экономики. Москва, 2000.
37. С.П.Перегудов, Н.Ю.Лапина, И.С.Семенов. Группы интересов и российское государство. - Эдиториал УРСС, Москва, 1999.
38. Политическая наука: новые направления (под ред. Р.Гудина и Х.-Д. Клингеманна. Научн. ред. русского издания Е.Б.Шестопал). - Вече, М.1999.
39. А.Пшеворский. Демократия и рынок. Политические и экономические реформы в восточной Европе и Латинской Америке. - Москва, РОССПЭН, 1999.

40. П.Раймент. Трудный путь к рыночной экономике: реальности и иллюзии. - "МЭиМО", 5, 1996.
41. Д.А.Растоу. Переходы к демократии: попытка динамической модели. - "Полис", 5, 1996.
42. Х.М. Росалес. Воспитание гражданской идентичности: об отношениях между национализмом и патриотизмом. - Полис, 6, 1999.
43. А. де Токвиль. Демократия в Америке. - Весь Мир, Москва, 2000.
44. А.Турен. Что означает демократия сегодня? - Антология мировой политической мысли, т.2, Зарубежная политическая мысль XX в. Москва, Мысль, 1997.
45. О.Г.Харитонова. Генезис демократии (попытка реконструкции логики транзитологических моделей). - "Полис", 5, 1996.
46. И.Шапиро. Введение в типологию либерализма. - "Полис", 3, 1994.
47. Ф.Шмиттер. Размышления о гражданском обществе и консолидации демократии. - "Полис", 5, 1996.
48. Ф.Шмиттер. Угрозы и диллемы демократии. - "Пределы власти", 1, 1994.
49. Л.Ф.Шевцова. Диллемы посткоммунистического общества. - "Полис", 5, 1996.
50. Л.Шевцова. Россия: логика политических перемен. - в: "Россия политическая" (под ред. Л.Шевцовой), М., 1998.
51. С.Холмс. Чему Россия учит нас теперь? - "Pro et Contra", т.2, 1997, pubs.carnegie.ru/p&c/.
52. G.A.Almond and S.Verba. *The Civic Culture*. Princeton: Princeton University Press. 1963.
53. G.A.Almond and S.Verba. *The Civic Culture Revisited: An Analytical Study*. Boston: Little, Brown, 1980.
54. ed. G.A. Almond, G.B.Powell. *Comparative Politics Today*. A World View. Harper Collins College Publisher, 1995.
55. ed. L.Anderson. *Transitions to Democracy*. Columbia University Press, New York 1999.
56. K.J.Arrow. *Gifts and Exchanges*. Philosophy and Public Affairs 1, 1972.
57. J. Bhagwati. *Democracy and Development*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.
58. A. H.Birch. *The Concepts and Theories of Modern Democracy*. Routledge, 1993.
59. ed. B.Brown, R.Macridis. *Comparative Politics. Notes and Readings*. Wadsworth Publishing Company, 1996.
60. Th.Carothers. *Civil Society*. Foreign Policy, Winter 1999-2000, Issue 117.
61. B.Crawford & A.Lijphart. *Explaining Political and Economic Change in Post-Communist Eastern Europe: Old Legacies, New Institutions, Hegemonic Norms, and International Pressures*. Comparative Political Studies, vol. 28, no. 2, July 1995.
62. L.Csaba. *The Capitalist Revolution in Eastern Europe, A Contributon to the Economic Theory of Sistemic Change*. Edvard Elgar, 1995.
63. R.A.Dahl, *Polyarchy: Participation and Opposition*. New Haven: Yale University Press 1971.
64. R. A.Dahl. *Democracy and Its Critics*. New Haven: Yale University Press,1989.
65. R. A.Dahl. *Why Free Markets Are Not Enough*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.

66. R.A.Dahl. *On Democracy*. Yale University Press, 1998.
67. L.Diamond. *Toward Democratic Consolidation*. Journal of Democracy, v.5, N.3, 1994.
68. L.Diamond. *Is the Third Wave over?* Journal of Democracy, v.7, N.3, 1996.
69. ed. by L. Diamond, J. J. Linz, S. M. Lipset. *Politics in Developing Countries - Comparing Experiences with Democracy*. Lynne Rienner Publishers, 1995.
70. R. Fine. *Civil Society Theory. Enlightment and Critique*. Democratization, v.4, N.1, 1997.
71. M. W.Foley, B. Edwards. *The Paradox of Civil Society*. Journal of Democracy, V.7, N.3, 1996.
72. Freedom House. *Democracy ratings*. www.freedomhouse.org.
73. F. Fukuyama. *Capitalism and Democracy: The Missing Link*. Journal of Democracy, Vol. 3, No. 3, July, 1992.
74. M.Grawitz, J.Leca (eds). *Traite de science politique*. 4 vols. Paris: Press Universitaire de France, 1985.
75. J.Habermas. *Legitimation Crisis*. Boston: Beacon, 1975.
76. ed. H. Handelman, M. Tessler. *Democracy and its Limits. Lessons from Asia, Latin America, and the Middle East*. University of Notre Dame Press, 1999.
77. Th.Hnaf, Gh.Nodia. *Georgia - Lurching to Democracy. From Agnostic Tolerance to Pious Jacobinism: Societal Change and People's Reactions*. Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2000.
78. D.Held. *Democracy and the Global Order. From the Modern State to Cosmopolitan Governance*. Polity Press, 1997.
79. ed. by B. Holden. *Global Democracy. Key Debates*. Routledge, 2000.
80. ed. by J. F. Hollifield, C. Jillson. *Pathways to Democracy: the Political Economy of Democratic Transitions*. Routledge, 2000.
81. S. Huntington. *The Third Wave*. University of Oklahoma Press, 1991.
82. S. Huntington. *Political Order in Changing Societies*. New Haven, 1968.
83. R.Inglehart. *Culture Shift in Advanced Industrial Society*. Princeton: Princeton University Press. 1990.
84. R. Inglehart. *Modernization and Postmodernization. Cultural, Economic, and Political Change in 43 Societies*. Princeton University Press, 1997.
85. H.-D.Klingemann, D. Fuchs [eds]. *Citizens and the State*. Oxford: Oxford University Press, 1995.
86. G. W. Kolodko. *From Recession to Growth in Post-Communist Economies: Expectations versus Reality*. Communist and Postcommunist Studies, vol. 26, No 2, June 1993.
87. J.-E. Laneand, S. Ersson. *Comparative Politics. An Introduction and New Approach*. Polity Press, 1994.
88. H.D.Lasswell. *The Future of Comparative Method*. Comparative Politics, v.1, 1968.
89. M.Lazeron. *Organizational Growth of Small Firms: An Outcome of Markets and Hierarchies?* American Sociological Review, 53,1988.
90. J. J.Linz, A. Stepan. *Problems of Democratic Transition and Consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. The Johns Hopkins University Press, 1996.

91. S. M. Lipset. *Political Man*. New York: Doubleday, 1960.
92. ed. by S. Mainwaring, M. S. Shugart. *Presidentialism and Democracy in Latin America*. Cambridge University Press, 1997.
93. B. Moore. *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World*. Boston, Beacon Press, 1966.
94. G. O'Donnell, P.C.Schmitter. *Transition from Authoritarian Rule: Tentative Conclusions about Unsertain Democracies*. Baltimore: The Johns Hopkins University Press 1986.
95. G. O'Donnell. *On the State, Democratization and Some Conceptual Problems: A Latine American View with Glances at Some Poscommunist Countries*. World Development, vol.21, N.8, 1993.
96. (ed) G. O'Donnell, Ph. Schmitter, L.Whitehead. *Transitons from Authoritarian Rule: Comparative Perspectives*. Baltimore: The Johns Hopkins University Press, 1994.
97. G. O'Donnell. *Illusions about Concolidation*. Journal of Democracy, v. 7, N.2, 1996.
98. G.O'Donnell. *Horisontal Accontability in New Democracies*. Journal of Democracy, v.9, N.3, 1998.
99. M. Olson. *The Logic of Collective Action. Public Goods and the Theory of Groups*. Harvard Economic Studies, v. CXXIV, Harvard University Press, 1971.
100. ed. D. Potter, D.Goldblatt, M.Kiloh, P.Levis. *Democratization*. Polity Press, 1997.
101. A.Przeworsky. *Democracy and the Market. Political and Economic Reform in Eastern Europe and Latin America*. Cambridge, Cambridge University Press, 1991.
102. A.Przeworski. *The Games of Transition*. in: Mainwaring, S.et al. (eds). Issues in Democratic Concolidation. Notre Dame, Indiana, 1992. pp.105-52.
103. A.Przeworski. *The Neoliberal Fallacy*. Journal of Democracy, Vol.3, No. 3, July 1992.
104. A.Przeworski, et. *Sustainable Democracy*. Cambridge University Press, 1995.
105. A.Przeworski, L.Fernando. *Modernization, Theories and Facts*. World Politics. Jan/1997.
106. R.D.Putnam. *Making Democracy Work. Civic Traditions in Modern Italy*. Princeton University Press, 1993.
107. D.Rueschemeyer, J.Stephens. *Capitalist Development and Democracy*. Cambridge, Polity Press, 1992.
108. R.Rose. *Comparing Forms of Comparative Analysis*. Political Studies, 39, 1991.
109. R.Rose. *Postcommunism and the Problem of Trust*. Journal of Democracy, v.5, N.3, 1994.
110. R. Rose. *Toward a Civil Economy*. Journal of Democracy, Vol.3, No. 2, April 1992.
111. R.Rose, W.Mishler and C.Hapefer. *Democracy and its Alterantives. Understanding Post-Communist Societies*. The Johns Hopkins University Press, Baltimore, 1998.
112. G. Sartori. *Compare Why and How: Comparing, Miscomparing and the Comparative Method"*. in: M.Dogan, A.Kazancigil (eds), Comparing Nations: Concepts, Strategies, Substance (London: Basil Blackwell), 1994.

113. J. Schumpeter. *Capitalism, Socialism and Democracy*. 2-nd ed. New York: Harper, 1947.
114. R.Scruton. A Dictionary of Political Thought. Macmillan, 1996.
115. A. B. Seligman. *The Problem of Trust*. Princeton University Press, 1997.
116. L. Sirc. *Morality in Economic Life*. Comunist Economics & Economic Transformation, vol. 7, N. 2. 1995.
117. A. Smolar. *From Opposition to Atomization*. Journal of Democracy, v.7, N.1, 1996.
118. J. D. Stephens. *Capitalist Development and Democracy. Empirical Research on the Social Origins of Democracy*. in: The Idea of Democracy. Ed. by G. Copp. J. Hampton and J.E. Roemer. Cambridge University Press, 1993.
119. G. Stigler. *The Citizen and the State: Essays on Regulation*. Chicago: University of Chicago Press, 1975.
120. J. Szymanderski. *Moral Order and Corruption in Transition to the Market: Popular Belief and Their Underpinnings*. Comunist Economics & Economic Transformation, vol. 7, No. 2. 1995.
121. F. Tonnies. *Gemeinschaft und Gesellschaft*. The Michigan State University Press, 1957.
122. R. M. Unger. *Democracy Realized. the Progressive Alternative*. Verso, 1998.
123. T.Vorozheikina. Clientelism and the Process of Political Democratization in Russia. in: Democracy, Clientelism and Civil Society. ed. L.Roniger, A.Gunes-Ayata, Lynne Rienen Publishers, Boulder, London, 1994.
124. M. Weber. *Economy and Society: an Outline of Interpretive Sociology*. ed. G.Roth, C.Wittich, Berkley, University of California Press, 1978.
125. K. Weyland. *The Politics of Corruption in Latin America*. Journal of Democracy, v.9, N1, 1998.
126. F. Zakaria. *The Rise of Illiberal Democracy*. Foreign Affairs, 76,6 1997.

'შეკვეთა №157 ტირაჟი 500

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება“
თბილისი, 380060, დ.გამრეკელის 19